ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ზურაბ ბარათაშვილი

გარდამავლობა, ვალენტობა და ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში

Zurab Baratashvili

Transitivity, Valency, and the Argument Structure of the Verb in the Sumerian Language

თბილისი
2022

1.5.2 დამატებათა ტიპები..... 47
1.5.3 ცრუსუბიექტი (dummy) და ირიბი დამატება 50
1.6 აქტანტთა სინტაქსური ქცევა..... 50
1.6.1 ზოგადი..... 50
1.6.2 შეზღუდვა კოორდინაციაში..... 51
1.6.3 იმპერატიული კონსტრუქცია..... 52
1.6.4 რელატივიზაცია..... 53
1.6.5 რეფლექსივიზაცია..... 56
1.6.6 აქტანტური დერივაცია
(valency-increasing and decreasing operations)..... 58
1.6.6.1 გვარი 58
1.6.6.2 აპლიკატივი 59
1.6.6.3 კაუზატივი 61
1.7 სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობა..... 62
1.7.1 ზოგადი..... 62
1.7.2 ურთიერთმიმართება ვალენტობასა და
გარდამავლობას შორის 64
1.8 აქტანტთა შეთანხმება ზმნასთან (indexing)..... 67
1.9 ამოსავალი დებულებები შემდეგი კვლევისათვის..... 69

თავი II შუმეროლოგიური ტრადიციული გრამატიკა..... 71
2.1 ზოგადი..... 71
2.2 დამწერლობისა და დაწერილობის პრობლემა 71
2.3 ფონემური შედგენილობის პრობლემა..... 83
2.4 სიტყვა შუმერულში..... 87
2.5 უღლებათა და წყობათა ტიპები 102

**თავი III აქტანტური დერივაცია შუმერულში:
საუღლებელი პრეფიქსები** 109
3.1. ზოგადი..... 109

3.2 საუღლებელ პრეფიქსთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია 110
3.3 საუღლებელი პრეფიქსები და ვალენტობა..... 129
3.4 შუმერული „საუღლებელი პრეფიქსების“ შედარება ქართული ენის ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან.... 135
3.5 დასკვნა..... 151

თავი IV სივრცობრივი პრეფიქსები შუმერულში 155
4.1 ზოგადი 155
4.2 სივრცობრივი აფიქსების მოკლე აღწერა 158
4.2.1 ლოკატივი 158
4.2.3 აბლატივი 164
4.2.4 ტერმინატივი..... 168
4.2.5 კომიტატივი 171
4.2.6 დატივი 177
4.3 სივრცობრივი პრეფიქსები: სემანტიკური როლები, გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები და სინტაქსური ფუნქციები 184
4.3.1 ზოგადი 184
4.3.2 რელატივიზაცია..... 185
4.3.3 რეფლექსივიზაცია..... 188
4.3.4 კოორდინაცია..... 191
4.3.5 კაუზაცია..... 193
4.3.6 დატიური დაწინაურება 197
4.4 სივრცობრივი პრეფიქსები: ვალენტობა 199
4.5 სივრცობრივი პრეფიქსების ფლექსიურობა-დერივაციულობის საკითხი 203
4.6 სივრცობრივი პრეფიქსების აპლიკატიურობის საკითხი..... 207
4.7 დასკვნა..... 211

წიგნში რამდენიმე სინტაქსური თეორიის საფუძველზე გაანალიზებულია ვალენტობა და გარდამავლობა შუმერულ ენაში – ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხი შუმეროლოგიაში. აღწერილია როგორც დომინანტური, ასევე რეცესიული კონსტრუქციები, გამოთვლილია ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციები და გათვალისწინებულია ამოსავალი და სინტაქსური ალტერნაციით მიღებული მოდელები. ეს ანალიზი ჩასმულია ფართო კონტექსტში და ენობრივი ტიპოლოგიისათვის ღირებული დასკვნებია მოცემული. ნაშრომი დააინტერესებს უძველესი შუმერული ცივილიზაციითა თუ ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო თემებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და ფართო საზოგადოებას.

რედაქტორები:
აკად. თამაზ გამყრელიძე †
ჯემალ შარაშენიძე †
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ემეიტუსი პროფესორი

რეცენზენტები:
ემერიტუსი პროფ. ზურაბ კიკნაძე †
ასოც. პროფ. ეთერ სოსელია
პროფ. ლევან გორდეზიანი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

პირველი ქართული გამოცემა

© ზურაბ ბარათაშვილი, 2022
გამომცემლობა „ნეკერი“, 2022

ISBN 978-9941-501-33-3

სარჩევი

ნინასიტყვაობები 7

სამადლობელი 13

Acknowledgement 14

შემოკლებები 15

შესავალი 19

0.1 ნაშრომის მიზანი და საკვლევი საკითხი 19

0.2 თეორიული ჩარჩო (theoretical framework) 20

0.3 ნაშრომის სტრუქტურა 20

0.4 მეთოდი და მეთოდოლოგია (resp. ხერხები) 22

თავი I ზოგადთეორიული ნანამძღვრები და დებულებები .. 23

1.1 ზოგადი 23

1.2 სემანტიკური როლები და
გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები 25

1.2.1 სემანტიკური როლები 25

1.2.2 გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები 30

1.3 გრამატიკულ წყობათა (alignment) ტიპები 32

1.4 გარდამავლობა 37

1.4.1 პროტოტიპური, სემანტიკური და
სინტაქსური გარდამავლობა 37

1.4.2 სტიმული, ექსპერიენცერი და გარდამავლობა 43

1.5 სინტაქსური ფუნქციები – ქვემდებარისა
და დამატებათა სახეობები 45

1.5.1 ზოგადი 45

1.5.2 დამატებათა ტიპები 47
1.5.3 ცრუსუბიექტი (dummy) და ირიბი დამატება 50
1.6 აქტანტთა სინტაქსური ქცევა 50
1.6.1 ზოგადი 50
1.6.2 შეზღუდვა კოორდინაციაში 51
1.6.3 იმპერატიული კონსტრუქცია 52
1.6.4 რელატივიზაცია 53
1.6.5 რეფლექსივიზაცია 56
1.6.6 აქტანტური დერივაცია
(valency-increasing and decreasing operations) 58
1.6.6.1 გვარი 58
1.6.6.2 აპლიკატივი 59
1.6.6.3 კაუზატივი 61
1.7 სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობა 62
1.7.1 ზოგადი 62
1.7.2 ურთიერთმიმართება ვალენტობასა და
გარდამავლობას შორის 64
1.8 აქტანტთა შეთანხმება ზმნასთან (indexing) 67
1.9 ამოსავალი დებულებები შემდეგი კვლევისათვის 69

თავი II შუმეროლოგიური ტრადიციული გრამატიკა 71
2.1 ზოგადი 71
2.2 დამწერლობისა და დაწერილობის პრობლემა 71
2.3 ფონემური შედგენილობის პრობლემა 83
2.4 სიტყვა შუმერულში 87
2.5 უღლებათა და წყობათა ტიპები 102

**თავი III აქტანტური დერივაცია შუმერულში:
საუღლებელი პრეფიქსები** 109
3.1. ზოგადი 109

3.2 საუღლებელ პრეფიქსთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია 110
3.3 საუღლებელი პრეფიქსები და ვალენტობა..... 129
3.4 შუმერული „საუღლებელი პრეფიქსების“ შედარება ქართული ენის ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან.... 135
3.5 დასკვნა..... 151

თავი IV სივრცობრივი პრეფიქსები შუმერულში 155
4.1 ზოგადი 155
4.2 სივრცობრივი აფიქსების მოკლე აღწერა 158
4.2.1 ლოკატივი 158
4.2.3 აბლატივი 164
4.2.4 ტერმინატივი..... 168
4.2.5 კომიტატივი 171
4.2.6 დატივი 177
4.3 სივრცობრივი პრეფიქსები: სემანტიკური როლები, გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები და სინტაქსური ფუნქციები 184
4.3.1 ზოგადი 184
4.3.2 რელატივიზაცია..... 185
4.3.3 რეფლექსივიზაცია..... 188
4.3.4 კოორდინაცია..... 191
4.3.5 კაუზაცია..... 193
4.3.6 დატიური დაწინაურება 197
4.4 სივრცობრივი პრეფიქსები: ვალენტობა 199
4.5 სივრცობრივი პრეფიქსების ფლექსიურობა-დერივაციულობის საკითხი 203
4.6 სივრცობრივი პრეფიქსების აპლიკატიურობის საკითხი..... 207
4.7 დასკვნა..... 211

თავი V ვალენტობათა ამოსავალი და სინტაქსური ალტერნაციით მიღებული მოდელები 214
5.1 ზოგადი 214
5.2 ქვემდებარის სინტაქსური ტესტები 216
5.3 კონსტრუქციათა ტიპები – ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციები 219
5.3.1 ერთვალენტიანი გარდაუვალი კონსტრუქცია 219
5.3.2 ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქცია 224
5.3.3 სამვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქცია 228
5.3.4 ორვალენტიანი გარდაუვალი კონსტრუქცია 237
5.3.5 სემანტიკურად ობლიგატორული უბრალო დამატებები 247
5.4 დასკვნა 249

6. დასკვნა და სამომავლო კვლევა 252

ბიბლიოგრაფია 258

Transitivity, Valency, and the Argument Structure of the Verb in the Sumerian Language 268

წინასიტყვაობები

ზურაბ ბარათაშვილის წიგნის სათაური „გარდამავლობა, ვალენტობა და ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში“ უკვე მიგვანიშნებს, რომ ახალგაზრდა მეცნიერი რთულ ამოცანას შესჭიდებია: ზმნა ხომ ძირითადი ბირთვული ელემენტია მორფოლოგიურად მდიდარი ენისთვის (როგორიც მოცემულ შემთხვევაში შუმერულია) და გადაწყვიტო ზმნასთან დაკავშირებული ისეთი ლინგვისტური პრობლემური საკითხები, როგორებიცაა ვალენტობა, გარდამავლობა თუ აქტანტური სტრუქტურა, ეს ფაქტობრივად ლინგვისტური ანალიზის ძირითადი დონეების კარგად გააზრებას, გამიჯვნასა და, შესაბამისად, მათი შეჯერებით საკვლევ საკითხთა ანალიზის სრული სურათის წარმოდგენას გულისხმობს.

აღნიშნულ ლინგვისტურ საკითხთა პრობლემურობას ისიც განაპირობებს, რომ თითოეული განხილული თემის შესახებ განსხვავებული თეორიები არსებობს და ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მრავალფეროვან თეორიულ თვალსაზრისებში („თეორიულ ჩარჩოებში“, როგორც ეს წიგნშია მოხსენიებული) ახალგაზრდა მეცნიერი არ ჩაიკარგა და იმ ლინგვისტურ თეორიებს დაეყრდნო, რომლებიც უფრო მოქნილი და მეტად შესაფერი გამოდგა შუმერული მასალის გასაანალიზებლად. 20-ზე მეტი სინტაქსური თუ მორფოსინტაქსური თეორიიდან ავტორი ირჩევს ფუნ¬ქციურ ტიპოლოგიას, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას, დამოკიდებულებათა გრამატიკას, როლურ-რეფერენციულ და ლექსი-კურ-ფუნქციურ გრამატიკებს და მათზე დაყრდნობით შუმერული ენის თანამედროვე ლინგვისტურ ანალიზს გვთავაზობს.

რაც შეეხება საკუთრივ შუმერულ მასალას, შუმერული

დამწერლობა ერთგვარ სირთულეს ქმნის ლინგვისტური ანალიზისათვის. მოგეხსენებათ, შუმერული დამწერლობა ლოგოგრამულ-სილაბური ტიპისაა და, ამდენად, მასში თითქმის ვერ აისახება აფიქსებისა თუ ძირების მორფოფონემური მონაცვლეობები, ალომორფთა შეპირობებულობა და ა.შ. ლოგოგრამულ-სილაბური დამწერლობის ნიშნებში მორფემათა საზღვრები ხშირად არ ემთხვევა მარცვალთა საზღვრებს და მორფოლოგიურად შეპირობებული ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, კონტრაქცია) არ აისახება დამწერლობაში. ავტორმა ამ სირთულეს წარმატებით გაართვა თავი, განსხვავებით ზოგიერთი შუმეროლოგისაგან, რომლებიც, როგორც ზ. ბარათაშვილი აღნიშნავს, ზოგჯერ მცდარადაც კი აღადგენდნენ იმ გრამატიკულ ელემენტებს, რომლებიც, შესაძლოა, არც არასდროს ყოფილა გაბმულ მეტყველებაში.

აქვე დავსძენ, რომ ავტორი მშვენივრად ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებს და შუმერული მასალის ანალიზისას ძირითადად ემყარება ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ელექტრონულ ბაზას.

ამ მცირე შესავლის შემდეგ სრული გულწრფელობით მინდა აღვნიშნო, რომ ზურაბ ბარათაშვილის ეს წიგნი მეტად საინტერესო სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც შუმეროლოგიის, ასევე ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით. ვულოცავ შუმეროლოგებს, და არა მხოლოდ მათ, საზოგადოდ – ქართველ ენათმეცნიერებს, რომ ზურაბ ბარათაშვილის სახით მათ რიგებს მაღალი დონის ლინგვისტი შეუერთდა.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა თავად ავტორის შესახებ:

ზურაბ ბარათაშვილი დაიბადა 1985 წლის 11 ნოემბერს; საწყისი ლინგვისტური განათლება მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ

მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გამოყენებითი და სტრუქტურული ლინგვისტიკის სპეციალობით (2003-07); შუმერული ენით დაინტერესება უკავშირდება მაგისტრატურის კურსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობით – ძველი ენების ენათმეცნიერება (2007-2010); შემდგომ, როგორც დოქტორანტი, იგი სწავლას განაგრძობს კვლავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების მიმართულებით (2011-18), თუმცა ამ დროის შუალედში (2015-16) გადის ენათა დოკუმენტაციისა და აღწერის სამაგისტრო პროგრამას (საველე ენათმეცნიერება) ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლის (SOAS) ენათა და კულტურათა ფაკულტეტზე; 2019 წლიდან დღემდე ზურაბ ბარათაშვილი არის ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის (ANU) შორეული აღმოსავლეთისა და ოკეანეთის კოლეჯის ფილოსოფიის, კულტურის, ისტორიისა და ენის პროგრამის (ენათმეცნიერება) დოქტორანტი.

ზურაბ ბარათაშვილი გახლავთ როგორც სამეცნიერო, ისე საენციკლოპედიო სტატიების ავტორი, აქტიურად იყო და არის ჩართული სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა თუ სხვა უნივერსიტეტებში, მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს სწავლული მდივანი.

ეს წიგნი პუბლიკაციაა ზურაბ ბარათაშვილის სადოქტორო დისერტაციისა, რომელიც დაიცვა 2018 წელს. ეს გახლავთ პირველი მონოგრაფია ავტორისათვის და მჯე-

რა, კიდევ არაერთი სამეცნიერო ნაშრომით გაამდიდრებს ზურაბ ბარათაშვილი ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) ლინგვისტურ ლიტერატურას.

ეთეი სოსელია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

* * *

ზურაბ ბარათაშვილის ნაშრომი „გარდამავლობა, ვალენტობა და ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში“ არის უაღრესად საინტერესო გამოკვლევა, რომელშიც გადაიკვეთა ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულება: თანამედროვე თეორიები და ტრადიციული შუმეროლოგია. როგორც წესი, უახლესი ლინგვისტური თეორიები მინიმალურად იცნობენ და ეყრდნობიან „მკვდარი ენების“, მათ შორის, შუმერულის მონაცემებს, ხოლო „მკვდარი ენების“ შესწავლა და მათი გრამატიკის ძირითადი მონახაზის დადგენა-დაზუსტება მეტწილად იმ ტრადიციული მეთოდებით ხდება, რომლებიც ამ ენების აღმოჩენისა თუ გაშიფრვის დროს იყო მიღებული. ავტორის მრავალმხრივი განათლება და მსგავსი კვლევის გამოცდილება, თუნდაც მხოლოდ მისი სამაგისტრო ნაშრომის „გრამატიკულ მნიშვნელობათა ტიპები და მათი გამოხატვის საშუალებანი ძველი ახლო აღმოსავლეთის ენებში (ტემპორალური, ასპექტური და მოდალური მნიშვნელობები შუმერულში, ეგვიპტურსა და აქადურში)“ ხსენებას რომ დავსჯერდეთ, აძლევდა მას შესაძლებლობას, რომ შესჭიდებოდა ამ რთულ ამოცანას და წარმატებით გაერთვა მისთვის თავი. მართლაც, წინამდებარე ნაშრომი საყურადღებო სიახლეების შემცველია ლინგვისტიკისა თუ სიძველეთმცოდნეობის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკვლევართათვის.

მეთოდოლოგიურად სავსებით გამართლებულად მიმაჩნია ის გზა, რომელიც ავტორმა აირჩია. ის არ იფარგლება შუმერული ენობრივი მონაცემების რომელიმე ერთი თეორიის შუქზე განხილვით, რაც, მასალის სიმწირისა და ფრაგმენტულობის გამო, შესაძლოა, ღირებულ, მაგ-

რამ საერთო კონტექსტს მოწყვეტილ შედეგს მოგვცემდა. სხვადასხვა თანამედროვე თეორიის ფარგლებში შუმერული გრამატიკის, პირველ ყოვლისა, შედარებით სუსტად შესწავლილი შუმერული სინტაქსის პრობლემების კვლევა ძალზე პერსპექტიულია და ნაშრომშიც მნიშვნელოვანი დაკვირვებები და დასკვნებია წარმოდგენილი.

ვფიქრობ, ნაშრომი ახალი, სავსებით აკადემიური და სარწმუნო კუთხით წარმოაჩენს შუმერულ-ქართული პარალელების შესწავლას, რაც ვიწრო სპეციალისტების გარდა, ფართო პუბლიკისთვისაც საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს.

ღევან გოხელიანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

სამადლობელი

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მასწავლებლებსა და უფროს კოლეგებს დისერტაციაზე მუშაობისას აღმოჩენილი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის; რჩევებისა და სასარგებლო შენიშვნებისათვის კონკრეტული საკითხების განხილვისას; სახელდობრ, ჩემს ხელმძღვანელებს აკად. თამაზ გამყრელიძესა და ემერიტუს პროფესორს ჯემალ შარაშენიძეს დახმარებისა და ზოგადი თუ კონკრეტული საკითხების განხილვისას ფასდაუდებელი რჩევებისა და მითითებებისათვის; მადლობას ვუხდი პროფ. მარტინ ჰასპელმათს, პროფ. ნიკოლას ევანსს, პროფ. პიტერ ოსტინს, აკად. ავთანდილ არაბულს, ასოც. პროფ. რუსუდან ასათიანს, სარა დოპიერალას; მადლობას ვუხდი ოპონენტებს (ასოც. პროფ. ეთერ სოსელია, ემერიტუსი პროფესორი ზურაბ კიკნაძე), დოქტორანტურის კოლოკვიუმისა (ასოც. პროფ. მარინე ივანიშვილი) და სემინარის (პროფ. მარიკა ჯიქია) რეცენზენტებს.

განსაკუთრებული და უგულწრფელესი მადლიერება მინდა გამოვუცხადო ჩემს სერიოზულსა თუ მიამიტურ შეკითხვებზე დრ. აბრაამ იაგერსმას დაუცხრომელი და დაუღალავი პასუხებისათვის; მადლობას ვუხდი ჩემი შეკითხვების უდიდესი მოთმინებით მოსმენისა თუ წაკითხვისათვის.

რაც შეეხება შედეგებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი მათზე, რადგანაც ჩემი მასწავლებლებისა და უფროსი კოლეგების ყველა შეხედულებას ყოველთვის არ/ვერ ვიზიარებდი.

Acknowledgement

I would like to express my gratitude to my teachers and older colleagues for helping and supporting me to write this Ph. D. dissertation; advising and giving me useful comments on the particular problem. Namely, I thank my supervisors acad. Thomas V. Gamkrelidze and emeritus professor Jemal Sharashenidze for their invaluable help and discussing particular problems; I thank prof. Martin Haspelmath, prof. Nicholas Evans, and prof. Peter Austin, acad. Avtandil Arabuli, associate professor Rusudan Asatiani, Sarah Dopierala. Thanks to my reviewers for the doctoral thesis (associate professor Ether Soselia, emeritus professor Zurab Kiknadze), for the doctoral colloquia (associate professor Marine Ivanishvili) and for the doctoral seminar (prof. Marika Jikia).

I would like to offer my special thanks and the sincerest appreciation to Dr Abraham Jagersma for his diligent and fatigueless answers to my both serious and naïve questions. I thank him for listening and reading my questions with preterhuman patience.

Of course, Only I take the responsibility for the results and it does not mean that I shared all the ideas of my teachers and senior colleagues.

შემოკლებები

1 – პირველი პირი

2 – მეორე პირი/კლასი

3 – მესამე პირი/კლასი

A – აგენსის (ორ- და სამვალენტიანი ზმნის პირველი აქტანტი) შესატყვისი გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი

ABEN (autobenefactive) – ავტობენეფაქტივი (resp. სასუბიექტო ქცევა, ირიბი რეფლექსივი)

ABL (ablative) – აბლატივი

ABS (absolutive) – აბსოლუტივი

ACC (accusative) – აკუზატივი

ADEL (adelative) – ადელატივი

ADV (adverbial case) – ვითარებითი/ზმნიზედური ბრუნვა

AGR (agreement) – შეთანხმება

ANT (anteriority) – ანტერიორულობა (resp. უწინარესობა)

ANTIP (antipassive) – ანტიპასივი

AOR (aorist) – აორისტი

AV (active/actor voice) – მოქმედებითი გვარი

BEN (benefactive) – ბენეფაქტივი

CAUS (causative) – კაუზატივი

COH (cohortative) – კოჰორტატივი

COL (collective) – კოლექტიური/კრებითი

COM (comitative) – კომიტატივი

COMP (complementizer) – დამატებითი დამოკიდებული წინადა-

დების შემომყვანი კავშირი

DAT (dative) – დატივი (resp. მიცემითი)

DEF (definite) – განსაზღვრულობა

DEM (demonstrative) – დემონსტრატივი (resp. ჩვენებითი)

DIR (directive) – დირექტივი

EQU (equative) – ეკვატივი

ERG (ergative) – ერგატივი

F (feminine) – მდედრობითი

GEN (genetive) – გენიტივი (resp. ნათესაობითი)

H (human) – გონიერი

IMP (imperative) – იმპერატივი (resp. ბრძანებითი)

INCH (inchoative) – ინქოატივი

INDF (indefinite) – განუსაზღვრელობა

INDIC (indicative) – ინდიკატივი (resp. თხრობითი)

INS (instrumental) – ინსტრუმენტალისი

INT (intensification) – ინტენსიფიკაცია

INVOL (involitional) – უნებლიე

IOBJ (indirect object) – ირიბი დამატება

IPFV (imperfective) – იმპერფექტივი

IPRF (imperfect) – იმპერფექტი

LNK (linker) – მაკავშირებელი

LOC (locative) – ლოკატივი

M (masculine) – მამრობითი

MAL (malefactive) – მალეფაქტივი

MID (middle voice) – საშუალი გვარი

N (non-human) – არაგონიერი

NEG (negation, negative) – უკუთქმითი

NEUT (neutral) – ნეიტრალური

NMLZ (nominalizer) – ნომინალიზატორი

NP (noun/nominal phrase) – სახელური ფრაზა

OBJ1 (primary object) – პირველადი დამატება

OBJ2 (secondary object) – მეორეული დამატება

OBL (oblique) – უბრალო დამატება

OPT (optative) – ოპტატივი

OV (objective voice) – ობიექტური გვარი

P – პაციენსის (ორ- და სამვალენტიანი ზმნის აქტანტი) შესატყვისი (გარდამავალი ზმნის მეორე აქტანტი) გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი

PASS (passive) – ვნებითი გვარი

PFV (perfective) – პერფექტივი (სრული ასპექტი)

PL (plural) – მრავლობითი

POSS (possessive) – კუთვნილებითი ნაცვალსახელი

PREC (precative) – პრეკატივი (ასირიოლოგიაში ძირითადად გამოიყენება იუსივის სინონიმად)

PREV (preverb) – პრევერბი (resp. ზმნისწინი)

PRS (present) – ახლანდელი დრო

PST (past) – წარსული დრო

R – რეციპიენტის (სამვალენტიანი ზმნის აქტანტი) შესატყვისი გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი

REL (relative case) – რელაციური/მიმართებითი ბრუნვა (იხ. გრენლანდიური ენა)

REL (relativizer) – რელატივიზატორი

S – გარდაუვალი ერთვალენტიანი ზმნის ერთადერთი აქტანტი

SBJ (subject) – ქვემდებარე

SG (singular) – მხოლობითი

SUPERESS (superessive) – სუპერესივი

SUPERLAT (superlative) – სუპერლატივი

T – ორმაგად გარდამავალი ზმნების ერთ-ერთი გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი

TERM (terminative) – ტერმინატივი

THEM (thematic marker) – თემის ნიშანი

TOP (topic) – ტოპიკი (resp. თემა)

VENT (ventive) – ვენტივი

შესავალი

0.1 ნაშრომის მიზანი და საკვლევი საკითხი

ნაშრომში შეისწავლება შუმერული ენის ზმნის აქტანტური სტრუქტურა, მასთან დაკავშირებული გარდამავლობისა და ვალენტობის საკითხი. ამ პრობლემას განვიხილავთ სამი ენობრივი დონის გათვალისწინებით: როგორია მოცემული ზმნური სტრუქტურის სემანტიკა (რომელ სემანტიკურ როლებს უკავშირდება), როგორ აისახება (mapping) სემანტიკური როლები სინტაქსურ ფუნქციებში და როგორ მარკირდება მორფოლოგიურად სემანტიკური როლებისა და სინტაქსური ფუნქციების კავშირი და ამ კავშირთა მონაცვლეობები (ალტერნაციები).

მთავარი მიზანია შუმერული ზმნების აქტანტური სტრუქტურის აღწერა: გარდამავლობისა და ვალენტობის კომბინაციის გამოთვლა, ერთ-, ორ- და სამვალენტიან ზმნათა მოდელების დადგენა, თეორიულად შესაძლებელი და ენაში რეალურად დადასტურებულ სტრუქტურათა გამოვლენა და დაუდასტურებელთა მითითება.

აღწერის შემდეგ გამოვლენილ მოდელებს განვიხილავთ უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინებით ფუნქციური ტიპოლოგიის ფარგლებში. შეძლებისდაგვარად გამოვარკვევთ რა ტიპის ტიპოლოგიური განზოგადებები (resp. გენერალიზაციები) უკავშირდება ვალენტობისა და გარდამავლობის სტრუქტურას შუმერულში.

0.2 თეორიული ჩარჩო (theoretical framework)

რადგანაც არცერთი თეორიული ჩარჩო არ არის სრულყოფილი (ვერცერთი თეორიული ჩარჩო ვერ აქცევს ყურადღებას ენის თითოეულ დეტალსა და ნიუანსს), ამიტომ ვამჯობინეთ ნაშრომისათვის ღირებული ამოსავალი დებულებები, განმარტებები (დეფინიციები) და სინტაქსური ტესტები შეგვერჩია სხვადასხვა თეორიული ჩარჩოს მიხედვით (ფაქტობრივად, ეკლექტიკურ მიდგომად შეიძლება განვიხილოთ, ოღონდ არა მექანიკური და უპრინციპო შერჩევით).

ოცზე მეტი სინტაქსური თეორიიდან შევარჩიეთ ფუნქციური ტიპოლოგია, ენათმეცნიერების საბაზისო თეორია, დამოკიდებულებათა გრამატიკა, როლურ-რეფერენციული (ფუნქციური/ფუნქციონალისტური თეორიული ჩარჩოები) და ლექსიკურ-ფუნქციური გრამატიკა (გენერატიული/გენერატივისტული თეორიული ჩარჩო).

ამოსავალ დებულებებსა და დეფინიციებზე ვიმსჯელებთ I თავში.

0.3 ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან. პირველ თავში განიხილება ის თეორიული წანამძღვრები და დებულებები, რომლებიც აუცილებელია ამ კვლევისათვის: აღვწეროთ და შეძლებისდაგვარად ტიპოლოგიურ კონტექსტში მოვაქციოთ შუმერული ენის გარდამავლობა, ვალენტობა და აქტანტური სტრუქტურები (როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური). ტრადიციული შუმეროლოგია ძირითადად ორიენტირებული იყო მორფოლოგიაზე, ამიტომ სადავო თუ ნაკლებად განხილულ სინტაქსურ საკითხებს ეთმობა მომდევნო თავები.

მეორე თავში მიმოხილულია შუმერული ლინგვისტური

ლიტერატურა და განსაკუთრებით ის საჭირო და აუცილებელი შუმეროლოგიური საკითხები, რომლებიც საბაზისოდ არის აუცილებელი ნაშრომის მიზნისათვის: შუმერული დამწერლობა და ორთოგრაფია, ფონემური ინვენტარი, სიტყვის განსაზღვრა შუმერულში, უღლებათა და წყობათა ტიპები.

მესამე თავი ეთმობა ე. წ. საუღლებელი პრეფიქსების სემანტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ ანალიზს. შეძლებისდაგვარად გამორკვეულია მათი კავშირი ვალენტობასა და გარდამავლობასთან. ბოლოს შედარებულია ქართული ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკურ და სინტაქსურ მახასიათებლებთან, რადგანაც საუღლებელი პრეფიქსების სემანტიკური და სინტაქსური მახასიათებლები ტიპოლოგიურად მსგავს კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ.

მეოთხე თავში განიხილება ე. წ. სივრცობრივი პრეფიქსები და მათი სინტაქსური მახასიათებლები (რა თქმა უნდა, სემანტიკისა და მორფოლოგიის გათვალისწინებით). განხილულია შუმეროლოგიაში გავრცელებული სხვადასხვა შეხედულება და სინტაქსური ტესტების მიხედვით გამორკვეულია მათი სინტაქსური ფუნქციები, კავშირი ვალენტობასა და გარდამავლობასთან, ასევე ფლექსიურობა-დერივაციულობისა და აპლიკატიურობის საკითხი.

მეხუთე თავში განიხილება ქვემდებარე სინტაქსური ტესტების საფუძველზე, შემდეგ კი – გარდამავლობისა და ვალენტობის კომბინაციები რეალურად დადასტურებული და დაუდასტურებელი აქტანტური მოდელები. ეს მოდელები აღწერილია სემანტიკური როლების სინტაქსურ ფუნქციებში ასახვის მიხედვით, სინტაქსური ალტერნაციების გათვალისწინებით, ასევე შეუსაბამობა სემანტიკურ ვალენტობასა და გარდამავლობას, ერთი მხრივ, სინტაქსურ ვალენტობასა და გარდამავლობას შორის, მეორე მხრივ. მითითებულია ტექსტებში დაუდას-

ტურებელი სინტაქსური მონაცვლეობები და ამოსავალი კონსტრუქციები.

დასკვნაში მიმოხილულია ნაშრომის ყოველი თავის შედეგი და ეს შედეგები განხილულია ფუნქციური ტიპოლოგიის კონტექსტში.

0.4 მეთოდი და მეთოდოლოგია (resp. ხერხები)

საანალიზო მაგალითები ძირითადად ამოღებულია ოქსფორდის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ელექტრონული ბაზიდან (ბლეკი, კანინგემი, ებელინგი, ფლიუკიგერ-ჰოუკერი, რობსონი, ტეილორი, ზოიომი 1998-2006). საჭიროების შემთხვევაში, სადაც გაგვიჭირდა კონკრეტული მაგალითების მოძიება, ვუთითებთ რომელიმე გრამატიკისა თუ სტატიის ავტორს. შუმერულისთვის შეუძლებელია (რადგანაც მკვდარი ენაა და ინფორმანტები არ არსებობენ) ხელოვნურად შექმნილი კონსტრუქციებისა და მათი გრამატიკულობის გადამოწმება, როგორც ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა მომაკვდავი ენის შესწავლისას, ამიტომ ვერ მოვახერხებთ ენისათვის მცდარი და გრამატიკულად მართებული კონსტრუქციების ურთიერთშეპირისპირებას: მხოლოდ ტექსტებში მიგნებულ მაგალითებს დავჯერდებით.

მიზანი არის არა კონსტრუქციათა აღწერა ტრადიციული გრამატიკის, არამედ აღწერა და ანალიზი ზემოჩამოთვლილი თეორიულ ჩარჩოთა ფარგლებში. ამ თეორიათა პრინციპები მოცემული იქნება I თავში.

თავი I
ზოგადთეორიული წანამძღვრები და დებულებები

1.1 ზოგადი

ამ თავში განიხილება ის თეორიული წანამძღვრები, რომლებიც საჭიროა მოცემული ნაშრომის მიზნისათვის – გადავამოწმოთ ტრადიციული შეხედულებები და შევავსოთ მასალა და ანალიზი გარდამავლობის, ვალენტობის, სინტაქსური ფუნქციებისა (ქვემდებარე და სხვადასხვა ტიპის დამატება) და აქტანტური სტრუქტურების შესახებ თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგიერთი თეორიის მიხედვით.

თანამედროვე სინტაქსური თეორიები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება[1] (ვან ვალინი, ლაპოლა 1997: 11-12; ფარელი 2005; მიულერი 2015) როგორც გენერატიული/გენერატივისტული, ასევე ფუნქციონალისტური ტრადიციების მიხედვით. ჩვენი მიზანია, რამდენიმე ასეთი თეორიიდან ამოვარჩიოთ ის ძირითადი დებულებები, რომლებიც შუმერული ენის სინტაქსის აღწერისათვის უფრო ადეკვატურ სურათს მოგვცემს და ფუნქციური/ფუნქციონალისტური (და არა გენერატიული/გენერატივისტული[2]) ტიპოლოგიის თვალსაზრისით განვიხილოთ მიღებული შედეგები.

---

1 ვან ვალინი და ლაპოლა ჩამოთვლიან 14 გრამატიკულ თეორიას, თუმცა აღნიშნული სია, სრული არ არის (ვან ვალინი, ლაპოლა 1997: 11-12).

2 ამის შესახებ იხილეთ მარკ ბეიკერის ნაშრომი, რომელშიც განხილულია გენერატივისტული ტიპოლოგიის ძირითადი დებულებები (ბეიკერი 2010).

ამოსავალი დებულებებისათვის განვიხილავთ როგორც ფუნქციონალისტურ (დამოკიდებულებათა გრამატიკა[3] (ტენიერი 1988), როლურ-რეფერენციული გრამატიკა (ვან ვალინი 2001; კიბრიკი, პლუნგიანი 2009), ფუნქციონალისტური ტიპოლოგია და ენათმეცნიერების საბაზისო თეორია (ჰოპერი, თომპსონი 1980; კომრი 1989; დიქსონი 2010ბ; ჰასპელმათი 2011)), ასევე არატრანსფორმაციულ გენერატივისტულ მიმდინარეობებს (ლექსიკურ-ფუნქციური გრამატიკა (დალრიმპლი 2001; ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016).[4]

აღნიშნული თეორიების მიხედვით, მიმოვიხილავთ სემანტიკური როლების ძირითად ტიპებს, გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებს კომრიანული მიდგომით (და მათი საშუალებით – ენათა წყობის სხვადასხვა ტიპს), სემანტიკურ და სინტაქსურ გარდამავლობას (აგრეთვე მივუთითებთ ზოგიერთი გავრცელებული თეორიული დებულების მცდარობას ტიპოლოგიასა და ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში), სინტაქსური ფუნქციებს (ქვემდებარე, პირდაპირი/ირიბი და პირველადი/მეორეული (primary/secondary) დამატებები) მარკირებისა და სინტაქსური ქცევითი მახასიათებლების (code and behavioural properties) მიხედვით, სემანტიკურ და სინტაქსურ ვალენტობათა ურთიერთმიმართებას. ამ თავის ბოლოს ჩამოვაყალიბებთ იმ ზოგიერთ ამოსავალ დებულებას, რომლებიც საჭიროა შემდეგი ანალიზისათვის. ერთ-ერთი მთავარი მიდგომა კი არის ყოველი შემასმენლის განხილვისას მასთან სინტაქსურად წარმოდგენილი აქტანტებისა და სემანტიკურად ნაგულისხმევი როლების შესაბამისობის გაანალიზება.

---

3 დამოკიდებულებათა გრამატიკა ძირითადად იქცა გენერატიულ თეორიად (აგელი, ფიშერი 2010; მიულერი 2015).

4 ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი ფუნქციურ ტიპოლოგიასა და ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას არ მოიაზრებენ თეორიულ ჩარჩოდ. თეორიისა და თეორიულ ჩარჩოს განაწილებისათვის იხ. (ჰასპელმათი 2010).

1.2 სემანტიკური როლები და გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები

1.2.1 სემანტიკური როლები

ენობრივი ანალიზის ერთ-ერთი მხარე შეიძლება იყოს სემანტიკური და სინტაქსური დონეების ურთიერთშესაბამისობა. უფრო ზუსტად, შეიძლება განვიხილოთ ზმნით გამოხატულ მოქმედებასა თუ მდგომარეობაში მონაწილე პარტიციპანტების შესაბამისობა სინტაქსურ აქტანტებთან. ამგვარ პარტიციპანტებს (თუ სემანტიკურ როლებს) განიხილავენ უნივერსალურ სემანტიკურ კატეგორიებად (ტესტელეცი 2001: 206; ფარელი 2005: 7; პლუნგიანი 2010: 161). სხვადასხვა თეორიიდან და ტრადიციიდან გამომდინარე, სხვადასხვა რაოდენობისა და ხასიათის სემანტიკურ როლებს მიიჩნევენ უნივერსალურად: აგენსი, პაციენსი, თემა, რეციპიენტი, ბენეფაქტივი/მალეფაქტივი, ინსტრუმენტი, ლოკატივი, მიზანი, სტიმული და ექსპერიენცერი (კლაიმანი 1991: 40; პალმერი 1994: 5; ტესტელეცი 2001: 2013-2015; ფარელი 2005: 39-40; პლუნგიანი 2010: 161-165).

აღნიშნულ სემანტიკურ როლებს განსაზღვრავს ზმნის სალექსიკონო განმარტება და მისი სემანტიკური ტიპი. დინამიკური შინაარსის გამომხატველ ზმნებში გამოიყოფა აგენსი, პაციენსი, ბენეფაქტივი და ა. შ. ყველაზე ხშირად გავრცელებული როლები, რომლებითაც გრამატიკულ თეორიებში ოპერირებენ, არის აგენსი – მოქმედების შემსრულებელი სემანტიკური როლი, და პაციენსი – მოქმედების განმცდელი (ფიზიკურად). ენები შეიძლება ემთხვეოდეს სემანტიკური როლების მიხედვით, მაგრამ განსხვავდებოდეს ამ როლების გრამატიკული მარკირებით (პალმერი 1994: 3).

(1) აგენსი ~ პაციენსი
კაცმა გატეხა ფინჯანი

(1) წინადადებაში „კაცმა“ მოქმედების ჩამდენი პარტიციპანტია, რომელიც შეესაბამება აგენსს, ხოლო „ფინჯანი“ წარმოადგენს მოქმედების შედეგს და შეესაბამება პაციენსის სემანტიკურ როლს.

შესაძლებელია, წინადადებაში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი სემანტიკური როლი, რომელიც ან პაციენსი იქნება, ან აგენსი:

(2) აგენსი

a. *კაცი გაიქცა*

პაციენსი

b. *ვამღი გაიჭყიტა*

რეციპიენტი და მიზანი ხშირად წარმოდგენილია „გადატანისა“ თუ „გადაცემის“ და მოძრაობის მნიშვნელობის მქონე ზმნებთან დაკავშირებულ პარტიციპანტებში. როგორც წესი, რეციპიენტი (პარტიციპანტი, რომელიც იღებს ზმნით გამოხატული მოქმედებით რომელიმე საგანს) წარმოადგენს სულიერ მონაწილეს, ხოლო მიზანი (როგორც წესი, პარტიციპანტი, რომელიც წარმოადგენს მოძრაობით გამოხატული მოქმედების მიღწევის შედეგს) – უსულოს, მაგრამ მაინც ეს ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ გრამატიკულ თეორიასა და ავტორის გემოვნებაზე: უ. კროფტი თავის ფუნქციურ ტიპოლოგიაში (და ასევე ჯ. ბრესნანის ლექსიკურ-ფუნქციური გრამატიკის მიმდევრებიც) იყენებს მიზანს (ვან ვალინი 2001: 24; კროფტი 2003: 143; დალრიმპლი 2001: 16).

(3) აგენსი ~ თემა ~ რეციპიენტი

a. *მეგობრებმა წერილი გაუგზავნეს კაცს*

აგენსი ~ მიზანი

b. *კაცი სახლში წავიდა*

(3a) მაგალითში „კაცს“ გამოხატავს „წერილის“ მიმღებს და შესაბამისად წარმოადგენს რეციპიენტს, ხოლო (3b) წინადადებაში „სახლში“ წევრი არის მოქმედების

შესრულების ბოლო წერტილი და ამიტომაც შეესაბამება მიზანს.

(3a) წინადადებაში „წერილი“ განიხილება როგორც თემის სემანტიკური როლის გამომხატველი, რადგანაც, განმარტების თანახმად, თემა არის ის სემანტიკური როლი, რომელიც გადაიცემა და შინაგან თუ გარეგან ცვლილებას არ განიცდის პაციენსისაგან გასხვავებით (პლუნგიანი 2010: 163). მაგრამ ყოველთვის ძნელია ზღვრის გავლება პაციენსსა და თემას შორის:

(4) ინგლისური

თემა ~ პაციენსი

Tom	*bak-ed*	*Susan*	*a*	*cake*
ტომი	ცხობა-PST	სუზანი	INDF	ნამცხვარი

„ტომმა გამოუცხო სუზანს ნამცხვარი“.
(ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016: 99)

ლექსიკურ-ფუნქციურ გრამატიკაში cake განიხილება როგორც თემა და არა პაციენსი მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ობიექტი იცვლის შინაგან მდგომარეობას (ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016: 99). სემანტიკურ როლებს შორის ამგვარი ტიპის განსხვავებას ონტოლოგიურ პრობლემად მიიჩნევენ (პიტერ ოსტინი 2016, პირადი საუბრები).

ბენეფაქტივი/მალეფაქტივი ახლოს დგას რეციპიენტთან, მაგრამ მისგან განსხვავებით, უშუალოდ კი არ იღებს თემის როლით გამოხატულ საგანს, არამედ მათ სასარგებლოდ თუ საზიანოდ სრულდება მოქმედება.

(5) ბენეფაქტივი

a. *კაცმა მეგობარს ნამცხვარი გამოუცხო.*

მალეფაქტივი

b. *კაცმა მეგობარს ნამცხვარი წაართვა.*

(5a) წინადადებაში „მეგობარს“ გამოხატავს ბენეფაქტივს, რადგანაც მის სასარგებლოდ სრულდება მოქმე-

დება, ხოლო (5b)-ში წარმოადგენს მალეფაქტივს, რადგანაც მის საზიანოდ სრულდება მოქმედება. მაგრამ ენებში ხშირად ერთნაირად არის მარკირებული ორივე სემანტიკური როლი და ანალიზის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

სხვადასხვა ენაში გრძნობა-აღქმის (აფექტური) და ემოციის გამომხატველ ზმნებთან (პალმერი 1994: 27)[5] დაკავშირებული სემანტიკური როლები ხშირად განსხვავებულად მარკირდება (იხ. მომდევნო თავები) მოქმედების გამომხატველი ზმნებისაგან. აგენსისა და პაციენსის ნაცვლად სტიმულისა (სემანტიკური როლი, რომელიც იწვევს გძნობას) და ექსპერიენცერის (სემანტიკური როლი, რომელშიც სტიმული იწვევს გრძნობას) სემანტიკური როლები უკავშირდება.

(6) *სტიმული* ~ ექსპერიენცერი

a. *კაცს უყვარს მწვადი*

b. *კაცი ხედავს მეგობარს*

როგორც (6a), ასევე (6b) წინადადებებში „კაც“ წარმოადგენს ექსპერიენცერს, ხოლო „მწვადი“ და „მეგობარი“ – სტიმულს.

არის შემთხვევები როდესაც მოცემული პარტიციპანტისათვის ძნელია ერთი რომელიმე სემანტიკური როლის მიწერა: შინაარსობრივად ორ როლს მაინც უკავშირდება.

(7) ინგლისური

a. თემა ~ პაციენსი

They	*load-ed*	*hay*	*onto*	*the*	*wagon*
3PL	ტვირთვა-PST	თივა	SUPERLAT	INDF	ურიკა

„მათ დატვირთეს თივა ურიკაზე“.

მიზანი ~ პაციენსი

5 ფ. პალმერი stimulus-ის ნაცვლად ხმარობს experienced.

b. *They load-ed the wagon with hay*
3PL ტვირთვა-PST INDF ურიკა INS თივა
„მათ დატვირთეს ურიკა თივით“.

(7a) წინადადებაში hay არის როგორც პაციენსი, ასევე თემა, რადგან მოქმედებას განიცდის პაციენსის მსგავსად და წარმოადგენს მოძრავ საგანს თემის მსგავსად, ხოლო (7b) წინადადებაში wagon ასრულებს მიზნის სემანტიკურ როლს როგორც ეს არის (7a) წინადადებაში და ამას ემატება პაციენსის სემანტიკური როლი (ფარელი 2005: 40–41).

როგორც მ. დრაიერი მიუთითებს, რომ (8) მაგალითში John ითავსებს აგენსისა და თემის/პაციენსის როლს, რადგანაც მოქმედებს, თვითონაც მოძრაობს და განიცდის მდგომარეობის ცვლილებას:

(8) ინგლისური
John is walking
ჯონი 3SG.PROG სიარული
„ჯონი დადის“. (დრაიერი 1986: 840)

კაუზატიურ კონსტრუქციებში მონაწილეობენ კაუზატორი და კაუზირებული პარტიციპანტები. კაუზატორი, როგორც წესი, შეესატყვისება აგენსს, მაგრამ კაუზირებულმა შეიძლება შეითავსოს ორი როლი – პაციენსი (რადგან კაუზატორი ზემოქმედებს მასზე) და აგენსი (რადგან, თავის მხრივ, კაუზირებულმაც შეიძლება იმოქმედოს სხვა პაციენსზე). ასეა წარმოდგენილი (9a) წინადადებაში, მაგრამ (9b) გვიჩვენებს, რომ კაუზირებული წარმოადგენს ექსპერიენცერს, რადგან „ჩვენება“ ზმნა გულისხმობს გრძნობით აღმქმელ პარტიციპანტს.

(9) a. *კაცმა მეგობარს ფინჯანი გაატეხინა.*
b. *კაცმა მეგობარს ფინჯანი დაანახვა.*

რადგანაც კაუზირებული შეიძლება დაუკავშირდეს ორ სემანტიკურ როლს, ამიტომაც ხშირად სემანტიკური თვალსაზრისით, კაუზატიურ კონსტრუქციას ორშემადგენლიანად/ორწინადადებიანად (biclausal) წარმოადგენენ ხოლმე (კროეგერი 2004: 212).

1.2.2 გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები

გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები[6] (S, A, P[7], T, R), როგორც ტიპოლოგიურად ღირებული შედარებითი ცნებები (და არა სინტაქსური ფუნქციები, რომლებიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვა კრიტერიუმით შეიძლება განისაზღვროს), გამოიყენება სემანტიკური როლებისა და სინტაქსური ფუნქციების ურთიერთმიმართების დასადგენად (კომრი 1989: 125; მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 1; ჰასპელმათი 2011: 539, 543). გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები არის სინტაქსური ტერმინები, რომელთა პროტოტიპები განისაზღვრება სემანტიკური ტერმინებით (ჰასპელმათი 2011: 546). პროტოტიპურობის თეორიის თანახმად, A გამოსახავს აგენსის სემანტიკურ როლს, P – პაციენსს, T – თემას, ხოლო R – რეციპიენტს. მაგრამ სემანტიკური როლები და სინტაქსური ფუნქციები ყოველთვის ასე სწორხაზოვნად არ ეთანადება ერთმანეთს: არაპროტოტიპური სიტუაციებისა და არაკანონიკური მარკირების დროს გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები იგივე რჩება, მაგრამ სემანტიკური როლები შეიძლება იყოს განსხვავებული (მაგ., ექსპერიენცერი, სტიმული, ბენეფაქტივი, მიზანი და ა. შ. განიხილება როგორც A, P, T, R) (კომრი 1978: 331; ჰასპელმათი 2011: 558).

---

6 ძირითადად განასხვავებენ სამ მიდგომას: კომრისეულს, დიქსონისეულსა და ბიკელისეულს. ბ. კომრი და რ. დიქსონი ორიენტირებულები არიან სინტაქსზე და S, A, P პრიმიტივებს იყენებენ ზმნათა კონკრეტული ტიპებისათვის მაშინ, როცა ბ. ბიკელისათვის ისინი განზოგადებული როლებია და გამოიყენება ყველა ზმნისათვის (ჰასპელმათი 2011: 539).

7 დიქსონი იყენებს O სიმბოლოს P-ს ნაცვლად.

(10) ინგლისური

a.	*John*	*kill-ed*	*Bill*	
	ჯონი	კვლა-PST	ბილი	
	„ჯონმა მოკლა ბილი“.			
b.	*John*	*underwent*	*an*	*operation*
	ჯონი	გადატანა.PST	INDF	ოპერაცია
	„ჯონმა გადაიტანა ოპერაცია“. (კომრი 1978: 331)			
c.	*He*	*enter-ed*	*the*	*house*
	3SG.M	შესვლა-PST	DEF	სახლი
	„სახლში შევიდა“. (პალმერი 1994: 29).			

(10a) წინადადებაში John წარმოადგენს აგენსსაც და A-საც, ხოლო (10b)-ში სემანტიკური როლი არის პაციენსი, მაგრამ გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი იგივე რჩება, ხოლო (10c)-ში P გამოხატავს ლოკატივს.

სინტაქსური გარდამავლობა და ვალენტობა (იხ. მე-8 და მე-5 ქვეთავები შესაბამისად) მიიჩნევა როგორც ამგვარ პრიმიტივთა კონკრეტულ-ენობრივი მარკირება: სემანტიკური როლები უნივერსალურ-ენობრივად შეიძლება იყოს იგივე, მაგრამ კონკრეტულ ენაში მათ სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია შეესატყვისებოდეს (კომრი 1989: 111; მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 1; მელჩუკი 2014: 173).

როდესაც ზმნის სალექსიკონო განმარტება აუცილებლობით და ობლიგატორულად მოითხოვს ორ პარტიციპანტს, მაშინ ეს პარტიციპანტები გამოიხატება A და P პრიმიტივებით; სამპარტიციპანტიანი სიტუაცია პროტოტიპურ შემთხვევაში იყენებს A, T და R პრიმიტივებს „გადაცემა-გადატანის“ მნიშვნელობის მქონე ზმნებისათვის, ხოლო S გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნას უკავშირდება მხოლოდ ერთი პარტიციპანტი ობლიგატორულად.

(11) a. *კაცი უჩტყამს მეგობარს.*

b. *კაცი გარბის.*

c. *კაცი მეგობარს აძლევს წიგნს.*

(11) მაგალითის ყველა შემთხვევაში „კაცი“ წარმოადგენს აგენსს სემანტიკურად მაგრამ როგორც პრიმიტივი (11a) და (11b) წინადადებებში არის A, ხოლო (11c)-ში S მაშინ, როცა „მეგობარს“ (11a)-ში გამოხატავს P-ს (სემანტიკურად პაციენსს), ხოლო (11c)-ში R-ს (სემანტიკურად რეციპიენტს); „წიგნი“ გამოისახება T პრიმიტივით (სემანტიკურად თემით).

1.3 გრამატიკულ წყობათა (alignment) ტიპები

კონკრეტულ-ენობრივი სინტაქსური ფუნქციების დადგენამდე გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა წყობის გამორკვევა მოცემულ ენაში. მარკირებულობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ერთმანეთს ედარება A/P ~ S, ხოლო, მეორე მხრივ, T/R ~ P. პირველ შემთხვევაში შეიძლება დავადასტუროთ გრამატიკული წყობის შემდეგი ტიპები: **1.** ნომინატიური – A და S მარკირებულია ერთი მაჩვენებლით, ხოლო P მათგან განსხვავებულად; **2.** ერგატიული – P და S გამოიხატება ერთნაირი მაჩვენებლებით, ხოლო A – მათგან განსხვავებულად; და **3.** ნეიტრალური – სამივე პრიმიტივი მარკირებულია ერთნაირი მაჩვენებლით; ხოლო მეორე შემთხვევაში **1.** ინდირექტიული – T და P გამოიხატება ერთი მაჩვენებლით, ხოლო R განსხვავებულად; **2.** სეკუნდატიური – R და P მარკირებულია ერთნაირი მაჩვენებლებით, ხოლო T განსხვავებულად; და **3.** ნეიტრალური – სამივე პრიმიტივი გამოიხატება ერთი მაჩვენებლით. ენები შეიძლება გამოხატავდნენ შერეულ მოდელებს, როდესაც ბრუნვათა ნიშნები (flagging) ასა-

ხავენ ერთ ტიპს, ხოლო პირის ნიშნები ზმნაში (indexing) – მეორეს (პალმერი[8] 1994: 39; ჰასპელმათი 2005; მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 3-4; 10; ჰასპელმათი 2011: 540).[9]

ლეზგიური გამოხატავს ერგატიულ-ინდირექტიულ წყობას. T გამოიხატება აბსოლუტიური ბრუნვით ისე, როგორც P – ორპარტიციპანტიან/ორაქტანტიან ზმნაში, ხოლო R – მიცემითი ბრუნვით. P მარკირებულია S-ის მსგავსად აბსოლუტიური ბრუნვით. A ყოველთვის დგას ერგატიულ ბრუნვაში. ეს წყობა წარმოადგენს საბაზისო (პროტოტიპურ) წყობას ლეზგიურში (ჰასპელმათი 1993: 268-269).

(12) ლეზგიური

a.	*Za*	*ada-z*	*sa*	*ğud*	*wihe-na*
	1SG:ERG	3SG-DAT	ერთი	მუშტი	სროლა-AOR
	„მე მას მუშტი დავარტყი“. (ჰასპელმთი 1993: 272)				
b.	*Ajal.di*	*get'e*	*xa-na*		
	ბავშვი(ERG)	ქოთანი	გატეხა-AOR		
	„ბავშვმა გატეხა ქოთანი“. (ჰასპელმათი 1993: 289)				
c.	*Abur*	*pašman-diz*	*qʰfe-na*		
	3PL	ნაწყენი-ADV	წასვლა-AOR		
	„ისინი ნაწყენები წავიდნენ“.				

როგორც ჩანს, ზმნაში აქტანტთა მარკირებით (indexing) ლეზგიურში წარმოდგენილია ნეიტრალური წყობა – ზმნაში არ აისახება არცერთი აქტანტი (ანუ ყველა აქტანტი გამოხატულია ნიშნის უქონლობით).

---

8 ფ. პალმერი მოკლედ იხილავს სეკუნდატიურ და ინდირექტიულ წყობებს აკუზატიურ და ერგატიულ წყობებთან შეპირისპირებით, „სეკუნდატიური“ და „ინდირექტიული“ ტერმინების გამოყენების გარეშე.

9 არ განვიხილავთ სამწევროვან (tripartite) და სხვა ტიპის თეორიულად შესაძლებელ ვარიანტებს, რომლებიც მეტისმეტად იშვიათად არის გავრცელებული ენებში.

დასავლურ გრენლანდიურში S და P გამოიხატება აბსოლუტივით, ხოლო A – რელაციური/მიმართებითი[10] ბრუნვით. R გამოიხატება ალატივით, მაგრამ აქტანტის განსაზღვრულობისა და სპციფიკურობის შემთხვევაში – აბსოლუტივით, ხოლო T – ინსტრუმენტალისით. ამგვარად, გრენლანდიური კონსტრუქციათა ერთი ნაწილში უჩვენებს ერგატიულ-სეკუნდატიურ წყობას (ფორტესკიუ 1984: 210).

(13) დასავლური გრენლანდიური

a. *akkam-ma* *aataaq* *aallaa-vaa*
ბიძა-1SG.POSS.REL გრენლანდიური.სელაპი სროლა-3SG.3SG.INDIC
„ბიძაჩემმა ესროლა გრენლანდიურ სელაპს“.
(ფორტესკიუ 1984: 210)

b. *aningaasa-t* *Niisi-mut* *tunniup-pai*
ფული-PL ნისი-ALL მიცემა-3SG.3PL.INDIC
„ფული მისცა ნისის“. (ფორტესკიუ 1984: 88)

c. *Niisi* *aningaasa-nik* *tuni-vaa*
ნისი-ABS ფული-INS.PL მიცემა-3SG.3SG.INDIC
„ნისის მისცა ფული“. (ფორტესკიუ 1984: 89)

ზმნაში მარკირდება (indexing) T და P, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, S და P, ამიტომ წარმოდგენილია ერგატიულ-ინდირექტიული წყობა.

არაბულს აქვს ნომინატიურ-ნეიტრალური წყობა როგორც სახელურ ფრაზაში, ასევე ზმნაში აქტანტთა მარკირებით. A გამოიხატება ნომინატივით, ხოლო P – აკუზატივით და როგორც T, ასევე R აკუზატივით. ამგვარად, P, T და R არ განსხვავდება ბრუნვათა ნიშნების მიხედვით – ისინი ასახავენ ნეიტრალურ წყობას. ზმნაში ასახულია A და S, ამიტომ ამგვარი მარკირება ემთხვევა მარკირებას სახელურ ფრაზაში.

10 ფუნქციურად წარმოადგენს ერგატიულ ბრუნვას, მაგრამ გრენლანდიურ ენათმეცნიერებაში იყენებენ განსხვავებულ ტერმინს.

(14) არაბული

a. *ʔaʕtˤa:* *l-malik-u xadda:m-a-hu* *kita:b-a-n*

მიცემა.PFV.3SG.M DEF-მეფე მსახური.SG-ACC-POSS.3SG.M წიგნი.SG-ACC-INDF

„მეფემ თავის მსახურს მისცა წიგნი“. (დენქსი 2011: 106)

b. *dˤarab-a* *l-malik-u falla:ħ-a-n*

დარტყმა.PFV-3SG.M DEF-მეფე გლეხი-ACC-INDF

„მეფემ დაარტყა გლეხს“. (დენქსი 2011: 103)

c. *ðahab-a* *raʤul-u-n*
წასვლა-3SG.M კაცი-NOM-INDF

„კაცი წავიდა“.

შესაძლებელია, ენის ერთ ქვესისტემაში ერთი წყობა იყოს წარმოდგენილი, ხოლო მეორეში კიდევ – სხვა. თუ ერგატიული წყობა წარმოდგენილია ერთ-ერთ ქვესისტემაში მაინც, ამგვარ ენებში გვაქვს ხლეჩილი ერგატიული (split ergativity) წყობა (კომრი 1978: 350-367; დიქსონი 1994: 97-108). მაგ., ქართულში წარმოდგენილია ერგატიული,[11] ნომინატიური და ნეიტრალური წყობები. ერთი მხრივ, II სერიის ზმნებთან A გამოიხატება ერგატიული ბრუნვით, P – სახელობითით და მის მსგავსად T, ხოლო R – მიცემითით; S მარკირებულია P-ს მსგავსად. ამგვარად, წარმოდგენილია ერგატიულ-ინდირექტიული წყობა.

(15) a. *კაცმა დაჭრა მეგობარი.*
b. *კაცი გაიქცა*
c. *კაცმა მეგობარს წიგნი მისცა.*

11 ა. ჰარისის აზრით, ქართულში წარმოდგენილია აქტიური ~ ინაქტიური წყობა, რასაც არ ეთანხმება ჯ. ჰიუიტი (აღნიშნული პოლემიკის შესახებ იხ. ჰარისი 2008; ჰიუიტი 1995, inter alia). ტიპოლოგიურ შრომებში დროდადრო გავრცელებულია ჰარისისეული მიდგომა; იხ. აგრეთვე (ჰასპელმათი 2005: 14), რომელშიც მეორე სერიის მწკრივები არ არის გათვალისწინებული და, აქედან გამომდინარე, ქართულში წარმოდგენილი არის მხოლოდ ნომინატიური, ნეიტრალური და ინდირექტიული წყობა ნაცვლად ერგატიულისა და სეკუნდატიურისა.

I სერიაში A გამოიხატება სახელობითით, P, T და R გამოხატულია მიცემითი ბრუნვით, ხოლო S – სახელობითით. ამგვარად, აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილია ნომინატიურ-ნეიტრალური წყობა.

(16) a. *კაცი ჭიის მეგობარს.*

b. *კაცი გარბის.*

c. *კაცი მეგობარს წიგნს აძლევს.*

როდესაც მოცემული პრიმიტივები გამოხატულია პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებით, მაშინ S, A, P, T და R საერთოდ არ გამოიხატება ბრუნვის ნიშნით (ან რაც იგივეა, ოღონდ აღწერის განსხვავებული პრინციპი, ნულოვანი მაჩვენებლით გამოიხატება). ამგვარად, წარმოდგენილია ნეიტრალური წყობა.

(17) ნეიტრალური წყობა

a. *(მე)*[12] *დაგჭერი (შენ)*

b. *(მე) გავიქეცი*

c. *(მე) (შენ) წიგნი მოგეცი*

ზმნაში აქტანტთა მარკირების თვალსაზრისით (indexing), ქართული წარმოადგენს ნომინატიურ-სეკუნდატიურ ტიპს, რადგან, ერთი მხრივ, S და A გამოიხატება ერთი და იმავე პირის ნიშნებით (*resp.* სუბიექტური პირის ნიშნები), ხოლო P მათგან განსხვავებულად; R მარკირებულია P-ს მსგავსად (ობიექტური პირის ნიშნები), ხოლო T მათგან განსხვავებულად.

12 წინადადების ფრჩხილებში ჩასმული წევრი მიუთითებს ფაკულტატიურ ხმარებას.

1.4 გარდამავლობა

1.4.1 პროტოტიპური, სემანტიკური და სინტაქსური გარდამავლობა

სხვა კატეგორიათა მსგავსად, პროტოტიპურობის თეორიაში სემანტიკური გარდამავლობა გრადუალურ ოპოზიციას ქმნის: ბინარული განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით შესაძლებელია გარდამავლობის სკალის დადგენა კონკრეტულ ენათათვის. სემანტიკურად მარტივ გარდაუვალ და უკიდურესად გარდამავალ წინადადებებს შორის შეიძლება იყოს რამდენიმე ტიპი, რომელთა ურთიერთშედარებით დგინდება მათი მაღალი თუ დაბალი გარდამავლობის ხარისხი (ჰოპერი, თომპსონი 1980; ნესი 2007: 11, 14, 85). მაგ., „კვლა" და „ჭრა" განიხილება პროტოტიპურ გარდამავალ ზმნებად და წინადადებებად (რომლებშიც ერთი აქტანტი გამოხატულია A პრიმიტივით, ხოლო მეორე – P-თი; ამგვარ შემთხვევებში იგულისხმება, რომ A გამოხატავს აგენსს, ხოლო P პაციენსს (ფარელი 2005: 65)). ეს ზმნები შეიძლება ავიღოთ როგორც გარდამავლობის ნიმუშები და მათი მარკირება (როგორც სახელურ ფრაზაში (flagging), ასევე ზმნაში (indexing)) და სინტაქსური თავისებურებები შევუდაროთ სხვა ზმნებს, რომელთაც აქვთ მსგავსი A და P აქტანტები. მსგავსად შეიძლება ავიღოთ სამაქტანტიანი შემასმენელი, რომლის პროტოტიპური მაგალითია ორმაგად გარდამავალი (ditransitive) კონსტრუქცია (A, T, R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით) ვიწრო გაგებით (მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 1-2).

აქტანტთა მარკირების საშუალებებს წარმოადგენენ ბრუნების მაჩვენებლები ან თანდებულები, ზმნათა შეთანხმება (მაგ., პირი ნიშნების ან ბმული ნაცვალსახელები) და უშუალო შემადგენელთა რიგი (ონისი 2001: 4; დიქსონი 2010ბ: 119).

პროტოტიპური გარდამავალი წინადადება გამო-

ხატავს სიტუაციას აგენსით, რომელიც თავისი ნებით (volitional) მოქმედებს, აჩვენებს დინამიკურ მოქმედებას და აგენსი ზემოქმედებს პაციენსზე, რომელიც განიცდის ზმნით გამოხატულ მოქმედებას. პაციენსი იცვლის მდგომარეობას მოვლენისა (event) თუ მოქმედების შედეგად. ამგვარად, გარდამავლობა განისაზღვრება აგენსურობით, სიტუაციის კონტროლით და ზემოქმედებით (ტენიერი 1988: 123-124; ლაზარი 1998: 236; ონისი 2001: 1; ნესი 2007: 15, 42, 210; კიტილე 2011: 346, 348). ტრადიციული თვალსაზრისით, თუ ზმნასთან დაკავშირებულია პირდაპირი დამატება (იხ. ქვემოთ, მე-5 ქვეთავი), მაშინ წინადადება არის გარდამავალი (ლაზარი 1998: 160; კიტილე 2011: 347).

პროტოტიპური გარდამავლობის განსაზღვრება უკავშირდება მაქსიმალურ სემანტიკურ განსხვავებულობას (maximally semantic distinctness), ანუ ორი მთავარი პარტიციპანტი უნდა იყოს აგენსი და პაციენსი (ნესი 2007: 30). წინადადებათა სხვა ტიპები, რომლებიც განსხვავდებიან პარტიციპანტთა სემანტიკური როლებით, უნდა შეუდარდეს პროტოტიპურ ნიმუშს გარდამავლობის ხარისხის დასადგენად.

პ. ჰოპერი და ს. თომპსონი გვთავაზობენ ათი ბინარული მახასიათებლისაგან შემდგარ სკალას, რომელიც განსაზღვრავს სემანტიკურ გარდამავლობას და უჩვენებს მოცემული წინადადების/ზმნის მაღალ თუ დაბალ გარდამავლობას (ჰოპერი, თომპსონი 1980: 251):

ცხრილი № 1 გარდამავლობის კრიტერიუმები

	მაღალი	დაბალი
a. პარტიციპანტები	ორი ან მეტი პარტიციპანტი A და P[13]	ერთი პარტიციპანტი
b. აქტიურობა (kinesis)	მოქმედება	არამოქმედება

13 არ არის წარმოდგენილი ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები (მათ შორის 2-პარტიციპანტიანი სტიმულითა და ექსპერიენცერით).

c. ასპექტი	ტელიკური	ატელიკური
d. მომენტობრიობა (punctuality)	მომენტობრივი	არამომენტობრივი
e. ნებითობა	ნებითი	არანებითი
f. მტკიცებითობა	წართქმითი	უკუთქმითი
g. მოდალურობა (mode)	რეალისი	ირეალისი
h. აგენსურობა (agency)	A მაღალი პოტენციით	A დაბალი პოტენციით
i. ზემოქმედება P-ზე	სრული ზემოქმედება P-ზე	P ზემოქმედების გარეშე
j. P-ს ინდივიდუალიზაცია (individuation)	P-ს უკიდურესი ინდივიდუალიზაცია	P-ს არაინდივიდუალიზაცია

აღნიშნული ნიშნები არ არის რანგირებული: არ არის დადგენილი რომელი ნიშანი შეიძლება იყოს უფრო დომინანტური და რომელ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს ნაკლები დატვირთულობის ძალა. აგრეთვე მოცემულ ნიშანთა უმეტესობას, ვფიქრობთ, აქვს უფრო მეტად პრაგმატიკული ღირებულებები, ვიდრე სინტაქსისათვის აუცილებელი. რა თქმა უნდა, ეს საჭიროა პ. ჰოპერისა და ს. თომპსონის ნაშრომის მთავარი მიზნისათვის – დისკურსში გარდამავლობის ადგილის განსაზღვრისათვის (ჰოპერი, თომპსონი 1980). მაგ., ასპექტისა და მომენტობრიობის მიხედვით, ენებში ზმნა/წინადადება შეიძლება განსხვავდებოდეს არა გარდამავლობის, არამედ ხლეჩილი ერგატიულობისა და სხვა ტიპის ქვესისტემების თანაარსებობით. ასპექტი, მომენტობრიობა, მტკიცებითობა, მოდალურობა, ზემოქმედება, ინდივიდუალიზაცია შეიძლება დავუკავშიროთ ქმედითობა/ეფექტიანობას (ამ ტერმინის შესახებ იხ. ჰოპერი, თომპსონი 1980: 252) და, სავარაუდოდ, ამიტომაც მომდევნო ნაშრომები გარდამავლობის შესახებ (იხ. ზემოთ მ. ჰასპელმათის, რ. დიქსონისა და ე. ნესის მითითებული ნაშრომები) იყენებენ პარტიციპანტების რაოდენობას, აქტიურობას, ნებითო-

ბასა და P-ზე ზემოქმედების კრიტერიუმებს.

აგრეთვე საინტერესოა, მაგ., ნებითობის ნიშნის მიხედვით მოყვანილი ინგლისური მაგალითი:

(18) ინგლისური

a. ნებითი

I	*wrote*	*your*	*name*
1SG	წერა.PST	2SG.POSS	სახელი

„მე დავწერე შენი სახელი“.

b. უნებლიე

I	*forgot*	*your*	*name*
1SG	დავიწყება.PST	2SG.POSS	სახელი

„მე დამავიწყდა შენი სახელი“. (ჰოპერი, თომპსონი 1980: 252)

(18b) წინადადების უნებლიე მოქმედებად გამოცხადება უკავშირდება წმინდა ლექსიკურ-სემანტიკურ და შეიძლება ენის ლოგიკურ ანალიზსაც და მიუხედავად იმისა, რომ ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების მაგალითებს იყენებენ, არ არის განხილული ამ წინადადების შესატყვისი ნებითი კორელატი, მაგ., *ქართული ვივიწყებ ~ მავიწყდება*. ამ წყვილის წევრები სწორედაც *ნებითი ~ უნებლიე* მაჩვენებლით უპირისპირდებიან და ინგლისური შესატყვისი შინაარსობრივად ორივეს მოიცავს და მხოლოდ ზმნიზედის საშუალებით შეიძლება განვასხვაოთ ერთმანეთისაგან.

მოცემული სკალის ერთ-ერთ უარყოფით მაჩვენებლად მიუთითებენ, რომ ერთპარტიციპანტიანი წინადადება შეიძლება უფრო მაღალი გარდამავლობით ხასიათდებოდეს, ვიდრე ორპარტიციპანტიანი (ჰოპერი, თომპსონი 1980: 254). კაუზატიურ კონსტრუქციას განიხილავენ მაღალი ხარისხის გარდამავლობით, რადგან წარმოდგენილია მინიმუმ ორი პარტიციპანტი, რომელთაგან ერთი ინიციატორია, ხოლო მეორე სრული ზემოქმედებით და

ინდივიდუალიზაციით არის გამორჩეული (ჰოპერი, თომპსონი 1980: 264). მაგრამ აქ არ არის მითითებული, თუ როგორ უნდა განვიხილოთ კაუზატივის პასივიზებული ვარიანტი: პასივიზაცია ამცირებს გარდამავლობასა და პარტიციპანტების რაოდენობას; როგორი არის მიმართება ამგვარ პასივიზებულ კონსტრუქციასა და სხვა ორპარტიციპანტიან კონსტრუქციას შორის (მაგ., სიტუაცია სტიმულითა და ექსპერიენცერით).

აგენსის მთავარ სემანტიკურ მახასიათებლებს წარმოადგენს ნება და მოქმედების (activity) კონტროლი მაშინ, როცა პაციენსზე ზემოქმედებს (action) (დიქსონი, აიხენვალდი 2000: 3; ნესი 2007: 33, 34, 38; დიქსონი 2010ბ: 142). ზმნურ სემანტიკას შეუძლია აგრეთვე გამოხატოს აგენსის განზრახვა (intention). მაგ., ლეზგიურში ზმნასთან დაკავშირებული A აქტანტი ავლენს ერგატიული ბრუნვით მარკირებას, თუ მოქმედება არის ნებითი, ხოლო თუ A გამოხატავს უნებლიე მოქმედებას, მაშინ მარკირებულია ირიბი ბრუნვით (ნესი 2007: 39).

(19) ლეზგიური

a. ნებითი მოქმედება

Zamira-di	*get'e-Ø*	*xa-na*
ზამირა-ERG	ქოთანი-ABS	გატეხა-AOR

„ზამირამ გატეხა ქოთანი“.

b. უნებლიე მოქმედება

Zamira-di-waj	*get'e-Ø*	*xa-na*
ზამირა-STEM-ADEL	ქოთანი-ABS	გატეხა-AOR

„ზამირას გაუტყდა ქოთანი“. (ჰასპელმათი 1993: 292)

ფორმალურად გარდამავლობა განსაზღვრავს ცენტრალურ (core) აქტანტებს (დიქსონი 2010ბ: 115): ერთაქტანტიანი ზმნა არის გარდაუვალი, ხოლო ორაქტანტიანი გარდამავალი. ამის საპირისპიროდ, მ. ჰასპელმათი მიიჩნევს (მიჰყვება კომრიანულ შეხედულებას), რომ გარდა-

მავლობა განისაზღვრება A და P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების საშუალებით (ჰასპელმათი 2011: 549). მ. ჰასპელმათი აგრეთვე შენიშნავს, რომ რ. დიქსონი არ იძლევა გარდამავლობის განმარტებას (ე. ი. გარდამავლობა წარმოადგენს თეორიულ პრიმიტივს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში) და არსებობს ორპარტიციპანტიანი ზმნები, რომლებიც არ არის გარდამავალი (ჰასპელმათი 2011: 543; შდრ. ქვეთავი 8.2 ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციათა შესახებ). ეს წარმოადგენს სადავო საკითხს, რადგანაც არ ითვალისწინებენ ამ მოვლენის გრადუალურ ხასიათს და არ არსებობს ცალსახა კრიტერიუმები ორვალენტიანი გრდამავალი და ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების გასარჩევად. მთავარია ის, რომ გარდაუვალი წინადადების მეორე აქტანტი მარკირებული უნდა იყოს გარდამავალი წინადადების ორივე ცენტრალური აქტანტისაგან განსხვავებულად (ნესი 2007: 86).

შემცირებული გარდამავლობისათვის (reduced transitivity) ფინურში გამოიყენება პარტიტიული ბრუნვა აკუზატივის საპირისპიროდ: პაციენსი სრული ზეგავლენით გამოიხატება აკუზატივით, ხოლო ნაწილობრივი ზეგავლენით – პარტიტივით (პალმერი 1994: 48). ქართულისა და თაბასარანულის მაგალითზე ფ. პალმერი ფიქრობს, რომ აგენსისა და პაციენსის მოდელი გამოსახავს სრულ გარდამავლობას; გარდამავლობა მცირდება აგენსისა და დატიური სახელის შემთხვევაში; კიდევ უფრო მცირე გარდამავლობას გამოსახავს პაციენსისა და დატიური[14] სახელის მოდელი; ხოლო გარდამავლობის უმცირეს ხარისხს წარმოადგენს დატიურისა და პაციენსურის მოდელი (*resp.* ექსპერიენცერისა და სტიმულის) (პალმერი 1994: 86).

14 აგენსი + დატივი და პაციენსი + დატივი მოდელები ფორმალური (*resp.* წმინდა სინტაქსური) თვალსაზრისით გამოხატავენ გარდაუვალ ორვალენტიან ზმნებს, მაგრამ, როგორც ითქვა, თეორიათა უმრავლესობა ამგვარ ტიპს არ ითვალისწინებს.

ბუნებრივი ძალებით გამოწვეული მოქმედებები (როგორიცაა, მაგ., „წვიმს“, „ქუხს“ ან მსგავსი) განიხილება როგორც უნებლიე მოქმედებები. ამ შემთხვევაში გარდამავლობა განიხილება როგორც კონკრეტულენობრივი. რადგანაც უნებლიე მოქმედება უკავშირდება გარდაუვალ შემასმენელს, ზოგიერთი ენა A-სა და ბუნებრივი ძალის თავსებადობას კრძალავს. მაგ., იაპონურში უნებლიე და უსულო აგენსები შეუძლებელია იყოს A პრიმიტივის მქონე გარდამავალ წინადადებაში (ნესი 2007: 93-94):

(20) იაპონური

a. ბუნებრივი ძალა

*Sensoo=ga	*ookuno*	*heesi=o*	*korosi-ta*
ომი=NOM	ბევრი	ჯარისკაცი=ACC	მოკვლა-PST

„ომმა დახოცა ბევრი ჯარისკაცი“.

b. უნებლიე

*Zyoon= wa	*ukkari-to*	*megane=o*	*wat-ta*
ჯოანი=TOP	უნებლიეთ	სათვალე=ACC	გატყდომა-PST

„ჯოანს სათვალე გაუტყდა“ (*ზედმ.* „ჯოანმა სათვალე გატეხა უნებლიეთ“.) (ვან ვალინი, ლაპოლა 1997: 12; ნესი 2007: 94)

1.4.2 სტიმული, ექსპერიენცერი და გარდამავლობა

როდესაც A და P არ განეკუთვნება პროტოტიპურ შემთხვევას და მათ სემანტიკურ როლებს წარმოადგენს სტიმული და ექსპერიენცერი, მაშინ ენები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელი სემანტიკური როლი ფუნქციონირებს როგორც ქვემდებარე და რომელი დამატება და კონსტრუქცია შეიძლება იყოს ან გარდამავალი, ანდაც გარდაუვალი. მაგ., ესპანურსა და პორტუგალიურში ექსპერიენცერი ფუნქციონირებს როგორც ირიბი დამატება და ქვემდებარე, შესაბამისად (დიქსონი 2010ბ: 129), ხოლო იტალიურში სტიმული შეიძლება იყოს ქვემდება-

რე, მის ინგლისურ შესატყვისში კი – დამატება (*they like cherries* „მათ უყვართ ალუბალი" ~ *gli piacciono le ciliegie*) (პალმერი 1994: 40). ექსპერიენცერი განისაზღვრება სულიერობისა და ზემოქმედების მიხედვით. მასზე ზემოქმედებენ მენტალურად, ემოციურად და სენსორულად. ექსპერიენცერი ხშირად ვლინდება არაკანონიკური მარკირებით სხვადასხვა ენაში, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია მიცემითი ბრუნვით მარკირება. მიცემითი ბრუნვის ნიშანმა შეიძლება ასახოს ნებითი განმცდელები (undergoer). არსებობს ექსპერიენცერიანი ზმნის ოთხი ტიპი (ნესი 2007: 90, 185-186). ხშირად მიუხედავად, იმისა რომ მათ აქვთ ორი სემანტიკური როლი (სტიმული და ექსპერიენცერი), ყურადღებისა (attentive) და ემოციის (affective) მნიშვნელობებს („დანახვა", „გაგება/მოსმენა", „ყნოსვა", „მოწონება", „სიყვარული", „სიძულვილი"), ეს ზმნები ფორმალურად გარდაუვალია[15] (დიქსონი 2010ბ: 144). მიუხედავად ამისა, ენათა ნაწილი იყენებს კანონიკურ კონსტრუქციებს ამგვარი ზმნებისათვის. მაგ., ლათინურ ენაში ზმნის /am-/ „სიყვარული" აქტანტები დგას სახელობით (*Filius* „შვილი" – ექსპერიენცერი) და აკუზატიურ (*patrem* „მამა" – სტიმული) ბრუნვებში. სინტაქსური თვალსაზრისით, ამგვარი კონსტრუქცია წარმოადგენს კანონიკურ გარდამავალ კონსტრუქციას.

(21) ლათინური

Fili-us	*ama-t*	*patr-em*
შვილი-NOM.SG.M	სიყვარული-3SG.PRS	მამა-ACC.SG.M

„შვილს უყვარს მამა". (ტენიერი 1988: 128)

15 როგორც მ. ჰასპელმათი მიუთითებს, როდესაც, მაგ., ექსპერიენცერი დატივით არის გადმოცემული, რ. დიქსონისათვის წარმოადგენს არაკანონიკურად მარკირებულ გარდამავალ ზმნას, ხოლო ბ. კომრისეული მიდგომისათვის ამგვარი კონსტრუქციის გარდამავლად განხილვა შეუძლებელია (ჰასპელმათი 2011: 549).

1.5 სინტაქსური ფუნქციები – ქვემდებარისა და დამატებათა სახეობები

1.5.1 ზოგადი

ზოგიერთი თეორიის მიხედვით, სინტაქსური ფუნქციები – ქვემდებარე და დამატებები წარმოადგენენ აუცილებელ სინტაქსურ ერთეულებს (მაგ., ლექსიკურ-ფუნქციური გრამატიკა, ტრადიციული ტიპოლოგია და ა.შ.) (კინანი, კომრი 1977; კომრი 1989: 65; ფარელი 2005: 7).[16]

სინტაქსური ფუნქციების გამორკვევა უკავშირდება რამდენიმე პარამეტრს, როგორებიცაა წინადადების სტრუქტურის რეპრეზენტაცია, აქტანტები, დიათეზა[17] და გვარის გრამატიკული კატეგორია, მართვა და შეთანხმება და სხვა საშუალებები, რომლებიც მიუთითებენ თითოეული სინტაქსური ფუნქციის სინტაქსურ ქცევებზე (მელჩუკი 2014: 170). სინტაქსური ფუნქციების გამოსავლენად არ არის საკმარისი ბრუნვისა და ზმნასთან პირისა თუ კლასის მიხედვით შეთანხმება, რადგანაც, რაც არ უნდა ზუსტი შესაბამისობა არსებობდეს სინტაქსური ფუნქციებსა და ბრუნვისა თუ ზმნასთან შეთანხმების მაჩვენებლებს შორის, მაინც არ არსებობს ცალსახა შესაბამისობა სინტაქსურ ფუნქციასა და, მაგ., ბრუნვის მაჩვენებელს შორის (ვან ვალინი 2001: 37). ერთ-ერთი უკიდურესი შეუსაბამობის მაგალითია ისლანდიური ენა, რომელშიც გამოიყოფა ნომინატიური, აკუზატიური, დატიური და გენიტიური ქვემდებარეები (ფარელი 2005: 12, 14).

---

16 სხვადასხვა თეორია (და ავტორებიც ერთსა და იმავე თეორიაში) ზემოჩამოთვლილ სინტაქსურ ფუნქციებს განიხილავენ ან ზოგად ამოსავალ დებულებებში (დედუქციური უნივერსალიები), ან სულაც მოითხოვენ მათ ემპირულ დადასტურებას ყოველ განსახილველ ენაში (ინდუქციური უნივერსალიები).

17 უხეშად რომ ვთქვად, დიათეზა (მაგ., დამოკიდებულებათა გრამატიკაში) შეესაბამება სემანტიკური როლების ასახვას (mapping) სინტაქსურ ფუნქციებში ლექსიკურ-ფუნქციური გრამატიკის მიხედვით.

ქვემდებარე და პირდაპირი დამატება მიიჩნევა ცენტრალურ (core) სინტაქსურ ფუნქციებად და, საერთოდ, თითოეული ფუნქცია გამოიყოფა პრივილეგირებულობის მიხედვით, რომელთაგან ყველაზე პრივილეგირებულად მიიჩნევა ქვემდებარე (ფარელი 2005: 14; მელჩუკი 2014: 173). პროტოტიპურობის მიხედვით, ამოსავალ წინადადებაში აგენსური მახასიათებლების მქონე აქტანტი ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას (ფარელი 2005: 38), მაგრამ, რა თქმა უნდა, აგენსი და ქვემდებარე შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს. ამგვარ მაგალითს წარმოადგენს სინტაქსური ერგატიულობის მქონე ენები, რომელთა აგენსი (ან A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატული აქტანტი) ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას, ხოლო პაციენსი (ან P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატული აქტანტი) – ქვემდებარის ფუნქციას (კინანი, კომრი 1977: 82-85; ვან ვალინი 2001: 74; კროეგერი 2004: 284).

ლექსიკურ-ფუნქციურ გრამატიკაში ქვემდებარე და დამატებები მიიჩნევა უნივერსალურად და მოიცემა ყოველგვარი განმარტების გარეშე (რადგანაც წარმოადგენენ თეორიულ პრიმიტივებს) და ფორმალურად განსხვავდება არაცენტრალური (პერიფერიული) ფუნქციებისაგან, როგორებიცაა, მაგ., უბრალო დამატება (oblique), კომპლემენტი (complement), ადიუნქტი (adjunct) და ა. შ. აქტანტთა ფუნქციები მნიშვნელოვნობის ურთიერთდამოკიდებულების (prominence relations) მიხედვით განისაზღვრება (დალრიმპლი 2001: 9-11; დალრიმპლი, ნიკოლაევა 2011: 23; მიულერი 2015: 219; ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016: 96-97).

სადავო საკითხები წამოიჭრება მაშინ, როდესაც სხვადასხვა თეორიის მიხედვით სხვადასხვანაირად წყდება ამა თუ იმ გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის სინტაქსური ფუნქციის საკითხი: შეიძლება იყოს თუ არა P პირდაპირი დამატება და ან უბრალო, ან ირიბი დამატება

თუ კომპლემენტი გარდაუვალ ორვალენტიან კონსტრუქციაში[18] (ნესი 2007: 8, 69; დიქსონი 2010ბ: 130, 134, inter alia). მსგავსი პრობლემა წამოიჭრება სამვალენტიან შემასმენელთან, როდესაც მესამე აქტანტს უბრალო დამატება ეწოდება (დიქსონი 1994: 123; ნესი 2007: 215).

1.5.2 დამატებათა ტიპები

ტრადიციულად გამოყოფენ პირდაპირ და ირიბ დამატებას, რომლებიც პროტოტიპურ შემთხვევაში ასახავენ, შესაბამისად, პაციენსსა და რეციპიენტს/ბენეფაქტივს (ტენიერი 1988: 124; ფარელი 2005: 14). მიჩნეულია, რომ ენაში უნდა იყოს არა სამი, არამედ ორი ცენტრალური როლი, რომლებიც ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას შეესაბამება და ირიბი დამატება საერთოდ არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ამგვარ მაგალითად მოჰყავთ კამაიურა ენა (ტუპი-გუარანი ენათა ოჯახი). შენიშნულია, რომ რეციპიენტი თუ ბენეფაქტივი ამგვარ ენებში გამოიხატება როგორც უბრალო დამატება – თანდებულით (და საერთოდაც, თანდებული გამოხატავს უბრალო დამატებას ან გარემოებას); ანუ ამ ენას აკლია ირიბი დამატების ფუნქცია (ვან ვალინი 2001: 24; ფარელი 2005: 19-20, 45).

ტრადიციული პირდაპირი და ირიბი დამატების გვერდით არატრადიციული ტერმინებიც – მთავარი/პირველადი (primary) და დამატებითი/მეორეული (secondary) გამოიყენება. ორვალენტიან გარდამავალ კონსტრუქციაში წარმოდგენილია მხოლოდ პირველადი დამატება, რომელიც ტრადიციულ პირდაპირ დამატებას შეესატყვისება, ხოლო სამვალენტიან კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება შეესატყვისება მეორეულ დამატებას და ირიბი დამატება ავლენს პირველადი დამატების მახასიათებლებს. მთავარი მიდგომა არის ის, რომ სამვალენტიანი შემასმენლის იმ დამატებას, რომელსაც აქვს უფრო მეტი

18 ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში ეწოდება extended intransitive.

საერთო მახასიათებელი ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის დამატებასთან, ეწოდება პირველადი მეორეული დამატების საპირისპიროდ (დრაიერი 1986: 808; პალმერი 1994: 38; დალრიმპლი, ნიკოლაევა 2011: 26-27).

(22ა) მაგალითში to Mary განიხილება როგორც ირიბი დამატება და დაწინაურების (advancement) შემდეგ ხდება პირველადი დამატება მაშინ, როცა the book არის მეორეული დამატება.

(22) ინგლისური

a.	SBJ			OBJ1		OBJ2
	John	*gave*	*a*	*book*	*to*	*Mary*
	ჯონი	მიცემა.PST	INDF	წიგნი	DAT	მერი
	„ჯონმა წიგნი მისცა მერის“.					
b.	SBJ		OBJ1		OBJ2	
	John	*gave*	*Mary*	*the*	*book*	
	ჯონი	მიცემა.PST	მერი	DEF	წიგნი	
	„ჯონმა მისცა წიგნი მერის“. (დრაიერი 1986: 811, 832)					

დამატებათა წინადადებაში გამოვლენის მთავარი პრინციპი არის ის, რომ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს ირიბი დამატება, მაგრამ არა პირდაპირი, მაგრამ თუ არის ერთი დამატება მაინც წარმოდგენილი, მაშინ ის უნდა იყოს პირველადი (დრაიერი 1986: 835). ეს ნიშნავს, რომ ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები არ არის გათვალისწინებული.

ინგლისური ენის ბენეფაქტიურ კონსტრუქციაშიც შესაძლებელია ირიბი დამატების დაწინაურება (advancement). (23b) მაგალითში Mary კვლავ განიხილება როგორც ირიბი დამატება, მაგრამ ის დაწინაურებულია (promote) და პირველადი დამატების ფუნქციას ასრულებს (დრაიერი 1986: 838).

(23) ინგლისური

a.	SBJ		OBJ1			OBL
	John	*baked*	*a*	*pie*	*for*	*Mary*
	ჯონი	გამოცხობა.PST	INDF	ღვეზელი	BEN	მერი

„ჯონმა გამოაცხო ღვეზელი მერისთვის“.

b.	SBJ		OBJ1		OBJ2
	John	*baked*	*Mary*	*a*	*pie*
	ჯონი	გამოცხობა.PST	მერი	INDF	ღვეზელი

„ჯონმა გამოუცხო ღვეზელი მერის“. (დრაიერი 1986: 838)

მ. დრაიერის შეხედულება წარმოადგენს რეაქციას ტრადიციულ ინგლისურ გრამატიკულ მიდგომაზე, რომლის მიხედვითაც, Mary როგორც (22a), ასევე (23b) წინადადებაში წარმოადგენს ირიბ დამატებას, ანუ ირიბი დამატება გაიგება როგორც სემანტიკური როლი და არა როგორც სინტაქსური ფუნქცია. აღნიშნული აღრევის გამო ენათმეცნიერებაში შემოტანილი დამატებათა ახალი ტიპები შეიძლება ზუსტად დაემთხვეს სხვა ენათმეცნიერულ სკოლასა თუ ტრადიციაში მოცემულ პირდაპირი და ირიბი დამატების განმარტებებს. ასევე, როგორც ზემოთ მივუთითეთ, მ. დრაიერი თავისი განსაზღვრებებით ვერ ითვალისწინებს ორვალენტიან გარდაუვალ წინადადებას, რადგან, მისი აზრით, ზმნასთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი დამატება, აუცილებლად პირველადი დამატება იქნება. ამგვარი მიდგომა დაძლეულია მ. დალრიმპლისა და ი. ნიკოლაევას ზემომითითებულ ნაშრომში, რომლის თანახმადაც, ზმნასთან დაკავშირებული ერთადერთი დამატება პირველადის გარდა შეიძლება იყოს მეორეულიც.

1.5.3 ცრუსუბიექტი (dummy) და ირიბი დამატება

როგორც მითითებულია, ლექსიკურ-ფუნქციური გრამატიკა განიხილავს ქვემდებარეს როგორც პრიმიტივსა და შემასმენელთან დაკავშირებულ ობლიგატორულ აქტანტს. ამის საპირისპიროდ, დამოკიდებულებათა გრამატიკა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ზმნას შეუძლია მართოს მხოლოდ ერთი აქტანტი, რომელიც არ არის ქვემდებარე ან წარმოდგენილი იყოს ქვემდებარე და ირიბი დამატება (ტენიერი 1988: 253, 270):

(24) ფრანგული

a. ცრუსუბიექტი და ირიბი დამატება

il	*pleut*	*des*	*hallebarde-s*
3SG.M	წვიმა.PRS-3SG	INDF.PL	ალებარდა-PL

„კოკისპირულად წვიმს“. (*ზედმ.* „ალებარდები წვიმს“.)

b. ცრუსუბიექტი და ირიბი დამატება

il	*faut*	*une*	*loi*
3SG.M	საჭირო.ყოფნა.PRS.3SG	INDF.SG.F	კანონი

„კანონმდებლობა არის საჭირო“ (//„აუცილებელია“).

თუ პასიურ კონსტრუქციაში არის წარმოდგენილი მესამე აქტანტი (*resp.* ირიბი დამატება), მაშინ ამ აქტანტზე არ ზემოქმედებენ (ტენიერი 1988: 269), ე. ი. აღნიშნული აქტანტი არ უკავშირდება P გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს. ეს შეხედულება პირდაპირ უკავშირდება ორვალენტიან გარდაუვალ ზმნებს.

1.6 აქტანტთა სინტაქსური ქცევა

1.6.1 ზოგადი

მარკირების მახასიათებლების (coding properties) გარდა არსებობს სინტაქსური ქცევითი მახასიათებლებიც (syntactic behavioural properties) S, A, P, T და R პრიმიტივე-

ბის სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციის იდენტიფიკაციისათვის. არსებობს სხვადასხვა ტესტი, რომლის საშუალებითაც ირკვევა და დგინდება სემანტიკურ როლთა სინტაქსური ფუნქციები: **1.** შეზღუდვები კოორდინაციასა და სუბორდინაციაში (ანუ ელიფსისის (deletion) კონტროლი კორეფერენციის შემთხვევაში); **2.** აქტანტური დერივაცია (valency-changing derivation; გვარი, კაუზატივი, აპლიკატივი და ა. შ.); **3.** რეფლექსივიზაცია და რეციპროკალიზაცია; **4.** რელატივიზაციის უნარი; **5.** იმპერატიული კონსტრუქცია (ონისი 2001: 8; დალრიმპლი 2001: 17-20; ვან ვალინი 2001: 34, 41-68; დიქსონი 2010ბ: 118; მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 27; მელჩუკი 2014: 174). მომდევნო ქვეთავებში განიხილება თითოეული მათგანი.

1.6.2 შეზღუდვა კოორდინაციაში

კოორდინაციისას არსებობს საყრდენ სიტყვათა (pivot)[19] შეზღუდვები, რომელთა ძირითადი ტიპებია S/A და S/P. კორეფერენტული აქტანტები ელიფსისს ემორჩილებიან (are deleted) ამ ტიპების მიხედვით წინადადებათა შეკავშირებისას (ონისი 2001: 17-18; დიქსონი 2010ა: 172). მაგალითად, დირბალი ენა (პამა-ნიუნგა ენათა ოჯახი) ავლენს S/P საყრდენ სიტყვებს. თუ რთულ წინადადებაში ორი აქტანტი არის კორეფერენტული, მეორე მათგანი შეიძლება დაემორჩილოს ელიფსისს, თუ ერთ-ერთი მათგანი არის S გარდაუვალი წინადადებისა, ხოლო მეორე არის P გარდამავალი წინადადებისა. გარდაუვალი წინადადების S ვერ შეუკავშირდება გარდამავალი წინადადების A-ს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ანტიპასივიზაციის შემდეგ.

---

19 ფ. პალმერი საყრდენი სიტყვისა და ქვემდებარის გაიგივების წინააღმდეგია, ხოლო ონისი მიუთითებს, რომ შეიძლება ანალიზისას საყრდენი – არასაყრდენი სიტყვების გამოყენება სჯობდეს, ვიდრე ქვემდებარე-დამატებისა (პალმერი 1994: 110-111, 135; ონისი 2001: 16).

(25) დირბალი

a. S პრიმიტივი

Jani-Ø *bani-ñu*

ჯონი-ABS მოსვლა-PST

„ჯონი მოვიდა“.

b. A და P პრიმიტივები

Bili-Ø *Jani-ŋgu* *ŋarñja-ñu*

ბილი-ABS ჯონი-ERG ყურება-PST

„ჯონიმ უყურა ბილის“.

c. A და P პრიმიტივები (ანტიპასივიზაცია)

Jani-Ø *ŋarñja-na-ñu* *(Bili-gu)*

ჯონი-ABS ყურება-ANTIP-PST ბილი-DAT

„ჯონიმ უყურა (ბილის)“.

d. S/P და A პრიმიტივები (კოორდინაცია)

Bili-Ø *bani-ñu* *Jani-ŋgu* *ŋarñja-ñu*

ბილი-ABS მოსვლა-PST ჯონი-ERG შეხედვა-PST

„ბილი მოვიდა და ჯონიმ შეხედა მას“.

e. S/S პრიმიტივები (ანტიპასივიზაცია და კოორდინაცია)

Jani-Ø *bani-ñu* *ŋarñja-na-ñu* *(bili-gu)*

ჯონი-ABS მოსვლა-PST ყურება-ANTIP-PST ბილი-DAT

„ჯონი მოვიდა და შეხედა (ბილის)“. (დიქსონი 2010ა: 172-173)

1.6.3 იმპერატიული კონსტრუქცია

პროტოტიპურ იმპერატივში A ან S უნდა იყოს მარკირებული: მოლაპარაკე/ადრესანტი უბრძანებს ან სთხოვს მსმენელს/ადრესატს, რომ კონტროლი დაამყაროს შემასმენლით გადმოცემულ სიტუაციაზე (ონისი 2001: 9). ტენდენციას წარმოადგენს A პრიმიტივის და არა P-ს ელიფსისი გარდამავალ კონსტრუქციაში, ხოლო S-ის

ელიფსისი – გარდაუვალში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს არააგენსური ქვემდებარის ელიფსისს (პალმერი 1994: 113). რუსულში არაწარსული ზმნის ფუძე იცვლის სუფიქსს, რომელიც გამოხატავს პირსა და კილოს კუმულაციურად: მეორე პირის მხოლობითი რიცხვის /-eʃ/ სუფიქსი იცვლება /-j/ სუფიქსით.

(26) რუსული

a.	*tɨ*	*ʧʲita-eʃ*	*knig-u*
	2SG	კითხვა-2SG	წიგნი-ACC.SG.F
	'შენ კითხულობ წიგნს'.		
b.	*ʧʲita-j*	*knig-u!*	
	კითხვა-IMP.2SG	წიგნი-ACC.SG.F	
	„წაიკითხე წიგნი!"		
c.	*Sleep*	*well!*	
	ძილი	კარგად	
	„კარგად დაიძინე!" (პალმერი 1994: 113)[20]		

1.6.4 რელატივიზაცია

ენები ხასიათდებიან განსხვავებული რელატივიზაციური სტრატეგიებით და აგრეთვე ზმნასთან დამატების შეთანხმებით, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ტესტი აქტანთა სინტაქსური (დამატების) ფუნქციის დასადგენად (დალრიმპლი, ნიკოლაევა 2011: 25). ბევრ ენაში ენათა სინტაქსური ფუნქციები შეიძლება რელატივიზდეს, მაგრამ არსებობს საკმარისად დიდი რაოდენობის ენა, რომლებიც ავლენენ სხვადასხვა ტი-

20 ინგლისურისაგან განსხვავებით, ქართულში /-ძინ-/ ~ /-ძილ-/ ძირისაგან იწარმოება როგორც არააგენსური, არაკონტროლირებადი ზმნა (მაგ., *მეძინება*, *მძინავს*), ასევე აგენსური, მოქმედებაზე კონტროლის მქონე ზმნა (მაგ., *ვიძინებ*). ეს სემანტიკური განსხვავება პირის ნიშნებით არის გამოხატული.

პის შეზღუდვას (კინანი, კომრი 1977: 68; კომრი 1989: 156; ბიკელი 2011: 428). შეზღუდვებს განსაზღვრავს იერარქია. ზოგიერთი ენა ავლენს მხოლოს A და S პრიმიტივების რელატივიზაციას, სხვები (მაგ., დირბალი) P და S პრიმიტივებისას, ხოლო, მაგ., ჩუკოტკურ ენაში (ჩუკოტკურ-კამჩატკური ენათა ოჯახი) დასაშვებია როგორც A, ისე P პრიმიტივის კორეფერენტულობა S-სთან (კომრი 1989: 112-113; დიქსონი 2010ბ: 320; ბიკელი 2011: 429). კინანისა და კომრის **მისაწვდომობის იერარქიის** (accesibility hierarchy) თანახმად, თუ მიმართებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს კონკრეტულ აქტანტს იერარქიიდან, მაშინ მან შეიძლება განსაზღვროს აქტანტი უფრო ზედა პოზიციიდან (კომრი 1989: 156; დალრიმპლი 2001: 9; კროეგერი 2004: 184).

მალაგასიურ ენაში (რომლის ბაზისური სიტყვათა რიგი არის VOS) მიმართებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მხოლოდ ქვემდებარეს. ამგვარად, (27b) არასწორია, რადგანაც *vehivavy* „ქალი“ აქტანტის რელატივიზებული ფუნქცია (relativized function) არის დამატება (კომრი 1989: 156).

(27) მალაგასიური

a. *ny mpianatra izay nahita ny vehivavy*
DEF სტუდენტი COMP დანახვა.PST DEF ქალი
„სტუდენტი, რომელმაც დაინახა ქალი“.

b. **ny vehivavy izay nahita ny mpianatra*
DEF ქალი COMP დანახვა.PST DEF სტუდენტი
„ქალი, რომელიც დაინახა სტუდენტმა“. (კინანი, კომრი 1977: 70; სონგი 2001: 224)

სხვა ენები, როგორც, მაგ., ინგლისური, იყენებს ყველა სახის აქტანტს ყველა სახის სინტაქსურ ფუნქციით (სონგი 2001: 223):

(28) ინგლისური

a. ქვემდებარე

The girl who swam the Straits of Dover

DEF გოგო ვინც გადაცურა DEF სრუტე POSS დუვრი

„გოგო, რომელმაც გადაცურა პა-დე-კალე".

b. პირდაპირი დამატება

The girl whom the boy lov-ed with all

DEF გოგო ვისაც DEF ბიჭი სიყვარული-PST INS მთელი

his heart

თავისი გული

„გოგო, რომელიც ბიჭს უყვარდა მთელი თავისი გულით".

c. ირიბი დამატება

The girl to whom the boy gave a rose

DEF გოგო DAT ვისაც DEF ბიჭი მიცემა.PST INDF ვარდი

„გოგო, რომელსაც ბიჭმა მისცა ვარდი".

d. უბრალო დამატება

The girl with whom the boy danc-ed

DEF გოგო COM ვისაც DEF ბიჭი ცეკვა-PST

„გოგო, რომელსაც ბიჭი ეცეკვა".

მიმართებითმა დამოკიდებულმა წინადადებამ შეიძლება განსაზღვროს მხოლოდ ქვემდებარე და (პირდაპირი) დამატება ბანტუ ენებში (კროეგერი 2004: 182).

არსებობს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა: დირბალში კორეფერენტული აქტანტები შეიძლება იყოს S და P, ხოლო ინგლისურში – S და A. ჩუკოტკურში A ან P წინამავა-

ლი ზმნისა შეიძლება იყოს კორეფერენტული მომდევნო S-ისა, ანუ ზოგიერთი ენა რელატივიზაციას ახდენს S-სა და A-ზე, ხოლო სხვა ენები – S-სა P-ზე (კომრი 1989: 112-113; დიქსონი 2010ბ: 320). მთავარ წინადადებაში მთავარი წევრის ფუნქცია მეტია ან ტოლია რელატივიზებული ფუნქციისა (დიქსონი 2010ბ: 321-322). დირბალში აუცილებელია წინადადების ანტიპასივიზაცია იმისათვის, რომ რელატივიზდეს აგენსი: შეუძლებელია ერგატიულ ბრუნვაში მდგომი სახელური ფრაზის რელატივიზება.

(29) დირბალი

a. *mani-Ø* *Jani-ŋgu* *budi-n*
ფული-ABS ჯონი-ERG მიღება-PST
„ჯონმა მიიღო თანხა".

b. *Jani-Ø* *mani-gu* *budil-ŋa-ñu*
ჯონი-ABS ფული-DAT მიღება-ANTIP-PST
„ჯონმა მიიღო ფული".

c. *Jani-Ø* *Ø* *mani-gu* *budil-ŋa-ŋu-Ø* *banaga-ñu*
ჯონი-ABS ჯონი ფული-DAT მიღება-ANTIP-REL-ABS დაბრუნება-PST
„ჯონმა, რომელმაც მიიღო ფული, დაბრუნდა". (დიქსონი 2010ბ: 323)

1.6.5 რეფლექსივიზაცია

რეფლექსიური ქვემდებარის ანტეცედენტი არ შეიძლება იყოს დამატება, როგორც, მაგ., ეს არის ინგლისურში (კროეგერი 2004: 93):

(30) ინგლისური

a. *My* *brother* *admire-s* *him-self*
1SG.POSS ძმა აღფრთოვანება-3SG.M 3SG.M.OBJ-REFL
„ჩემი ძმა აღფრთოვანებულია საკუთარი თავით".

b. *Him-self admires my brother

3SG.M.OBJ-REFL აღფრთოვანება-3SG.M 1SG.POSS ძმა

*„საკუთარი თავი აღფრთოვანებულია ჩემი ძმით“.

ტაგალურში (ავსტრონეზიურ ენათა ოჯახი) რელფექსივი შეიძლება იყოს ქვემდებარის ფუნქციით, მაგრამ ანტეცედენტი ყოველთვის არის მოქმედი (actor) და არასოდეს განმცდელი (undergoer) (კროეგერი 2004: 99).

(31) ტაგალური

a. *sinisisi* *ni=Maria* *ang=kaniya=ng* *sarili*

IPRF-დადანაშაულება-OV GEN=მარია NOM=3SG.OBJ=LNK REFL

„მარია ადანაშაულებს საკუთარ თავს“ (*ზედმ.* „საკუთარი თავი დადანაშაულებულია მარიას მიერ“/„საკუთარი თავი ადანაშაულებს მარიას“).

b. **nag-aalala* *sa-lolo* *ang=kaniya=ng* *sarili*

AV-IPFV-ღელვა DAT=პაპა NOM=3SG.OBJ=LNK REFL

„პაპა ღელავს საკუთარ თავზე“ (*ზედმ.* „საკუთარი თავი ღელავს პაპაზე“).

c. *inaalala* *ang=lolo* *ng=kaniya=ng* *sarili*

IPFV-დადანაშაულება-OV NOM=პაპა GEN=3SG.OBJ=LNK REFL

„პაპა ღელავს საკუთარი თავზე“ (*ზედმ.* „პაპა ღელავს საკუთარი თავის მიერ“/„საკუთარი თავი ღელავს პაპაზე“).

მაგრამ გამოთქმულია ეჭვი იმის შესახებ, არის თუ არა რეფლექსივიზაციის ტესტით განსაზღვრული აქტანტი ქვემდებარე. სავარაუდოდ, რეფლექსივიზაცია უფრო მეტად უკავშირდება სემანტიკასა და პრაგმატიკას, ვიდრე სინტაქსურ ფუნქციას (ჰასპელმათი 2001: 72; მსგავსი შეხედულება რეფლექსივიზაციის შესახებ იხ. მელჩუკი 2014: 206).

1.6.6 აქტანტური დერივაცია (valency-increasing and decreasing operations)

1.6.6.1 გვახი

პროტოტიპური პასიური მონაცვლეობის შედეგად გარდამავალი წინადადებიდან მიიღება გარდაუვალი წინადადება: ქვემდებარე ქვეითდება ფაკულტატიურ უბრალო დამატებამდე (optional oblique) და პირდაპირი დამატება წინაურდება და ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას. ზმნას შეიძლება ჰქონდეს პასივიზაციის პროცესის ფორმალური მაჩვენებელი (პალმერი 1994: 117-118; კულიკოვი 2011: 374; დიქსონი 2012: 206). გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით პასივი სემანტიკური როლებისა და სინტაქსური ფუნქციების ამოსავალ წყობას ცვლის ისე, რომ P-ს პრივილეგია იზრდება: P-ს (აქტივში) შესატყვისი პარტიციპანტი გამოიხატება (პასივში) როგორც S, ხოლო A – როგორც უბრალო დამატება (ფარელი 2005: 71; ჰასპელმათი 2011: 539). პასივი, შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც სემანტიკური როლებისა და მათ სინტაქსურ ასახვათა მონაცვლეობა (გარდასახვა; remap) ამოსავალ – აქტივთან მიმართებით (კლაიმანი 1991: 11; პალმერი 1994: 4). პროტოტიპური გარდამავალი წინადადების პასივიზაციის შედეგად აგენსის ნაცვლად პასიურ წინადადებაში პაციენსს ენიჭება ქვემდებარის ფუნქცია (აქტიური წინადადების პირდაპირი დამატება ხდება პასიური კონსტრუქციის ქვემდებარე, ანუ აგენსი და პაციენსი იგივე რჩება, მაგრამ იცვლება მათი სინტაქსური ფუნქციები), ცენტრალურ აქტანტთა რაოდენობა მცირდება ერთით და გარდამავლობის სტატუსი იცვლება (მცირდება): გარდამავალი წინადადება ხდება გარდაუვალი (პალმერი 1994: 19, 174;[21] დალრიმპლი 2001: 10; ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016: 21). შეხედულება, რომ პასი-

21 ფ. პალმერი დეტრანზიტივაციას იყენებს სემანტიკური მნიშვნელობით (პალმერი 1994: 181).

ვიზაციის შედეგი წარმოადგენს გარდაუვალ წინადადებას, შეიძლება ავიღოთ როგორც ერთ-ერთი ამოსავალი დებულება მიუხედავად დიქსონის ნაშრომში განხილული ზოგიერთი გამონაკლისისა[22] (დიქსონი 2012: 215).

ოპოზიცია აქტივი – პასივი განიხილება როგორც პროტოტიპური გრამატიკული გვარი (მელჩუკი 2006: 182). აქტიურ წინადადებაში ქვემდებარე (აგენსი) გამოიხატება სახელობით ბრუნვით და პირდაპირი/პირველადი დამატება (პაციენსი) – აკუზატიური ბრუნვით. პასივიზაციის შემდეგ პაციენსი ხდება ქვემდებარე და გამოიხატება სახელობითი ბრუნვით, ხოლო აგენსი – აბლატიური ბრუნვით.

(32) ლათინური

a. *Mile-s* *host-em* *occidi-t*
მებრძოლი-NOM.SG.M მტერი-ACC.SG.M მოკვლა-3SG.PRS
„მებრძოლი კლავს მტერს“.

b. *A* *milit-e* *hosti-s* *occidi-tur*
ABL მებრძოლი-ABL.SG.M მტერი-NOM.SG.M მოკვლა-PASS.3SG.PRS
„მტერს კლავენ“ (ზედმ. „მტერი იკვლება კაცის მიერ“). (მელჩუკი 2006: 193-194)

1.6.6.2 აპლიკატივი

აპლიკატიური მონაცვლეობა მოიცავს უბრალოდ დამატების დაწინაურებასა პირდაპირი/პირველადი დამატების ფუნქციის შესრულებას (კულიკოვი 2011: 386); ან გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით, არაპაციენსური როლი წინაურდება და P-ს ფუნქციას ასრულებს (ფარელი 2005: 84). ეს არის აპლიკატივიზაცია ვიწრო გა-

22 ვფიქრობთ, ეს წარმოადგენს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ადრეული და მოგვიანო შეხედულებათა აღრევას, დიქსონისეული მიდგომა განიხილება მ. ჰასპელმათის ნაშრომში (ჰასპელმათი 2011: 544-545, 549).

გებით, ხოლო ფართო მნიშვნელობით, შეიძლება იყოს ნებისმიერის სახის დაწინაურება უბრალო დამატების ფუნქციიდან (ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016: 341; აიხენვალდი, დიქსონი 2000: 3). აპლიკატივიზაცია გამოიყენება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი წინადადებებისათვის. გარდაუვალი ზმნებისთვის ახალი ანუ აპლიკატიური (applied) აქტანტი იღებს დამატების ფუნქციას, ხოლო თუ ამოსავალი წინადადება გარდამავალია, მაშინ არააპლიკატიური წინადადების პირდაპირი დამატება შეიძლება დაქვეითდეს ირიბ/მეორეულ ან უბრალო დამატებამდე (აიხენვალდი, დიქსონი 2000: 13-14). აპლიკატივს აქვს რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა, მაგ., აპლიკატიური დამატება გამოხატავს სხვადასხვა სემანტიკურ როლს: ბენეფაქტივს, მალეფაქტივს, მიზანს, ინსტრუმენტს, კომიტატივსა და ლოკატივს (ფარელი 2005: 86, 89; დიქსონი 2012: 31).

ინდონეზიურში ბენეფაქტიური აპლიკატივი შეიძლება გამოვიყენოთ ორვალენტიანი გარდამავალი წინადადებებისათვის. ამოსავალი წინადადების (33a) პირველადი დამატება – segelas „ჭიქა“ (პაციენსი/თემა) ხდება მეორეული დამატება სამვალენტიან წინადადებაში (33b), ხოლო ბენეფაქტივი – tamu „სტუმარი“ იკავებს პირველადი დამატების ფუნქციას (უშუალოდ მოსდევს ზმნას) (სნედონი 1996: 80).

(33) ინდონეზიური

a. *Pelayan* *mengambil* *segelas* *air*
ოფიციანტი მოტანა ჭიქა წყალი
„ოფიციანტმა მოიტანა ჭიქა წყალი“.

b. *Pelayan* *mengambil-kan* *tamu* *segelas* *air*
ოფიციანტი მოტანა-BEN სტუმარი ჭიქა წყალი
„ოფიციანტმა სტუმარს მოუტანა ჭიქა წყალი“. (სნედონი 1996: 80)

აპლიკატივიზაცია უმეტეს შემთხვევაში ცვლის (ზრდის; increase) ვალენტობას და შეიძლება შეცვალოს გარდამავლობაც (დამოკიდებულია აპლიკატივის ტიპზე).

1.6.6.3 კაუზატივი

პროტოტიპური კაუზატიური მონაცვლეობის დროს სიტუაციას ემატება ახალი პარტიციპანტი, რომელიც იღებს ქვემდებარის ფუნქციას (კაუზატორი – causer) და კაუზირებული (causee), რომელიც ამოსავალ წინადადებაში ფუნქციონირებდა ქვემდებარედ, ქვეითდება პირდაპირი დამატების ფუნქციამდე (აიხენვალდი, დიქსონი 2000: 13). მიუხედავად ამისა, ნაჩვენებია, რომ კაუზირებულს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია სხვადასხვა ენაში (კროეგერი 2004: 193-194; აიხენვალდი 2015: 144).

თურქულში გარდაუვალი წინადადების კაუზირებისას იცვლება წინადადების გარდამავლობა და კაუზატორი ხდება ქვემდებარე, ხოლო კაუზირებული – ამოსავალი გარდაუვალი წინადადების ქვემდებარე, იკავებს პირდაპირი დამატების ადგილს. თუ ამოსავალი წინადადება არის ორვალენტიანი გარდამავალი, მაშინ კაუზირებული იკავებს ირიბი დამატების ფუნქციას მიღებულ სამვალენტიან შემასმენელთან, ანუ კაუზატორი ხდება ქვემდებარე და პირდაპირი დამატება ინარჩუნებს თავის ფუნქციას:

(34) თურქული

a. ამოსავალი გარდაუვალი

Hasan-Ø	*öl-dü*
ჰასანი-ABS	სიკვდილი-PST

„ჰასანი მოკვდა“.

b. გარდაუვალიდან მიღებული გარდამავალი

Ali-Ø	*Hasan-ı*	*öl-dür-dü*
ალი-ABS	ჰასანი-ACC	სიკვდილი-CAUS-PST

„ალიმ მოკლა ჰასანი“.

c. ამოსავალი გარდამავალი

Müdür-Ø *mektub-u* *imzala-dı*

დირექტორი-ABS წერილი-ACC ხელმოწერა-PST

„დირექტორმა ხელი მოაწერა წერილს“.

d. გარდამავალიდან მიღებული გარდამავალი

Dişçi-Ø *mektub-u* *müdür-e* *imzala-t-tı*

სტომატოლოგი-ABS წერილი-ACC დირექტორი-DAT ხელმოწერა-CAUS-PST

„სტომატოლოგმა დირექტორს წერილზე ხელი მოაწერინა“. (კომრი 1989: 175-176)

1.7 სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობა

1.7.1 ზოგადი

ცენტრალური აქტანტების რაოდენობა განსაზღვრავს კონკრეტული ზმნის ვალენტობას. ამბობენ, რომ ზმნა აკონტროლებს იმ აქტანტებს, რომლებიც განპირობებულია ზმნის სემანტიკით, ანუ შემასმენელი მოითხოვს (subcategorize) სინტაქსური ფუნქციების განსაზღვრულ რაოდენობასა და ტიპებს (ტენიერი 1988: 250; დალრიმპლი 2001: 10; აგელი, ფიშერი 2010: 230). მიუხედავად ამისა, ზმნური ლექსემის სხვადასხვა ფორმა უკავშირდება ცენტრალურ აქტანტთა სხვადასხვა რაოდენობას; ვალენტობა არა ლექსემის, არამედ თითოეული სიტყვაფორმის მახასიათებელია (ვალენტობის ცვლა დამოკიდებულია სხვადასხვა სინტაქსურ დერივაციულ საშუალებაზე: გვარი, კაუზატივი, აპლიკატივი და ა. შ.).

თანდებულიანი აქტანტები განიხილება პერიფერიულ სინტაქსურ ფუნქციებად და, საზოგადოდ, თანდებულით მარკირება (განსაკუთრებით ბრუნების გრამატიკული კატეგორიის მქონე ენებში უბრალო დამატების მაჩვენებლად განიხილება (პალმერი 1994: 8; ფარელი 2005: 19-20).

რა თქმა უნდა, კონკრეტული სემანტიკური როლი ერთ ენაში შეიძლება იყოს ცენტრალური სინტაქსური ფუნქციით გამოხატული, ხოლო მეორე ენაში – პერიფერიულით, მაგრამ ზოგჯერ და, როგორც ჩანს, ეს დამოკიდებულია კონკრეტული თეორიის ჩამოყალიბების პროცესზე, ბენეფაქტივი, ინსტრუმენტი და ლოკატივი განიხილება პერიფერიულ როლებად/უბრალო დამატებებად აგენსისა და პაციენსის ცენტრალური როლებისაგან (თუ A, P, S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებისაგან) განსხვავებით (პალმერი 1994: 10, 20, 125).[23]

მოცემული ზმნის ვალენტობა განიხილება როგორც სემანტიკურ, ასევე სინტაქსურ დონეზე: სემანტიკურად ობლიგატორული სემანტიკური როლების რაოდენობით განისაზღვრება, ხოლო სინტაქსურად – ცენტრალური აქტანტების რაოდენობით (ვან ვალინი 2001: 92-93). მაგ., თანდებულიანი სახელი სინტაქსურად უბრალო დამატებად შეგვიძლია განვიხილოთ, მაგრამ *გადაცემის* შინაარსის მქონე ზმნებში ლოკატივი სემანტიკურად მიიჩნევა ვალენტობის ნაწილად, ხოლო სინტაქსურად არა:

(35) ინგლისური

Dana	*put*	*the*	*book*	*on*	*the*	*table*
დანა	დადება.PST	DEF	წიგნი	SUPERESS	DEF	მაგიდა

„დანამ დადო წიგნი მაგიდაზე“. (ვან ვალინი 2001: 94)

23 ფ. პალმერი უთითებს, ერთი მხრივ, დიქსონის (ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ადრეული ეტაპი/წანამძღვრები), ხოლო, მეორე მხრივ, უ. ფოლისა და რ. ვან ვალინის (როლურ-რეფერენციული გრამატიკის საწყისი ეტაპი) ნაშრომებს (შდრ. მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010; ჰასპელმათი 2011). ამ ნაშრომებში საწყის ეტაპზე დგას გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით სამვალენტიანი ზმნების/შემასმენლების განხილვა ფუნქციური ტიპოლოგიის თვალსაზრისით და, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი 80-90-იან წლებში მხოლოდ ორვალენტიან გარდამავალ (A და P პრიმიტივებით) და ერთვალენტიან გარდაუვალ (S პრიმიტივით) ზმნათა განხილვაზე ფოკუსირებისა.

მსგავსად არ შეესაბამება სინტაქსური და სემანტიკური ვალენტობა ბუნებრივი მოვლენების გამომხატველ ზმნებში. როდესაც ვამბობთ, რომ, მაგ., „წვიმს“ ან „ქუხს“ არის ნულვალენტიანი, ვსაზღვრავთ სემანტიკურ ვალენტობას, ხოლო მოცემული ზმნები აუცილებლად იქნება ერთვალენტიანი სინტაქსურად: ან წარმოდგენილი იქნება პირის თუ კლასის ნიშანი ზმნაში ან პირის ნაცვალსახელით იქნება აღნიშნული ერთი სინტაქსური აქტანტი (შდრ. ვან ვალინი, ლაპოლა 1997: 147-148).

1.7.2 ურთიერთმიმართება ვალენტობასა და გარდამავლობას შორის

ხშირად ერთვალენტიანი და გარდაუვალი, ორვალენტიანი და გარდამავალი, სამვალენტიანი და ორმაგად გარდამავალი ზუსტ შესაბამისობას ავლენენ (ნესი 2007: 123). მიუხედავად იმისა, რომ გარდამავლობა და ვალენტობა ზმნის განსხვავებული მახასიათებლებია, გავრცელებულია შეხედულება, რომ ერთადგილიანი შემასმენელი არის გარდაუვალი, ორადგილიანი შემასმენელი არის გარდამავალი და სამადგილიანი შემასმენელი ორმაგად გარდამავალი. ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, რომ ორვალენტიანი შემასმენლები განიხილონ სინტაქსურად გარდამავლად (კიტილე 2011: 351; ბიკელი 2011: 402; inter alia); და წინადადებათა დაყოფა გარდამავალ და გარდაუვალ ტიპებად შუალედური ტიპის ჩვენების გარეშე პროტოტიპურ გარდამავალ და გარდაუვალ წინადებებს შორის, ხშირად არის გაკრიტიკებული (კიტილე 2011: 348). თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ კონტინუმი უფრო მეტად უკავშირდება სემანტიკურ გარდამავლობას მაშინ, როდესაც სინტაქსური გარდამავლობა უჩვენებს ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციათა უფრო მკაცრ ტიპებს.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გავმიჯნოთ ვალენტობა და გარდამავლობა და დავადგინოთ მინიმუმ ოთხი

ტიპი,[24] რომლებიც გვხვდება სხვადასხვა ენაში (აიხენვალდი, დიქსონი 2000: 2-3). ვალენტობის, გარდამავლობისა და გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივთა მიხედვით, არსებობს წინადადებათა ოთხი ტიპი: ორი მათგანი არის გარდაუვალი (როგორც ერთვალენტიანი, ასევე ორვალენტიანი) და დანარჩენი ორი ტიპი არის გარდამავალი (როგორც ორვალენტიანი, ასევე სამვალენტიანი) (დიქსონი, აიხენვალდი 2000: 2-3; ონისი 2001: 2; დიქსონი 2010ბ: 116). ერთვალენტიან წინადადებებში შემასმენელი უკავშირდება მხოლოდ ერთადერთ S აქტანტს; ორვალენტიან გარდამავალ წინადადებებში A-სა და P-ს; ხოლო პროტოტიპურ სამვალენტიან წინადადებაში წარმოდგენილია A, T და R. სინტაქსური ფუნქციების მიხედვით, პროტოტიპურ ერთვალენტიან წინადადებაში წარმოდგენილია ქვემდებარე, ორვალენტიან წინადადებაში – ქვემდებარე და დამატება, სამვალენტიან წინადადებაში – ქვემდებარე და ორი დამატება. როგორც მიუთითებენ, ორვალენტიანი გარდაუვალი შემასმენელი ბევრ ენაში არ დასტურდება და ხშირად სადავო საკითხად ქცეულა მისი არსებობა (როგორც ზემოთ მივუთითეთ). ამგვარად, ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციით მიღებული ტიპები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

24 ზოგად ტიპოლოგიურ ლიტერატურაში არსად არ არის დასმული საკითხი სამვალენტიანი გარდაუვალი ზმნების შესახებ. მაგ., ასეთი ზმნები დასტურდება აფხაზურ ენაში: პოტენციალისისა და არაკონტროლირებადობის გრამატიკული კატეგორიების საშუალებით სამვალენტიანი გარდამავალი ზმნისაგან დერივაციით მიიღება სამვალენტიანი გარდაუვალი ზმნა, ე. ი. იცვლება სემანტიკური როლებისა და სინტაქსური ფუნქციების შესაბამისობა ამოსავალ ზმნასთან მიმართებით (პიუიტი 1979: 169; შადური 2006: 137-143).

ცხრილი № 2 გარდამავლობისა და ვალენტობის კომბინაცია[25]

ვალენტობა	გარდამავლობა	
	გარდამავალი	გარდაუვალი
ერთვალენტიანი	–	+
ორვალენტიანი	+	+
სამვალენტიანი	+	–

სამვალენტიანი შემასმენელი შეიძლება იყოს როგორც ამოსავალი ორმაგად გარდამავალი, ისე წარმოქმნილი ორმაგად გარდამავალი (derived ditransitive; მაგ., კაუზატივი და აპლიკატივი) ან ბენეფაქტიური კონსტრუქცია.[26] როგორც მიუთითებენ, განსხვავება ორმაგად გარდამავალსა და ბენეფაქტიურ კონსტრუქციას შორის არის ის, რომ ბენეფაქტივი თავსებადია გარდაუვალ კოსნტრუქციასთან. ორმაგად გარდამავალი განიხილება როგორც პროტოტიპური სამვალენტიანი შემასმენელი, რომლის სემანტიკური როლებია აგენსი, თემა და რეციპიენტი (მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 1-2).

25 თუ დავუმატებთ ქართულისა და აფხაზურის სამვალენტიან გარდაუვალ და ოთხვალენტიან გარდამავალ ზმნებს, მივიღებთ ექვსი ტიპის კონსტრუქციას ცხრილში წარმოდგენილი ოთხის ნაცვლად.

26 ვიწრო გაგებით აპლიკატივი დერივაციულად უკავშირდება პირდაპირ დამატებას, ამიტომ ქართული სასხვისო ქცევა (resp. ბენეფაქტივი), რომელიც წარმოქმნის ირიბ დამატებას, ბენეფაქტიურ კონსტრუქციას განეკუთვნება, მაგრამ ფართო გაგებით (თუ სემანტიკიდან ამოვალთ და აქტანტურ დაწინაურებას გავითვალისწინებთ) აპლიკატივის ერთ-ერთ ტიპად უნდა განვიხილოთ ბენეფაქტივი, არ აქვს მნიშვნელობა, წარმოქმნის პირდაპირ თუ ირიბ დამატებას კონკრეტული ენის მიხედვით (დიქსონი, აიხენვალდი 2000: 15; ლაკრუა 2010: 278; პლუნგიანი 2010: 291).

1.8 აქტანტთა შეთანხმება ზმნასთან (indexing)

მიუთითებენ და ეს აზრი ფართოდ არის გავრცელებული (ვან ვალინი 2001: 34; დალრიმპლი 2001; ფარელი 2005: 17; ბრესნანი, ასუდეჰი, ტოივონენი, ვეხსლერი 2016), რომ თუ ერთი აქტანტი ეთანხმება ზმნას, მაშინ ეს აქტანტი წარმოადგენს ქვემდებარეს (როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი შემასმენლისა); ან თუ ორი აქტანტის მაჩვენებელი არის ასახული ზმნაში, მაშინ მეორე მათგანი იქნება პირდაპირი და/ან პირველადი დამატება; ხოლო მესამე აქტანტი – ირიბი და/ან მეორეული დამატება. მიუხედავად ამისა, არსებობს ენები, რომელთა ქვემდებარე და პირველადი დამატება აკონტროლებს ზმნასთან შეთანხმებას, ან ენები, რომლის გარდაუვალი შემასმენლის ქვემდებარე ან გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატება უჩვენებს ამ თავისებურებას.

ანდიურ ენაში (დაღესტნურ ენათა ოჯახი) ზმნა იუღლება კლასის (და არა პირის) მიხედვით და სახელობით ბრუნვაში მდგარი აქტანტი ეთანხმება ზმნას კლასში. გარდაუვალი შემასმენლის ქვემდებარე და გარდამავალი შემასმენლის პირდაპირი დამატება ეთანხმება ზმნას[27] (ჰასპელმათი 2001: 55). გარდამავალი წინადადების A – imudi „მამა“ დგას ერგატიულ ბრუნვაში (36b), ხოლო S და P – jotsʰi „და“ სახელობითში/აბსოლუტივში (ცერცვაძე 1965: 294; ალექსეევი 1998: 224).

27 უფრო ზუსტად ჰასპელმათი იყენებს გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებს – S-სა და O-ს (იმ აღნიშვნით, როგორც ეს არის გარცელებული ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში), მაგრამ რ. დიქსონის მიხედვით, მთლად ცხადი არ არის O აღნიშნავს პრიმიტივს თუ დამატების სინტაქსურ ფუნქციას და ხშირად გაიგივებულია გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები სინტაქსურ ფუნქციებთან (ფარელი 2005: 44; დიქსონი 2010ა: 229).

(36) ანდიური

a. გარდაუვალი

j-ofs^{h}i-Ø *j-ilon*

2-და-NOM 2-მოსვლა

„და მოვიდა“.

b. გარდამავალი

Ø-imu-di *j-ofs^{h}i-Ø* *j-et^{h}a*

1-მამა-ERG 2-და-NOM 2-დატოვება

„მამამ დატოვა და“. (ცერცვაძე 1965: 213)

ანდიურ ენაში არ მოიპოვება არც გვარის გრამატიკული კატეგორია და არც მიმართებითი დამოკიდებული წინადადება (ცერცვაძე 1965: 296-297; ალექსეევი 1998: 225) იმისათვის, რომ გადავამოწმოთ თითოეული აქტანტის მახასიათებლები. ხინალუღური ენის მაგალითზე ჩანს, რომ დაღესტნური ენები არ განეკუთვნებიან სინტაქსურად ერგატიულ ტიპს: მორფოლოგიურად ერგატიულია, ხოლო სინტაქსურად ნომინატიური (კომრი 1978: 345, 355). ამიტომ A უნდა მივიჩნიოთ ქვემდებარედ და არა P (განსხვავებით დირბალი ენისაგან).

ამგვარად, მთავარი შეხედულება არის ის, რომ აქტანტის შეთანხმება ზმნასთან თავისთავად არ განსაზღვრავს მის სინტაქსურ ფუნქციას. სინტაქსური ფუნქცია უნდა განისაზღვროს როგორც მარკირებით სახელურ ფრაზასა (flagging) და ზმნაში (indexing), ასევე სინტაქსურ ქცევათა მიხედვით. ანდიური ენის ეს მაგალითები, უჩვენებენ რომ ბრუნვის ნიშნები უფრო დომინანტურია, ვიდრე ზმნური შეთანხმება.

1.9 ამოსავალი დებულებები შემდეგი კვლევისათვის

ზოგიერთი ამოსავალი დებულება აუცილებელია იმისათვის, რომ ანალიზი იყოს უფრო ცხადი, რადგანაც ენათმეცნიერების სხვადასხვა სკოლა და ტრადიცია განსაზღვრავს ზემოგანხილულ ტერმინებს სხვადასხვანაირად, თუ ზოგადად არა, წვრილმანი განსხვავებით მაინც. ეს დებულებები გამომდინარეობს ზემოგანხილული საკითხებიდან:

1. თუ მხოლოდ ერთი დამატება პასივიზდება, მაშინ ის არის ან პირდაპირი, ან პირველადი დამატება; პირდაპირი ან პირველადი დამატება შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ერთმანეთს კონკრეტულ ენაში;

2. თუ ზმნა ეთანხმება ერთ-ერთ დამატებას (T ან R), მაშინ აქედან აუცილებლობით არ გამომდინარეობს, რომ ეს აქტანტი ან პირველადი, ან პირდაპირი დამატებაა, როგორც ეს არის მითითებული ლექსიკურ-ფუნქციურ გრამატიკაში;

3. თუ რეფლექსიური ნაცვალსახელი ერთადერთი აქტანტის კორეფერენტულია, მაშინ ეს აქტანტი არის ქვემდებარე (მაგრამ ეს მიჩნეულია სუსტ მტკიცებულებად);

4. კოორდინაციისას არა მარტო ქვემდებარის, არამედ დამატების ელიფსისიც შეიძლება მოხდეს;

5. კონკრეტულ ენაში, ერთი მხრივ, პირდაპირი და პირველადი დამატებები, ხოლო, მეორე მხრივ, ირიბი და მეორეული დამატებები შეიძლება იყოს ერთი და იგივე. თუმცა, უმჯობესია, პირველადი და მეორეული დამატებები გამოვიყენოთ სეკუნდატიური წყობის შემთხვევაში, ხოლო პირდაპირი და ირიბი დამატება – ინდირექტიული წყობის დროს;

6. ამოსავალი და სინტაქსური დერივაციით მიღებულ აქტანტურ სტრუქტურაში სემანტიკური როლების ასახვა განსხვავდება სინტაქსური ფუნქციების მიხედვით;

7. პროტოტიპურ გარდამავალ წინადადებად მივიჩნევთ A და P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით განსაზღვრულ წინადადებას (როგორც ეს არის ფუნქციურ ტიპოლოგიაში) და არა პირიქით – გარდამავლობა არ განსაზღვრავს გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებს (როგორც ეს არის მოცემული ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში).

8. ზოგიერთ ენობრივ სისტემაში, შესაძლებელია, იყოს მხოლოდ ორი ცენტრალური აქტანტი – ქვემდებარე და პირდაპირი დამატება.

9. გარდამავლობა დამოკიდებულია სემანტიკურ კრიტერიუმებზე: სიტუაციის კონტროლი (control), ზემოქმედება (როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური) პაციენსზე (affectedness), ნებითი, განზრახვითი, თუ უნებლიე მოქმედება (volitional ~ non-volitional, deliberatly, intentional ~ accidental)

10. ზმნათა დაჯგუფება და განხილვა სხვადასხვა შინაარსის (ყოფნისა თუ გარდაქცევის (being ~ becoming), მოძრაობის/გადაადგილების (motion), გრძნობა-განცდის (experience/feeling), ცოდნის (knowledge) და ა. შ. მიხედვით, იძლევა სხვადასხვა აქტანტურ მოდელს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდნენ ენების მიხედვით.

თავი II
შუმეროლოგიური ტრადიციული გრამატიკა

2.1 ზოგადი

ვალენტობისა და გარდამავლობის საკითხის განხილვამდე წარმოვადგენთ და შევაჯერებთ ზოგადშუმეროლოგიურ პრობლემებს ორთოგრაფიისა და დამწერლობის შესახებ, სიტყვის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომასა და მათ გამოყენებას შუმერული ენისათვის. ასევე განვიხილავთ უღლებათა და წყობათა ზოგად ტიპებს, რომლებიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით ღირებულ ინფორმაციას იძლევიან შუმერული ენისათვის (მე-5 ქვეთავი).

2.2 დამწერლობისა და დაწერილობის პრობლემა

შუმერული ენის ფონოლოგიისა და გრამატიკის საკითხების გარკვევა შეუძლებელია დამწერლობის, დაწერილობისა და ორთოგრაფიის ზოგადი კანონზომიერებების გარკვევის გარეშე. ანალიზისა და ინტერპრეტაციის პირველ ეტაპზე აუცილებელია შუმერული ლოგოგრაფიულ-სილაბური დამწერლობის ტრანსლიტერაცია ლათინურ ანბანზე დაფუძნებული სისტემის საშუალებით.

ტრანსლიტერაციისას ის ნიშნები (ლოგოგრამები და სილაბოგრამები), რომლებიც შეადგენენ ერთ სიტყვას (სიტყვის შესახებ იხ. ქვეთავი 4), ერთმანეთისაგან გამო-

ყოფილია დეფისით, ხოლო დეტერმინატივები (სემანტიკური მაკლასიფიცირებელი ნიშნები), ზედა ინდექსის სახით ჩაწერილები, უკავშირდებიან კონკრეტულ სიტყვას (ჰეიზი 2000: 20). ფონოლოგიური შედგენილობის თვალსაზრისით მსგავსი ნიშნებით ერთმანეთისაგან განირჩევა ქვედა ინდექსის მიხედვით (მაგრამ ეს ინდექსი დამოკიდებულია ნიშანთა სიხშირეზე აქადურ- და არა შუმერულენოვან ტექსტებში) (ჰეიზი 2000: 30).

(1) **ლოგოგრამები**[28]

a. du_3 – აღმართვა, აშენება
du_6 – სამეფო ტახტის პლატფორმა ღვთაებისათვის
du_7 – კვრა, ბიძგება
du_8 – აგურის გამოწვა
du_{12} – დაკვრა
du_{14}, du_{17} – ბრძოლა

b. ur – ძაღლი
ur_2 – ძირი
ur_3 – გაწმენდა; თრევა
ur_4, ur_5 – შეგროვება

(2) **სილაბოგრამები**[29]

bi_2-ib-*gub*-be_2 – დგომა
im-ma-an-du_3-du_3 – აღმართვა
nam-ba-e-ug_7-e – მოკვდომა
nam-ba-e-sag_3-ge – ცემა

(3) **დეტერმინატივები**

a. პრედეტერმინატივები
^{d}utu – (ღვთაება) უთუ
^{ĝiš}ĝeštin – ვაზი

b. პოსტდეტერმინატივები
anzud^{mušen} – (ფრინველი) ანზუდი
urim$_5^{ki}$ – (ქალაქი) ური

როგორც (1a), ასევე (1b) გვიჩვენებს ძირეული მორფემების ისეთ ნიმუშებს, რომლებიც ფონემური შედგე-

28 მორფოლოგიური თვალსაზრისით, მოცემული ნიშნები გამოხატავენ ძირეულ მორფემებს და არა სიტყვებს, მაგრამ ტერმინი „ლოგოგრამა“ უკავშირდება მათ შინაარსის პლანს – გამოხატავენ სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას.

29 ლოგოგრამა მოცემულია კურსივით (italics), ხოლო თარგმანი ასახავს მხოლოდ ლოგოგრამის ძირითად და არა კონტექსტურ მნიშვნელობას.

ნილობით მსგავსი უნდა იყოს, მაგრამ გრაფიკული (თუ ორთოგრაფიული) თვალსაზრისით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ნიშანთა სიხშირე გამოთვლილი რომ იყოს მხოლოდ შუმერული ტექსტების მიხედვით, მაშინ (1a) სვეტში წარმოდგენილი სავარაუდოდ ჰომოფონური მორფემებისთვის საკმარისი იქნებოდა ინდექსი 1-დან 7-ის ჩათვლით, როგორც ეს არის მოცემული თანმიმდევრულად (1b) სვეტში წარმოდგენილი ლოგოგრამებისათვის, მაგრამ სიხშირული ინდექსები დადგენილია აქადური და არა შუმერული ტექსტების საფუძველზე; ამიტომ შუმერულისთვის გამოყენებული აქადური ინდექსაცია ვერ იქნება თანმიმდევრული. (2) მაგალითში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის სილაბოგრამა ლოგოგრამასთან თანახმარებით, ოღონდ არ არის აუცილებელი, რომ თითოეული სილაბოგრამა, მაგ. <ib>, <be>, <im>,[30] გამოხატავდეს აფიქსურ მორფემებს: მოცემული მარცვლოვანი ნიშნები, სავარაუდოდ, მიახლოებით მაინც ასახავს შუმერული ენის მარცვლოვან და არა მორფემულ სტრუქტურას. მორფემათა გამოსაყოფად განსხვავებული ტიპის ანალიზი არის აუცილებელი (იხ. ქვეთავი 4).

დეტერმინატივები მიუთითებენ სიტყვის იმ სემანტიკურ კლასს, რომელსაც აღნიშნული სიტყვა მიეკუთვნება: საკუთარ სახელ[31] უთუს წინ უძღვის d (diĝir – ღვთაება) დეტერმინატივი, რომელიც მიუთითებს, რომ აღნიშნული სახელი მიეკუთვნება ღვთაებებს; ასევეა ĝiš-ისა და mušen-ის შემთხვევაში, რომლებიც, შესაბამისად, აღნიშნავენ ხესთან (თუ ზოგადად მცენარესთან) და ფრინველთან დაკავშირებულ სახელებს, ხოლო ki დეტერმინატივით აღნიშნულია გეოგრაფიული სახელები (ამ შემთხვევაში ქალაქი ური).

30 კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმულია გრაფემები.

31 უფრო სწორად, utu შუმერულად ნიშნავს „მზეს“ და მის წინ დეტერმინატივი მიუთითებს, რომ აღნიშნული სახელი წარმოადგენს მზის ღვთაებას.

ტრანსლიტერაცია შექმნილია იმისათვის, რომ ასახოს ტექსტში რეალურად დადასტურებულ გრაფემები (შუმერული ლურსმული ნიშნები) და ნიშან-ნიშან გამოხატოს ყოველი ნიუანსი, მაგრამ ეს წარმოადგენს არა ავტომატურ პროცესს, როდესაც ერთი სისტემის გარკვეულ ნიშანს შეესატყვისება სხვა სისტემის ერთადერთი ნიშანი, არამედ ერთ შუმერულ გრაფემას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული წაკითხვა, რომელთა შერჩევაც დამოკიდებულია კონკრეტული ტექსტის ტრანსლიტერაციასა და სემანტიკურ ინტერპრეტაციაზე (სივილი 1973: 34; ჰეიზი 2000: 19). შუმერული ტრანსლიტერაცია ძირითადად ასახავს ძველ ბაბილონურ პერიოდს და, რა თქმა უნდა, ის ფონემები (მაგ., /ʔ/) რომელთა არსებობასაც ადასტურებენ თუ პოსტულირებენ შუმეროლოგები შუმერული ენის განვითარების უფრო ადრეული ეტაპისათვის, არ გამოიხატება. მხოლოდ ლათინურ ასოთა მინიმალური ინვენტარით აისახება შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემა (იაგერსმა 2010: 38).

შუმერულ გრაფემათა ფონოლოგიური ღირებულება დგინდება აქადურში ნასესხებ სიტყვათა და სხვადასხვა დროსა და ადგილზე შუამდინარეთში შექმნილი ორენოვანი (შუმერულ-აქადური) სილაბარიუმებისა თუ ლექსიკური სიების საშუალებით. შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია ბოლომდე აღვადგინოთ როგორც ფონოლოგიური, ასევე გრაფიკული სისტემა, რადგანაც შუმერული ენის ორთოეპიასა თუ ორთოგრაფიასთან დაკავშირებულ ყოველ საკითხს ვხედავთ აქადურის საშუალებით, ხოლო აქადური ენისა და დამწერლობის მართებულად წაკითხვა შეუძლებელია მხოლოდ საკუთრივ აქადური ტექსტების საშუალებით: აუცილებელია სხვა სემიტურ ენათა გათვალისწინება, ანუ ერთი მკვდარი ენის ფონოლოგიური თუ გრაფიკული სისტემა დგინდება მეორე მკვდარი ენის ინტერპრეტა-

ციის საშუალებით, ხოლო ამ მეორე ენასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა შეუძლებელია მისი მონათესავე ენების გარეშე[32] (სივილი 1973: 27; დიაკონოვი 1980: 7; ედცარდი 2003: 7; იაგერსმა 2010: 31).

შუმერული დამწერლობა ვერ გამოხატავდა ენის ფონეტიკურ თუ ფონოლოგიურ სისტემას, ვერ ასახავდა სალაპარაკო ენას მიახლოებითაც კი (იხ. ქვეთავი 2 ფონოლოგიის შესახებ): წარმოადგენდა მნემონიკურ სისტემას, რომლის მიზანი არასდროს არ ყოფილა წარმოთქმის ასახვა. ამგვარად, შუმეროლოგებს უწევთ აღადგინონ შუმერული ენა დეფექტური მნემონიკური სისტემის საშუალებით, რომელიც თითქმის ვერ ასახავს აფიქსებისა თუ ძირების მორფოფონემურ მონაცვლეობებს, ალომორფთა შეპირობებულობას და ა. შ. ფონოლოგიურ თუ გრამატიკულ ელემენტთა გამოტოვება ადვილად გასაგები იყო მხოლოდ მათთვის, ვინც ფლობდა შუმერულ ენას მშობლიური ენის დონეზე ან კიდევ, ისეთ ელემენტთა გამოტოვება, რომელთა გამოუხატველობაც ტექსტში (მაგ., მყარ ენობრივ გამოთქმებსა და ფორმულებში) არ ქმნიდა სირთულეს ტექსტის შინაარსის აღსაქმელად (სივილი 1973: 23, 25; დიაკონოვი 1976: 100; თომსენი 1984: 20-21, 23; ჰეიზი 2000: 1; იაგერსმა 2010: 15).

შუმეროლოგები ხშირად ექცევიან ორ უკიდურესობაში: ერთი მხრივ, რაც არ გვხვდება ტექსტში, არ იყო წარმოდგენილი გაბმულ მეტყველებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მცდარად აღადგენენ იმ გრამატიკულ ელემენტებს, რომლებიც, შესაძლოა, გაბმულ მეტყველებაში არასდროს არ გამოვლენილა. ამგვარად, მიჩნეულია, რომ შუმეროლოგიის თანამედროვე ეტაპზე უმჯობესია გაირკვეს, როგორ არის ესა თუ ის გრამატიკული დამოკიდებულება გამოხატული შუმერული დამწერლობის საშუალებით, ან კიდევ, ყოველი საკითხი (დაკარგვადი თანხმოვანი (amissable

32 საკითხს ისიც ართულებს, რომ შუმერული არის, გენეალოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით, იზოლირებული ენა.

consonant), ზოგიერთი ზმნური აფიქსი, ძირთა ალტერნაცია და ა. შ.) შეიძლება დაიყვანებოდეს გრაფემიკულ პრობლემამდე და აიხსნას დამწერლობის სისტემის თავისებურებებით (სივილი 1973: 21; თომსენი 1984: 22; ჰეიზი 2000: 29).

სხვადასხვა ენობრივი დონის ერთმანეთში აღრევის თავიდან აცილების მიზნით, შუმერული დამწერლობის ტრანსლიტერაციის დროს ყურადღება ექცევა, მაგ., ალომორფის შერჩევას და მორფონოლოგიური არათანმიმდევრულობის ელიმინაციას (სივილი 1973: 33).

(4) ტრანსლიტერაცია და მორფოლოგიური ტრანსკრიფცია

a.	*lugal-ĝu*$_{10}$*-ur*$_2$	b.	*lugal-ni-ir*
	lugal=ĝu=ra[33]		*lugal=ani=ra*
	მეფე=1SG.POSS=DAT		მეფე=3SG.H.POSS=DAT
	„ჩემს მეუფეს" (Letter from Sîn-iddinam to the god Utu (c.3.2.05), line c3205.1)[34]		„მბრძანებელს"[35] (The building of Ningirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.17)

(4) მაგალითი შედგება ოთხი სტრიქონისგან. პირველ სტრიქონში წარმოდგენილია ტრანსლიტერირებული ნიმუში ისე, როგორც ეს მიღებულია შუმეროლოგიაში, მეორე სტრიქონი გამოხატავს ნაკლებად გავრცელებულ მორფემულ ანალიზს (ე. წ. ანალიზურ ტრანსკრიფციას), მესამე – ამ მორფემათა გლოსირებას (რომელიც გაცილებით იშვიათად გამოიყენება შუმერული ენის ანალი-

33 დეფისის ნაცვლად ტოლობის მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მოცემული მორფები წარმოადგენენ პოსტკლიტიკურ (resp. ენკლიტიკურ) ელემენტებს.

34 შუმერული წყაროები მითითებულია ელექტრონული გამოცემის მიხედვით (ბლეკი, კანინგემი, ებელინგი, ფლიუკიგერ-ჰოუკერი, რობსონი, ტეილორი, ზოიომი 1998-2006).

35 კონტექსტიდან გამომდინარე, სჯობდა დაგვეწერა „მბრძანებელი", მაგრამ რადგან სიტყვა წარმოდგენილია კონტექსტის გარეშე, ამიტომ შუმერულ დატიურ ბრუნვას შესაბამისი მაჩვენებელი შევუსატყვისეთ ქართულად.

ზისას; მხოლოდ ბოლო პერიოდის წმინდა ენათმეცნიერული ხასიათის ნაშრომებში არის წარმოდგენილი), ხოლო მეოთხე – თარგმანს. დატიური ბრუნვის მაჩვენებელი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ვლინდება /=r/ ალომორფის სახით. რადგანაც გრამატიკული ელემენტები აღინიშნება სილაბოგრამების საშუალებით, ამიტომაც მოცემული თანხმოვნის წინ წარმოდგენილია წინამავალი ხმოვანი (4a) და (4b) მაგალითებში, შესაბამისად, /u/ და /i/. აღნიშნული მოვლენა (ხმოვნის განმეორება) მიჩნეულია ორთოგრაფიულ თავისებურებად და არა გრძელი ხმოვნისა თუ მიცემითი ბრუნვის სხვადასხვა ალომორფის დამადასტურებელ საშუალებად (გრძელი ხმოვნების შესახებ იხ. ქვეთავი 3). (4b)-ში ნაჩვენები <ni> სილაბოგრამა მორფოლოგიური ტრანსკრიფციის დროს წარმოდგენილია /=ani/ და არა – /=ni/ მორფის სახით, რადგანაც პირველი მათგანი მიიჩნევა {=ani}[36] მორფემის დომინანტურ ალომორფად, ისევე როგორც ზემოგანხილული {=ra} დატიური კლიტიკური მორფემის დომინანტურ ალომორფად მიიჩნევა /=ra/ მორფი და არა – /=r/.[37]

შუმერული ორთოგრაფია ხშირად უგულებელყოფს მარცვლის აუსლაუტის (მარცვლის ბოლოკიდურ; coda) თანხმოვანს. ასე, მაგ., ხშირად არ იწერებოდა {n-} – აგენსის (და A-ს) მესამე პირის გამომხატველი მორფემა ტექსტებში; ან კიდევ დატიური /=r/ ალომორფის არარსებობა ტექსტში, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ფუნქციურად ნამდვილად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამგვარი ტიპის თანხმოვანის გამოხატვა სისტემატურად იწყება ძველი ბაბილონური პერიოდის (ჩვ. წ. 1900-1600) შუმერულ ტექსტებში (იაგერსმა 2010: 12-13, 19).

36 ა. იაგერსმა წერს {=ane} ფორმით.

37 პოსტკლიტიკის (resp. ენკლიტიკის) შესახებ შუმერულში უფრო დაწვრილებით იხ. ქვეთავი 4.

(5) ^{d}*nanna* *lugal-ĝu*$_{10}$ *e*$_{2}$*-gal-la-na*[38]
nanna *lugal=ĝu=ra* *e.gal=ani=Ø*
ნანა მეუფე=1SG.POSS=DAT სასახლე=3.SG.H.POSS=ABS
mu-na-du$_{3}$
mu-n-a-Ø-du-Ø
VENT-3SG.H-R-1SG.A-აღმართვა-3SG.P
„ნანას, ჩემს მეუფეს, სასახლე ავუშენე“ (A praise poem of Ur-Namma (Ur-Namma C) (c.2.4.1.3), line c2413.108)

ერთი მხრივ, (5) მაგალითში გრაფიკულად არ არის გამოხატული დატიური ბრუნვის /=r/ ალომორფი, რომელიც აუცილებლად უნდა აღვადგინოთ (მორფოლოგიურ ტრანსკრიფციაში წარმოდგენილია დომინანტური ალომორფი /=ra/), ხოლო, მეორე მხრივ, {n-} მესამე გონიერი პირის (A – გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის მიხედვით, აგენსი – სემანტიკური როლების მიხედვით) გამომხატველი პრეფიქსი, რომლის არსებობაც აუცილებელია შუმერული ენის ერგატიულობის გამოსახატავად (ორივე აღდგენა, რა თქმა უნდა, წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქტს და უჩვენებს, რომ შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასე გვესმის შუმერული ენა).

განხილული დეფექტური დაწერილობა დამოკიდებული იყო დახურული მარცვლის აღმნიშვნელი სილაბოგრამების არარსებობაზე. გვიან პერიოდში კი დახურული მარცვლები გამოიხატებოდა ან CVC (მაგ., <kam>) სილაბოგრამით, ან CV_1-V_1C (მაგ., <mu-un>) ნიშნებით. ამგვარი სილაბოგრამების შექმნა აუცილებელი იყო აქადური ენის ჩასაწერად, რადგან აქადური ენის ფონოლოგიური (და მორფოლოგიური) სტრუქტურიდან გამომდინარე,

38 /-a/ მორფი შეიძლება გამოხატავდეს ან ლოკატიურ ან გენიტიური ბრუნვის ერთ-ერთ ალომორფს; ან სულაც წინამავალი ხმოვნით გამოწვეული ასიმილაციის შედეგი იყოს გრაფიკულად ასახული. რადგანაც e.gal „სასახლე“ წარმოდგენილია P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციით (სემანტიკური როლი – პაციენსი), მაშინ აუცილებლად უნდა გაფორმდეს აბსოლუტიური ბრუნვის მაჩვენებლით.

ტექსტში უფრო მეტ გაუგებრობას გამოიწვევდა დახურული მარცვლების ჩაუწერლობა (ედცარდი 2003: 11; იაგერსმა 2010: 20).

გარკვეული თვალსაზრისით შუმერული დამწერლობის სისტემა მორფემოგრაფიულია. ესა თუ ის მორფემა შეიძლება ჩაწერილი იყოს გრძელი (resp. დომინანტური) ალომორფის სახით, მაგრამ მორფოლოგიურად მოცემული ფორმა ითხოვდეს სხვა, მოკლე (resp. არადომინანტურ), ფონოლოგიურად თუ მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფს. მაგ., ზემოგანხილული მიცემითი ბრუნვის {=ra} მორფემა თანხმოვნის შემდეგ უნდა იყოს წარმოდგენილი /=ra/ ალომორფის სახით, ხოლო ხმოვნის შემდეგ /=r/ ალომორფის სახით, მაგრამ ტექსტში დასტურდება უფრო გრძელი, /=ra/ ალომორფი (ჰეიზი 2000: 18) და, ზოგადად, სხვადასხვა შუმეროლოგის ტრანსლიტერაცია შეიძლება განსხვავდებოდეს იმით, რომ ზოგიერთი იყენებდეს მხოლოდ გრძელ ალომორფებს, ზოგიერთი – მოკლეს და ზოგიერთიც – შერეულს, დამოკიდებულს ფონოლოგიურ გარემოცვაზე (ჰეიზი 2000: 30).

აუსლაუტის პოზიციაში[39] (ან უფრო ზუსტად, მარცვლის აუსლაუტის (coda) პოზიციაში) ხშირად იკარგება თანხმოვანი, რომელსაც შუმეროლოგიაში დაკარგვადი თანხმოვანი (amissable consonant) ეწოდება. დამწერლობის ტიპიდან გამომდინარე, სადავოა, აღნიშნული მოვლენა მიეკუთვნება გრაფემიკის თუ ფონოლოგიის პრობლემას (ჰეიზი 2000: 29).

(6) დაკარგვადი თანხმოვანი (amissable consonant)

a. **iti**$_6$ (A tigi to Suen for Ibbi-Suen (Ibbi-Suen A) (c.2.4.5.1), line c2451.A.5) ~ **itid** (A song of Inana and Dumuzid (Dumuzid-Inana J) (c.4.08.10), line c40810.23) „მთვარე“

39 აუსლაუტი შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ შეთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ სიტყვა წარმოადგენს არსებითი თუ ზედსართავი სახელის ფუძეს, ხოლო ბრუნვის მაჩვენებელი თუ მრავლობითის მარკერი განეკუთვნება კლიტიკურ ელემენტებს.

b. **ša_3** (A song of Inana and Dumuzid (Dumuzid-Inana Z) (c.4.08.26), line c40826.A.3) ~ **šag_4** (A prayer to Asarluḫi for Ḫammu-rābi (Ḫammu-rābi D) (c.2.8.2.4), line c2824.30) „გული“

c. **u_3** (A hymn to Nanna (Nanna N) (c.4.13.14), line c41314.13) ~ **ud** (The lament for Nibru (c.2.2.4), line c224.S.292) „დღე“

d. **ensi_2** (Enki and the world order (c.1.1.3), line c113.184) ~ **ensik** (The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.602) „მმართველი“

e. **du_7** (Enmerkar and En-suḫgir-ana (c.1.8.2.4), line c1824.A.198) ~ **dug_4** (The lament for Sumer and Urim (c.2.2.3), line c223.C.195) „თქმა“

დაუზუსტებელია თანხმოვნის გემინაციის საკითხიც: შეიძლება იყოს წმინდა გრაფემიკული მოვლენა, წმინდა ფონოლოგიური თუ, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, ორივე მოვლენას შეიძლება განეკუთვნებოდეს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება წინამავალ თანხმოვანს იმეორებდეს მომდევნო სილაბოგრამა (ეს შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ ორთოგრაფიულ წესად), ხოლო სხვა შემთხვევაში შეიძლება მართლაც დასტურდებოდეს გემინირებული თანხმოვანი, როგორიცაა, მაგ., ზმნაში გონიერი მესამე რეციპიენტული თუ ბენეფაქტიური (და R-ის) პირის გამომხატველი {nn-} + {a-} მორფემული მიმდევრობა[40] (ედცარდი 2003: 10; იაგერსმა 2010: 401).

(7) თანხმოვანთა გემინაცია (ორთოგრაფიული)

a. *kur-kur-re*

kur~kur=e[41]

მთიანი.მიწა~PL=DIR

„უცხო მიწებს“ (A praise poem of Lipit-Eštar (Lipit-Eštar A) (c.2.5.5.1), line c2551.91)

40 შუმეროლოგების უმრავლესობა მოცემულ მორფემას არაგემინირებული სახით აღადგენს.

41 ტილდა (~) აღნიშნავს რედუპლიკაციას ლაიფციგის მორფემთა გლოსირების წესების მიხედვით.

b. *gud-de$_3$*

gud=e

ხარი=ERG

„ხარმა“ (Gilgameš and the bull of heaven (c.1.8.1.2), line c1812.1.B.85)

(8) თანხმოვანთა გემინაცია (ფონოლოგიური?)

in-na-šum$_2$

i-n-a-n-šum-Ø[42]

NEUT[43]-3SG.H-R-3SG.A-მიცემა-3SG.T

„მისცა“ (Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.358)

(7a) უჩვენებს, რომ <re> სილაბოგრამაში წარმოდგენილია {=e} დირექტიული ბრუნვის მორფემა, ხოლო <r> ორთოგრაფიული წესის თანახმად და წაკითხვის გასაადვილებლად იმეორებს წინამავალი ნიშნის ბოლო თანხმოვანს. ასევეა (7b) შემთხვევაშიც: <de$_3$> სილაბოგრამა გამოხატავს {=e} ერგატიული ბრუნვის მორფემას, ხოლო <d> იმეორებს წინამავალი ძირეული მორფემის თანხმოვანს. (8) მაგალითში გამოხატული {nn-} + {a-} შეიძლება იყოს შუმერულში პოსტულირებული გემინირებული თანხმოვნის ერთ-ერთ ტიპური მაგალითი.[44]

გრაფემიკის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ა. ფალკენშტაინის შემოღებული ტერმინი ე. წ. გადმოკიდებული ხმოვანი (inგლ. overhanging, overlapping vowel; გერმ.

42 ა. იაგერსმა რეციპიენტისა და ბენეფაქტივის გამომხატველ (resp. R) მესამე პირის მორფემას {-nn-a} ფორმით წერს.

43 ა. იაგერსმას გლოსირების მიხედვით, მოცემული პრეფიქსი აღინიშნება როგორც VP (vocalic prefix), რომელიც, შესაძლოა უფრო უკეთეს აღნიშვნას წარმოადგენდეს, ვიდრე NEUT (neutral), მაგრამ რადგანაც ვუპირისპირებთ სხვა საუღლებელ პრეფიქსებს, ამიტომ, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ვარჩიეთ ნეიტრალურად გადმოგვეცა ეს პრეფიქსი.

44 რა თქმა უნდა, სინტაქსური ანალიზისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მოცემული მორფემის ფონოლოგიურ შედგენილობას. ამიტომ R-ის აღმნიშვნელ მორფემას წარმოვადგენთ {n-} + {a-} პრეფიქსული მიმდევრობის სახით.

überhängende Vokale). ა. ფალკენშტაინის სკოლა ცდილობდა დაწერილობა და წარმოთქმა დაეახლოებინა ერთმანეთისთვის (მაგ., lugal ~ lugala „მეფე“), მაგრამ სტანდარტიზებული ნიშანთა სიები მხარს არ უჭერენ ამგვარ დაწერილობასა და წაკითხვას (ფალკენშტაინი 1949: 12; ჰეიზი 2000: 147, 149–150).

ზემოგანხილული ზოგიერთი მაგალითიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მორფემული ანალიზისას მორფემა ჩაიწერება მისი დომინანტური თუ ბაზისური ფორმით, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო, რომ წარმოადგენდეს კონკრეტულ მაგალითში დადასტურებულ რეალურ ფონოლოგიური ფორმას (იაგერსმა 2010: 13).

ტრანსლიტერაციისაგან (რომელიც ასახავს მხოლოდ რეალურ ტექსტში დადასტურებულ ფონოლოგიურ თუ მორფოლოგიურ ელემენტებს) განსხვავდება ტრანსკრიფცია (რომელიც ცდილობს ასახოს რეკონსტრუირებული ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური ელემენტები), მაგრამ აქადურისგან განსხვავებით (როდესაც სხვადასხვა ასირიოლოგის მომზადებული ტრანსკრიფცია თითქმის ემთხვევა ერთმანეთს), სხვადასხვა შუმეროლოგის ჩაწერილი შუმერულის ტრანსკრიფცია მკვეთრად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, რაც დამოკიდებულია შუმერული ენის ფონოლოგიისა და მორფოლოგიის განსხვავებულ ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე. შუმერულისათვის, როგორც წესი, გამოიყენება მორფოლოგიური ტრანსკრიფცია (resp. ანალიზური ტრანსკრიფცია),[45] რომელიც გულისხმობს (და ითვალისწინებს) ნებისმიერი სახით აღდგენილ მორფოლოგიურ ელემენტებს და, ამასთან ერთად, მორფემების სრულ (თუ მორფონოლოგიურ) დაწერილობას. შუმერული ენის ტრანსკრიფცია არ არის გავრცელებული და არ გვხვდება, მაგ., ფილოლოგიური წესით დამუშავებულ შუმერული

45 ზემოწარმოდგენილ მაგალითებში, რა თქმა უნდა, გამოვიყენეთ მორფოლოგიური და არა ფონოლოგიური ტრანსკრიფცია.

ტექსტების აკადემიურ გამოცემებში (დიაკონოვი 1967: 429-438; ჰეიზი 2000: 21-22).

2.3 ფონემური შედგენილობის პრობლემა

ტრადიციულად შუმერული ენის ფონოლოგიურ სისტემას აღადგენენ იმგვარად, როგორც ეს არის მოცემული ტრანსლიტერაციის სისტემაში: დაპირისპირება *მჟღეხობა ~ სიყხუის* მიხედვით ხშულთა ქვეკლასში მოცემულია წყვილეულების სახით (b ~ p, d ~ t, g ~ k), ნაპრალოვანთა ქვეკლასში – წყვილეულებისა და ცალეულების სახით[46] (z ~ s, š, ḫ), ხოლო სონორთა ქვეკლასში – ცალეულების სახით (l, r, m, n) (თომსენი 1984: 43-46; ვიზიროვა, კანევა, კოზლოვა 2010: 40; ფაქსვოგი 2016: 18). იგულისხმება, რომ ტრანსლიტერაცია ასახავს გვიანშუმერულ წარმოთქმას (დიაკონოვი 1979: 16). მაგრამ ლექსიკური სიებისა და აქადურში შუმერული ნასესხობების მიხედვით, რეკონსტრუირებული ფონოლოგიური სისტემისათვის (ძველი შუმერულისთვის მაინც) ვარაუდობენ არა *მჟღეხი ~ ყხუ* ოპოზიციას, არამედ *ფშვინვიეხი ~ ახაფშვინვიეხი* დაპირისპირებას (დიაკონოვი 1979: 15-16; ვიზიროვა, კანევა, კოზლოვა 2010: 46; იაგერსმა 2010: 33-38). თუმცა მოცემულ პირობებში და შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია დადგინდეს, მაგ., ხშულთა კლასში წარმოდგენილი იყო სამეულთა თუ წყვილეულთა სისტემა და რა სახის ფონოლოგიური ოპოზიცია არსებობდა მათ შორის (*ფშვინვიეხი ~ ახაფშვინვიეხი, მკვეთხი ~ ახამკვეთხი* და ა. შ.) (ედცარდი 2003: 9, 14-15).

რამდენიმე მკვეთრად განსხვავებულ აღდგენას წარმოადგენს /z/ ფონემის რეინტერპრეტაცია /t͡s/ აფრიკატ არაფშვინვიერ ფონემად, ხოლო მის ფშვინვიერ კორელატად მიიჩნევა <ř> გრაფემით აღნიშნული ფონემა /t͡sʰ/.

46 ან: დეფექტური წყვილეულების სახით.

აქადურისგან განსხვავებული ფონემათაგან მხოლოდ შუმერულის შინაგანი რეკონსტრუქციისა და დაწერილობის კანონზომიერებების გათვალისწინებით შუმეროლოგებს შორის მიღებული და გაზიარებულია ĝ /ŋ/ და ზემოაღნიშნული ფშვინვიერი აფრიკატის არსებობა შუმერულში (ჰეიზი 2000: 27-28; ვიზიროვა, კანევა, კოზლოვა 2010: 42-44; იაგერსმა 2010: 33, 41-45, 50-51).

სხვადასხვა ორენოვანი ლექსიკური სიის ამხსნელობით გლოსებში მოცემულია მხოლოდ ოთხი ხმოვანი (a, e, i, u). სხვა ტიპის ხმოვნები, მაგ., ამ ოთხი ხმოვნის შესაბამისი გრძელი ხმოვნების ან უკანა რიგის საშუალო აწეულობის /o/ ხმოვნის აღდგენა, უმლაუტიანი და ნაზალიზებული ხმოვნები დამოკიდებულია შუმერულიდან აქადურში ნასესხებ სიტყვებსა და დაწერილობისა თუ ორთოგრაფიის სხვადასხვა ინტერპრეტაციაზე (დიაკონოვი 1979: 15; ჰეიზი 1997: 10-11; ჰეიზი 2000: 23-24; ედცარდი 2003: 7).

ერთ-ერთ გავრცელებულ ფონოლოგიურ მოვლენად მიიჩნევენ კონტრაქციას – ხმოვნის გამოუხატველობას და ასიმილაციას ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. მაგ., ერგატიული და ტერმინატიული ბრუნვების გამოუხატველობა ხმოვნის მომდევნოდ, კუთვნილებით კლიტიკურ ნაცვალსახელზე ლოკატივის მაჩვენებლის დართვა, დროით დამოკიდებულ წინადადებებში ნომინალიზატორის მაჩვენებლის ლოკატიური ბრუნვა მომდევნო პოზიციაში, {ni-} ზმნური პრეფიქსის /n-/ ალომორფი /ba-/ პრეფიქსის მეზობლობაში და ა. შ. (ჰეიზი 2000: 29; იაგერსმა 2010: 13, 155; ვიზიროვა, კანევა, კოზლოვა 2010: 53-55), თუმცა კონტრაქცია ჩანს მხოლოდ სილაბოგრამებში. ლოგოგრამა, დამწერლობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ვერ ასახავს ამგვარ მოვლენას (იაგერსმა 2010: 28): შეიძლება ითქვას, რომ ტრანსლიტერაციისას ლოგოგრამა გამოიხატება დომინანტური (ბაზისური) ალომორფის სახით. ძნელი სათქმელია, ზმნა + ნომინალიზატორი + ლოკატი-

ვი პოზიციაში ნომინალიზატორის მორფემა რომელ მათგანთან ახდენს კონტრაქციას: წინამავალ ხმოვანთან თუ ლოკატივის მაჩვენებელთან (იაგერსმა 2010: 41, 174).

(9) *u*$_4$ *e*$_2$ *^{d}nin-gir*$_2$*-su-ka* *mu-du*$_3$*-a*
ud *e* *ningirsuk=ak=Ø* *mu-n-du-a=a*
დღე ტაძარი ნინგირსუ=GEN=ABS VENT-3SG.A-აღმართვა-NMLZ=LOC
„მაშინ, როცა ტაძარი (ღვთაება) ნინგირსუსი ააგო“ (გუდეას ქანდაკება B, V: 21-22)

(9) მაგალითი შეიძლება მივიჩნიოთ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად, ოღონდ ისეთ წინადადებად, რომელიც შემდეგი თავისებურებით ხასიათდება: ud „დღე“ მოითხოვს ლოკატიური ბრუნვის მაჩვენებელს, მაგრამ მათ შორის ჩართულია მთელი წინადადება; /-a/ სუფიქსი, რომელიც გლოსირებულია როგორც NMLZ (nominalizer) „ნომინალიზატორი“, წარმოადგენს დამოკიდებული წინადადების მორფოლოგიურ მაჩვენებელს, რომელიც მოკვეცილია (contraction) ან წინამავალ, ანდა მომდევნო ხმოვნის გამო და ამიტომ რეალურად (resp. გრაფიკულად) წარმოდგენილია ერთ-ერთი მათგანი ორი ჰომოფონური მორფიდან.

საინტერესოა {-ak} ნათესაობითი ბრუნვის მორფემის კონტრაქცია და დაკარგვადობა: /a/ ხმოვანი ახდენს წინამავალ ხმოვანთან კონტრაქციას, ხოლო /k/ თანხმოვანი იკარგება მარცვლის აუსლაუტის (coda) პოზიციაში; მხოლოდ ხმოვნის წინამავალ პოზიციაში ხდება მისი შენარჩუნება (იაგერსმა 2010: 142; ფაქსვოგი 2016: 39).

(10) ნათესაობითი ბრუნვის ალომორფები

a. *dumu* *^{d}en-lil*$_2$*-la*$_2$
dumu *enlil=ak=Ø*
შვილი ენლილი=GEN=ABS
„ენლილის შვილი“
(Ninurta's exploits: a šir-sud (?) to Ninurta (c.1.6.2), line c162.153)

b. *dumu* *^{d}en-lil$_2$-la$_2$-ke$_4$*
dumu *enlil=ak=e*
შვილი ენლილი=GEN=ERG
„ენლილის შვილმა" (An adab to Ninurta for Lipit-Eštar (Lipit-Eštar D) (c.2.5.5.4), line c2554.F.39)

c. *ugu* *ama* *dumu-ka-ka*
ugu *ama* *dumu=ak=ak=a*
თავის.ქალა *დედა* *შვილი=GEN=GEN=LOC*
„შვილის დედის თავის ქალაზე" (A hymn to Nanše (Nanše A) (c.4.14.1), line c4141.209)

d. *e$_2$-gi$_4$-a* *dumu* *tur-zu*
egia *dumu* *tur=zu=ak=Ø*[47]
პატარძალი შვილი პატარა=2SG.POSS=GEN=ABS
„შენი შვილების პატარძლები" (An elegy on the death of Nannaya (c.5.5.2), line c552.56)

მოცემული მაგალითებიდან გამომდინარე, {=ak} გენიტიური ბრუნვის მორფემა ტექსტში შეიძლება გამოვლინდეს ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებით: /=ak/ ~ /=k/ ~ /=a/ ~ /=Ø/. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იკარგება მოცემული მორფემის /a/ ფონემა, ხოლო თანხმოვნის წინამავალ პოზიციაში – /k/ ფონემა; ნულოვანი ალომორფი ვლინდება მაშინ, როდესაც აღნიშნული ორივე პოზიცია (წინამავალი მორფემა დასრულებულ ხმოვანზე და მომდევნო მორფემა დაწყებული თანხმოვანზე) ერთდროულად წარმოადგენს გენიტიური მორფემის გარემოცვას.

ასევე შეუძლებელია თანხმოვანთკომპლექსების (მაგ., bra-, pli-, sku-, -arp, -urps და ა. შ.) დადასტურება შუმერულ ენაში, განსაკუთრებით თავკიდურ პოზიციაში (მაგ., tra-,

47 წინადადების გაანალიზების გარეშე პირობითად აღვადგინეთ აბსოლუტივი: არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ბრუნვაში არის მოცემული სახელური ფრაზა წარმოდგენილი: აუცილებელი ის არის, რომ ნათესაობითს უნდა მოსდევდეს რომელიმე სხვა ბრუნვის მაჩვენებელი.

stra- და ა. შ.) რადგანაც აქადურ ენაში დაუშვებელია ორი თანხმოვნის არსებობაც აღნიშნულ პოზიციაში და, რა თქმა უნდა, სილაბოგრამების ფონოლოგიური სტრუქტურა ინტერპრეტირდება აქადურის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია აქადურისაგან განსხვავებული მარცვლის ტიპებისა (და, ზოგადად, თანხმოვან-თკომპლექსების) გამოვლენა შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე (ედცარდი 2003: 22).

აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ აქადურისგან მკვეთრად განსხვავებული ფონემების რეკონსტრუირება, რომელთა არსებობაც დასაშვებია შუმერულ ენაში, მეტისმეტად ჰიპოთეზურია და წარმოადგენს წმინდა ლოგიკურ ვარაუდს (ჰეიზი 2000: 27; ედცარდი 2003: 7-8).

2.4 სიტყვა შუმერულში

ნებისმიერ ენაში სიტყვის განსაზღვრა უკავშირდება სხვადასხვა ტიპის პროცედურებს, რომლებიც შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, ურთიერთგამომრიცხავიც კი იყოს: ერთმანეთს შეიძლება არ დაემთხვეს ფონოლოგიური და მორფოლოგიური განმსაზღვრელი წესები და, თავის მხრივ, ორივე შეიძლება დაუპირისპირდეს სიტყვის განსაზღვრას პრაქტიკული თვალსაზრისით: ნაბეჭდ ტექსტში ორ ხარვეზს თუ ინტერვალს შორის არსებულ ერთეულს.

ტრანსლიტერაციისას ერთი სიტყვის ფარგლებში ლოგოგრამები და სილაბოგრამები ერთმანეთისაგან გამოიყოფა დეფისით (ჰეიზი 2000: 20), თუმცა არ არსებობს ერთიანი წესი და გამოცემული ტექსტები ხშირად სხვაობენ ამ თვალსაზრისით და, შესაბამისად, სხვადასხვა შუმეროლოგი სხვადასხვანაირად განსაზღვრავს სიტყვას. ერთი მხრივ, შეიძლება მთელი სახელური ფრაზის შემადგენელი ლოგოგრამები და სილაბოგრამები ერთმანეთისა-

გან გამოიყოს დეფისით, ხოლო, მეორე მხრივ, ძირეული მორფემები (როგორც წესი, ლოგოგრამით გამოხატული) შეიძლება დაიწეროს დამოუკიდებლად და მხოლოდ სახელური ფრაზის უკანასკნელი ძირეული მორფემა და სილაბოგრამებით გამოხატული გრამატიკული მაჩვენებლები ერთმანეთისაგან გამოიყოს დეფისით. თუ დეფისით გამოვყოფთ ერთმანეთისაგან სახელური ფრაზის ყველა შემადგენელს, მაშინ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ სახელური ფრაზა შეიძლება ვრცელდებოდეს რამდენიმე სტრიქონზე, ხოლო თუ მეორე შემთხვევას ავიღებთ, მაშინ შეიძლება წავაწყდეთ სიტყვისა და მისი შემადგენლების განსაზღვრის პრობლემას (ჰეიზი 2000: 48-49).

(11) სიტყვის განსაზღვრა შუმერულში

a.	*e_2-kur*	*e_2*	*^{d}en-lil$_2$-ke$_4$*
	e.kur	*e*	*enlil=ak=e*
	ექური	ტაძარი	ენლილი=GEN=DIR
	„ენლილის ტაძარ ექურში“ (Enlil and Sud (c.1.2.2), line c122.1.A.147)		
b.	*lugal*	*ki-en-gi*	*ki-uri-ke$_4$*
	lugal	*kiengi*	*kiuri=ak=e*
	მეფე	შუმერი	აქადი=GEN=DIR[48]
	„შუმერისა და აქადის მეფეს“ (Sîn-iddinam and Iškur (Sîn-iddinam E) (c.2.6.6.5), line c2665.40)		

როგორც (11a), ასევე (12b) გამოცემულ ტექსტებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ერთი მთლიანი სიტყვა (და არა სამ-სამი, როგორც აქ არის მოცემული). ორივე მიდგომას თავ-თავისი არგუმენტი აქვს: ერთი მხრივ, სიტყვა არის ის ერთეული, რომელსაც აქვს ლექ-

48 თუ იმ წინადადების, რომელშიც მოცემული სახელური ფრაზაა წარმოდგენილი, გრამატიკული სტრუქტურა მართებულად გვესმის, მაშინ დირექტივის ნაცვლად უნდა იყოს დატივი, მაგრამ რადგანაც დირექტივიც შეიძლება გადმოსცემდეს R გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს (არაგონიერს), მაშინ მათი ფუნქციური სიახლოვის გამო, შესაძლოა, სალაპარაკო ენაში დატივი და დირექტივი ავტომატურად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

სიკური შინაარსი (e_2-kur „ექური“$_{e2}$ „ტაძარი“,den-l_1l2-$_{ke4}$ „ენლილი“ + გენიტივისა და დირექტივის მაჩვენებლები; ან კიდევ: lugal „მეფე“, ki-en-gi „შუმერი“, ki-uri-ke_4 „აქადი“ + გენიტივისა და დირექტივის მაჩვენებლები), მაშინ თითოეულ ფრაზაში იქნება სამ-სამი სიტყვა, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვა (და ამ შემთხვევაში სახელური ფრაზა) არის ის ერთეული, რომელიც ფორმდება ბრუნვის, რიცხვის, კუთვნილების და ა. შ. გამომხატველი მაჩვენებლებით და ასეთ შემთხვევაში თითოეულ ზემომოყვანილ ფრაზაში იქნება თითო-თითო სიტყვა, რადგან გენიტივისა და დირექტივის მაჩვენებლები დაერთვის სახელური ფრაზის ბოლო სიტყვას.

სიტყვა შეიძლება განისაზღვროს შინაარსის მიხედვითაც: თუ მოცემული ერთეული გადმოსცემს მნიშვნელობას და ტექსტში გამოიყენება დამოუკიდებლადაც, მაშინ აღნიშნული ერთეული არის სიტყვა..

დ. ედცარდი გამოყოფს ორი ტიპის ერთეულს: სიტყვასა და ნაწილაკებს, რომლებიც, თავის მხრივ, სამ ტიპად იყოფა იმის მიხედვით, უკავშირდებიან ისინი სახელს (სახელური ნაწილაკები), ზმნას (ზმნური ნაწილაკები) თუ ორივე მათგანს (საერთო ნაწილაკები; common particle)[49] (ედცარდი 2003: 23).

(12) საერთო ნაწილაკები

a. სახელთან

inim-zu

inim=zu=Ø

სიტყვა=2SG.POSS=ABS

„შენი სიტყვა“ (A prayer for Samsu-iluna (Samsu-iluna B) (c.2.8.3.2), line c2832.28)

b. ზმნასთან

za-kam

49 დ. ედცარდი „ნაწილაკს“ იყენებს, ერთი მხრივ, კლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, აფიქსის გამაერთიანებელ ტერმინად.

zu=ak=am-Ø

2SG.POSS=GEN=COP-3SG.COL

„ისინი შენია“ (A hymn to Inana (Inana C) (c.4.07.3), line c4073.141)

(13) სახელური ნაწილაკები

a. *lugal-e*

lugal=e

მეფე=ERG

„მეფემ“ (Lugalbanda in the mountain cave (c.1.8.2.1), line c1821.A.20)

b. *lu_2-ra*

lu=ra

ადამიანი=DAT

„კაცობრიობას“ (A hymn to Šul-pa-e (Šul-pa-e A) (c.4.31.1), line c4311.1.19)

(14) ზმნური ნაწილაკები

a. *ba-an-du_3*

ba-n-du-Ø

MID-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„აღადგინა“[50] (Letter from Puzur-Šulgi to Ibbi-Suen about Išbi-Erra's claim on Isin (c.3.1.19), line c3119.31)

b. *ḫe$_2$-en-da-sug$_2$-sug$_2$-ge-eš*

ḫe-n-da-gub-gub-eš

PREC-3SG.H-COM-დგომა~IPFV-3PL.S

„უნდა იდგნენ ერთად“ (The debate between Grain and Sheep (c.5.3.2), line c532.182)

რადგანაც შუმერული მკვდარი ენაა, თითქმის შეუძლებელია ფონოლოგიური კრიტერიუმების განსაზღვრით სიტყვის საზღვრების დადგენა, მაგრამ ა. იაგერსმა ჩამოთვლის იმ ფონოლოგიურ მახასიათებლებს, რომლებიც ასე თუ ისე ჩანს დამწერლობისა და დაწერილობის საშუალებით. მაგ., მახვილი (სავარაუდოდ სიტყვის ბოლო

50 რადგანაც მედიალური გვარია, იქნება სჯობდეს ითარგმნოს სათავისო ქცევით „აღიდგინა“? მაგრამ ასეთ შემთხვევებში რთულია გაირკვეს, აქვს თუ არა მოცემულ მაგალითებს სათავისო შინაარსი.

მარცვალზე), ფონეტიკური პროცესები (მაგ. ასიმილაცია და კონტრაქცია) ერთი სიტყვის ფარგლებში მომიჯნავე მარცვლებს შორის (მაგ., <ke_4> სილაბოგრამა, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა, მაგრამ ერთი მარცვლის შემადგენელ წინამავალ და მომდევნო მორფემას (გენიტივი + ერგატივი ან დირექტივი); ასეთ შემთხვევაში გენიტივის კონტრაქციაც უჩვენებს ერთ ფონოლოგიურ სიტყვას; ხმოვანთა ჰარმონია: /i-/ ზმნური პრეფიქსის ნაცვლად მისი /e-/ ალომორფით გამოვლენა (რადგანაც ჰარმონია ხდება ერთი სიტყვის ფარგლებში) (იაგერსმა 2010: 72-73).

(15) სიტყვათა საზღვრები

a. *dumu* *^{d}en-lil$_2$-ke$_4$*
dumu *enlil=ak=e*
შვილი ენლილი=GEN=ERG
„ენლილის შვილმა“ (A tigi to Nanaya for Išbi-Erra (Išbi-Erra C) (c.2.5.1.3), line c2513.G.38)

b. *e-ra-an-gi$_4$*
i-r-a-n-gi-Ø
NEUT-2SG.H-R-3SG.H.A-დაბრუნება-3SG.T
„გადაგიხადეს“ (Gilgameš and Aga (c.1.8.1.1), line c1811.112)

გრამატიკული თვალსაზრისით აფიქსი წარმოადგენს სიტყვის შემადგენელ ნაწილს, ხოლო კლიტიკური ნაწილი დამოუკიდებელ სიტყვას, რადგანაც აფიქსს აქვს ზუსტად განსაზღვრული პოზიცია, ხოლო კლიტიკასა და მის წინამავალ სიტყვას შორის შესაძლებელია უსასრულოდ ჩაემატოს სხვა სიტყვები (იაგერსმა 2010: 74-75). სხვაგვარად, სიტყვის შემადგენელი მორფემები (აფიქსები და ძირები) უფრო მტკიცედ უკავშირდებიან ერთმანეთს ვიდრე სხვადასახვა სიტყვის წარმომადგენელი მორფემები (თუნდაც კლიტიკური ნაწილაკები). აფიქსთა პოზიციის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო ნებისმიერი პრაგმატიკული მიზნით ყოველთვის შესაძლებელია სიტყვათა თანმიმდევრობის შეცვლა.

(16) რთული (compound) ზმნა

ur$_5$	*nam-ba-ug*$_5$*-ga*	*šag*$_4$
ur=Ø	*nan-ba-b-uš-e*	*šag=Ø*
ღვიძლი=ABS	NEG-MED-3SG.N.P-კვდომა-3SG.A.IPFV	გული=ABS

nam-ba-sag$_3$*-ga*

nan-ba-b-sag-e

NEG-MED-3SG.N.P-ცემა-3SG.A.IPFV

„სასონარკვეთას არ უნდა მიეცე, არ უნდა დადარდიანდე“ (ზედმ. „ღვიძლი არ უნდა მოიკლა, გულს არ უნდა სცემო“) (The death of Gilgameš (c.1.8.1.3), line c1813.3.F.44)

(16) მაგალითში ორივე ზმნა ნარმოადგენს რთულ ზმნებს: ზმნა + P (სემანტიკური როლებით – პაციენსი) შინაარსობრივად არ უდრის თავის შემადგენელი ნაწილების ჯამს. პირდაპირი მნიშვნელობით იქნებოდა „ღვიძლის მოკვლა“ და „გულის ცემა“, მაგრამ რეალურად ზმნისა და პაციენსის კომბინაცია ნარმოადგენს იდიომურ გამონათქვამს; გრამატიკულად რთული ზმნა მაინც გარდამავალ ზმნად მიიჩნევა, რადგან მასთან დაკავშირებული პაციენსი P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციით არის დატვირთული და აბსოლუტიურ ბრუნვაში დგას. მოკლედ რომ ვთქვათ, რთული ზმნა შედგება ორი სიტყვისაგან, რომლის პირველი შემადგენელი ნარმოადგენს P-ს, ხოლო მეორე შემადგენელი ზმნას, მათი ჯამი კი იდიომური გამონათქვამია.

(17) სახელური ფრაზა

a.	*gana*$_2$	*tur-ĝu*$_{10}$*-še*$_3$	
	gana	*tur=ĝu=še*	
	მინდორი	პატარა=1SG.POSS=TERM	

„პატარა მინდვრისკენ“ (A love song of Šu!gi (Šu!gi Z) (c.2.4.2.26), line c24226.A.13)

b.	*ama*	*lu*$_2$	*tur*$_5$*-ra-ke*$_4$
	ama	*lu*	*tur=ak=e*

დედა	კაცი	ავადმყოფი=GEN=ERG

„ავადმყოფი კაცის დედამ“ (The building of Ninĝirsu’s temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.902)

c.	*e₂*	*diĝir*	*gal-gal-e-ne-ka*
	e	*diĝir*	*gal-gal=ene=ak=a*
	ტაძარი	ღვთაება	დიდი~INT=PL=GEN=LOC

„დიდი ღვთაებების ტაძარში“ (The debate between Bird and Fish (c.5.3.5), line c535.170)

შუმერული სახელური ფრაზის მთავარი თავისებურება ის არის (მაგალითი (17)), რომ ფლექსიური მაჩვენებლები (ინტენსიფიკაცია, მრავლობითი რიცხვი, ბრუნება) და კუთვნილებითი ნაცვალსახელები (კლიტიკური) დაერთვიან სახელური ფრაზის ბოლო სიტყვას: ფლექსიური მაჩვენებლები აფორმებენ ფრაზის არა თითოეულ წევრს, არამედ მთელ სახელურ ფრაზას. ამგვარი სტრუქტურა შეიძლება დახასიათდეს როგორც ინკორპორაციული.

ი. კრეხერი ადარებს შუმერული ენის სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებს ჩუკოტკური ენის ანალოგიურ (resp. ტიპოლოგიურად მსგავს) კონსტრუქციებს (კრეხერი 1987). შუმერულში გვხვდება ინკორპორაციული ტიპის სტრუქტურები, რომელთა პროტოტიპურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ სახელური ან ნაზმნარი (resp. ნომინალიზატორით წარმოქმნილი) ფრაზა. მაჩვენებლები დაერთვის არა სათითაოდ სახელურ ფრაზაში შემავალ ერთზე მეტ არსებით ან ზედსართავ სახელს, არამედ გრამატიკული მაჩვენებლები (ბრუნება, რიცხვი) წარმოდგენილია ფრაზის ბოლოს (ჰეიზი 2000: 31): აფორმებენ მთელ ფრაზას და არა ფრაზის ყოველ წევრს, როგორც ეს წარმოდგენილია (17a)-ში: კუთვნილების გამომხატველი {=ĝu} და ტერმინატივის {=še} მაჩვენებელი დაერთვიან სახელურ ფრაზას {gana + tur} და მთლიან ფრაზას აფორმებენ გრამატიკული მნიშვნელობით და არა ცალკეულ სიტყვას. ასევეა (17c)-ში, ოღონდ წარმოდგენილია მრავლობითის, გენიტივი-

სა და ლოკატიური ბრუნვების პოსტკლიტიკური (resp. ენკლიტიკური) მაჩვენებლები.

კლიტიკური ნაწილაკი წინამავალ სიტყვასთან ერთად არის ერთი ფონოლოგიური სიტყვა, ხოლო გრამატიკული თვალსაზრისით ორ სხვადასხვა სიტყვა. ამიტომ შუმერულში სახელური ფრაზა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე სიტყვისაგან (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მრავლობითი რიცხვის პოსტკლიტიკა და ა. შ.) გრამატიკული თვალსაზრისით: მაგ., (17a) მაგალითში მოცემულია ორი სიტყვა, ხოლო (17b)-სა და (17c)-ში – სამ-სამი სიტყვა ფონოლოგიური თვალსაზრისით, ხოლო გრამატიკულად ოთხი, ხუთი და ექვსი სიტყვა, შესაბამისად.

სახელური ფრაზა მოიცავს როგორც ობლიგატორულ (არსებითი სახელი ან პირის ნაცვალსახელი, ბრუნების გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებელი), ასევე ფაკულტატიურ შემადგენლებს (ზედსართავი სახელი, კუთვნილებითი თუ ჩვენებითი ნაცვალსახელი, მრავლობითის მაჩვენებელი {=ene} პოსტკლიტიკური მორფემა).[51] როგორც წესი, ფრაზის მთავარი წევრი (head) არის არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი, ხოლო დანარჩენი როგორც ობლიგატორული, ასევე ფაკულტატიური შემადგენლები დამოკიდებულ წევრებს (dependent) წარმოადგენენ (იაგერსმა 2010: 89; ფაქსვოგი 2016: 27).

51 ბრუნვის (და აგრეთვე მრავლობითი რიცხვის, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების) მორფემული სტატუსი განსხვავდება სხვადასხვა ნაშრომში. აღნიშნულ კატეგორიათა მაჩვენებლები შეიძლება იყოს როგორც სუფიქსი, ასევე უკუდებული (postposition), ნაწილაკი და კლიტიკური ელემენტი (ედგარდი 2003; იაგერსმა 2010; ფაქსვოგი 2016). ტერმინ „თანდებულს" ვიყენებთ ინგლისური adposition-ის შესატყვისად, ხოლო preposition და postposition შეიძლება ვთარგმნოთ შესაბამისად როგორც „წინდებული" და „უკუდებული" . მოცემული სამი ტერმინის ამგვარი განაწილების შესახებ იხ. ა. შანიძის ნაშრომი (შანიძე 1980: 598).

ცხრილი № 3 სახელური ფრაზის სტრუქტურა

ფრაზის მთავარი/მეთაური სიტყვა – არსებითი სახელი				
ობლიგატორული	ფაკულტატიური			ობლიგატორული
არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	კუთვნილებითი/ჩვენებითი ნაცვალსახელი	მრავლობითი რიცხვი	ბრუნება
ფრაზის მთავარი/მეთაური სიტყვა – ნაცვალსახელი				
ობლიგატორული		ფაკულტატიური		
პირის ნაცვალსახელი		ბრუნება		

სახელური ფრაზისაგან განსხვავებით ზმნური ფრაზა მდიდარია აფიქსური საშუალებებით (როგორც პრეფიქსებით, ასევე სუფიქსებით),[52] რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიას. სხვადასხვა ავტორი ზმნის სტრუქტურას განსხვავებულად აღწერს, რაც დამოკიდებულია ნაკლოვან ორთოგრაფიაზე, ზმნურ გრამატიკულ კატეგორიათა როგორც შინაარსობრივ, ასევე მათ თანახმარებაზე ერთი ზმნური სიტყვაფორმის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ზმნური მორფემების რანგობრივი სტრუქტურა განსხვავებული იქნება ტრადიციული (ფალკენშტაინი 1949; დიაკონოვი 1979; თომსენი 1984, inter alia) თუ უფრო თანამედროვე გამოკვლევების (ედცარდი 2003; იაგერსმა 2010; ფაქსვოგი 2016) მიხედვით.

ტრადიციულად გამოყოფილი პრეფიქსების მაქსიმალური რაოდენობა არის ექვსი: მოდალური მარკერები (resp. ტრადიციული ტერმინი „პრეფორმატივები"), საუღლებელი/ზოგადი მიმართულების გამომხატველი პრე-

52 შუმეროლოგიაში ტრადიციულად გამოიყენება ტერმინი „ინფიქსი", რომელიც აღნიშნავს ე. წ. საუღლებელ პრეფიქსსა (conjugated prefix) და ზმნურ ძირს შორის არსებულ პრეფიქსებს: სივრცობრივი მიმართებისა და პირის მაჩვენებლებს (ფალკენშტაინი 1949: 193-194; თომსენი 1984: 214; იაგერსმა 2010: 285-286).

ფიქსები,[53] სივრცობრივი (dimensional) დამოკიდებულების გამომხატველი პრეფიქსები (მოიცავს რამდენიმე მორფემულ რანგს), პირის მაჩვენებლები (როგორც აგენსის, ასევე პაციენსის გამომხატველი, შესაბამისად, პერფექტივსა და იმპერფექტივში), ხოლო სუფიქსი შეიძლება იყოს სამი: იმპერფექტივის {-e} სუფიქსი,[54] მოდალურობისა თუ ირეალისის (+ იმპერფექტივი) გამომხატველი {-ed} მორფემა და მრავლობითის გამომხატველი სუფიქსი (დიაკონოვი 1979: 26; თომსენი 1984: 128-131; კანევა 1996: 98-102).

ცხრილი № 4 შუმერული ზმნის რანგობრივი სტრუქტურა (ტრადიციული)

-6	კილო
-5	ზოგადი მიმართულება
-4	სივრცობრივი დამოკიდებულება
-3	სივრცობრივი დამოკიდებულება
-2	სივრცობრივი დამოკიდებულება
-1	პირის ნიშანი
0	**ძირი**
1	პირის ნიშანი
2	ირეალისი
3	რიცხვის ნიშანი

არატრადიციული თვალსაზრისით შეიძლება გამოი-

53 ტრადიციულად მიიჩნევა ობლიგატორულ პრეფიქსებად (თომსენი 1984: 155).

54 აღნიშნულ სუფიქსს მიიჩნევენ მხოლოდ იმპერფექტიული ასპექტის მაჩვენებლად (იოსიკავა 1993ა: 21, 29; ჰეიზი 2000: 313; inter alia), მესამე პირის გამომხატველად (ედცარდი 2003) ან როგორც ასპექტის, ასევე პირის კუმულაციურ მაჩვენებლად (იაგერსმა 2010).

ყოს ცხრა პრეფიქსი (+ პრეკლიტიკა (resp. პროკლიტიკა)) და სამი სუფიქსი (იაგერსმა 2010; ფაქსვოგი 2016). ამ შემთხვევაში, სამი რანგის ნაცვლად წარმოდგენილი იქნება სივრცობრივი პრეფიქსების ხუთი რანგი და აგრეთვე მათი წინამავალი პირის ნიშანი, რომელიც აზუსტებს კლასს, პირსა და რიცხვს იმ აქტანტისა, რომელსაც მიემართება სივრცობრივი პრეფიქსები (იაგერსმა 2010: 289), ასევე ვენტივისა (resp. ცისლოკატივი) და მაკავშირებელი {nga-} პრეფიქსები. ამას გარდა, შუმერული პირიანი ზმნა ნომინალიზატორის[55] {-a} სუფიქსის დართვით შეიძლება სახელად გარდაიქმნას (resp. შეიცვალოს მეტყველების ნაწილი) და დაერთოს ბრუნვის მაჩვენებელიც. ამგვარი ზმნა ხშირად გამოიყენება დამოკიდებულ წინადადებებში (იაგერსმა 2010: 743; ფაქსვოგი 2016: 155).

ცხრილი № 5 შუმერული ზმნის რანგობრივი სტრუქტურა (არატრადიციული)

-10	კლიტიკა ({nu=}, {ḫa=}) და მოდალური პრეფიქსები ({i-}, {a-}, {u-}; {nan-}, {ga-}, {bara-})
-9	მაკავშირებელი {nga-}
-8	ვენტივი {mu-}, {ma-}
-7	მედიალური {ba-}
-6	ინიციალური პირის ნიშნები (initial)
-5	ირიბი დამატება (დატივი) {a-}
-4	კომიტატივი {da-}
-3	აბლატივი და ტერმინატივი {ta-} და {ši-}
-2	ლოკატივი {ni-} და {e-}
-1	ფინალური პირის ნიშნები (final)
0	**ძირი**
1	იმპერფექტივი/ირეალისი {-ed}
2	პირის ნიშნები
3	ნომინალიზატორი/სუბორდინატორი {-a}

55 ე. სმითი ნომინალიზატორის ნაცვლად გლოსირებისას იყენებს SUB (subordination) შემოკლებას, რაც მიუთითებს, რომ შესაბამისი ზმნა დამოკიდებულ წინადადებაში შედის (სმითი 2010).

ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებით, სივრცობრივი მიმართების პრეფიქსებს უკავია ხუთი (და არა სამი) რანგობრივი პოზიცია (დატივის ჩათვლით), აგრეთვე ცალკე გამოიყოფა პირის ნიშანი, რომელიც ერთვის მხოლოდ პირველ სივრცობრივ პრეფიქსს (რა თქმა უნდა, თუ ერთზე მეტი არის წარმოდგენილი ზმნურ სიტყვაფორმაში). (18a) მაგალითიდან ჩანს, რომ /n-/ მესამე პირის მორფი[56] წინ უძღვის კომიტატივის /da-/ მორფს (-4 რანგი), ხოლო ძირეული მორფის წინ წარმოდგენილია /b-/ არაგონიერი პირის აღმნიშვნელი, რომელიც მიემართება აბსოლუტიურ ბრუნვაში მდგარ ki-nu$_2$-ს „საძინებელს". -3 რანგის ტერმინატიულ მორფემას (18b)-ში ასევე /n-/ მორფი უძღვის წინ. (18c) მაგალითში ერთდროულად არის წარმოდგენილი დატივის (resp. სემანტიკური როლით – რეციპიენტი/ბენეფაქტივი, გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით – R) /a-/ და ლოკატივის /ni-/, რომელთაგან მხოლოდ პირველს, R-ს აქვს გონიერი მესამე პირის აღმნიშვნელი ნიშანი. (18c) და (18d) მაგალითების შედარება ცხადყოფს, რომ ლოკატივის მაჩვენებელი ზმნაში ერთ შემთხვევაში ასახავს ტერმინატივში მდგარ სახელს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ლოკატივში მდგარს, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინატივს მოეძებნება თავისი მაჩვენებელი ზმნაში {ši-}. ამგვარი აღრევა, სავარაუდოდ, უნდა აიხსნას ორივე მაჩვენებლის სემანტიკური სიახლოვით: ორივე მათგანი გამოხატავს სივრცობრივ მიმართებას.

(18) ზმნური სივრცობრივი პრეფიქსები

a. *^{d}ama-ušumgal-an-na* *ki-nu$_2$* *mu-un-da-ab-ak-e*

ama.ušumgal.ana=e *kinu=Ø* *mu-n-da-b-ak-e*

ამაუშუმგალანა=ERG საძინებელი=ABS VENT-3SG.H-COM-3SG.N.P-კეთება-3SG.A.IPFV

„ამაუშუმგალანა გვერდით უწევს" (A šir-namursaĝa to Ninsiana for Iddin-Dagan (Iddin-Dagan A) (c.2.5.3.1), line c2531.M.189)

56 მოცემული პირით აღნიშნული სახელი, აქტანტი თუ უბრალო დამატება, წარმოადგენს ცალკე შესწავლის საგანს.

b. *mušen-e* *ni$_2$-bi* *mu-un-na-ra-ba-e*

mušen=e *nibi* *mu-n-a-ta-n-ba-e*

ფრინველი=ERG თვითონ VENT-3SG.H-R-ABL-3SG.H.P-განაწილება-3SG.A.IPFV

ul *mu-un-ši-ak-e*

ul=Ø *mu-n-ši-b-ak-e*

აღელვება=ABS VENT-3SG.H-TERM-3SG.N.P-კეთება-3SG.H.A.IPFV

„ჩიტმა წარუდგინა თავი, მისთვის გაიხარა“ (Lugalbanda and the Anzud bird (c.1.8.2.2), line c1822.132)

c. *gi$_{16}$-sa* *da-ri$_2$-še$_3$* *mu-un-na-ni-ak-e*

gilsa=Ø *dari=še* *mu-n-a-ni-b-ak-e*

განძი=ABS მარადიული=TERM VENT-3SG.H-R-LOC-3SG.N.P-კეთება-3SG.H.A.IPFV

„მას დიდად აფასებს სამუდამოდ“ (Proverbs: collection 17 (c.6.1.17), line c6117.B.17.b4.19)

d. *e$_2$* *kug-ga* *i-ni-in-du$_3$*

e=Ø *kug=a* *i-ni-n-du-Ø*

ტაძარი=ABS ძვირფასი.ლითონი=LOC NEUT-LOC-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

^{na}$_4$za-gin$_3$-na *i-ni-in-gun$_3$*

zagin=a *i-ni-n-gun=Ø*

ლილაქვა=LOC NEUT-LOC-3SG.H.A-წასმა-3SG.N.P

„მან ააშენა ტაძარი ძვირფასი ლითონისაგან, შეამკო ლილაქვით“ (Enki's journey to Nibru (c.1.1.4), line c114.11)

e. ed + e

muš *ul$_4$* *kur-ra-ke$_4$* *si-im*

muš *ul* *kur=ak=e* *sim=Ø*

გველი მარდი მთა=GEN=ERG შესუნთქვა=ABS

ḫe$_2$-em-ši-ak-de$_3$

ḫe-mu-n-ši-b-ak-ed-e

PREC-VENT-3SG.H-TERM-3SG.N.P-კეთება-IRR-3SG.H.IPFV

„მთის წინდახედული გველები ცხვირით შეისუნთქავენ მას“ (Lugalbanda in the mountain cave (c.1.8.2.1), line c1821.A.360)

f. ed + en + am

lugal-me *gud-da* *ri*

lugal=me *gud=ak* *ri=Ø*

მეფე=1PL.POSS ხარი=GEN მიმართულება=ABS

i_3-ak-e-de$_3$-nam

i-b-ak-ed-en=am

NEUT-3SG.N.P-კეთება-IRR-1PL.A=1SG.COL

„ჩვენო მეფეო! ჩვენ მენახირეები ვართ“ (The three ox-drivers from Adab (c.5.6.5), line c565.4)

(18e) და (18f) მიუთითებენ სუფიქსურ მორფემათა რანგობრივ მიმართებებს: ირეალისის მაჩვენებელი {-ed} წინ უსწრებს (+1 რანგი) პირისა და რიცხვის გამომხატველ მორფემებს (მოცემულ მაგალითებში /-e/ და /-en/ შესაბამისად). (18e)-ში წარმოდგენილი {-e} მორფემა კუმულაციურად გამოხატავს როგორც მესამე პირს, ასევე იმპერფექტიულ ასპექტს (განსხვავებული მოსაზრებების შესახებ იხ. ქვეთავი 5).

(18f) გამოხატავს {-am} „ყოფნა“ ზმნის პოსტკლიტიკურ (resp. ენკლიტიკურ) ნიმუშს: ერთვის და აფორმებს მთელ წინადადებას, რაც ასევე კიდევ ერთი მაგალითია ინკორპორაციისა. ამ წინადადებაში წარმოდგენილია ნაკლებგავრცელებული კონსტრუქცია: გენიტივიანი დამოკიდებული სახელი (gud-da „ხარის“) წინ უძღვის მთავარ წევრს (ri „მიმართულება“). მოსალოდნელი იყო პოსტპოზიციური წყობა: ri gud-da „მიმართულება ხარისა“, თუმცა სხვა შემთხვევებშიც დასტურდება პოსტპოზიციური წყობა.[57] ამგვარი მაგალითი, შესაძლოა, დიაქრონიული განვითარების შედეგი იყოს, რომელიც ბოლომდე ვერ მივიდა მხოლოდ იმიტომ, რომ შუმერული ენა, სავარაუდოდ, ჩვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე მკვდარი იყო და მხოლოდ სპეციალური შესწავლის საგანს წარმოადგენდა.

57 პოსტპოზიციური წყობის შემთხვევაში, როგორც წესი, გავრცელებულია შემდეგი სტრუქტურის გენიტიური კონსტრუქცია: პოსესორი + გენიტივი + სახელი + კუთვნილებითი კლიტიკური ნაცვალსახელი (ფაქსვოგი 2016: 41).

დროით დამოკიდებულ წინადადებაში ნომინალიზატორის მაჩვენებელი შეიძლება დაერთოს მთელ ზმნურ ფრაზას, რომელსაც, თავის მხრივ, უერთდება ლოკატივის მაჩვენებელი:

(19) დროითი დამოკიდებული წინადადება

ud	*uru$_2$-zu*[58]	*im-ma-gul-la-ba*
ud	*iri=zu*	*ima-gul-Ø-a=bi=a*
დღე	ქალაქი=2SG.POSS	MID.VENT-განადგურება-3SG.S-NMLZ=3SG.N.DEM=LOC
i$_3$-ne-eš$_2$-gin,		*i$_3$-e-am$_3$-mu$_2$*
inešgin		*i-e-m-mu-Ø*
როგორ		NEUT-2SG.A-?-ზრდა-3SG.P

„შენი ქალაქის განადგურების შემდეგ როგორ არსებობ?“ (The lament for Urim (c.2.2.2), line c222.O.335)

(19)-ში წარმოდგენილი დროითი დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს ud-bi-a „იმ დღეს“ ზმნიზედის გავრცობილ ვარიანტს: არსებით სახელსა (ud „დღე“) და ჩვენებით კლიტიკურ ნაცვალსახელს შორის ჩართული მთელი წინადადება uru$_2$-zu im-ma-gul „ქალაქი განადგურდა“, რომელიც დაირთავს ნომინალიზატორის გამომხატველ {-a} სუფიქსს, ერთი მხრივ, იმისთვის, რომ დამოკიდებული წინადადების ფუნქციით გამოდის, ხოლო, მეორე მხრივ, იმისთვის, რომ დაირთოს კლიტიკური ჩვენებითი ნაცვალსახელი და ლოკატიური ბრუნვის მაჩვენებელი. მოცემული წინადადება ინკორპორაციის კიდევ ერთ ნიმუშს წარმოადგენს.

განხილული მაგალითების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ ძირეულ მორფემაზე დაყრდნობით შეუძლებელია გაირკვეს, რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება ესა თუ ის სიტყვა. მხოლოდ ძირთან დაკავშირებული გრამატიკული კატეგორიებით განისაზღვრება მოცემული ფრაზის სახელურობა თუ ზმნურობა. სახელი ხასიათდება ბრუნების, რიცხვის,

58 uru$_2$ ემესალ დიალექტში აღნიშნავს „ქალაქს“.

კლასის (გონიერი ~ არაგონიერი), კუთვნილებისა და პირის გრამატიკული კატეგორიებით, ხოლო ზმნა ხასიათდება პირის, რიცხვის, კლასის, ასპექტის, კილოსა და გვარის გრამატიკული კატეგორიებით (ედცარდი 2003: 24-26).

2.5 უღლებათა და წყობათა ტიპები

ზმნა შუმერულ ენაში იუღლება როგორც პირის, ასევე კლასის (მხოლოდ მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი) მიხედვით. უღლების ძირითადი განმასხვავებელი არის ასპექტის გრამატიკული კატეგორია: პერფექტივი და იმპერფექტივი. პერფექტივში დასტურდება ერგატიული წყობა (როგორც არსებითი სახელის ბრუნებაში (flagging), ასევე ზმნაში გამოხატული (indexing) პირის გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლებში), ხოლო იმპერფექტივში – ერგატიული სახელურ ფრაზაში; flagging) და ნომინატიური (ზმნაში; indexing) წყობები (დიაკონოვი 1967: 29-34; ფაქსვოგი[59] 1975; მიხალოვსკი 1980; თომსენი 1984: 49-51; ზოიომი 1993ა; ჰეიზი 2000: 8-12; ედცარდი 2003: 90-91; იაგერსმა 2010: 295-296).

ტრადიციულად წყობათა დადგენა ხდება სინტაქსური ფუნქციების (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება) გათვალისწინებით, თუმცა ამგვარი ტრადიციული მიდგომა აპრიორულად (გარდამავალ ზმნაში მაინც) მიიჩნევს, რომ აგენსი აუცილებლად წარმოადგენს ქვემდებარეს, ხოლო პირდაპირი დამატება – პაციენსს (ყოველგვარი წინასწარი სინტაქსური ანალიზის გარეშე); უმჯობესია,

59 დ. ფაქსვოგი აღწერს სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციას და, ამასთანავე, იყენებს ad hoc ტერმინებს (primary participant, secondary participant, category 1, category 2 და ა. შ.), მაგრამ მას რატომღაც ყურადღებიდან გამორჩა ხლეჩილი ერგატიულობა (split ergativity) და ხლეჩის ძირითადი პრინციპები შუმერულ ენაში, რომელიც უფრო ნათლად ჩამოაყალიბა ოდნავ მოგვიანებით პ. მიხალოვსკიმ (დ. ფაქსვოგი, პირადი საუბრები).

გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების[60] (S, A, P, T, R) გათვალისწინებით დადგინდეს წყობათა და უღლებათა ტიპები, ხოლო შემდეგ ეტაპზე გაირკვეს სინტაქსური ფუნქციები (ქვემდებარე, პირდაპირი/პირველადი დამატება, ირიბი/მეორეული დამატება), როგორც მორფოლოგიური მარკირების, ასევე სინტაქსური ანალიზის საშუალებით.

პერფექტივში ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის A აქტანტი გამოიხატება {=e} მაჩვენებლით (ერგატიული ბრუნვა), ხოლო P – {=Ø} მარკერით (აბსოლუტიური ბრუნვა), გარდაუვალი ზმნის S აქტანტი კი გამოიხატება ისევე, როგორც გარდამავალი ზმნის P; ამგვარად, არსებითი სახელის მარკირების მიხედვით (flagging) შუმერულში წარმოდგენილია ერგატიული კონსტრუქცია; ასევე ერგატიული კონსტრუქციაა წარმოდგენილი ზმნაში მარკირების (indexing) მიხედვით პერფექტივში, რადგანაც A გამოიხატება პრეფიქსული მაჩვენებლების საშუალებით (I პირი – {Ø-},[61] II – {e-} III – {n-} (გონიერთა კლასი) და /b-/ (არაგონიერთა კლასი)), ხოლო S და P გამოიხატება სუფიქსების საშუალებით (I და II პირი – {-en}, III პირი – {-Ø}). იმპერფექტივში ზმნა უჩვენებს ნომინატიურ წყობას, რადგანაც A და S გამოიხატება სუფიქსურად (I და II პირი – {-en}, III პირი – {-e}), ხოლო P – პრეფიქსების საშუალებით.[62]

---

60 გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით ოპერირება, რა თქმა უნდა, apriori არ ნიშნავს, რომ შემდეგნაირად დამთხვევა სინტაქსური ფუნქციები პრიმიტივებს: A = ქვემდებარე, P = პირდაპირი დამატება, R = ირიბი დამატება, S = გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე (სხვადასხვა კონსტრუქციის პროტოტიპურ შემთხვევებში მაინც), მაგრამ წინასწარ, ყოველგვარი ანალიზისა და ინტერპრეტაციის გარეშე, შეუძლებელია ამის დადგენა.

61 ა. იაგერსმა აღადგენს /ʔ-/ პრეფიქსს პირველი პირის გამომხატველად (იაგერსმა 2010: 337).

62 ზოგიერთი მიდგომით, {-e} გამოხატავს მხოლოდ იმპერფექტივს, მესამე პირი კი გამოიხატება {-Ø} პრეფიქსის საშუალებით.

(20) წყობათა ტიპები

a. გარდამავალი, პერფექტივი

ensi$_2$-ke$_4$	*e$_2$*	*mu-du$_3$*
ensik=e	*e=Ø*	*mu-n-du-Ø*
მმართველი=ERG	სახლი=ABS	VENT-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„მმართველმა ააშენა სახლი" (The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.602)

b. გარდამავალი, იმპერფექტივი

sipad-de$_3$	*e$_2$*	*kug-ga*	*mu-du$_3$-e*
sipad=e	*e=Ø*	*kug=a*	*mu-b-du-e*
მწყემსი=ERG	სახლი=ABS	ვერცხლი=LOC	VENT-3SG.N.P-აღმართვა-3SG.A.IPFV

„მწყემსი აპირებდა, რომ სახლი აეშენებინა ვერცხლით" (The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.446)

c. გარდაუვალი, პერფექტივი

lugal	*ur$_2$*	*kug-še$_3$*	*saĝ*	*il$_2$-la*	*mu-un-ĝen*
lugal=Ø	*ur*	*kug=še*	*saĝ*	*il-a*	*mu-ni-ĝen-Ø*
მეფე=ABS	ძირი	წმინდა=TERM	თავი	აწევა-NMLZ	VENT-LOC-სვლა-3SG.S

„მეფე მიდის თავისი წმინდა ბარძაყით თავაწეული" (A šir-namursaĝa to Ninsiana for Iddin-Dagan (Iddin-Dagan A) (c.2.5.3.1), line c2531.M.187)

d. გარდაუვალი, იმპერფექტივი

mušen-gin$_7$	*i$_3$-dal-e*
mušen=gin	*i-dal-e*[63]
ფრინველი=EQU	NEUT-ფრენა-3SG.S.IPFV

„თითქოს ჩიტივით დაფრინავდა" (Ninurta's exploits: a šir-sud (?) to Ninurta (c.1.6.2), line c162.110)

თუ შევადარებთ სამვალენტიან და ორვალენტიან გარდამავალ ზმნებს, შუმერულისთვის წარმოდგენილი იქნება ინდირექტიული (indirective) წყობა, რადგანაც

63 შეგვეძლო აღგვედგინა {-ed} ირეალისის მორფემა + {-Ø} მესამე პირის მაჩვენებელი, როგორც ამას შუმეროლოგების ნაწილი მიიჩნევს, მაგრამ ჩვენი მიზნისთვის საკითხის უფრო მარტივ გადაწყვეტას მივმართეთ.

როგორც P გამოიხატება ორვალენტიან ზმნაში ზუსტად იმავე აფიქსებით, რომელი აფიქსებითაც გამოიხატება T სამვალენტიან ზმნებში: პერფექტივში – პრეფიქსების საშუალებით, ხოლო იმპერფექტივში – სუფიქსების საშუალებით. R ყოველთვის გამოიხატება პრეფიქსებით, ოღონდ ცალ-ცალკე აფიქსებად მიიჩნევა R-ის გამომხატველი მორფემა, რომელსაც წინ უძღვის პირის მაჩვენებელი (I პირი – {m-} + {a-}, II პირი – {r-} + {a-}, III პირი – {n-} + {a-}). არსებით სახელში T მარკირებულია როგორც P – აბსოლუტიური ბრუნვით, ხოლო R – მათგან განსხვავებულად (დატივის მაჩვენებლით – გონიერთა კლასში, ხოლო დირექტივის მაჩვენებლით – არაგონიერთა კლასში). ამგვარად, სახელთა მარკირების მიხედვითაც, როგორც პერფექტივში, ასევე იმპერფექტივში წარმოდგენილია ინდირექტიული წყობა:

(21) სამვალენტიანი (ორმაგად გარდამავალი) ზმნა

a. პერფექტივი

en-me-er-kar$_2$-ra ^{d}en-ki-ke$_4$ ĝeštug$_2$ mu-na-an-šum$_2$

enmerkar=ra enkik=e ĝestug=Ø mu-n-a-n-šum-Ø

ენმერქარი=DAT ენქი=ERG ყური=ABS VENT-3SG.H-R-3SG.H.A-მიცემა-3SG.T

„ენქიმ უბოძა სიბრძნე ენმერქარს" (Enmerkar and the lord of Aratta (c.1.8.2.3), line c1823.420)

b. იმპერფექტივი

nin$_9$-a-ni kug ^{d}inana-ra ^{ĝiš}gu-za-ni-še$_3$

nin=ani kug inana=ra guza=ani=še

და=3SG.H.POSS წმინდა ინანა=DAT სკამი=3SG.POSS=TERM

mu-na-ab-šum$_2$-mu

mu-n-a-b-šum-e

VENT-3SG.H-R-3SG.N.T-მიცემა-3SG.A.IPFV

„მან მისცა თავის წმინდა დას – ინანას მისი სკამისათვის" (Gilgameš, Enkidu and the nether world (c.1.8.1.4), line c1814.1.147)

შუმერულში პრობლემა არის იმის გარკვევა, სხვადასხვა მაჩვენებლით გამოიხატება იმპერფექტივი და მე-

სამე პირი, თუ {-e} ზმნური სუფიქსი კუმულაციურად გამოხატავს ორივე გრამატიკულ მნიშვნელობას, აქედან გამომდინარე, მესამე პირში წარმოდგენილი იქნება ან ნომინატიური წყობა, ან კიდევ სამწევრა (tripartite) – დამოკიდებული პირისა და იმპერფექტივის მაჩვენებელთა ანალიზზე. ასევე, მრავლობით რიცხვში წარმოდგენილია სამწევრა წყობა, რადგანაც სამივე გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი გამოიხატება სხვადასხვა მაჩვენებლით (მიხალოვსკი 1980: 96; იაგერსმა 2010: 295).

(22) პერფექტივი, მრავლობითი

šag$_4$-zu-a	*lugal*	*^{d}en-ki-ra*	*me*
šag=zu=a	*lugal*	*enki=ra*	*me=Ø*
გული=2PL.POSS=LOC	მეფე	ენქი=DAT	არსი=ABS

mu-na-ni-šum$_2$-mu-uš

mu-n-a-ni-b-šum-eš

VENT-3SG.H-R-LOC-3SG.N.T-მიცემა-3PL.A

„თქვენ შორის მათ უბოძეს ღვთაებრივი ძალა მეფე ენქის“ (A hymn to Enki for Išme-Dagan (c.2.5.4.b), line c254b.10)

(23) იმპერფექტივი

a. გარდამავალი

za-e	*e$_2$-ubur-ra*	*ma-ra-an-du$_3$-u$_3$-ne*
zae	*euburra=Ø*	*mu-r-a-n-du-ene*
2SG	მოსაწველი.ფარეხი=ABS	VENT-2SG-R-3SG.T-აღმართვა-3PL.A.IPFV

„მათ ააშენეს სარძევე ფარეხი შენთვის“ (The debate between Grain and Sheep (c.5.3.2), line c532.136)

b. გარდაუვალი

nam-lugal-bi	*bal-bi*	*ba-gid$_2$-e-de$_3$*
namlugal=bi	*bal=bi=Ø*	*ba-gid-ed-e*
მეფობა=3SG.N.POSS	ვადა=3SG.N.POSS=ABS	MID-დიდი.ხანი.ყოფნა-IRR-3SG.S.IPFV

„მისი მეფობის ვადა დიდ ხანს გაგრძელდა“ (The lament for Sumer and Urim (c.2.2.3), line c223.G.369)

თუ მივიჩნევთ, რომ იმპერფექტივის (გარდამავალი)

{-e} სუფიქსი იმპერფექტივის გარდა გამოხატავს პირის მაჩვენებელსაც (A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი), მაშინ ეს გამოხატვა განსხვავდება S-ის მაჩვენებლისგან ({-ø} მორფემისგან) გარდაუვალ ზმნაში; ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ იმპერფექტივის მესამე პირში წარმოდგენილია სამწევრა წყობა.[64]

პირის ნაცვალსახელები ფორმალურად არ განასხვავებენ A-სა და S-ს; ამიტომ ნაცვალსახელურ კონსტრუქციებში წარმოდგენილი იქნება ნომინატიური წყობა, მაგრამ ამგვარი ანალიზი არასრულია, რადგან, როგორც მიუთითებენ, პირის ნაცვალსახელი არ არის წარმოდგენილი P-ს პოზიციაში: გამოხატულია ზმნაში მხოლოდ პირის მაჩვენებლით (თომსენი 1984: 50).

ასევე, წყობა იხლიჩება ნაწილობრივ კილოების (კოჰორტატივი, იმპერატივი) და დამატებითი დამოკიდებული წინადადების მიხედვით (მიხალოვსკი 1980: 103; ედცარდი 2003: 85-87; იაგერსმა 2010: 295).

როგორც ზემოთ ითქვა, შუმერულში წყობა შეიძლება განვასხვაოთ როგორც მარკირებით სახელურ ფრაზაში (ბრუნვათა სისტემა), ასევე მარკირებით ზმნაში (პირის მაჩვენებლებით). ერთი მხრივ, ერგატიულობა იხლიჩება ასპექტური და მოდალური სისტემის მიხედვით, ხოლო, მეორე მხრივ, სახელური იერარქია, ასევე წინადადების სინტაქსური სტატუსი (დროითი დამოკიდებული წინადადება). ამგვარად, შუმერულში წყობათა ტიპები განირჩევა ტიპოლოგიაში მიღებული (თუ თეორიულად შესაძლებელი) ხლეჩის ყველა პარამეტრით.

ამრიგად, ჩვენ არ განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის

64 ხშირად ურთიერთგამომრიცხავია სხვადასხვა შუმეროლოგის ანალიზი, მაგრამ არ ცდილობენ დაასაბუთონ სხვისი უსაფუძვლობა: შეიძლება მხოლოდ ახსენონ და, ფაქტობრივად, არ შეადარონ თავიანთი მორფემული დაყოფა (განსაკუთრებით ზმნაში) განსხვავებულ ანალიზს: რატომ არის მათი მიდგომა უმჯობესი, ვიდრე სხვისი? რა თქმა უნდა, ლოგიკური მსჯელობა ყველა ნაშრომში გამართულია.

ზმნებს, რომლებსაც შეიძლება თავიანთი სპეციფიკური მახასიათებლები ჰქონდეთ, რადგანაც ჩვენი მიზანი არის არა გამონაკლისების ახსნა, არამედ სისტემის ზოგადი პრინციპების დადგენა.

თავი III
აქტანტური დერივაცია შუმერულში: საუღლებელი პრეფიქსები[65]

3.1. ზოგადი

მოცემულ თავში განიხილება აქტანტური დერივაციის გამოხატვის საშუალებები (მედიალური და პასიური გვარი, კაუზატივი, ლოკატიური და ნეიტრალური ზმნური პრეფიქსები): როგორც მათი სინტაქსური ქცევა (სახელური ფრაზები და მათი ფუნქციები), ასევე მორფოლოგიური მარკირება (როგორც ზმნაში, ისე სახელურ ფრაზაში).

მომდევნო ქვეთავებში (მეორე და მესამე) მიმოიხილება სხვადასხვა შუმეროლოგის განსხვავებული შეხედულებები და ჩვენეული ინტერპრეტაცია მოცემული პრობლემის შესახებ. მეოთხე ქვეთავი კი გადმოსცემს ტიპოლოგიურ მსგავსება-განსხვავებას შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით ქართული ენის ქცევის გრამატიკული კატეგორიისა და შუმერული ენის ე. წ. „საუღლებელ პრეფიქსებს“ შორის. ბოლოს კი დასკვნის სახით (მეხუთე ქვეთავი) გადმოცემულია და განზოგადებულია ის საკითხები, რომელთა მიმოხილვა, განხილვა და ინტერპრეტაცია წარმოვადგინეთ ნაშრომის მესამე თავში.

---

65 მომზადებულია „ქცევის გრამატიკული კატეგორია ქართულში და „საუღლებელი პრეფიქსები“ შუმერულში“ სტატიის მიხედვით (ბარათაშვილი 2017).

3.2 საუღლებელ პრეფიქსთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია

-5 (ტრადიციულად), ან -7 და -8 (უფრო თანამედროვე მიდგომით) რანგში გაერთიანებულ მორფემებს ტრადიციულად უწოდებენ საუღლებელ პრეფიქსებს (conjugation prefixes), რომელთა ალომორფულ შედგენილობასა და ფუნქციურ დატვირთულობაზე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები არსებობს (დიაკონოვი 1967: 67-68; ფაქსვოგი 1974; თომსენი 1984: 161-189; იოსიკავა 1993გ; ზოიომი 1993ბ; კანევა 1996: 105-145; ჰეიზი 2000: 43-44, 50, 107-108, 162-163, 203, 236, 296, 428, 433-434; ფაქსვოგი 2016: 91-96; ზოიომი 2017: 156-162).

ტერმინი „საუღლებელი პრეფიქსი“ მიუთითებს, რომ ზმნაში სხვა პრეფიქსების არარსებობის (თუ გრაფიკულად გამოუხატველობის) შემთხვევაში, ზმნა წარმოადგენს პირიან (resp. ფინიტურ) ფორმას (კანევა 1996: 105).

სხვადასხვა მიდგომიდან ძირითადად გამოყოფენ სამ ურთიერთგანსხვავებულ (მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავ) შეხედულებებს აღნიშნული პრეფიქსების ფუნქციების შესახებ. საუღლებელი პრეფიქსები შეიძლება გამოხატავდნენ ზოგად მიმართულებას, გვარს (ფართო გაგებით), ტოპიკალიზაციას (resp. აქტუალიზაციას, ფოკუსს) (სმითი 2010: 86).

ტრადიციულად გამოიყოფა შვიდი საუღლებელი პრეფიქსული მორფემა (კანევა 1996: 106), რომლებიც, დომინანტური ალომორფების გათვალისწინებით, ჩაიწერება შემდეგნაირად: {mu-}, {i-}, {ba-}, {bi-}, {ima-}, {imi-} და {al-}.[66]

66 ასევე განიხილება /am-ma-/ (გრაფიკულად <am$_3$-ma->) და /am-mi-/ (/am$_3$-mi-/) მორფული მიმდევრობები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ როგორც /im-ma-/ და /im-mi-/ მიმდევრობათა გრაფიკულ (თუ ფონეტიკურ?) ვარიანტებად, ან კიდევ როგორც მათგან განსხვავებულ მორფთა მიმდევრობად, რომლის პირველი შემადგენელი არის /a-/ მორფი (მ. თომსენისთვის /m/ სეგმენტი მიუთითებს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას) და რომელიც

ამის შემდეგ იწყება სხვადასხვა სახის ვარაუდი პრეფიქსთა რაოდენობასა და მათი ალომორფული შედგენილობის შესახებ. ერთი ვერსიით, {ima-} და {imi-} შეიცავს არა ერთ, არამედ უფრო მეტ მორფემულ მიმდევრობას და ისინი გამოიყვანება, შესაბამისად, {i-} + {mu-} + {ba-} (ან {i-} + {ba-},[67] ან კიდევ: {i-} + {b}) და {i-} + {mu-} + {bi} ({i-} + {bi-})[68] მორფემული მიმდევრობებიდან, ანუ ივარაუდება ასიმილაციის გზით /b/ > /m/ გადასვლა. სწორედ ამ პროცესის გამომხატველად მიიჩნევენ გემინირებულ /m/ თანხმოვანს, რომლებიც, ამ ანალიზის თანახმად, მიეკუთვნებიან სხვადასხვა მორფემას (ფალკენშტაინი 1950: 182-184; თომსენი 1984: 161; კანევა 1994: 126, 139). აგრეთვე შესაძლებელია {ba-} და {bi-} მორფემათა დაშლაც და მათი მიჩნევა {b-} არაგონიერი მესამე პირის გამომხატველ მორფემად და {a-} დატიური (resp. რეციპიენტისა თუ ბენეფაქტივის ან ადგილობითი) და {i-} ლოკატიური (ან ადგილობით-მიმართულებითი) მნიშვნელობების გამომხატველად; სხვა მიდგომით, ორივე ხმოვანი გამოხატავს დისტანციას მსმენელისა თუ ადრესატისაგან (ფალკენშტაინი 1949: 180-184; კანევა 1996: 106). ამგვარი შეხედულების თანახმად, საუღლებელი პრეფიქსების მორფემები სამ სხვადასხვა რანგში ექცევა და, შესაბამისად, ფუნქციურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, {i-} პრეფიქსი დამოუკიდებელ რანგში გაჰყავს მ. თომსენს და მის ვარიანტად მიიჩნევს {a-} პრეფიქსს, ხოლო დანარჩენ საუღლებელ პრეფიქსებს ({mu-}, {m-}, {ba-},

შეიძლება არ წარმოადგენდეს {i-} მორფემის ალომორფს (თომსენი 1984: 166; იაგერსმა 2010: 287, 517, 526-534).

67 მ. თომსენი მიიჩნევს, რომ /m/ სეგმენტი მიუთითებს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას და ამიტომ /im-ma-/ და /im-mi-/ მიმდევრობა შედგება ორ-ორი და არა სამ-სამი მორფისაგან (თომსენი 1984: 161).

68 მოცემულ პრეფიქსთა ამგვარი თეორიულად შესაძლებელი თითქმის ყველა ანალიზი მოწმობს, რომ არ არსებობს ცალსახა პასუხი ენობრივი აღწერისა და მისი ახსნისათვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტექსტი იძლევა ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას.

{bi-})[69] ერთ რანგში აერთიანებს (თომსენი 1984: 161).

{m-} თუ {mu-} პრეფიქსი გამოხატავს ვენტივის (resp. ცისლოკატივის) მაჩვენებელს, რომელიც მიუთითებს მოქმედების მიმართულებას მოლაპარაკისაკენ, ხოლო {ba-} და {bi-} პრეფიქსებით გამოხატულ საპირისპირო გრამატიკულ მნიშვნელობას ეწოდება იენტივი (resp. არავენტივი) (თომსენი 1984: 172-173; კრეხერი 1985; იოსიკავა 1993გ; კანევა 1996: 106; იაგერსმა 2010: 497-511; ფაქსვოგი 2016: 91-96); მაგრამ, როგორც მიუთითებენ, ტექსტში ხშირად რთულია (თუ შეუძლებელი არა) მიმართულებების დადგენა (კანევა 1996: 108). ვენტიური და იენტიური მნიშვნელობები ({m-} გამოხატავს სააქეთო მნიშვნელობას, ხოლო {b-} – საიქითოს) დადგენილი და გამორკვეულია აქადური და შუმერული ორენოვანი ლექსიკური სიებისა და მათი აქადური გრამატიკული ეკვივალენტების მიხედვით (იოსიკავა 1993გ), რომლებიც შეიძლება ადეკვატურად ვერ ასახავდნენ შუმერულ გრამატიკულ შინაარსს.

ასევე, როგორც ჩანს, იაპონური ენის გავლენით მ. იოსიკავა {mu-} და {i-} პრეფიქსებს დამატებით მიაწერს აგენსითა და რეციპიენტით გამოხატული სახელების მაღალ და დაბალ სოციალურ სტატუსს, ასევე ტოპიკალიზაციის ფუნქციას[70] (თომსენი 1984: 165-166; იოსიკავა 1993ბ: 138-139, 142, 151, 159; იოსიკავა 1993გ: 176, 178; იოსიკავა 1993ე: 207).

ხშირად თითოეული საუღლებელი პრეფიქსის ანალი-

---

69 როგორც ზემოთ ითქვა, მ. თომსენისთვის /im-ma-/ და /im-mi-/ წარმოადგენს ორ-ორი მორფის მიმდევრობას.

70 ტოპიკალიზაცია (resp. აქტუალიზაცია) წარმოადგენს პრაგმატიკის საკითხს. რა თქმა უნდა, ხშირად ჭირს ერთმანეთისაგან მკაცრად გაიმიჯნოს წმინდა სინტაქსური და პრაგმატიკული პრობლემები და აგრეთვე თითოეული სინტაქსური მოვლენა ყოველთვის შეიძლება განვიხილოთ პრაგმატიკულ ჭრილში. მაგ., აქტივი ~ პასივის ოპოზიცია გარდა მორფოლოგიურისა (მაგ., აფიქსაციის ცვლილება მნიშვნელობის ცვლილების დროს) და სინტაქსურისა (მაგ., აქტანტის კლება-მატება და ვალენტობა), შეიძლება განვიხილოთ პრაგმატიკულ საკითხადაც (მაგ., გრამატიკულად დაწინაურებული წევრის ტოპიკალიზაცია).

ზისას მიუთითებენ, რომ მოქმედება ხდება ირიბი დამატების (გონიერი თუ არაგონიერი) სასარგებლოდ[71] (დიაკონოვი 1979: 27; კანევა 1996: 108). აგრეთვე საუღლებელი პრეფიქსები გამოხატავენ გვარის გრამატიკულ კატეგორიას: განსაკუთრებით {ba-} პრეფიქსს მიაწერენ საშუალი გვარის მნიშვნელობას (და მასთან თავსებად პასივის მნიშვნელობასაც[72]). საშუალი გვარი მოიცავს რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას (ავტობენეფაქტივი, რეფლექსივი, რეციპროკი) და ხშირად კონკრეტული ზმნებისათვის შინაგან მახასიათებელს წარმოადგენს (inherently middle verbs) (ზოიომი 1993ბ: 107-108, 144; ვუდსი 2008; იაგერსმა 2010: 487; ზოიომი 2017: 157).

(1) გვარის გრამატიკული კატეგორია

a. გარდამავალი, აქტივი

ur-saĝ-e	*a_2-sag_3*	*mu-un-ug_5-ga-aš*[73]
ur.saĝ=e	*asag=Ø*	*mu-n-uš-eš*[74]
გმირი=ERG	ასაგი=ABS	VENT-3SG.H.A-კვდომა-3PL.P

„გმირმა მოკლა ასაგი“. (Ninurta's exploits: a šir-sud (?) to Ninurta (c.1.6.2), line c162.698)

b. გარდაუვალი, პასივი

unug^{ki}-ga	*lu_2*	*ba-$uš_2$*
unug=a	*lu=Ø*	*ba-uš-Ø*
ურუქი=LOC	პიროვნება=ABS	MID-კვდომა-3SG.S

„ურუქში ხალხი იხოცება“. (Gilgameš and Ḫuwawa (Version B) (c.1.8.1.5.1), line c18151.5)

---

71 პრეფიქსთა ამგვარ დახასიათებაში უნდა ვიგულისხმოთ ბენეფაქტივის გრამატიკული მნიშვნელობა.

72 მკვეთრად განსხვავდება ი. დიაკონოვის მიდგომისაგან, რომელიც, მოძველებული ტიპოლოგიური მიდგომის თანახმად, ასკვნის, რომ სხვა ერგატიული ენების მსგავსად შუმერულშიც არ არის წარმოდგენილი გვარის კატეგორია. აღნიშნული შეხედულების კრიტიკა იხ. გ. ზოიომის ნაშრომში (ზოიომი 1993ბ: 43-44).

73 როგორც A, ასევე P მხოლობით რიცხვში უნდა იყოს, თუმცა ზმნაში წარმოდგენილია {-eš} მრავლობითი რიცხვის მორფემა.

74 რადგანაც გლოსირების მეორე სტრიქონში წარმოვადგენთ დომინანტურ ალომორფებს, /-uɡ-/ ალომორფის ნაცვლად წერია /-uš/.

აღნიშნულ პრეფიქსებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავს ა. იაგერსმა, რომელიც მორფემებს აჯგუფებს შინაარსის მიხედვით და მათ ოთხ ჯგუფად ყოფს: ვოკალური პრეფიქსები ({a-} და {i-}),[75] ვენტივის მორფემა {mu-}, საშუალი გვარისა და ირიბი დამატების გამომხატველი {ba-} და ადგილისა და უბრალო დამატების გამომხატველი {bi-} (იაგერსმა 2010: 286). როგორც ჩანს, ა. იაგერსმა და სხვა შუმეროლოგებიც /ba-/ პრეფიქსს, ერთი მხრივ, განიხილავენ როგორც გვარის გამომხატველ აფიქსად, ხოლო, მეორე მხრივ, არაგონიერი ირიბი დამატების აღმნიშვნელად.[76] როდესაც /ba/ გამოხატავს არაგონიერ რეციპიენტს/ბენეფაქტივს, მაშინ უნდა წარმოვადგინოთ როგორც არაგონიერი მესამე პირის მაჩვენებელი {b-} + R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის {a-} (იაგერსმა 2010: 288):

(2) *ušumgal-gin*$_7$ *kur-re* *uš*$_{11}$
ušumgal=gin *kur=e* *uš=Ø*
გველის.სახეობა=EQU მთიანი.მიწა=DIR შხამიანი.ნერწყვი=ABS
ba-e-šum$_2$
b-a-e-šum-Ø
3SG.N-R-2SG.A-მიცემა-3SG.T
„დრაკონის მსგავსად შენ მიეცი შხამი უცხო მიწებს". (The exaltation of Inana (Inana B) (c.4.07.2), line c4072.9)

რადგანაც აღნიშნული პრეფიქსები შეიძლება მიუთითებდნენ ორიენტაციას გარკვეული პარტიციპანტისაკენ (ნებისმიერი მოქმედება მათ სასარგებლოდ, საზიანოდ თუ უბრალოდ მიმართულს რომელიმე პირისაკენ, ან მოქმედების მიმართულების შეფასება მოლაპარაკის მხრიდან), რუსულ შუმეროლოგიაში უწოდებენ მოქმედების

75 ა. იაგერსმას მიხედვით, {ʔa-} და {ʔi-}.

76 რა თქმა უნდა, შეგვეძლო განგვეხილა როგორც ორი სხვადასხვა პრეფიქსი: ერთი მხრივ, {ba-} როგორც მედიალური გვარის გამომხატველი ერთი მორფემა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც {b-} + {a} მორფემათა მიმდევრობა.

ზოგადი მიმართულების მაჩვენებლებს, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად შეუძლებელია აღნიშნული პრეფიქსების ზუსტი ფუნქციების გარკვევა (დიაკონოვი 1979: 27; კანევა 109-110).

კ. ვუდსი უპირისპირებს {mu-} და {ba-} პრეფიქსებს და ასკვნის, რომ პირველი მათგანი სიტუაციას წარმოაჩენს აგენსის პერსპექტივიდან, ხოლო მეორე – ზემოქმედებული ობიექტის პერსპექტივიდან. {mu-} მიუთითებს გარდამავლობისა და სულიერობის (თუ გონიერობის?) მაღალ ხარისხსა და სიტუაციის კონტროლზე, ნებით მოქმედებაზე, ხოლო {ba-} (და აგრეთვე /im-ma-/) – გარდამავლობისა და სულიერობის დაბალ ხარისხსა და სიტუაციის ზემოქმედებაზე, უნებლიე მოქმედებაზე. ყველა ზემოჩამოთვლილი მახასიათებლის მიხედვით, {mu-} პრეფიქსი წარმოადგენს მარკირებულ მოქმედებით გვარს, ხოლო {i-}, რომელიც, ფაქტობრივად, იმავე გარემოცვაში დასტურდება, სადაც {mu-} პრეფიქსი, წარმოადგენს არამარკირებულ მოქმედებით გვარს, რადგანაც ზოგიერთი ფუნქცია (ჰონორატივი, ვენტივი და ა. შ.), {mu-} პრეფიქსთან დაკავშირებული, ნეიტრალიზდება და არ გამოიხატება. ფაქტობრივად, გარდამავალ ზმნებთან ხმარებისას {mu-} გამოხატავს აგენსის ზემოქმედებას ობიექტზე[77] (resp. დამატებაზე). აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრეფიქსი გამოხატავს პროტოტიპურ გარდამავალ სიტუაციას; აგრეთვე ნ. პოსტგეიტის ნაშრომზე დაყრდნობით, კ. ვუდსი მიიჩნევს, რომ {mu-} პრეფიქსი მიუთითებს ქვემდებარისაგან[78] განსხვავებულ პირზე, რომლისთვისაც განკუთვნილია თუ რომელზეც მოცემული ზმნით გამოხატულ მოქმედებას აქვს შედეგი, ხოლო {ba-} ხმარების შემთხვევაში ამგვარი პირი არ დასტურდება: დატივში მდგარი სახელი არ არის გა-

77 ფაქტობრივად, იგულისხმება პაციენსი.

78 ფაქტობრივად, იგულისხმება აგენსი.

მოხატული წინადადებაში"[79] (ვუდსი 2008: 10-11, 40, 111-112, 221, 223-224).

(3) გარდამავლობისა და გვარის მნიშვნელობების შეთავსება:

a. აქტივი, ვენტივი, გარდამავალი, პერფექტივი

ensi$_2$-ke$_4$	*e$_2$*	*mu-du$_3$*
ensik=e	*e=Ø*	*mu-n-du-Ø*
მმართველი=ERG	სახლი=ABS	VENT-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„მმართველმა სახლი ააშენა". (The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.602)

b. აქტივი, ვენტივი, გარდამავალი, იმპერფექტივი

ma$_2$-laḫ$_5$-ra	*gir$_4$*	*mu-na-du$_3$-e*
malaḫ=ra	*gir=Ø*	*mu-n-a-b-du-en*
მენავე=DAT	ღუმელი=ABS	VENT-3SG.H-R-3SG.N.T-აღმართვა-1SG.A

„მე ვუმზადებ მენავეს გამოსაწვავ ღუმელს".
(The debate between Hoe and Plough (c.5.3.1), line c531.139)

c. ნეიტრალური

^{d}gilgameš$_3$-e	*numun$_2$-bur-ra*	*barag*	*^{d}en-lil$_2$-la$_2$*
gilgameš=e	*numunbura=Ø*	*barag*	*enlil=ak=a*
გილგამეში=ERG	ნუმუნბურა=ABS	ამაღლებული.ადგილი	ენლილი=GEN=LOC

in-du$_3$[80]
i-n-du-Ø
NEUT-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„გილგამეშმა ააგო ნუმუნბურა ენლილის ტაძარში".
(The history of the Tummal (c.2.1.3), line c213.12)

---

79 კ. ვუდსისათვის ის პირი, ვისთვისაც არის გამიზნული, თუ ვისაც მიემართება მოქმედების შედეგი და გამოიხატება დატიური ბრუნვის მაჩვენებლით, წარმოადგენს პერიფერიულ აქტანტს (ვუდსი 2008: 112). აღნიშნული აქტანტი შეესაბამება ფუნქციური ტიპოლოგიის R გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს, ამიტომ, ზოგადთეორიული თვალსაზრისით, უნდა წარმოადგენდეს ცენტრალურ და არა პერიფერიულ აქტანტს.

80 შეგვეძლო ლოკატივის მაჩვენებელი {ni-} ზმნაშიც აღგვედგინა: *i-n(i)-n-du$_3$-Ø*.

d. მედიალური

^{d}utu	*an-ur$_2$-ra*	*šu$_2$-a-gin$_7$*	*an-usan-še$_3$ ba-du$_3$*
utu=Ø	*anur=a*	*šu-a=gin*	*anusan=še ba-du-Ø*
უთუ=ABS	ჰორიზონტი=LOC	ჩასვლა-NMLZ=EQU	საღამო=TERM MID-აღმართვა-3SG.S

„თითქოს მზე ჰორიზონტის ქვეშ ჩავიდა, ბინდად გადაიქცა“.
(The lament for Eridug (c.2.2.6), line c226.1.A.A.24)

e. მედიალური, ვენტივი

šab-bi-a	*ki-sikil*	*lil$_2$-la$_2$-ke$_4$*	*e$_2$*
šab.ba-bi-a	*kisikil*	*lil=ak=e*	*e=Ø*
ნელი=3N.POSS=LOC	ახალგაზრდა.ქალი	მოჩვენება=GEN=ERG	სახლი=ABS

im-ma-ni-ib-du$_3$

ima-ni-b-du-Ø

MID.VENT-LOC-3SG.N.A-აღმართვა-3SG.P

„მის სხეულში მოჩვენებამ საცხოვრებელი მოიწყო“.
(Gilgameš, Enkidu and the nether world (c.1.8.1.4), line c1814.1.44)

პროტოტიპური გარდამავალი ზმნების განხილვისას ჩანს, რომ ისინი ხშირად გამოიყენება {mu-} პრეფიქსთან ერთად და წარმოადგენენ ამგვარი კონსტრუქციის ტიპურ ნიმუშებს (ვუდსი 2008: 114).

სიტუაციიდან თუ კონტექსტიდან გამომდინარე, ზმნას შესაძლებელია უკავშირდებოდეს ორი აქტანტი. ასეთ შემთხვევაში {mu-}-ს ენიჭება ავტობენეფაქტიური მნიშვნელობა: წარმოდგენილია ქვემდებარის[81] ინტერესი. ამგვარი ნიმუშები შეიძლება შევუდაროთ ბერძნულ მედიალურ გვარს: აქტიური გვარი მედიალურ გვართან შეიძლება მონაცვლეობდეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს {mu-} პრეფიქსის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სხვა საუღლებელ პრეფიქსებთან შედარებით: გარდამავლობის მაღალი ხარისხის გამოხატვას (ვუდსი 2008 :119).

{mu-}-სა და {i-}-ს შორის განსხვავება (მაგ., *mu-na-sum ~ i$_3$-na-sum* „მისცა“), კ. ვუდსის აზრით, დამოკიდებულია სახელურ იერარქიასა და აგრეთვე ფ. ტიურო-დანჟენიდან მომდინარე და დ. ედცარდის გაგრძელებული შეხედულება დეიქტიკურ

81 ფაქტობრივად, იგულისხმება აგენსი.

ოპოზიციაზე: ვენტივი ~ არავენტივი (resp. იენტივი), შესაბამისად. აგრეთვე ზემომითითებული მ. იოსიკავასეული განსხვავება სოციალური სტატუსის მიხედვით. ჰონორატივი დამოკიდებულია სახელურ იერარქიაზე და {mu-} და {i-} პრეფიქსთა არჩევა მოტივირებულია პრაგმატიკული ფაქტორებით[82] (ედცარდი 2003: 92-93; ვუდსი 2010: 148-150).

(4) {mu-} ~ {i-}

a.	*engar-ra*	u_8	*babbar$_2$-ra-ĝu$_{10}$*
	engar=ra	*u*	*babbar.a=ĝu=Ø*
	ფერმერი=DAT	ნერბი	თეთრი=1SG.POSS=ABS
	ga-mu-na-ši-ib-šum$_2$		
	ga-mu-n-a-ši-b-šum-Ø		
	COH.1SG.A-VENT-3SG.H-R-TERM-3SG.N.T-მიცემა		
	„ფერმერს მივცემ ჩემს თეთრ ნერბს“.		
	(Dumuzid and Enkimdu (c.4.08.33), line c40833.46)		
b.	*kug*	*^{d}inana-ke$_4$*	*su$_8$-ba*[83] *^{d}dumu-zid-da šu-ne-ne-a*
	kug	*inanak=e*	*sipad=Ø* *dumuzid=a*[84] *šu=anene=a*
	წმინდა	ინანა=ERG	მწყემსი=ABS დუმუზი=LOC ხელი=3PL.H.POSS=LOC
	in-na-šum$_2$		
	i-n-a-n-šum-Ø		
	NEUT-3SG.H-R-3SG.H.A-მიცემა-3SG.T		
	„წმინდა ინანამ დუმუზის მისცა“.		
	(Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.358)		

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საუღლებელი პრეფიქსების მთავარ ფუნქციად კ. ვუდსი მიიჩნევს გვარის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვას. ცალკე განი-

82 საუღლებელ პრეფიქსთა ამგვარ განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და გავლენას ვერ მოახდენს ვალენტობასა და აქტანტური დერივაციის საკითხზე.

83 su_8-ba „მწყემსი“ წარმოადგენს ემესალდიალექტის ფორმას.

84 ასახსნელია, რატომ დგას ლოკატიურ (ან სულაც კომიტატიურ) ბრუნვაში დატივის ნაცვლად. ან იქნებ კომიტატივის {=da} მორფემად უნდა მივიჩნიოთ?

ხილავს {ima-}[85] და {ba-} პრეფიქსებს, რომლებიც გამოხატავენ საშუალი გვარის შესაბამის მნიშვნელობებს: სხეულის მოვლა თუ სხეულის ნაწილით მოქმედების სიტუაცია (grooming and body action events: „დაბანა", „ხელის აწევა" და ა. შ.), შემეცნებითი და აღქმითი სიტუაცია (cognitive and perceptive events: „ფიქრი", „დანახვა" და ა. შ.), ავტობენეფაქტიური სიტუაციები (self-benefactive events: „დაუფლება" (acquire) და ა. შ.), ემოციის გამომხატველი სიტუაცია (events of emotion: „გაბრაზება" და ა. შ.), სპონტანური სიტუაცია (spontaneous events: „მოკვდომა" და ა. შ.) და სხვა. ასევე მედიალურ გვარში მოიაზრება რეფლექსივიც და რეციპროკიც. მოცემულ ორ აფიქსს შორის განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქმება ესა თუ ის სიტუაცია: {ima-} გამოხატავს წმინდა მედიალურ სიტუაციას, {ba-} – მედიოპასივსს, ხოლო {i-} ნეიტრალურია გვარის კატეგორიის მიმართ (ვუდსი 2008: 12, 14, 161). {ba-} პრეფიქსს მიაწერენ ორ ძირითად ფუნქციას: **1.** აღნიშნული პრეფიქსი უკავშირდება პარტიციპანტს ადგილობით, ადგილობით-მიმართულებით და მიმართულებით ბრუნვაში და ამავეს უკავშირდება შემდეგი დებულება: თუ ზმნა არ შეიცავს სივრცობრივ პრეფიქსებს, {ba-} ფუნქციურად ტოლია არაგონიერთა სივრცობრივი პრეფიქსებისა;[86] **2.** მოქმედების ლოკალიზაცია ან მიმართულება წარმოდგენილია მოლაპარაკისაგან დაშორებით (თომსენი 1984: 383-384; იოსიკავა 1993გ: 182-183; კანევა 1996: 120-121), {imi-} და {bi-} პრეფიქსები კი გამოხატავენ გვარს, მაგრამ შინაარსობრივად კომბინირებენ ლოკატიურ მნიშვნელობასთან. {imi-} პრეფიქსი {ima-}-სა-

85 ა. იაგერსმა მიუთითებს განსხვავებას თავის და კ. ვუდსის ნაშრომებს შორის და დასძენს, რომ კ. ვუდსის თვალსაზრისით ერთი მორფემა (ამ შემთხვევაში {ima-}) მისთვის წარმოადგენს სამი მორფემის მიმდევრობას {i-} + {mu-} + {ba-} (იაგერსმა 2010: 490).

86 ასეთ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვქონდეს ჰომოფონურ პრეფიქსებთან, რომლებიც რანგობრივი (და მორფემული) შემადგენლობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გან განსხვავდება იმით, რომ წინადადებაში შემოჰყავს ლოკატიურ-ტერმინატიული ელემენტი (ვუდსი 2008: 19, 163; იაგერსმა 2010: 489, 494).

(5) მედიალური გვარის მნიშვნელობები

a. სხეულზე მოქმედება

tug$_2$-mu-dur$_7$-ra	*ba-an-mur$_{10}$*
tugmudura=Ø	*ba-n-mur-Ø*
ბინძური.ქსოვილი=ABS	MID-3SG.H.A-ჩაცმა-3SG.P

„ბინძური ქსოვილით შეიმოსა". (Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.308)

b. სხეულზე მოქმედება

tug$_2$	*dili-a*	*im-ma-an-mur$_{10}$*
tug	*dili.a=Ø*	*ima-n-mur-Ø*
სამოსი	ერთადერთი=ABS	MID.VENT-3SG.H.A-ჩაცმა-3SG.P

„ერთადერთი ქსოვილით შეიმოსა". (Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.181)

c. მოძრაობა, გადაადგილება

eridug^{ki}-še$_3$	*ba-ĝen*
eridug=še	*ba-ĝen-Ø*
ერიდუ=TERM	MID-სვლა-3SG.S

„ერიდუში წავიდა". (Gilgameš, Enkidu and the nether world (c.1.8.1.4), line c1814.1.229)

d. მოძრაობა, გადაადგილება

e$_2$-e	*im-ma-ĝen*
e=e	*ima-ĝen-Ø*
ტაძარი=DIR	MID.VENT-სვლა-3SG.S

„ტაძარში მიდის". (Enki's journey to Nibru (c.1.1.4), line c114.19)

e. ემოცია

kug	*^{d}inana-ke$_4$*	*er$_2$*	*e-ne*	*ba-še$_8$-še$_8$*
kug	*inanak=e*	*er=Ø*	*ane*	*ba-n-šeš~šeš-Ø*
წმინდა	ინანა=ERG	ცრემლი=ABS	3SG	MID-3SG.H.A-ტირილი~INT-3SG.P

„წმინდა ინანამ იტირა". (Gilgameš, Enkidu and the nether world (c.1.8.1.4), line c1814.1.89)

f. ემოცია

igi	*^{d}en-lil$_2$-la$_2$-še$_3$*	*er$_2$*	*im-ma-še$_8$-še$_8$*
igi	*enlil=ak=še*	*er=Ø*	*ima-n-šeš-šeš-Ø*
თვალი	ენლილი=GEN=TERM	ცრემლი=ABS	MID.VENT-3SG.H.A-ტირილი-INT-3SG.P

„ენლილის წინაშე გოდებდა“. (Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.184)

g. ავტობენეფაქტივი

^{d}suen-e	*er$_2$-na*	*šu*
suen=e	*er=ani=a*	*šu=Ø*
სუენი=ERG	ცრემლი=3SG.POSS=LOC	ხელი=ABS

ba-an-ši-in-ti

ba-n-ši-n-te-Ø

MID-3SG.H-TERM-3SG.H.A-მიახლოება-3SG.P

„სუენმა მიიღო მისი ცრემლები“. (Lugalbanda in the mountain cave (c.1.8.2.1), line c1821.A.226)

h. ავტობენეფაქტივი

uĝ$_3$-e	*^{giš}al-e*	*šu*	*im-ma-an-ti-eš*
uĝ=e	*al=e*	*šu=Ø*	*ima-n-te-eš*
ხალხი=ERG	თოხი=DIR	ხელი=ABS	MID.VENT-3SG.H.A-მიახლოება-3PL.A

„ხალხი თოხს იღებს ხელში“. (The debate between Hoe and Plough (c.5.3.1), line c531.144)

i.

^{giš}ma$_2$-addir	*zabalam^{ki}-a*	*ba-su*[87]
maaddir=Ø	*zabalam=a*	*ba-su-Ø*[88]
ბორანი=ABS	ზაბალამი=LOC	MID-ჩაძირვა-3SG.S

„ბორანი ზაბალამთან ჩაიძირა“. (Proverbs: collection 1 (c.6.1.01), line c6101.B.1.86.44)

შესაბამისი {mu-} პრეფიქსიანი ფორმები კაუზატიური შინაარსით და კონსტრუქციით ხასიათდებიან.

---

87 შესაბამისი ფორმა {ima-} პრეფიქსით არ დასტურდება ETCSL-ის ბაზაში.

88 როდესაც ლოკატივში მდგარი სახელური ფრაზაა წარმოდგენილი, ყოველთვის შესაძლებელია, რომ შესაბამისი პრეფიქსი {ni-} ჩავწეროთ /n-/ ალომორფის სახით: ba-n(i)-su-Ø.

ნაწილობრივ ზემოგანხილული მაგალითების საფუძველზე და საუღლებელი პრეფიქსების დიდი ბაზის გაანალიზების შემდეგ კ. ვუდსი ასკვნის, რომ გამოიყოფა {ba-} პრეფიქსის ხუთი ფუნქცია: **1.** არაგონიერ აქტანტზე მიმართვა; **2.** ლოკატიურ, ლოკატიურ-ტერმინატიულ ან ტერმინატიულ ბრუნვაში მდგარ აქტანტზე მიმართვა; **3.** მედიოპასიური გვარის გამოხატვა; **4.** პერფექტიული ასპექტური მნიშვნელობა ზმნით გამოხატული მოქმედებისათვის (და მდგომარეობისათვის); **5.** საიქითო დეიქსისის გამოხატვა (ვუდსი 2008: 34).

{ima-} შეიძლება იხმარებოდეს ({ba-} პრეფიქსზე უფრო ხშირადაც) პროტოტიპურ გარდამავალ ზმნებთან (მაგ., im-ma-du$_3$ „შენება“, რომლებიც შინაარსობრივად მედიალურ ზმნად არ შეიძლება მოვიაზროთ) და მათ შესძინოს რეფლექსიური ან ავტობენეფაქტიური შინაარსი (ვუდსი 2008: 162).

მედიალური გვარის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მიიჩნევა გარდამავლობის დაქვეითება (detransitivising category). აქედან გამომდინარე, {ima-} და {ba-} პრეფიქსებს შეუძლიათ გამოხატონ ვნებითი გვარიც (ვუდსი 2008: 163, 212).

ე. სმითმა ელექტრონული კორპუსის საფუძველზე (და კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდებით) განიხილა საუღლებელი პრეფიქსები. მისი აზრით, კ. ვუდსის შეხედულებებს მხარს უჭერს სხვადასხვა ტიპის მაგალითი, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ დადგენილ მიდგომას უარყოფითად ეპასუხება (განსაკუთრებით {ima-} და {ba-} პრეფიქსებისათვის): სემანტიკურად აღნიშნული მორფემები ხასიათდებიან როგორც მედიალური გვარის მაჩვენებლები, მაგრამ მათი სინტაქსური ქცევა არ ასახავს გვარის კატეგორიას. მისი აზრით, საუღლებელი პრეფიქსები გამოხატავენ შინაგან ასპექტს (სმითი 2010: 101, 105-106).

ე. სმითს მოჰყავს მაგალითი (სმითი 2010: 114-115), რომელიც, მისი აზრით, მიუთითებს, რომ {mu-} პრეფიქსი

გარდაუვალ ზმნებთანაც გამოიყენება, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს კ. ვუდსის შეხედულებას.

(6)	*a-a*	*ᵈnanna*	*iri^{ki}-ni*	*urim$_s$^{ki}-ma*	*saĝ*
	aba	*nanna=e*	*iri=ani*	*urim=a*	*saĝ*
	მამა	ნანა=ERG	ქალაქი=3SG.H.POSS	ური=LOC	თავი
	il$_2$-la		*mu-un-ĝen*		
	il-a=Ø		*mu-n-ĝen-Ø*		
	დაჭერა-NMLZ=ABS		VENT-3SG.H.A-სვლა-3SG.P		

„მამა ნანა თავაწევით შევიდა ქალაქ ურში“. (სმითი 2010: 115)

თუმცა ე. სმითის არგუმენტი წარმოადგენს ამოსავალი ზმნისადმი სემანტიკურ მიდგომას და არ ითვალისწინებს ამოსავალი და დერივაციით მიღებული ზმნური ფორმების ურთიერთობას: „სვლა“ ზმნა ერთვალენტიანია, როდესაც გამოიყენება „მიდის“ მნიშვნელობით (და ამიტომაც გარდაუვალია), მაგრამ აქტანტურ სტრუქტურაში კაუზატორის შემოსვლის შემთხვევაში დერივაციულად მიღებულ „მიჰყავს“ ზმნას უკვე ორ აქტანტი უკავშირდება (და თანაც კაუზატორი ერგატივშია) და ასევე ზმნაც უჩვენებს, რომ გარდამავალია. ზმნის გლოსირებისას ე. სმითი /n-/ ზმნურ პრეფიქსს უთითებს ერგატიულობას (ERG.3SG), რაც გულისხმობს, რომ „ნანა“ უნდა იდგეს ასევე ერგატიულ ბრუნვაში, რომელიც ორთოგრაფიული მიზეზით (თუ ალომორფული განაწილების გამო?) არ არის ტექსტში წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, „ნანა“ A ფუნქციის მქონედ შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო „აწეული თავი“ – P ფუნქციის, ანუ წარმოდგენილია გარდამავალი ზმნა და არა გარდაუვალი, როგორც ამას ე. სმითი ვარაუდობს. ამის გათვალისწინებით, ზმნური შინაარსი იქნება არა „შევიდა“, არამედ – „შეიტანა“.

მ. იოსიკავას მიხედვით, შესაძლებელია საუღლებელი პრეფიქსების დაჯგუფება და მათ შორის გრამატიკული ოპოზიციის დადგენა (/mu-/ ~ /i-/): **1.** მოლაპარაკის დაინტერესება ირიბი დამატებით; **2.** ირიბი დამატებისათვის

მოქმედების სასარგებლოდ ან საზიანოდ შესრულება; **3.** ირიბი დამატების სოციალური სტატუსი; **4.** პრაგმატიკული ფუნქცია: წინადადების წევრების აქტუალიზაცია (resp. ტოპიკალიზაცია). აღნიშნული მახასიათებლების დადებით მნიშვნელობას გამოხატავს {mu-} პრეფიქსი, ხოლო უარყოფითს – {i-} პრეფიქსი (იოსიკავა 1993ბ: 138, 159; კანევა 1996: 116), მაგრამ აღნიშნულ შეხედულებას ძალა ეცლება, თუ გავითვალსწინებთ ზემოაღნიშნულ შეხედულებებს და გადავანაწილებთ {mu-} და {i-} პრეფიქსებს სხვადასხვა რანგში, ან სულაც თუ უფრო მართებულად მივიჩნევთ დ. ფაქსვოგის მიდგომას /i/ ხმოვნის პროთეტულობის შესახებ (კანევა 1996: 117; ფაქსვოგი 2016: 65).

{bi-} პრეფიქსზე მიუთითებენ, რომ მასთან არ თანაარსებობენ სივრცობრივი პრეფიქსები ერთი სიტყვაფორმის ფარგლებში. ამიტომ ა. იაგერსმა მიიჩნევს, რომ {bi-} პრეფიქსი უნდა განიხილებოდეს სხვა ლოკატიური მნიშვნელობის პრეფიქსებთან ერთად და მის მთავარი სინტაქსური ფუნქცია უნდა იყოს უბრალო დამატებისა ({b-} + [i-]) და ლოკატივის ({bi-}) გამოხატვა[89] (კანევა 1996: 132-133; იაგერსმა 2010: 465). მის ფუნქციებს უკავშირებენ ადგილობით, მიმართულებით და ადგილობით-მიმართულებითი ბრუნვებით გამოხატულ პარტიციპანტებს და ასევე არაგონიერი ირიბი დამატებისაკენ მიმართულ და საიქითო მოქმედებას (კანევა 1996: 133, 137).

(7) *gu$_2$-ba*	*ĝiri$_3$*	*bi$_2$-gub*
gu=bi=a	*ĝiri=Ø*	*bi-gub-Ø*
კისერი=3SG.N.POSS=LOC	ფეხი=ABS	MID.LOC-დგომა-3SG.S

„მის კისერზე დავდგი ფეხი". (A praise poem of Šulgi (Šulgi E) (c.2.4.2.05), line c24205.235)

(7) მაგალითის თარგმანში მოცემულია აქტიური წინადადება, მაგრამ შუმერული მაგალითი არ იძლევა აგენ-

89 ამ შემთხვევაშიც ორი სხვადასხვა ჰომოფონური მიმდევრობაა, რომელთა გამიჯვნაც მხოლოდ სემანტიკისა და სინტაქსის საშუალებით არის შესაძლებელი.

სის აღდგენის შესაძლებლობას: არც სახელური ფრაზით და არც ზმნაში აგენსური პირის მაჩვენებლით არ არის წარმოდგენილი. ერთადერთი პარტიციპანტი, რომელიც შეიძლება აქტანტად და S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციით გავიგოთ, არის ĝiri$_3$ „ფეხი“, ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მედიალური გვარის, ასევე ლოკატიურობის მაჩვენებლად, რომელსაც სახელური ფრაზებიდან ლოკატიურ ბრუნვაში მდგარი ĝu$_2$ „კისერი“ შეესატყვისება.

(8) მაგალითიდან ჩანს, რომ {bi-} პრეფიქსი გარდამავალ ზმნაშიც გამოიყენება (როგორც ეს მოსალოდნელი იყო მედიალური გვარის მაჩვენებლისთვის), მაგრამ არ ჩანს ლოკატივში მდგარი სახელი: uš$_2$ „სისხლი“ გამოხატულია აბსოლუტიური ბრუნვით, მაგრამ თარგმანში სწორედაც ლოკატივით არის გადმოცემული, ხოლო an „ცა“ – ერგატიული ბრუნვით. თუ მივიჩნევთ, რომ an „ცა“ არ არის წარმოდგენილი ერგატიულ ბრუნვაში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ /=e/ მორფი გამოხატავს დირექტივს. ასეთ შემთხვევაში, ეს აქტანტი იქნება R-ის (ტრადიციულად – ირიბი დამატება) ფუნქციით დატვირთული, ხოლო uš$_2$ „სისხლი“ S-ის (ტრადიციულად – გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე) ან P-ს (ტრადიციულად – პირდაპირი დამატება) ფუნქციით, მაგრამ რადგანაც ზმნა პერფექტივშია, აბსოლუტივში მდგარი სახელი ვერ იქნება S-ის ფუნქციით. ალბათ, უმჯობესია, ეს მოვლენა ავხსნათ შემდეგნაირად: ლოკატიური სახელი არ არის წარმოდგენილი სახელური ფრაზის სახით, ზმნა გარდამავალია და an „ცა“ დგას ერგატიულ ბრუნვაში. აქედან გამომდინარე, ხომ არ იქნება უმჯობესი, რომ წინადადება ვთარგმნოთ როგორც „ცამ ჩამოირეცხა სისხლი“? წინადადების შინაარსის ამგვარი აღქმით, აქტანტური სტრუქტურების შესატყვისობა შუმერულსა და ქართულში უფრო მეტად არაორაზროვნად წარმოგვიდგება და ასევე მედიალური შინაარსი, რომელიც შეიძლება შუმერულ ზმნას ჰქონ-

დეს, შეძლებისდაგვარად გადმოვა ქართულში (უპირველეს ყოვლისა, რეფლექსიურობით).

(8) *an-e* *uš$_2$* *bi$_2$-ib$_2$-tu$_5$*
an=e *uš=Ø* *bi-b-tu-Ø*
ცა=ERG სისხლი=ABS MID.LOC-3SG.N.A-გარეცხვა-3SG.P
„აბანავეს ზეცა სისხლში“. (Ninurta's exploits: a šir-sud (?) to Ninurta (c.1.6.2), line c162.178)
„ცამ ჩამოირეცხა სისხლი“(?)

(9)-ში წარმოდგენილი მაგალითები: a, b და c სახელური ფრაზითაც გამოხატავენ ლოკატიურ შინაარსს, ოღონდ (9a)-სა და (9b)-სან განსხვავებით, (9c)-ში წარმოდგენილია ზმნიზედური ფრაზა a$_2$ zid-da-bi „მარჯვნივ“.

(9) ლოკატიური საშუალი გვარი

a. *ka* *šer$_7$-da-ka* *lu$_2$* *bi$_2$-in-šum$_2$-mu-e*
ka *šerda=ak=a* *lu=Ø* *bi-n-šum-e*[90]
პირი დანაშაული=GEN=LOC პიროვნება=ABS MID.LOC-3SG.H.P-მიცემა-3SG.A.IPFV
„იმ პიროვნებას სიკვდილს უსჯიან“.
(A hymn to Nungal (Nungal A) (c.4.28.1), line c4281.97)

b. *igi* *^{d}am-an-ki-ka$_3$* *er$_2$* *bi$_2$-še$_8$-še$_8$*
igi *enki=ak=a*[91] *er=Ø* *bi-n-šeš~šeš-Ø*
თვალი ენქი=GEN=LOC ცრემლი=ABS MID.LOC-3SG.H.A-ტირილი-INT-3SG.P
„ენქის წინაშე იტირა“.
(Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.325A)[92]

c. *a$_2$* *zid-da-bi* *tug$_2$* *nitaḫ$_2$*

---

90 სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს „პიროვნება დანაშაულის პირზე მისცეს“ და ამგვარად lu$_2$ „პიროვნება“ გამოხატავს T გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს (სემანტიკურად – თემას) და არა R-ს (სემანტიკურად – რეციპიენტს), როგორც ეს შეიძლება თარგმანში ჩანდეს.

91 ^{d}am-an-ki წარმოადგენს en-ki-ის „ენქი“ ემესალდიალექტის ფორმას.

92 ამგვარი ტიპის ზმნები მოიძებნება შუმერულში: ცალკე šeš$_2$ ნიშნავს „ტირილს“, მაგრამ ყოველთვის er$_2$ „ცრემლთან“ ერთად გამოიყენება.

a	*zid.a=bi*	*tug*	*nitaḫ=ak=Ø*[93]
მკლავი	მარჯვენა=3SG.N.POSS	ქსოვილი	მამაკაცი=GEN=ABS

bi$_2$-in-mur$_{10}$
bi-n-mur-Ø

MID.LOC-3SG.H.A-ჩაცმა-3SG.P

„მარჯვნივ მამაკაცის სამოსში იყო გამოწყობილი“.
(A šir-namursaĝa to Ninsiana for Iddin-Dagan (Iddin-Dagan A) (c.2.5.3.1), line c2531.F.60)

{al-} პრეფიქსი ძირეულ მორფემას, როგორც წესი, უშუალოდ წინ უძღვის. აქედან გამომდინარე, ხშირად მიმართავენ მისი რანგის რეინტერპრეტაციას, აგრეთვე მას წარმოადგენენ ორი მორფემის მიმდევრობადაც: {a-} + {l-}. ი. დიაკონოვისათვის დომინანტური ალომორფია /l-/, ხოლო /a-/ ცალკე დასტურდება მოგვიანო ხანის ტექსტებში. ა. იაგერსმასთვის კი /a-/ არის დომინანტური ალომორფი და აერთიანებს სხვა, ვოკალური პრეფიქსების, რანგში. ხშირად მის ფუნქციებს უკავშირებენ სტატიკურობას (რაც გამომდინარეობს ხშირი თანახმარებით სტატიკურ ზმნებთან; როგორც წესი, აქადურად სტატივის ფორმით ითარგმნება; თითქმის ყოველთვის გარდაუვალ ზმნებს დაერთვის), თუმცა დასტურდება ასევე დინამიკური ზმნების პრეფიქსადაც. მ. იოსიკავასთვის წარმოადგენს ნეიტრალურობის გამომხატველ პრეფიქსს სხვა ვენტიურ თუ იენტიურ პრეფიქსებთან შეპირისპირებით (თომსენი 1984: 186-187; იოსიკავა 1993დ: 205; იოსიკავა 1993ე: 213; კანევა 1996: 143-145; იაგერსმა 2010: 533-534; ფაქსვოგი 2016: 66-67):

(10) ნეიტრალურობა – {al-} პრეფიქსი

a.	*diĝir*	*šar$_2$-šar$_2$*	*kiĝ$_2$-ĝa$_2$*	*al-sug$_2$-ge-eš*
	diĝir	*šar~šar=Ø*	*kiĝ=a*	*al-gub-eš*
	ღმერთი	ბევრი~PL=ABS	სამუშაო=LOC	NEUT-დგომა-3PL.S

93 წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო გენიტივის /=a/ ალომორფი /=Ø/-ის ნაცვლად.

„უფროსი ღმერთები ზედამხედველობდნენ სამუშაოს“. (Enki and Ninmaḫ (c.1.1.2), line c112.9)

b. *ur-maḫ-e mu-e-bur$_2$-e-en gu$_3$ al-de$_2$-de$_2$-e*
ur.maḫ=e mu-e-bur-e-en gu=Ø al-de-de-e
ლომი=ERG VENT-2SG.P-გაშვება-IPFV-1SG.A ხმა=ABS NEUT-დაღვრა-INT-3SG.A.IPFV
„ლომმა იყვირა: გაგათავისუფლებ!“ (Proverbs: collection 5 (c.6.1.05), line c6105.D.5.55.9)

(10a) უჩვენებს, რომ ზმნა სტატიკურია, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში დინამიკური ზმნა არის მოცემული (თანაც გარდამავალი), მაგრამ sug$_2$ „დგომა“ {-gub-} მორფემის ერთ-ერთ ალომორფად უნდა მივიჩნიოთ (გარდაუვალ სტატიკურ ზმნად), მაგრამ (10b) მაგალითი არღვევს ზოგად შეხედულებას /al-/ პრეფიქსის შესახებ: ზმნა გარდამავალია, რადგან მისი ერთ-ერთი აქტანტი ur-maḫ „ლომი“ ერგატივში დგას, ხოლო მეორე gu$_3$ „ხმა“ – აბსოლუტივში,[94] ამიტომ /al-/ პრეფიქსის შემდეგ აუცილებელია P-ს (ტრადიციულად – პირდაპირი დამატება) შესაბამისი ზმნური პრეფიქსი (ზმნა იმპერფექტივად უნდა გავიაზროთ, რადგანაც {-e} სუფიქსი მესამე პირში მხოლოდ იმპერფექტივშია წარმოდგენილი). თუნდაც ამ ორი მაგალითის მიხედვით, არ უნდა გავიზიაროთ შეხედულება /al-/ პრეფიქსის თანახმარების შესახებ სტატიკურ ან (ზოგადად, გარდაუვალ) ზმნებთან. უნდა მივიღოთ, ერთი მხრივ, მ. იოსიკავასეული ნეიტრალურობა დატივში მდგარი აქტანტის მიმართ (რაც ასახულია კიდეც გლოსირებისას) და, მეორე მხრივ, შესაძლებელია მართებული იყოს ა. იაგერსმას ანალიზი /al-/ პრეფიქსის {a-} მორფემის ალომორფად მიჩნევის შესახებ და მაშინ შედარებით ადვილად აიხსნება /al-/ პრეფიქსის სხვადასხვა კონსტრუქციაში (როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ) მონაწილეობა.

94 gu$_3$ – de$_2$ „თქმა“ (ზედმ. „ხმის გადმოღვრა“) არის რთული (compound) ზმნა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ gu$_3$ „ხმა“ გავიაზროთ P გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივად (ტრადიციულად – პირდაპირი დამატება).

3.3 საუღლებელი პრეფიქსები და ვალენტობა

მ. იოსიკავა ერთმანეთს უკავშირებს საუღლებელ პრეფიქსებსა და ვალენტობას[95] და ამასთანავე განიხილავს საუღლებელი პრეფიქსების შინაარსის პლანსაც. გარდა ზემოჩამოთვლილი ვენტიური და იენტიური შინაარსისა, აღნიშნულ პრეფიქსებს უკავშირდება ბენეფაქტიური ({mu-} და {i-}), რეფლექსიური ({ba-} და {ima-}), ლოკატიური ({bi-} და {imi-}) და ნეიტრალური ({al-}) მნიშვნელობები.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბენეფაქტიური აქტანტი ექსპლიციტურად არ არის წარმოდგენილი, {mu-} და {i-} მაინც გამოხატავენ ბენეფაქტიურ მნიშვნელობას (იოსიკავა 1993ე: 208), მეორე მხრივ, თომსენის თანახმად, {i-} პრეფიქსს მიეწერება ნეიტრალური შინაარსი და ფუნქცია და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის საჭირო სხვა სპეციფიკური საუღლებელი პრეფიქსი (თომსენი 1984: 163).

ვალენტობის ცვლილებას უკავშირდება, ერთი მხრივ, ვალენტობის კლება (მედიალურისა და პასივის სხვადასხვა ვარიანტი) და, მეორე მხრივ, ვალენტობის მატება (კაუზატივი), როგორც ამას ა. იაგერსმა უწოდებს. ოღონდ ა. იაგერსმა {ba-} პრეფიქსს უკავშირებს როგორც მედიალურ, ასევე პასიურ შინაარსს კონტექსტიდან გამომდინარე; ასევე პასიურ შინაარსს უკავშირებს ვოკალურ პრეფიქსებსაც ({a-} და {i-}). პასივიზაციისას ა. იაგერსმა შენიშნავს, რომ გარდამავალი ზმნის ქვემდება-

95 ეს არის ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ვალენტობაზე შუმერულ ენაში, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შეიძლება დაუკავშირდეს საუღლებელ პრეფიქსებს. თუმცა სტატიაში არ არის განხილული ვალენტობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, აქტანტის დადგენის წესები თუ სინტაქსური ტესტები, ვალენტობისა და გარდამავლობის თეორიულად შესაძლებელი კომბინაციები.

რე[96] კი არ ქვეითდება და ადიუნქტის (adjunct) ფუნქციას კი არ იღებს, არამედ საერთოდ არ ვლინდება პასიურ კონსტრუქციაში[97] (იაგერსმა 2010: 303). მეორე მხრივ, კაუზატივი შუმერულში არის წმინდა სინტაქსური მოვლენა, ანუ ახალი პარტიციპანტის შემოყვანა არ აისახება ზმნაში არც მორფოლოგიურად და არც სხვა (მაგ., ანალიზური კონსტრუქციის) საშუალებით. მხოლოდ სახელურ ფრაზაში ბრუნვათა მაჩვენებლებით გამოიხატება ცვლილება: გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ახალი კაუზატორის შემოსვლის შემდეგ იქცევა უბრალო დამატებად (იაგერსმა 2010: 307). მიუხედავად ამისა, ამგვარად წარმოქმნილი გარდამავალი ზმნა, როგორც წესი, დაირთავს {mu-} პრეფიქსს, რომლის საშუალებითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნა გარდამავალია, მაგ., (11b)-ში, თუმცა {ba-} პრეფიქსი როგორც მედიალური გვარის მაჩვენებელი დასტურდება გარდამავალ ზმნებში (იხ. ქვეთავი მეორე). {ba-} პრეფიქსი ასევე ითავსებს პასიურ შინაარსსაც, მაგ., (11a).

(11) კაუზატივი

a. ამოსავალი კონსტრუქცია

ᵈinana	*ba-gub*
inana=Ø	*ba-gub-Ø*
ინანა=ABS	MID-დგომა-3SG.S

„ინანა აღდგა“.
(Inana's descent to the nether world (c.1.4.1), line c141.281)

b. წარმოქმნილი კაუზატიური კონსტრუქცია

šu-nir	*maḫ-bi*	*lugal-kur-dub$_2$*	*saĝ-bi-a*
šunir	*maḫ=bi*	*lugalkurdub=Ø*	*saĝ=bi=a*
შტანდარტი	დიდი=3.H.COL	ლუგალქურდუბი=ABS	თავი=3.H.COL=LOC

96 ისევ და ისევ: იგულისხმება A, რადგანაც ტრადიციული მიდგომით, აღნიშნული გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი და გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ერთი და იგივეა.

97 ამგვარ შემთხვევას ზოგადტიპოლოგიურ ნაშრომებში დეკაუზაცია (resp. ანტიკაუზაცია) ეწოდება, პასივისაგან განსხვავებით (კულიკოვი 2011).

mu-gub

mu-n-gub-Ø

VENT-3SG.H.A-დგომა-3SG.P

„მან დადგა მათი დიდებული შტანდარტი მათ წინ“.
(The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.376)

ამგვარად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მორფოლოგიურად არ გამოიხატება აგენსური აქტანტის კლება-მატება და როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნა მარკირებულია, შესაბამისად, {mu-} და {ba-} პრეფიქსებით, შეუძლებელია უპირატესობა მივანიჭოთ კაუზატივს ანტიკაუზატივის საპირისპიროდ: თუ მორფოლოგიურად ან ანალიზურად არ არის გამოხატული აქტანტური ცვლილება, შეუძლებელია იმის დადგენა, მოცემულ ენაში წარმოდგენილია კაუზატივი თუ ანტიკაუზატივი. ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში შუმეროლოგებისათვის მოცემულია კაუზატივი და არა ანტიკაუზატივი, რადგან მიიჩნევა gub „დგომა“ ზმნის ამოსავალი ფორმა სემანტიკურად გარდაუვალია, ერთვალენტიანია.[98]

{ba-} პრეფიქსის ერთ-ერთ მთავარ ფუნქცია არის რეფლექსიურობა და არა პასიურობა. როგორც ჩანს, ამ პრეფიქსს მ. იოსიკავა არ უკავშირებს ბენეფაქტიურ შინაარსს, რადგანაც, მისი აზრით, ბენეფაქტიურ კონსტრუქციაში უნდა იყოს აგენსი: მისთვის ბენეფაქტივის არსებობას განაპირობებს აგენსის არსებობა. ერთი მხრივ, სახელურ ფრაზაში ერგატიული {=e} სუფიქსის არარსებობის დაკავშირება {ba-} პრეფიქსის არსებობასთან ზმნაში ამ ზმნური პრეფიქსის მედიალურ თუ პასიურ მაჩვენებლად ცხადდება, ანუ მოცემული პრეფიქსები არ თანაარსებობენ ერთსა და იმავე წინადადებაში, რაც ავტომატურად

98 ვფიქრობთ, ცალკე კვლევის საკითხია ზმნათა წმინდა სემანტიკური ანალიზი, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც შეიძლება ამოსავალი ფორმა სწორედაც ორვალენტიანი გარდამავალი ზმნა იყოს და არა ერთვალენტიანი გარდაუვალი.

იწვევს ზმნის გააზრებას როგორც არააქტიური გვარისად, ხოლო, მეორე მხრივ, {mu-} და {i-} პრეფიქსები შეიძლება დავუკავშიროთ მოქმედების შესრულებას ვიღაცისთვის, ანუ ბენეფაქტიურ დამოკიდებულების არსებობას წინადადებაში, ხოლო {b-} პრეფიქსი შეიძლება გადმოსცემდეს არაბენეფაქტიურ მოქმედებას, ანუ ირიბი დამატების (ჩვენთვის R) არსებობა-არარსებობა (აქტანტის კლება-მატება) მოცემული ზმნის აქტანტურ სტრუქტურაში იწვევს ზმნური პრეფიქსების ცვლას (იოსიკავა 1993ე: 209-210). ამ თვალსაზრისის მიხედვით, თუ აგენსი არ არის ზმნაში წარმოდგენილი არც რეციპიენტი თუ ბენეფაქტივი არ იქნება წარმოდგენილი, და ამგვარი ცვალებადობა უკავშირდება /ba-/ პრეფიქსის გამოვლენას ზმნაში.

მ. იოსიკავას მიდგომისაგან განყენებულად დგას /ba-na/ მორფთა მიმდევრობა ზმნაში, რადგანაც, მისი განმარტებიდან გამომდინარე, ბენეფაქტივის მაჩვენებელი (resp. დატივის მაჩვენებელი) უნდა იყოს მაშინ, როდესაც წარმოდგენილია აგენსი, ხოლო აგენსის არსებობის შემთხვევაში საუღლებელი პრეფიქსებიდან ზმნა უნდა ასახავდეს {mu-}-ს ან {i-}-ს. ამგვარ შემთხვევებს მ. იოსიკავა ხსნის იმის საფუძველზე, რომ აგენსი შეიძლება წარმოდგენილი იყოს იმპლიციტურად და უნდა გაიგებოდეს კონტექსტის მიხედვით (იოსიკავა 1993ე: 212). მაგრამ ამგვარი ფორმები შეიძლება განაპირობებდეს ორი აქტანტის არსებობას, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ბენეფაქტივსა თუ რეციპიენტს, ხოლო მეორე არააგენსურ პარტიციპანტს. ან სულაც მაგალითი (12), რომელშიც წარმოდგენილია როგორც A, ასევე P და R, მაგრამ ზმნა მაინც /ba-/ პრეფიქსით არის გაფორმებული:

(12) მედიალური გვარი + სამვალენტიანი ზმნა

a. *muš-da-gur$_4$-ra šutum* *ba-na-an-du$_3$*
mušdagur=ra šutum=Ø *ba-n-a-n-du-Ø*
გეკონი=DAT საწყობი=ABS MID-3SG.H-R-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P
„საწყობი აგებულია გეკონისათვის“.
(Proverbs: collection 7 (c.6.1.07), line c6107.B.7.29.32)

b. *^{d}en-ki-ke$_{4}$* *^{d}uttu-ra* *[...]* *^{giš}ĝeštin* *ga-ra-an-ba*
enkik=e *utu=ra* *[...]* *ĝešin* *garan=bi=a*
ენქი=ERG უთუ=DAT [...] ვაზი=ABS მტევანი=3SG.N.POSS=LOC
ba-na-ab-šum$_{2}$-mu
ba-n-a-b-šum-e
MID-3SG.H-R-3SG.N.T-მიცემა-3SG.A.IPFV
„ენქიმ მისცა უთუს მისი ვაზი მტევნებიანად“.
(Enki and Ninḫursaĝa (c.1.1.1), line c111.173, 176)

(12a) მაგალითში წარმოდგენილია სახელური ფრაზებით R (ტრადიციულად – ირიბი დამატება, სემანტიკურად – ბენეფაქტივი) და P (ტრადიციულად – პირდაპირი დამატება, სემანტიკურად – პაციენსი) გრამატიკულ--სემანტიკური პრიმიტივები. სახელური ფრაზის სახით არ არის წარმოდგენილი A პრიმიტივი (ტრადიციულად – გარდამავალი ზმნის ქვემდებარე, სემანტიკურად – აგენსი), მაგრამ გამოხატულია ზმნაში {n-} პრეფიქსით (რადგანაც ზმნა პერფექტივშია). ამიტომ არ გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ზმნა პასიურია (რადგანაც du$_{3}$ „აღმართვა“ იყენებს {mu-} აქტივში და მისი ტიპური პასიური კორელატი უნდა იყოს ba-du$_{3}$, რა თქმა უნდა, {n-} მორფემის გარეშე) და გარდაუვალი. არსებობს კიდევ ერთი შეხედულება /n-/ პრეფიქსის შესახებ, რომელიც ძირის წინამავალ პოზიციაში შეიძლება იყოს {ni-} ლოკატიური მორფემის ალომორფი (იაგერსმა 2010: 465). ამ შემთხვევაში არც ეს ახსნა გამოგვადგება, რადგან ადგილის გარემოება თუ ადგილის გამომხატველი უბრალო დამატება კონტექსტითაც არ იგულისხმება. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზმნა გარდამავალია და მასში წარმოდგენილია სამივე აქტანტის მაჩვენებლები (A, P, R), ხოლო {ba-} პრეფიქსის არსებობა {mu-} ნაცვლად შეიძლება აიხსნას ან იოსიკავასეული მიდგომით (იმპლიციტურად წარმოდგენილი აგენსი) ან კიდევ: {ba-} გამოხატავს მედიალურ გვარს, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება წავაწყდეთ ერთ წინააღმდეგობას: თუ ზმნა

არ არის თავისი არსით მედიალური (inherently middle) და დაერთვის მოქმედების გამომხატველ პროტოტიპურ ზმნას (A და P პრიმიტივებით), მაშინ წარმოქმნილმა ზმნამ რეფლექსიურობის ან ავტობენეფაქტიურობის შინაარსი უნდა შეიძინოს და სამვალენტიანის ნაცვლად ორვალენტიანი უნდა გახდეს (A და R აქტანტების კორეფერენციით).

(12b) შემთხვევა ვერ აიხსნება ვერც იოსიკავასეული მიდგომით: წინადადებაში ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი როგორც აგენსი ^{d}en-ki-ke$_4$ „ენქიმ“, თემა – ^{giš}ĝeštin „ვაზი“ და რეციპიენტი – ^{d}uttu-ra „უთუს“. ამგვარი სიტუაციიდან გამოსავალი ორია: ან სხვანაირად უნდა ავხსნათ როგორც (12a), ასევე (12b) შემთხვევა, ან კიდევ გადამწერის შეცდომად გამოვაცხადოთ, ან სულაც ისეთ ენობრივ მოვლენასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, რომელიც ჯერჯერობით შეუძლებელია, რომ აღვწეროთ შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ერთი მხრივ, ლოკატიური პრეფიქსები ({bi-} და {imi-}), ხოლო, მეორე მხრივ, რეფლექსიური პრეფიქსები ({ba-} და {ima-}) ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვენტიურ და არავენტიურ მოქმედებას. /m-/ ელემენტი აღნიშნულ პრეფიქსებში გამოხატავს ვენტივს[99], მაგრამ მთავარი ის არის, რომ /im-ma-/ მიმდევრობასთან ბუნებრივად თავსებადია დატივის მაჩვენებელი, რადგანაც წარმოდგენილია /i-/ პრეფიქსული მორფი, ხოლო /im-mi-/ მიმდევრობასთან არ დასტურდება დატივის მაჩვენებელი (იოსიკავა 1993ე: 212).[100] ვფიქრობთ, დატივის არსებობის მთავარი განმსაზღვრელი უნდა იყოს არა {i-} პრეფიქსის

99 აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მ. იოსიკავა /im-ma-/ და /im-mi-/ მიმდევრობებს მინიმუმ ორმორფიანად მაინც მიიჩნევს და არა მარტივ დაუშლელ ერთეულებად.

100 თუ აღნიშნულ ერთეულებს მივიჩნევთ ერთზე მეტ მორფულ მიმდევრობად, მაშინ /i-/ პრეფიქსი ორივეგან იქნება წარმოდგენილი, ამიტომ გაუგებარია მ. იოსიკავას შეხედულება აღნიშნულ საკითხზე.

არსებობა ან არარსებობა ზმნის კონკრეტულ ფორმებში, არამედ ლოკატიურობისა და დატიურობის ურთიერთავსებადობა. ამავე დროს ჩვენთვის შეუძლებელი გახდა /im-ma-na-/ ან /im-ma-ra-/ მორფული მიმდევრობის მოძიება ETCSL-ის ბაზაში. აქედან გამომდინარე, {ima-} პრეფიქსის თანახმარება დატივთან შეზღუდულია, თუ საერთოდ არ არის ენობრივი ნორმით აკრძალული. ისევ და ისევ: თუ {ima-} მორფემას მედიალური გვარის გამომხატველად მივიჩნევთ, მაშინ ზმნას არ უნდა უთავსდებოდეს R პრიმიტივის (ტრადიციულად – ირიბი დამატების, სემანტიკურად – რეციპიენტის) მაჩვენებელი, რადგანაც A და R კორეფერენტულ პარტიციპანტებს წარმოადგენენ და ამიტომ წინადადებაში უნდა იყოს A-ს ფუნქციით და მედიალური გვარი უნდა მიუთითებდეს ამ ტიპის კორეფერენტულობას.

მ. იოსიკავას მოჰყავს მაგალითები, რომლებშიც /b-/ ელემენტი წარმოდგენილია გარდამავალ ზმნაში, ამიტომ, მისი აზრით, ის განაპირობებს დატიური აქტანტის რედუქციას დიაქრონიულად მაინც (იოსიკავა 1993ე: 213).

3.4 შუმერული „საუღლებელი პრეფიქსების“ შედარება ქართული ენის ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან

ქართული ენის ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან ტიპოლოგიურ მსგავსებაზე მიუთითებს მ. იოსიკავა, თუმცა იგი მხოლოდ თეორიულად შესაძლებელი შესატყვისობით შემოიფარგლება და შემდეგ თანაფარდობას ადგენს ქართულსა და შუმერულს შორის (იოსიკავა 1993დ: 204-205):

ცხრილი № 6 ქართული და შუმერული პრეფიქსების თანაფარდობა

გრამატიკული მნიშვნელობები	შუმერული		ქართული	
ლოკატივი	იენტივი	{bi-}	საზედაო	/ა-/
	ვენტივი	{imi-}		
რეფლექსივი	იენტივი	{ba-}	სასუბიექტო	/ი-/
	ვენტივი	{ima-}		
აგენსური	ტოპიკალიზებული	{mu-}	საობიექტო	/უ-/
	არატოპიკალიზებული	{i-}		
ნეიტრალური		{al-}	ნეიტრალური	/ϕ-/ ან /ა-/

მ. იოსიკავას არ მოჰყავს ქართული მაგალითები, არაფერს ამბობს თუ როგორ იცვლება აქტანტური სტრუქტურა ქცევის მაჩვენებლების ცვლილების შესაბამისად. უფრო მეტიც, არაფერს ამბობს შუმერული აქტანტური ცვლილების შესახებ. მხოლოდ თითოეული პრეფიქსის შინაარსობრივ მხარეზე ლაპარაკობს. მაგრამ ტიპოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა სწორედაც სინტაქსური ცვლილებები, რომლებიც მორფოლოგიური მაჩვენებლების ცვლილებებს უკავშირდება.

როგორც ზემოთ ითქვა, კ. ვუდსი იხილავს მედიალურ გვართან დაკავშირებულ ზმნათა ხუთ სემანტიკურ ჯგუფს: სხეულზე მოქმედებას/რეფლექსიურობას, მოძრაობას, მენტალურ აქტივობას, ავტობენეფაქტივსა და სპონტანურ მოქმედებებს და აგრეთვე პასიურ შინაარსს. აღნიშნულ სემანტიკურ ჯგუფებს აერთიანებს ფორმალურად {ba-} და {ima-} პრეფიქსები. ანუ, გარდამავლობის თვალსაზრისით, ერთი და იგივე მაჩვენებლები შეიძლება იხმარებოდეს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ კონსტრუქციაში. აღნიშნული შემთხვევა პარალელს პოულობს ქართული ზმნის /ი-/ პრეფიქსთან, რომლის ძირითადი ფუნქციაა სასუბიექტო ქცევის გამოხატვა. სემანტიკურად A და R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები კორეფერენტულია, ხოლო R სინტაქსურად საერთოდ არ

გამოიხატება. /ი-/ პრეფიქსი გამოიყენება სხეულზე მოქმედების, მენტალური აქტივობის, ავტობენეფაქტივისა და სპონტანური მოქმედებების დროს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ისინი გარდამავალ თუ გარდაუვალ კონსტრუქციას; მოძრაობის გამომხატველ ზმნებში კი მიმართულება გამოხატულია ზმნისწინის საშუალებით.

ქართული სასუბიექტო ქცევა სინტაქსურად გამოიხატება ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციით, მორფოლოგიურად – /ი-/ პრეფიქსული მორფით, სემანტიკურად – აგენსისა და რეციპიენტის (ან ბენეფაქტივის) კორეფერენციით; შეიძლება მოიცავდეს ავტობენეფაქტიურ, რეციპიენტულ და რეფლექსიურ მნიშვნელობებს:

(13) /ი-/-პრეფიქსიანი ზმნები ქართულში

a. ავტობენეფაქტივი
კაცმა სახლი ა-ი-შენა.

b. სხეულზე მოქმედება; ორვალენტიანი
კაცმა ტანსაცმელი ჩა-ი-ცვა.

c. სხეულზე მოქმედება; ერთვალენტიანი
კაცმა ი-ბანავა.

d. ემოციის გამომხატველი სიტუაცია
კაცმა ი-ტირა.

e. სპონტანური მოვლენა; ერთვალენტიანი
ფიცარმა წყალზე ი-ტივტივა.

(13a) გამოხატავს ორვალენტიან გარდამავალ ზმნას, რომელსაც უკავშირდება აგენსი – „კაცმა“ და პაციენსი – „სახლი“. აგენსის გარდა „კაცმა“ ითავსებს ბენეფაქტივის სემანტიკურ როლსაც, რადგანაც პაციენსი განკუთვნილია მისთვის და შედეგი, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედებით მიიღწევა, უკავშირდება აგენსს. (13b) და (13c) გამოხატავს სხეულზე მოქმედებას, რეფლექსიურობას, ოღონდ მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი მათგანი ორვალენტიანია: აგენსით (კორეფერენტული ბენეფაქტივთან თუ რეციპიენტთან) – „კაცმა“ და

თემით (და არა პაციენსით) – „ტანსაცმელი“, ხოლო მეორე – ერთვალენტიანი: აგენსით (რომელიც ამავე დროს პაციენსიც არის).[101] ასევე ერთვალენტიანია ემოციის გამომხატველი სიტუაცია (13d)-ში, რომლის ერთადერთი აქტანტი შეიძლება გავიგოთ როგორც ექსპერიენცერი, ხოლო (13e)-ში წარმოდგენილი მთავარი აქტანტი წარმოადგენს თემას (არც აგენსია და არც პაციენსი), რადგანაც არც თვითონ მოქმედებს და არც პაციენსივით აგენსის სამოქმედოს არ წარმოადგენს.

/ი-/[102] მორფით გამოიხატება ასევე პასიური ერთვალენტიანი კონსტრუქციაც, რომელიც სემანტიკურად უკავშირდება პაციენსს, თემას, აგენსს (ე. წ. დეპონენსები); გამოხატავს, აპლიკატივის თვალსაზრისით ძირითადად ნეიტრალურ შინაარსს, თუმცა შეიძლება ჰქონდეს ასევე ავტობენეფაქტიური შინაარსიც.

(14) პასიური, ერთვალენტიანი

a. ვნებითი გვარი; ერთვალენტიანი; პაციენსი
წეხიღი და-ი-წეხა.

b. ვნებითი გვარი; ერთვალენტიანი; თემა
წეხიღი გა-ი-გზავნა.

c. შესაძლებლობის ვნებითი; ერთვალენტიანი
მწვადი ი-ჭმევა.

d. დეპონენსი
კაცი ი-კბინება.

---

101 ქართულში „იბანავა“ ზმნა უნდა გავიგოთ როგორც ამბიტრანზიტიული, რადგანაც მეორე აქტანტი შეიძლება მივიჩნიოთ ფაკულტატიურად: „კაცმა თავი იბანავა“; ასეთ შემთხვევაში სტრუქტურა გარდამავალი წინადადების იქნება.

102 წარმოადგენენ პასივისა და სასუბიექტო ქცევის მაჩვენებლები ერთი და იმავე მორფემის ალომორფებს, თუ განეკუთვნებიან სხვადასხვა ჰომოფონურ მორფემას, დამოკიდებულია ანალიზის ტიპსა და ინტერპრეტაციაზე; მაგრამ ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვის საკმარისია ისიც, რომ პასიური თუ აქტიური შინაარსისა თუ კონსტრუქციის მორფოლოგიური მაჩვენებლები გამოხატულების პლანის მიხედვით ჰომოფონურია (შდრ. შანიძე 1980: 354-355).

(14a) მაგალითი უჩვენებს პროტოტიპურ პასივს, რომელიც აქტივის კონვერსიით მიიღება: აქტივის P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი (ტრადიციულად – პირდაპირი დამატება) დაწინაურებულია S გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივამდე (ტრადიციულად – გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე). ამგვარი კონვერსიული ოპერაცია ხდება (14b) და (14c) წინადადებაშიც, ოღონდ პირველ მათგანში წარმოდგენილია თემის სემანტიკური როლი პაციენსის ნაცვლად, ხოლო მეორეში – ემატება შესაძლებლობის ნიუანსიც. (14d)-ში ერთადერთი აქტანტი – S პრიმიტივი სემანტიკურად წარმოადგენს აგენსს, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა პასივშია. (14a) და (14b) წინადადებებში ზმნები წარმოდგენილია წყვეტილში (resp. აორისტში), ხოლო (14c)-სა და (14d)-ში – აწმყოს ფორმით, რადგან მათ არ მოეპოვებათ წყვეტილის ფორმები.

მიუხედავად იმისა, რომ /ი-/ პრეფიქსიანი ფორმები, ერთი მხრივ, განეკუთვნება პასივს, ხოლო მეორე მხრივ – სასუბიექტო ქცევას (ორი თავისი შინაარსობრივი თავისებურებებითა და ნიუანსებით), ჩვენი მთავარი მიზანია არა იმის დადგენა, თუ რამდენ გრამატიკულ კატეგორიაში ნაწილდება აღნიშნული შინაარსობრივი მახასიათებლები და რამდენი გრამემა თუ დერივატემა გამოიხატება /ი-/ პრეფიქსით, არამედ მხოლოდ იმის ჩვენება, რომ ჰომოფონური მაჩვენებლით შეიძლება გამოიხატოს ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობები; შევუდაროთ ისინი შუმერულში /ba-/ პრეფიქსით გამოხატულ მნიშვნელობებს და დავადგინოთ მათი საერთო მახასიათებლები.

როგორც წინა თავში განვიხილეთ, შუმერულში /ba-/ პრეფიქსი შეიძლება გამოხატავდეს ერთმანეთისაგან განსხვავებულ მნიშვნელობებს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში:

(15) საშუალი გვარი

a. სხეულზე/სხეულით მოქმედება; ერთვალენტიანი, გარდაუვალი

sipad	*ud*	*ul-e*	*ba-nu$_2$*
sipad=Ø	*ud*	*ul=e*	*ba-nu-Ø*
მწყემსი=ABS	დღე	შორი=DIR	MID-დაწოლა-3SG.S

„ძველ დროს მწყემსი წვებოდა“. (Dumuzid's dream (c.1.4.3), line c143.15)

b. მოძრაობა; ერთვალენტიანი, გარდაუვალი

unug^{ki}-ta	*^{d}inana*	*ba-da-an-kar*[103]
unug=ta	*inana=Ø*	*ba-da-ni-kar-Ø*
ურუქი=ABL	ინანა=ABS	MID-COM-LOC-გაქცევა-3SG.S
ki-erim$_2$-e	*ba-ab-ĝen*	
ki.erim=e	*ba-bi-ĝen-Ø*	
მტრის.ტერიტორია=DIR	MID-LOC-სვლა-3SG.S	

„ინანამ მიატოვა ურუქი და წავიდა მტრის ტერიტორიაზე“. (The lament for Sumer and Urim (c.2.2.3), line c223.C.150)

c. ემოცია; ორვალენტიანი, გარდამავალი

šag$_4$-ba	*en-me-er-kar$_2$*	*dumu*	*^{d}utu-ke$_4$*	*ni$_2$*
šag=bi=a	*enmerkar*	*dumu*	*utu=ak=e*	*ni=Ø*
შუაგული=3.PL.POSS=LOC	ენმერქარი	შვილი	უთუ=GEN=ERG	შიში=ABS
ba-ni-in-te		*zi*	*ba-ni-in-ir*	
ba-ni-n-te-Ø		*zi=Ø*	*ba-ni-n-ir-Ø*	

MID-LOC-3SG.P.A-მიახლოება-3SG.P სუნთქვა=ABS MID-LOC-3SG.H.A-ROOT-3SG.P

za-pa-aĝ$_2$-bi *ba-ni-in-BAD*

zapaĝ=bi=abs *ba-ni-n-BAD*

ხმაური=DEM=ABS MID-LOC-3SG.H.A-?

„მათ შორის უთუს შვილი ენმერქარი შეშინებული, შენუხებული და აღელვებული იყო მოულოდნელობისაგან“. (Lugalbanda and the Anzud bird (c.1.8.2.2), line c1822.268-269)

---

103 მოცემულ ზმნაში წარმოდგენილია კომიტატივის {da-} პრეფიქსი და, სავარაუდოდ, ლოკატივის {ni-} პრეფიქსი მაშინ, როცა სახელური ფრაზა unug^{ki}-ta ურუქიდან დგას აბლატიურ ბრუნვაში. არც კონტექსტიდან და არც თარგმანიდან არ ჩანს, რა ფუნქციას ასრულებენ მოცემული ზმნური პრეფიქსები ამ წინადადებაში.

d. ავტობენეფაქტივი; ორვალენტიანი, გარდამავალი

ĝuruš-e	*ud*	*tur-ra-na-ka*	*dam*
ĝuruš=e	*ud*	*tur=ani=ak=a*	*dam=Ø*
კაცი=ERG	დღე	პატარა=3.SG.H=GEN=LOC	მეუღლე=ABS

ba-tuku-tuku-u$_2$-a

ba-n-tuku-tuku-e-a

MID-3SG.H.P-მოპოვება-INT-3SG.A.IPFV-NMLZ

„ახალგაზრდა კაცი დაქორწინდა".
(Proverbs: collection 19 (c.6.1.19), line c6119.G.19.g7.16)

e. სპონტანური მოვლენები; ერთვალენტიანი, გარდაუვალი

ḫur-saĝ	*galam*	*kad$_5$-dam*	*a-e*	*ba-dirig*
ḫur.saĝ=Ø	*galam*	*kad=Ø=am*	*a=e*	*ba-dirig-Ø*

მთა=Ø დახელოვნებული დაბმა=ABS=COP.3SG წყალი=DIR MID-ტივტივი-3SG.S

„ხელოვნურად აშენებული მთა არის, რომელიც ტივტივებს წყალში". (Enki's journey to Nibru (c.1.1.4), line c114.74)

საშუალი გვარის ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთ-, ასევე ორვალენტიანი, როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი. ზემოწარმოდგენილი ორვალენტიანი ზმნები ((15c) და (15d)) თავისი სტრუქტურით არ განსხვავდება აქტიური გვარის ზმნებისაგან. აქტიურ და მედიალურ ზმნებთან დაკავშირებული აქტანტების რაოდენობა შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს: A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი (სემანტიკურად – აგენსი, ტრადიციულად – ქვემდებარე) გამოხატული არის ერგატიული ბრუნვით, ხოლო P გრამატიკულ სემანტიკური პრიმიტივი (სემანტიკურად – პაციენსი, ტრადიციულად – პირდაპირი დამატება) – აბსოლუტიური ბრუნვით. (15c) წინადადებაში სახელური ფრაზა en-me-er-kar$_2$ dumu ^{d}utu-ke$_4$ „უთუს შვილი ენმერქარი" გაფორმებულია ერგატიული ბრუნვით, ხოლო ni$_2$ „შიში" და zi „სუნთქვა" აბსოლუტიური ბრუნვით, აბსოლუტივში მდგარი ორივე სახელი წარმოადგენს რთული (compound) ზმნის სახელურ ნაწილს, ამიტომ თარგმანში მოცემულია ერთვალენტიანი გარ-

დაუვალი პასიური ზმნები, ხოლო შუმერულში – ორვალენტიანი გარდამავალი ზმნები. ასეთივე სტრუქტურის წინადადებაა მოცემული (15d)-ში, რომელიც თარგმანში ერთვალენტიანია – „იქორწინა“, მაგრამ შუმერულში სხვაგვარად არის გააზრებული: „დაქორწინება“ უკავშირდება „ცოლის მოპოვებას“. ერთვალენტიან ზმნებს (მაგალითები: (15a), (15b), (15e)) აქტანტი უკავშირდება სახელობით ბრუნვაში, ზმნა კი დაირთვას /ba-/ პრეფიქსს.

მოცემული მაგალითების გათვალისწინებით ქართული /i-/ პრეფიქსი და შუმერული /ba-/ პრეფიქსის ტიპოლოგიურ მსგავსებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ: **1.** ორივე მათგანი დაერთვის როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნას; **2.** გამოხატავენ ავტობენეფაქტიურ/სასუბიექტო შინაარსს; **3.** გამოხატავენ რეფლექსიურობას/სხეულზე მოქმედებას; **4.** დაერთვის ემოციურ შინაარსისა და სპონტანური მოვლენების გამომხატველ ზმნებს; **5.** ორივე მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ პასიურობის გამომხატველ პრეფიქსად.

მსგავსებების გარდა არსებობს განსხვავებებიც: ქართულში მოძრაობის გამომხატველ ზმნებს დაერთვის ზმნისწინი, რომელსაც ეკისრება დეიქტიკური ფუნქცია, ხოლო შუმერულში /ba-/ პრეფიქსი გამოხატავს ამავე ფუნქციას. არ მოგვეპოვება შუმერულის მაგალითები დეპონენსური ფუნქციით თუ შესაძლებლობის/პოტენციალისის შინაარსით.

ასევე ტიპოლოგიური მსგავსება შეიძლება დავინახოთ ლოკატიური {bi-} და ქართულ {ა-} ლოკატიურ აპლიკატივს (resp. საზედაო) შორის. ეს პრეფიქსები ეთანადება ერთმანეთს შინაარსობრივად: ორივე გამოხატავს ადგილს, სადაც ხდება მოქმედება, მაგრამ სინტაქსურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ქართულში აქტანტი დგას დატივში, ხოლო შუმერულში – ერთ-ერთ ადგილობით ბრუნვაში (ლოკატივი, დირექტივი) და სინტაქსურად უბრალო დამატების და არა ირიბი დამატების ფუნქციით უნდა იყოს დატვირთული:

(16) ლოკატივის მაჩვენებელი შუმერულში

a. ლოკატიური ბრუნვა; გარდამავალი

munus-e ĝiš šu-na li-bi$_2$-in-du

munus=e ĝiš=Ø šu=ani=a li-bi-n-du-Ø

ქალი=ERG ხე=ABS ხელი=3SG.H.POSS=LOC NEG-MID.LOC-3SG.H.A-დარგვა-3SG.P

ĝiri$_3$-ni-ta bi$_2$-in-du

ĝiri=ani=ta[104] *bi-n-du-Ø*

ფეხი=3SG.H.POSS=ABL MID.LOC-3SG.H.A-დარგვა-3SG.P

„ქალმა დარგო ხე თავისი ფეხებით, მაგრამ არა თავისი ხელებით". (Gilgameš, Enkidu and the nether world (c.1.8.1.4), line c1814.1.36)

b. ლოკატიური ბრუნვა; გარდამავალი

lugal [...] mu-sar-ra-ba šu

lugal=e musara=bi=a šu=Ø

მეფე=ERG სამეფო.წარწერა=3SG.N.POSS=LOC ხელი=ABS

bi$_2$-ib$_2$-ra-a mu-ni

bi-b-ra-e mu=ani=Ø

MID.LOC-3SG.N.P-დარტყმა-3SG.A.IPFV სახელი=3SG.H.POSS=ABS

bi$_2$-ib$_2$-sar-a

bi-b-sar-e[105]

MID.LOC-3SG.N.P-წერა-3SG.A.IPFV

„თუ მეფე [...] გადაშლის წარწერას და წააწერს თავის სახელს". (A dedication of a statue (Išme-Dagan S) (c.2.5.4.19), line c25419.29-30)

---

104 როგორც šu-na „ხელით", ასევე ĝiri$_3$-ni-ta „ფეხით" წარმოდგენილი უნდა იყოს ლოკატიურ ბრუნვაში, მაგრამ როგორც ვხედავთ, ორივე სახელი სხვადასხვა ბრუნვით არის გაფორმებული. ამ ეტაპზე ბრუნვათა ამგვარი განაწილების ახსნას ვერ მივაგენით სხვა ნაშრომებშიც.

105 როგორც bi$_2$-ib$_2$-ra-a „დარტყმა", ასევე bi$_2$-ib$_2$-sar-a „წერა" ზმნებში /-a/ შეიძლებოდა გაგვეგო როგორც ნომინალიზაციის/სუბორდინაციის მაჩვენებელი; ორივე შემთხვევაში მივიჩნევთ /-e/ > /-a/ ასიმილაციურ პროცესს.

c. დირექტიული ბრუნვა; გარდამავალი

^{ĝiš}kiši$_{16}$	*kur-ra-ke$_4$*	*bi$_2$-in-du-e-en*
kiši	*kur=ak=e*	*bi-n-ĝen-en*[106]
აკაცია	მთა=GEN=DIR	LOC-3SG.H.A-სვლა-1SG.P

„მან გამატარა მთის ეკლიან ბუჩქებში“.
(The exaltation of Inana (Inana B) (c.4.07.2), line c4072.106)

d. არ უკავშირდება ლოკატივს: უბრალო დამატება

^{d}en-ki-ke$_4$	*tur$_3$*	*amaš*	*šu*
enkik=e	*tur=ra*	*amaš=ra*	*šu=Ø*[107]
ენქი=ERG	ბოსელი=DAT	ფარეხი=DAT	ხელი=ABS
bi$_2$-in-daĝal[108]		*sipad*	*unud*
bi-n-daĝal-Ø		*sipad=Ø*	*unud=Ø*
MID.LOC-3SG.H.A-ფართო-3SG.P		მეცხვარე=ABS	მეძროხე=ABS
bi$_2$-in-tuku			
b-i-n-tuku			
3SG.N-OBL-3SG.H.A-მომარაგება-3SG.P[109]			

ენქიმ შექმნა ფარეხი და ბოსელი და მოამარაგა მეცხვარეებითა და მეძროხეებით“.
(The debate between Bird and Fish (c.5.3.5), line c535.9)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, შუმერულის {bi-} პრეფიქსი ძირითადად უკავშირდება წინადადებაში ლო-

106 შეგვეძლო გვეფიქრა, რომ /-en/ მორფის წინამავალი <e> გრაფემა გამოხატავს {-ed} მორფემას, მაგრამ გაგვიჭირდებოდა მისი არსებობის ახსნა პერფექტივში.

107 რადგანაც šu უნდა იყოს აბსოლუტივში, ამიტომ tur$_3$ „ბოსელი“ და amaš „ფარეხი“ არსებით სახელებს მივუწერეთ დატივის მაჩვენებელი, რადგანაც მოცემული წინადადების სტრუქტურა გვესმის როგორც კანონიკური სამვალენტიანი – აქტანტები ერგატიული, აბსოლუტიური, და დატიური ბრუნვებით.

108 მოცემული რთული (compound) ზმნის სრული ფორმა უნდა იყოს šu daĝal tag „გაფართოება“ („ფართო ხელის შეხება“ (?)), მაგრამ აქ მხოლოდ პირველი ორი შემადგენელი არის წარმოდგენილი.

109 /b-/ + /i-/ მორფულიმიმდევრობა და „ბოსელსა“ და „ფარეხს“ უნდა უკავშირდებოდეს და უჩვენებდეს მათ სინტაქსურ ფუნქციას – უბრალო დამატებას.

კატიურ ბრუნვებში (ლოკატივი, დირექტივი) მდგარ სახელს, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით, არ იწვევს სახელური ლოკატიური ბრუნვიდან დატივში ცვლილებას (16a)-(16c). ყველა ზემოწარმოდგენილი წინადადება გარდამავალია (A დგას ერგატიულ ბრუნვაში, ხოლო P – აბსოლუტიურ ბრუნვაში), რადგანაც ვერ მოვიძიეთ გარდაუვალი ზმნა {bi-} პრეფიქსით. საერთოდაც რთული გადასაჭრელია {bi-} პრეფიქსთან დაკავშირებული პრობლემა: არსებობს ბევრი სხვა წინადადებაც, რომელშიც სახელი ერთ-ერთ ლოკატიურ ბრუნვაშია წარმოდგენილი, მაგრამ ზმნა არ დაირთავს {bi-} პრეფიქსს. ამიტომ ძნელია იმის თქმა, მართლა უკავშირდება თუ არა მოცემული პრეფიქსი ლოკატიურობას, თანაც იმგვარად, რომ არ იწვევს სახელურ ფრაზაზე დართული ბრუნვის მაჩვენებლის ცვლილებას. ამ თვალსაზრისით, ქართულისაგან განსხვავებით, (16) მაგალითში მოცემული ლოკატიური სახელური ფრაზები არ უნდა მივიჩნიოთ აქტანტებად, რადგანაც ჩვენთვის ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა, რომ ფორმალურად სახელი უნდა იდგეს ერთ-ერთ ძირითად ბრუნვაში (ერგატივი, აბსოლუტივი, დატივი), რადგანაც ისინი გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით პროტოტიპურ ბრუნვებს წარმოადგენენ; სხვა მხრივ კი თეორიულად შესაძლებელია, რომ ზმნას არააქტანტიც (უბრალო დამატება, სირკონსტანტი) შეუთანხმდეს, მაგ., რუნდი ენაში (ბანტუ ენათა ოჯახი) ზმნას ერთდროულად ეთანხმება ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება და ადგილის გარემოება (მელჩუკი 1998: 278). ქართულში კი ბრუნვის მაჩვენებელს ცვლის: ლოკატიურის ნაცვლად სახელი გამოიხატება მიცემითი ბრუნვით.

(17) საზედაო (ლოკატიური) აპლიკატივი ქართულში

a. *მე̀გობარმა წეჰიღს მისამართი და-ა-წერა.*

b. *კაცს თავზე ნაგავი და-ა-ყარეს.*

c. *კაცს თავზე ბუზი და-ა-ჯდა.*

(17c) და (17d) წინადადებებში წარმოდგენილია ლოკატიური თანდებულით გაფორმებული სიტყვაფორმა „თავზე“, მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც აპლიკატივის სხვა მაჩვენებლები, ასევე საზედაო ქცევასაც შემოჰყავს ახალი აქტანტი, რადგანაც ზმნები „დაყარეს“ და „დაჯდა“ ერთით ნაკლებ აქტანტს უკავშირდებიან, ვიდრე „დააყარეს“ და „დააჯდა“, ამიტომ ვალენტობის მაჩვენებლით განსხვავდება ქართული /ა-/ პრეფიქსი და შუმერული {bi-}.

{i-} პრეფიქსი შეიძლება შევადაროთ იმ /ა-/[110] მორფს, რომელიც ქართულში გამოხატავს ნეიტრალურ ქცევას. როგორც შუმეროლოგთა ზემომოყვანილი შეხედულებებიდან ჩანს, {i-} პრეფიქსი გამოიხატება მაშინ, როდესაც არ ჩანს დამოკიდებულება ვენტიურობასა და იენტიურობას შორის, როდესაც არ გამოიხატება მედიალური გვარი. აღნიშნული სუფიქსი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში. (18)-ში წარმოდგენილია როგორც გარდაუვალი (i_3-gub-be_2-en „დგომა“), ასევე გარდამავალი ზმნები (ib_2-$laḫ_4$-$laḫ_4$-e „ტარება“). ორივე მათგანი ნეიტრალური {i-} პრეფიქსით არის გაფორმებული:

(18) {i-}-პრეფიქსიანი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები

mu	*inim*	*lugal-ĝa$_2$-ke$_4$*	*i$_3$-gub-be$_2$-en*
mu	*inim*	*lugal=ĝu=ak=e*	*i-gub-en*
სახელი	სიტყვა	მეფე=1SG.POSS=GEN=DIR	NEUT-დგომა-1SG.S.IPFV
^{ĝiš}tukul		*ib$_2$-laḫ$_4$-laḫ$_4$-e*	

110 ქართულისთვის ვიყენებთ მორფულ მაჩვენებელს – დახრილ ფრჩხილებს, შუმერულისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც ვხმარობთ მორფემის მაჩვენებელ ფიგურულ ფრჩხილებს. ერთი მხრივ, ეს არის დონეთა შეუსაბამობა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავს ვიზღვევთ და ვირიდებთ ქართული ქცევის მაჩვენებლების მორფემულ ანალიზს. მიუხედავად ამისა, შუმერულისა და ქართულის აფიქსების შინაარსობრივმა მსგავსებამ ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ხელი არ უნდა შეუშალოს მართებულ ანალიზს.

tukul=Ø *i-b-laḫ-laḫ-e*

იარაღი=ABS NEUT-3SG.N.P-ტარება-INT-3SG.H.A.IPFV

„ვდგავარ ჩემი მბრძანებლის სახელისა და სიტყვის განკარგულებაში, ასე რომ მოვიტან იარაღს“. (Letter from Šarrum-bāni to Šu-Suen about keeping the Martu at bay (c.3.1.15), line c3115.41)

ასევე ნეიტრალური მნიშვნელობა მოეპოვება {al-} პრეფიქსსაც, რომელიც ძირითადად დასტურდება სტატიკურ ზმნებთან, მაგრამ გარდამავალ დინამიკურ ზმნებთანაც არ არის მისი თანახმარება აკრძალული.

(19) {al-}-პრეფიქსიანი

uga^{mušen}-aš	*u$_3$-mu-ni-in-kur$_9$*	*gu$_3$*
uga=eš	*u-mu-ni-n-kur-Ø*	*gu=Ø*
ყორანი=ADV	ANT-VENT-LOC-3SG.H.A-გადაქცევა-3SG.P	ხმა=ABS

al-de$_2$-de$_2$-e

al-de-de-e

NEUT-დაღვრა-INT-3SG.A.IPFV

„ის გადაიქცა ყორნად და აჩხავლდა“. (Enlil and Nam-zid-tara (c.5.7.1), line c571.13-14)

(19) წინადადების u$_3$-mu-ni-in-kur$_9$ ზმნა (რომლის ძირითად მნიშვნელობად მითითებულია „შესვლა“ და კონტექსტის მიხედვით ითარგმნება როგორც „გადაქცევა“) განმარტებას საჭიროებს: თარგმანში მოცემულია ერთვალენტიანი გადაქცევა, მაგრამ ზმნა ნამდვილად ორვალენტიან გარდამავალ სიტუაციას გამოხატავს: /-kur-/ ძირეული მორფის წინ დადასტურებული /n-/ პრეფიქსი ვერ გაიგება როგორც გარდაუვალ ზმნებში გამოვლენილი {ni-} ლოკატიური პრეფიქსის ალომორფი /n-/, რადგანაც მოცემულ ზმნაში /ni-/ ალომორფი უკვე წარმოდგენილია და ერთი და იმავე რანგისა და ერთი და იმავე მნიშვნელობის პრეფიქსი ერთდროულად ენობრივი ნორმების მიხედვით შეუძლებელია, რომ გამოვლინდეს ერთსა და იმავე სიტყვაფორმაში. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ

კონტექსტს (წინამავალ წინადადებას), აღმოჩნდება, რომ ღმერთი ენლილი წარმოადგენს აგენსს, რომელიც იერსახეს უცვლის პაციენსს, ამიტომაც kur$_9$ „გადაქცევა“ ზმნის აგენსადაც „ენლილი“ უნდა მივიჩნიოთ და, აქედან გამომდინარე, /ი-/ პრეფიქსული მორფის არსებობაც მოულოდნელი და გამონაკლისი აღარ იქნება.

რადგანაც (19) წარმოდგენილი al-de$_2$-de$_2$-e „დაღვრა“, ვფიქრობთ, უნდა ითარგმნოს როგორც „აჩხავლდა“ (ინქოატიური ნიუანსით) და არა „ჩხაოდა“ (დურატიული (resp. განგრძობითი ასპექტით)), რადგანაც {al-} პრეფიქსს შესაძლებელია, რომ ჰქონდეს ამგვარი ინქოატიური – მოქმედების საწყისი ეტაპის გამომხატველი მნიშვნელობაც და შეიძლებოდა გლოსირებისასაც აღგვენიშნა და განგვესხვავებინა {i-} პრეფიქსისაგან.

ასევე მ. იოსიკავა ამ სუფიქსის თანახმარებას სტატიკურ ზმნებთან მიიჩნევს მისი ნეიტრალურობიდან გამომდინარე (იოსიკავა 1993დ: 205), მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ სტატიკური ზმნა ნეიტრალურ პრეფიქსთან კომბინირებდეს (ამისი მაგალითები ქართულშიც და შუმერულშიც დასტურდება).

ქართული /ა-/ პრეფიქსი გამოხატავს ნეიტრალურ დამოკიდებულებას ბენეფაქტიურობასთან მიმართებით, როდესაც ზმნა არ გამოხატავს არც სასუბიექტო და არც საობიექტო ქცევას. მოცემული პრეფიქსი არ გამოიყენება გარდაუვალ ზმნებთან. გარდაუვალ ზმნებში ნეიტრალურობა შეიძლება გამოხატოს /Ø-/ პრეფიქსმა ზმნათა ერთ წყებაში, ხოლო დანარჩენ ზმნებში – /ი-/ პრეფიქსმა:

(20) ნეიტრალური ქცევა

a. *კაცი სახლს ა-შენებს.*

b. *კაცი წეხიღს Ø-წეხს.*

c. *კაცი Ø-ღგას.*

d. *წეხიღი ი-წეხება.*

მსგავსება ქართულსა და შუმერულ პრეფიქსებს შორის არის მისი ნეიტრალური დამოკიდებულება *ოპრზიციის* მიმართ, ერთი მხრივ, სასუბიექტო ~ საობიექტო (ქართულში), ხოლო, მეორე მხრივ, ვენტივი ~ იენტივი, ვნებითი ~ მედიალური (შუმერულში). {i-} პრეფიქსი გამოიყენება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ კონსტრუქციებში, განსხვავებით ქართული პრეფიქსისაგან, რომელიც მხოლოდ გარდამავალ ზმნებს დაერთვის; ქართული პრეფიქსი შეიძლება ერთსა და იმავე მორფემულ რანგში გაერთიანდეს ქცევის გრამატიკული კატეგორიის სხვა მაჩვენებლებთან (სასუბიექტო – /ი-/, საობიექტო – /უ-/), ხოლო შუმერული ვოკალური პრეფიქსი, ზოგიერთი ანალიზის მიხედვით, სხვა რანგით აღინიშნება (მ. თომსენი, ა. იაგერსმა) და ამიტომ შეიძლება ვერც კი შედიოდეს ოპოზიციაში სხვა ე. წ. საუღლებელ პრეფიქსებთან.

არ უნდა იყოს მართებული მ. იოსიკავასეული მოსაზრება {mu-} და {i-} პრეფიქსთა ქართულ საობიექტო ქცევასთან დაკავშირების შესახებ (იოსიკავა 1993დ: 204-205). ქართული საობიექტო ქცევის მაჩვენებელი /უ-/ პრეფიქსი დასტურდება როგორც გარდამავალ (21a), ასევე გარდაუვალ ზმნებში (21b). ამასთანავე იგი აუცილებლობით მოითხოვს R გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს (ტრადიციულად – ირიბი დამატება, სემანტიკურად – რეციპიენტი ან ბენეფაქტივი), და გარდამავალი ზმნა იქნება სამვალენტიანი (21a), ხოლო გარდაუვალი (21b) – ორვალენტიანი. შუმერული {mu-} და {i-} შეიძლება დაუკავშირდეს როგორც გარდამავალ ორ- და სამვალენტიან ზმნებს, ასევე გარდაუვალ ერთვალენტიან ზმნებს (განსაკუთრებით {i-} პრეფიქსი):

(21) საობიექტო (ბენეფაქტიური) აპლიკატივი ქართულში

a. *კაცმა მეგობახს სახლი ა-უ-შენა.*

b. *კაცი მეგობახს მი-უ-ჯდა.*

(22) {mu-}-პრეფიქსიანი ფორმები

a. სამვალენტიანი

lugal-ra *kur* *nu-še-ga-ni*

lugal=ra *kur=Ø* *nu- šeg.a=ani*

მეფე=DAT მთიანი.მიწა=ABS NEG-თანხმობა=3SG.H.POSS

mu-na-gul-gul-le

mu-n-a-b-gul~gul-e

VENT-3SG.H-R-3COL.N.P-განადგურება-INT-3SG.A.IPFV

„ის ანადგურებს ყველა მტრულ მიწას, რომლებიც არ ემორჩილებიან მეფეს". (A šir-gida to Martu (Martu A) (c.4.12.1), line c4121.21)

b. ორვალენტიანი

lugal-e *iri* *mu-gul-la-ta*

lugal=e *iri=Ø* *mu-n-gul-Ø-a=ta*

მეფე=ERG ქალაქი=ABS VENT-3SG.H.A-განადგურება-3SG.P-NMLZ=ABL

bad$_3$ *mu-sig$_{10}$-ga-ta*

bad=Ø *mu-n-sig-Ø-a-ta*

გალავანი=ABS VENT-3SG.H.A-მოთავსება-3SG.P-NMLZ-ABL

„მას შემდეგ, რაც მეფემ ქალაქები გაანადგურა და ქალაქის გალავნები დაანგრია". (A praise poem of Šulgi (Šulgi D) (c.2.4.2.04), line c24204.344)

როგორც (22a), ისე (22b) წინადადებათა ზმნებში წარმოდგენილია {mu-} პრეფიქსი (რომელიც გლოსირებულია როგორც ვენტივი), რადგან (22b) ორვალენტიანი ზმნაა (ერგატიული lugal-e „მეფემ" და აბსოლუტიური iri „ქალაქი" აქტანტებით და პირის ნიშნებით, რომლებიც ეთანხმებიან მოცემულ აქტანტებს), ხოლო (22a) გამოხატავს იმავე ზმნური ძირით წარმოქმნილ სამვალენტიან ზმნას დატიური აქტანტით და ზმნაში გამოხატული სამივე აქტანტის პირის მაჩვენებლით. აქედან გამომდინარე, {mu-} პრეფიქსი შეიძლება მოიპოვებოდეს როგორც ორვალენტიან, ასევე სამვალენტიან გარდამავალ ზმნაში; ამიტომ მას ვერ მივიჩნევთ ბენეფაქტიური აპლიკატივის

მაჩვენებლად და ქართული საობიექტო ქცევის მარკერების ტიპოლოგიურად მსგავს აფიქსად.

3.5 დასკვნა

აქტანტური დერივაცია შუმერულში შესაძლებელია იყოს მორფოლოგიურად მარკირებული. მათ შორის გავრცელებული საშუალებაა მედიალური (საშუალი) გვარი, რომელიც გამოიხატება {ba-} და {ima-} პრეფიქსებით. შინაარსობრივად შეიძლება გამოხატოს რეფლექსიურობა/სხეულზე მოქმედება, ავტობენეფაქტივი (resp. სასუბიექტო ქცევა); დაერთვის ემოციის, მოძრაობის, სპონტანური მოქმედებების გამომხატველ ზმნებს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოხატავს პასიურ გვარს, რომელიც უპირისპირდება {mu-} პრეფიქსით გამოხატულ (დადასტურებულ მაგალითთა უმეტეს შემთხვევაში) აქტიურ გვარს. ასევე კაუზატივის (რომელზეც მიუთითებენ, რომ მხოლოდ სინტაქსურად ახალი აქტანტის – კაუზატორის შემოყვანით გამოიხატება) მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ {mu-} პრეფიქსი, რადგანაც გარდაუვალი ზმნისგან კაუზატორის საშუალებით წარმოქმნილი გარდამავალი ორვალენტიანი ზმნა სწორედაც {mu-} პრეფიქსის საშუალებით გამოიხატება, რომლის გარდაუვალი კორელატი {ba-} ან {ima-} პრეფიქსით შეიძლება იყოს გაფორმებული, მაგრამ {m-} პრეფიქსის დადასტურება გარდაუვალ ზმნაში მიუთითებს, რომ ეს პრეფიქსი გამოხატავს ვენტივის გრამატიკულ შინაარსს და გარდამავლობას იმდენად უკავშირდება, რამდენადაც უფრო ხშირად დასტურდება გარდამავალ ზმნებთან. ამიტომ უნდა გავიზიაროთ იაგერსმასეული და არა ვუდსისეული მიდგომა ამ პრეფიქსის შესახებ, რომელსაც კვლევის საწყის ეტაპზე ვიზიარებდით (ბარათაშვილი 2017). ნებისმიერ შემთხვევაში პასიური თუ კაუზატიური ცვლილებები აქტანტურ

სტრუქტურაშიც აისახება: A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით (ტრადიციულად – ქვემდებარე), რომელიც გარდამავალ კონსტრუქციაში ერგატივით არის გაფორმებული, პასივში კი საერთოდ არ გამოიხატება, ხოლო P პრიმიტივი (ტრადიციულად – პირდაპირი დამატება), რომელიც ფორმდება აბსოლუტიური ბრუნვით, გარდაუვალ ზმნაში იძენს S პრიმიტივის ფუნქციას (ტრადიციულად – გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე), კვლავ აბსოლუტიური ბრუნვით გამოიხატება; ხოლო კაუზატიურ კონსტრუქციაში ახალი აქტანტი – კაუზატორი ერგატიული ბრუნვით ფორმდება.

{bi-} და {imi-} პრეფიქსები შინაარსობრივად კი გამოხატავენ ლოკატივს, მაგრამ ზმნაზე მათი დართვა არ იწვევს ბრუნვის ცვლილებას სახელურ ფრაზებში, რომლებიც შეიძლება გამოიხატონ ლოკატივით, დირექტივით და ა. შ. ბრუნვებით. აქტანტთა მაჩვენებლად მისაღებია იმ ბრუნვათა ნიშნები, რომლითაც გამოიხატება გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები (S, A, P, T, R) პროტოტიპურ შემთხვევებში (ერგატივი, აბსოლუტივი და დატივი). ამიტომ აღნიშნული პრეფიქსები შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ უბრალო დამატებას ან ადგილის გარემოებას.

თუ {ba-} პრეფიქსს ტიპოლოგიურად დავუკავშირებთ ქართულ /ი-/ ზმნურ პრეფიქსს, მაშინ, ერთი მხრივ, უნდა გავიზიაროთ მ. იოსიკავასეული მიდგომა, რომ გარდამავალ ზმნებში აღნიშნული პრეფიქსი იწვევს ვალენტობის კლებას (დატივში მდგარი სახელი არ გამოიხატება), ანუ რეფლექსიურობისა თუ ავტობენეფაქტივის შემთხვევაში ხდება აგენსისა და ბენეფაქტივის/რეციპიენტის კორეფერენცია და სინტაქსური საშუალებით მხოლოდ ორი აქტანტი გამოიხატება (ისევე როგორც ეს ხდება ქართულში). როდესაც {ba-} პრეფიქსი გამოხატავს პასივს, მაშინ, ქართულის მსგავსად, ქვეითდება (ან საერთოდ ქრება) A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი.

{i-} პრეფიქსი შეიძლება ტიპოლოგიურად ნაწილობრივ დავუკავშიროთ ქართულ /ა-/ ნეიტრალური ქცევის გამომხატველ პრეფიქსს, რადგანაც შუმერულში მოცემული პრეფიქსი ვლინდება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში, ხოლო ქართულში – მხოლოდ გარდამავალში.

{bi-} პრეფიქსი შინაარსობრივად შეიძლება დავუკავშიროთ /ა-/ ლოკატიურ (resp. საზედაო, სიურექტიულ) ზმნურ მაჩვენებელს, ოღონდ მთავარი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ქართულში ზმნაზე მოცემული პრეფიქსის დართვა იწვევს აქტანტური მაჩვენებლების ცვლას: ლოკატიური თანდებული იცვლება დატივის მაჩვენებლით, ხოლო შუმერულში არ ხდება მსგავსი ცვლილება.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ შუმერული ე. წ. საუღლებელი პრეფიქსები, რომლებიც უკავშირდება აქტანტურ დერივაციას და შეიძლება აპლიკატივის გარკვეულ სახეობად მივიჩნიოთ, მაგრამ ასევე შუმეროლოგიურ ლიტერატურაში მოცემული პრეფიქსები (განსაკუთრებით {ba-} და ასევე {ima-}, თუ მას ერთ მორფემად და არა მორფემულ მიმდევრობად მივიჩნევთ) განიხილება საშუალი გვარის მაჩვენებლად. ამ პრეფიქსების შედარება ქართული ენის ქცევის გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლებთან იძლევა ახალ შესაძლებლობას ტიპოლოგიურად განვიხილოთ შუმერული და ქართული ენის გარკვეული გრამატიკული კატეგორიები და ასევე შეიძლება საკითხი წამოვჭრათ იმის შესახებ, რომ ზოგადტიპოლოგიური კატეგორიები აპლიკატივი და საშუალი გვარი კუმულაციურად ერთი გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლებით გამოიხატებოდეს კონკრეტულ ენაში.

აქტანტურ დერივაციას (მორფოლოგიურად მარკირებული) გამოვიყენებთ მომდევნო თავებში სინტაქსური ფუნქციების (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება) დასადგენად და ამ ფუნქციების საშუალებით ვალენტობისა და გარდამავლობის გამოსარკვევად (მო-

ცემულ თავში ვალენტობასა და გარდამავლობას ვუთითებთ გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების საშუალებით).

ერთი შეხედვით მწყობრი ქვესისტემის (მედიალური და აპლიკატიური მნიშვნელობებით) არსებობის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული მაგალითები ქვესისტემის გარეთ რჩება (ან არ ხდება აქტანტური დერივაცია, ან კიდევ აქტანტური დერივაციის დროს არ იცვლება მორფოლოგიური მაჩვენებელი, ან სულაც შინაარსობრივად აქტანტი და რომელიმე კონკრეტული პრეფიქსი არ შეესატყვისება). ამგვარი გამონაკლისების ახსნა ხშირად რთულია (ან შუმეროლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულაც შეუძლებელია კონკრეტული ენობრივი სტრუქტურების აღქმა თანამედროვე ენათმეცნიერული მიდგომებით, ან კიდევ გადამწერის უბრალო შეცდომის გამო შეიძლება კვლევა-ძიება სულ სხვა მიმართულებით წავიდეს), რადგანაც შეუძლებელია ნებისმიერი ჰიპოთეზის გადამოწმება ინფორმანტებთან იმ სულ უბრალო მიზეზის გამო, რომ შუმერული ე. წ. „მკვდარ ენებს“ განეკუთვნება.

თავი IV
სივრცობრივი პრეფიქსები შუმერულში

4.1 ზოგადი

-2, -3 და -4 (ტრადიციულად) ან -2, -3, -4, -5 და -6 (უფრო თანამედროვე მიდგომით) რანგებში ერთიანდება ე. წ. „სივრცობრივი პრეფიქსები", რომელთა ძირითად ფუნქციად მიიჩნევენ ირიბი და უბრალო დამატებების, ასევე გარემოებების გამოხატვას (დიაკონოვი 1979: 26-27; კანევა 1996: 66; იაგერსმა 2010: 743; იაგერსმა 2017: 31; ზოიომი 2017: 167-180, 183-198, 201-221). აღნიშნული სინტაქსური ფუნქციები ტრადიციულად ირიბ ბრუნვებში (დატივი, დირექტივი, ლოკატივი, ტერმინატივი, აბლატივი და კომიტატივი) მდგარი სახელური ფრაზებით გამოიხატება (დიაკონოვი 1979: 28; კანევა 1996: 145). შუმეროლოგიური ტრადიციის თანახმად, ერთ-ერთ ირიბ ბრუნვაში მდგარ სახელურ ფრაზასა[111] და ზმნაში გამოხატულ წინადადების ამ წევრს შორის ურთიერთობას უწოდებენ შეთანხმებას (concord) (გრეგი 1973: 9, 13; თომსენი 1984: 214), მაგრამ რადგანაც შეიძლება, რომ სახელური ფრაზა არ იყოს წარმოდგენილი წინადადებაში და ზმნას შეიძლება რომ დაერთოდეს ერთ-ერთი „სივრცობრივი პრეფიქსი" მაინც, ამიტომ თანამედროვე შუმეროლოგების ნაწილი

111 შუმეროლოგების უმეტესობა ირიბ ბრუნვებში მდგარ სახელურ ფრაზებს უწოდებს ზმნიზედურ კომპლემენტებს (adverbial complement), რადგანაც ისინი ხშირად გამოხატავენ ადგილისა თუ დროის მაჩვენებლებს (გრეგი 1973; თომსენი 1984; ფაქსვოგი 2014, inter alia).

მოცემულ მოვლენას მიიჩნევს კორეფერენციად და არა შეთანხმებად: მოცემული ზმნური პრეფიქსები წინადადების იმავე პარტიციპანტს აღნიშნავენ, რომელსაც ზემოჩამოთვლილი ირიბი ბრუნვები (იაგერსმა 2010: 297-299; ზოიომი 2017: 86, inter alia).

ფაქტობრივად, „სივრცობრივი პრეფიქსებს" წინ უძღვის პირის ნიშანი (-6 რანგი; pronominal head, pronominal elements, initial person-prefixes). მიიჩნევენ, რომ სახელური ფრაზის მეთაურ სიტყვას უკავშირდება აღნიშნული -6 რანგის პრეფიქსი, რომელიც გამოხატავს შესაბამისი სახელური ფრაზის პირსა (ან კლასს) და რიცხვს, ხოლო საკუთრივ სივრცობრივი პრეფიქსი (ტრადიციული ტერმინი: case element) უკავშირდება ბრუნვის ნიშანს (კლიტიკურ ელემენტს). რამდენი სივრცობრივი პრეფიქსიც არ უნდა იყოს ზმნაში წარმოდგენილი, პირის ნიშანი ყოველთვის იქნება ერთი, რომელიც აუცილებლად მიემართება იმ სივრცობრივ პრეფიქსს, რომელიც მას უშუალოდ მოსდევს (გრეგი 1973: 5-6; დიაკონოვი 1979: 28; კანევა 1996: 145; ედცარდი 2003: 92; იაგერსმა 2010: 381; ფაქსვოგი 2016: 68-69; ზოიომი 2017: 79-82, 162-163). პირის ნიშანი ხშირად არ არის გამოხატული, რაც, ერთი მხრივ, აიხსნება შუმერული ორთოგრაფიის საშუალებით (მარცვლის ბოლოკიდური (coda) თანხმოვნის გამოუხატველობა), მაგრამ რეალურია მისი არსებობა (თომსენი 1984: 1984: 218; ედცარდი 2003: 92, 109; იაგერსმა 2010: 383), ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში (განსაკუთრებით, კომიტატივი, აბლატივი და ტერმინატივი) პირის ნიშნის გარეშე შეიძლება უმატებდნენ ზმნიზედურ, მიმართულებით ან სივრცობრივ ნიუანსებს, აზუსტებდნენ ლექსიკურ მნიშვნელობას (დიაკონოვი 1979: 28; ფაქსვოგი 2016: 78).

როდესაც წინადადებაში არ არის წარმოდგენილი სახელური ფრაზა, მაშინ განარჩევენ ორ ძირითად შემთხვევას: **1.** წინადადებაში უნდა იყოს პირის ნაცვალსახელი, მაგრამ ელიფსისის გამო ზედაპირულ სტრუქტურაში არ

აისახება; განარჩევენ მის ორ ქვეტიპს: **a.** მოცემული ნაცვალსახელი შეიძლება მიემართებოდეს კონტექსტით ნაგულისხმებ რომელიმე სახელურ ფრაზას ან **b.** მთლიანად წინამავალ გამონათქვამს; **2.** როდესაც პარტიციპანტი დაკარგულია და ზმნა ერთ-ერთი სივრცობრივი პრეფიქსით წარმოადგენს გაქვავებულ გამონათქვამს ან სულაც სივრცობრივ პრეფიქსს დაკარგული აქვს კავშირი შესაბამისი ბრუნვით აღნიშნულ სახელურ ფრაზასთან (თომსენი 1984: 214-215; კანევა 1996: 154-155; ფაქსვოგი 2016: 70).

თეორიულად შესაძლებელია, რომ ზმნაში გამოვლინდეს ოთხი მაჩვენებელი, მაგრამ რეალურად იშვიათად დასტურდება სამი მათგანი ერთდროულად ერთსა და იმავე ზმნურ სიტყვაფორმაში, უფრო ხშირად კი – ორი ან ერთი მათგანი). ერთ სიტყვაფორმაში ურთიერთგამომრიცხავია აბლატივისა და ტერმინატივის მაჩვენებლები, აქედან გამომდინარე, დატივი, კომიტატივი, ლოკატივი და აბლატივი (ან მის ნაცვლად ტერმინატივი) თეორიულად ყოველთვის თავსებადი იქნება ერთმანეთთან ერთსა და იმავე ზმნურ სიტყვაფორმაში (თომსენი 1984: 216; იაგერსმა 2010: 382, 445; ზოიომი 2017: 77-82; ოდნავ განსხვავებული შეხედულებისათვის იხ. დიაკონოვი 1979: 29; კანევა 1996: 145).

მიუხედავად ზემოთ მითითებული შუმეროლოგიური ლიტერატურის საკმაო რაოდენობისა, ძირითადად მაინც განიხილებოდა სივრცობრივი პრეფიქსების სემანტიკისა და მორფოლოგიური შედგენილობის საკითხები, უფრო ნაკლებად კი – სინტაქსური მახასიათებლები. სინტაქსური თვალსაზრისით, სახელურ ფრაზათა სინტაქსური ფუნქციები (ირიბი დამატება, უბრალო დამატება, გარემოება) წინასწარ დადგენილად მიიჩნეოდა (ან წმინდა მორფოლოგიური მარკირების, ანაც სემანტიკის საფუძველზე). დ. ფაქსვოგი, ა. იაგერსმა და გ. ზოიომი უფრო მეტად განიხილავენ (სხვა შუმეროლოგებისგან განსხვავებით) სინტაქსურ მახასიათებლებს და ტრადიციულ შუმეროლოგიურ

მიდგომებსაც ითვალისწინებენ (ფაქსვოგი 2016; იაგერსმა 2010; ზოიომი 2017). მათგან განსხვავებით, ე. სმითისა და პ. ნეძელსკის თანახმად, სივრცობრივი პრეფიქსები გამოხატავენ აპლიკატივს (სმითი 2010; ნეძელსკი 2017).

ჩვენი მიზანია, სივრცობრივი პრეფიქსების სინტაქსური მახასიათებლებით დავადგინოთ თითოეული მათგანის სინტაქსური ფუნქცია (ირიბი თუ უბრალო დამატება), ვალენტობასა და გარდამავლობასთან მათი კავშირი და გრამატიკულ კატეგორიებში გაერთიანება; აგრეთვე გამოვარკვიოთ ფლექსიურობა-დერივაციულობა).

წინამდებარე თავში ჯერ განვიხილავთ ტრადიციულ შუმეროლოგიურ შეხედულებებს თითოეული პრეფიქსის შესახებ (ალომორფული შედგენილობა, თავსებადობა სხვა პრეფიქსებთან, სინტაქსური კავშირი სახელურ ფრაზებთან და ა. შ.), ხოლო შემდეგ სინტაქსური ტესტების საფუძველზე შეძლებისდაგვარად გამოვარკვევთ მათ სინტაქსურ ფუნქციებს. ამის საფუძველზე დავადგენთ მათ კავშირს ვალენტობასთან და განვიხილავთ ფლექსიურობა-დერივაციულობის საკითხს მორფოლოგიური თვალსაზრისით. ბოლოს კი შევეხებით სივრცობრივ პრეფიქსებთან დაკავშირებულ აპლიკატიურობას.

4.2 სივრცობრივი აფიქსების მოკლე აღწერა

4.2.1 ლოკატივი

ლოკატივის ზმნური პრეფიქსების (-2 რანგი) ძირითადი მნიშვნელობა არის „-ში, -თან, -ზე“ (იაგერსმა 2010: 465; ფაქსვოგი 2016: 88; ზოიომი 2017: 203-205) და უკავშირდება (ეთანხმება (concord) თუ კორეფერენტულად (coreference) მიემართება სახელური ფრაზით გამოხატულ აქტანტს) სახელურ ფრაზას, რომელიც შეიძლება იყოს ლოკატიურ, დირექტიულ (resp. ლოკატიურ-ტერმინატიულ), აბლატიურ

ან დატიურ ბრუნვებში. ლოკატივი გამოიხატება ორი მორფემით: {ni-} (ალომორფები – /ni-/ და /n-/) და {e-} (ალომორფები: /a-/ და /e-/). იხმარება, როგორც გონიერ, ასევე არაგონიერ სახელებთან (გრეგი 1973: 73, 76-77; დიაკონოვი 1979: 28; კანევა 1996: 150; იაგერსმა 2010: 395; ფაქსვოგი 2016: 88).[112] როგორც მიუთითებენ, ლოკატიური ბრუნვები არ გამოიხატება პირის ნიშანთან ერთად (თომსენი 1984: 217).

(1) ლოკატივი

a. *e_2-kur za-gin$_3$-na mu-ni-in-kur$_9$*

ekur zagin=a mu-ni-n-kur-Ø

ექური ლაზურიტი=LOC VENT-LOC-3SG.H.A-შესვლა-3SG.P

i_3 saĝ igi-ni mi-ni-in-de$_2$

i saĝ=Ø igi=ani=a mu-ni-n-de-Ø

ზეთი თავი=ABS თვალი=3SG.H.POSS=LOC VENT-LOC-3SG.H.A-დასხმა-3SG.P

„მან შეიყვანა ის მბრწყინავ ექურში და სახეზე დაასხა საუკეთესო ნელსაცხებელი". (Enlil and Sud (c.1.2.2), line c122.2.B.6)

b. *^{d}nin-urta kur-ra ḫe$_2$-mu-e-ni-ug$_5$*

ninurta=Ø kur=a ḫa-mu-ni-e-uš-Ø

ნინურთა=ABS მთა=LOC ASRT-VENT-LOC-2SG.H.A-კვლა.PL.P-3SG.P

„ნინურთა, შენ მოკალი ისინი მთაში".
(Ninurta's exploits: a šir-sud (?) to Ninurta (c.1.6.2), line c162.134)

c. *tug$_2$ ḫu-mu-e-ni-ĝar*

tug=Ø ḫa=mu-e-ni-n-ĝar-Ø

ტანსაცმელი=ABS ASRT=VENT-2SG-LOC-3SG.H.A-დადება-3SG.P

gada ḫu-mu-e-ni-mur$_{10}$

gada=Ø ḫa=mu-ni-n-mur-Ø

სელის.ქსოვილი=ABS ASRT=VENT-LOC-3SG.H.A-ჩაცმა-3SG.P

„მე ჩაგაცვი ტანსაცმელი, მე ჩაგაცვი სელის ქსოვილი".
(Enki and the world order (c.1.1.3), line c113.442)

---

112 ა. იაგერსმა ლოკატიური პრეფიქსების რიგში განიხილავს {bi-} მორფემასაც, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ ე. წ. „საუღლებელ პრეფიქსებში" (იხ. თავი III, ქვეთავი).

(1a) წინადადებაში წარმოდგენილია ორი ზმნა – kur_9 „შესვლა“ და de_2 „დასხმა“, რომლებიც დაირთავენ {ni-} ლოკატიურ მორფემას და რომლის შესაბამისი პარტიციპანტები (ლოკატიურ ბრუნვაში) ასევე გამოხატულია წინადადებაში: e_2-kur za-gin_3-na „მბრწყინავი ექური“ და igi-ni „თვალი/სახე“ (ორივე მათგანი გამოხატავს მიზნის (goal) სემანტიკურ როლს). მოცემული წინადადება არის პროტოტიპური შემთხვევა, რადგანაც წინადადებაში წარმოდგენილია როგორც სახელური ფრაზები, ასევე ლოკატივის გამომხატველი მორფემა ზმნაში. (1b)-შიც ნაჩვენებია როგორც სახელური ფრაზა (kur-ra „მთაში“), ასევე {ni-} პრეფიქსი ზმნაში. <mu-e> ნიშანთა მიმდევრობა უნდა მიუთითებდეს /mu/ → /me/ ასიმილაციურ გადასვლას და /e/ უნდა განვიხილოთ ფონეტიკურ კომპლემენტად, ორთოგრაფიულ საშუალებად, რომ ვენტივის მორფემა გამოხატულია /me-/ ალომორფით. (1c)-ში ḫu-mu-e-ni-ĝar „დადება“ და ḫu-mu-e-ni-mur_{10} „ჩაცმა“ ზმნაში ლოკატივის მაჩვენებლის წინ მდგარი <e> გრაფემა ასევე უნდა გამოხატავდეს (წინა წინადადების მსგავსად) ვენტივის მორფემის /me/ ალომორფს. რა თქმა უნდა, <e> გრაფემა სხვაგვარადაც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც (1b)-ში, ასევე (1c)-ში: (1b)-ში შესაძლებელია გამოხატავდეს მეორე პირში მდგარი სახელის (ანუ A პრიმიტივით გამოხატული აქტანტით) დაკავშირებას იმ ლოკაციასთან, რომელიც გამოხატულია მოცემულ წინადადებაში, (1c)-ში ḫu-mu-e-ni-ĝar „დადება“ და ḫu-mu-e-ni-mur_{10} „ჩაცმა“ ზმნაში ლოკატივის მაჩვენებლის წინ მდგარი მეორე პირის ნიშანი უნდა აღნიშნავდეს იმ პირს, ვისაც ჩააცვეს, რომელიც არც A პრიმიტივია და არც P (უნდა გამოხატავდეს მიზნის სემანტიკურ როლს). ამ თვალსაზრისით, თუნდაც ამ ორი წინადადებიდან გამომდინარე, გადასახედია დებულება, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ: ლოკატივის მაჩვენებელს წინ უსწრებს თუ არა ინიციალური პირის ნიშანი.[113]

113 ეს არის თეორიულად შესააძლებელი ვარიანტი, რომელსაც არ-

ლოკატივის გამომხატველი პრეფიქსების თანახმარება არ არის შეზღუდული სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან (დატივი, კომიტატივი, ტერმინატივი) ერთი ზმნური სიტყვაფორმის ფარგლებში (გრეგი 1973: 67; თომსენი 1984: 236-237):

(2)

a. ლოკატივი + კომიტატივი

dumu iri-na *mu-un-da-ni-re$_7$-eš-am$_3$*

dumu iri=ani=ak=Ø *mu-n-da-ni-ĝen-eš=am*

შვილი ქალაქი=3SG.POSS=GEN=ABS VENT-3SG.H-COM-LOC-სვლა.PLS-3PLS=COP.3SG.S[114]

„მათი ქალაქის მოქალაქეები ერთად წამოვიდნენ“. (Gilgameš and the bull of heaven (c.1.8.1.2), line c1812.1.B.88)

b. ლოკატივი + დატივი

an-ne$_2$ [...] aga *zid-de$_3$* *dalla*

an=e [...] aga *zid=e* *dalla=Ø*

ანი=ERG გვირგვინი ჭეშმარიტი=DIR მბრწყინავი=ABS

mu-ra-ni-in-e$_3$

mu-r-a-ni-n-e-Ø

VENT-2SG-R-LOC-3SG.H.A-სვლა-3SG.P

„ანმა ჭეშმარიტი გვირგვინი გაგიბრწყინა“. (A praise poem of Iddin-Dagan (Iddin-Dagan B) (c.2.5.3.2), line c2532.1-2)

ცერთი შუმეროლოგი არ იზიარებს, რადგან ამგვარი საორჭოფო მაგალითები ახსნა ყოველთვის შესაძლებელია ფონეტიკური კომპლემენტების სასარგებლოდ. გლოსირებიდან ჩანს, რომ ჩვენს ამ აზრს ვემხრობით და არ მიგვაჩნია, რომ ლოკატიურ მაჩვენებელს წინ უსწრებს ინიციალური პირის ნიშანი, მაგრამ მაინც მივიჩნიეთ, რომ ანალიზის ნაკლებად შესაძლებელი ვარიანტიც წარმოგვედგინა.

114 კონტექსტიდან გამომდინარე, „მათი“ და „მოქალაქეები“ მრავლობით რიცხვში უნდა იყოს, მაგრამ წინადადებაში მოცემულია {=ani} მესამე პირის გონიერი მხოლობითი რიცხვის კლიტიკური კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ხოლო ზმნაში {=am} კოპულა ზმნა მხოლობითი რიცხვის ფორმით. როგორც ჩანს, გადამწერისთვის მთავარი იყო, რომ მიეთითებინა კლასი (გონიერი), რიცხვის გარეშე, რადგანაც შუმერულის სახელურ ფრაზაში რიცხვის გამოხატვა, როგორც წესი, არაობლიგატორულია.

(2a) წინადადებაში ასახულია კომიტატივისა და ლოკატივის მაჩვენებლები, რომელთაც წინ უსწრებს ინიციალური პირის ნიშანი (კომიტატიურ მოქმედებას ასრულებენ მესამე პირის გონიერი პარტიციპანტები). ლოკატივის შესაბამისი სახელური ფრაზა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ კონტექსტით, როგორც ჩანს, იგულისხმება ის ქალაქი, რომლის მოქალაქეებიც არიან მოცემული წინადადების S პრიმიტივით გამოხატული პარტიციპანტები. (2b) წინადადებაში თანაიხმარება R პრიმიტივისა (მეორე პირი) და ლოკატივის მაჩვენებლები. წინადადებაში ასევე არ არის წარმოდგენილი ლოკატივის მაჩვენებლის შესაბამისი სახელური ფრაზა. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება („გაბრწყინება") სრულდება R პრიმიტივის (ამ შემთხვევაში ბენეფაქტივის სემანტიკური როლი) თავსა თუ სხეულზე და სწორედაც ამას აღნიშნავს {ni-} პრეფიქსული მორფემა.

გარდა ლოკატივისა, <ni> გამოხატავს რთულ ზმნებსა და კაუზატივთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პარტიციპანტს: უბრალო დამატებას (თომსენი 1984: 235, 237, 240; კარაჰასი 2010, inter alia).

(3) *mu* *lugal-be$_2$* *urdu$_2$-^{d}nanna-ke$_4$*
mu *lugal=ak=bi=Ø* *urdunannak=e*
სახელი მეფე=GEN=3SG.N.POSS=ABS ურდუნანა=ERG
in-ni-pa$_3$
i-n-i-n-pad-Ø
NEUT-3SG.H-OBL-3SG.A-დასახელება-3SG.P
„ურდუნანამ ფიცი დაადებინა მეფის სახელით" (ზედმ. „ურდუნანამ მეფის სახელი დაასახელებინა") (PDT 2:1282 rev 6-7; L?; 21; იაგერსმა 2010: 421).

{ni-} მორფემა შეიძლება იხმარებოდეს რეფერენტის გარეშეც ან ზმნას შეუცვალოს შინაარსი და დაუმატოს ლოკატიური „-ში" მნიშვნელობა (იაგერსმა 2010: 392, 473).

(4)

a. *kur* *gul-gul* *ti* *a_2-ta* *i-ni-in-ug$_7$*
kur=Ø *gul-gul=Ø* *ti* *a=ta* *i-ni-n-uš-Ø*
მთა=ABS განადგურებული-RDP ისარი ხელი=ABL NEUT-LOC-3SG.H.A-კვლა.PL.P-3SG.P
„ანადგურებს ძლიერად მიწებს ისრით და ძალით“.
(Inana and Ebiḫ (c.1.3.2), line c132.6)[115]

b. *ne-bi* *im-ma-ni-in-su-ub*
?=bi *ima-ni-n-sub-Ø*
სახელადი.ნაწილი=3.SG.POSS VENT.MID-LOC-3SG.H.P-წოვა-3.SG.P
„მან ნამდვილად აკოცა მას“.
(Enlil and Ninlil (c.1.2.1), line c121.51)

c. *sukkal-a-ni* *^{d}isimud$_4$-de$_3$*
sukkal=ani *isimud=e*
დესპანი=3SG.H.POSS ისიმუდი=ERG
mu-na-ni-ib-gi$_4$-gi$_4$
mu-n-a-ni-b-gi-gi-e
VENT-3SG.H-R-LOC-3SG.N.T-დაბრუნება-RDP-3SG.A
„მისმა დესპანმა ისიმუდმა მას უპასუხა“.
(Enki and Ninḫursaĝa (c.1.1.1), line c111.93)

(4a) წინადადება გამოხატავს შეუსაბამობას ლოკატიურ ზმნურ პრეფიქსსა და აბლატიურ სახელურ ფრაზას შორის: როგორც ჩანს, ორივე მორფემა უკავშირდება ti „ისარი“ და a_2 „ხელი“ არსებითი სახელებით გამოხატულ ინსტრუმენტის სემანტიკურ როლს. (4b)-ში კი ზმნური მნიშვნელობის მოდიფიკაციას ახდენს: su-ub „წოვა“ ზმნა უკავშირდება იმ ადგილს, სადაც შეიძლება აკოცოს A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატულმა პარტიციპანტმა P პრიმიტივით გამოხატულ პარტიციპანტს. აქედან გამომდინარე, {ni-} + su-ub (ლოკაცია + „წოვა“) აღ-

115 კონტექსტით და მომდევნო ზმნის მიხედვით, ეს ზმნაც მეორე პირში უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც ამ ზმნაში მოცემულია <in> გრაფემა, რომელიც ლოკატიური {ni-} მორფემის შემდეგ შეიძლება გამოხატავდეს მხოლოდ მესამე პირის ნიშანს, ამიტომ აქ მესამე პირად ვთარგმნით.

ნიშნავს „კოცნას“. (4c)-ში წარმოდგენილია მეტაფორული გადასვლა: gi$_4$ „დაბრუნება“ ზმნას {ni-} პრეფიქსი უცვლის მნიშვნელობას და ვიღებთ ზმნას „უპასუხა“ (თომსენი 1984: 215-216). როგორც ჩანს, ზმნა „დაბრუნება“ უკავშირდება რეციპიენტს თუ მიზანს (goal), ვისთანაც ან სადაც უნდა მივიდეს შეტყობინება და ამიტომაც გამოხატულია ლოკატიური მაჩვენებლით: {ni-} + gi$_4$ (ლოკაცია + დაბრუნება) სემანტიკურად/ შინაარსობრივად გვაძლევს „პასუხის“ მნიშვნელობას.

ლოკატიური პრეფიქსთან დაკავშირებულ მაგალითებში ნაჩვენებია როგორც პროტოტიპური (შეთანხმება/რეფერენციული იდენტიფიკაცია: ლოკატივის მაჩვენებელი ზმნაში, ლოკატივის ბრუნვით გაფორმებული სახელური ფრაზა), ასევე პროტოტიპიდან გადახრის შემთხვევებიც (ლოკატივის მაჩვენებელი ზმნაში, არალოკატიური ბრუნვით გაფორმებული სახელური ფრაზა), ან სულაც შემთხვევები, როდესაც ზმნას ლოკატიური მორფემა ამოსავალ შინაარსს უცვლის ან მცირედით ახდენს მის მოდიფიკაციას. ამგვარი ნიმუშები უჩვენებენ ლოკატიური პრეფიქსის ტენდენციას დერივაციულობისაკენ (წმინდა სემანტიკური თვალსაზრისით).

4.2.3 აბლატივი

აბლატივის ზმნური პრეფიქსის (-3 რანგი) ძირითად მნიშვნელობას წარმოადგენს „-დან, -გან“, ანუ დაშორება/მოშორება/გამოყოფა დროსა და სივრცეში (გრეგი 1973: 30; თომსენი 1984: 230-231; იაგერსმა 2010: 446, 457; ფაქსვოგი 2016: 80; ზოიომი 2017: 183-191) და უკავშირდება (ეთანხმება (concord) თუ კორეფერენტულად მიემართება (coreference) სახელური ფრაზით გამოხატულ აქტანტს) სახელურ ფრაზას, რომელიც არის აბლატიურ ბრუნვაში. აბლატივი გამოიხატება {ta-} მორფემით, რომელიც ტექსტში ვლინდება რამდენიმე ალომორფით: /ta-/, /ti-/, /te-

/, /da-/, /ra-/,[116] /ri-/ (გრეგი 1973: 93-94; კანევა 1996: 146-147, 151-152; იაგერსმა 2010: 454-456; ფაქსვოგი 2016: 80):

(5) აბლატივი

a.	*ne-mur*	*7-ta*	*ninda*	*gi-izi-eš-ta*
	nimur	*7=ta*	*ninda*	*giziešta=Ø*
	გავარვარებული.ნახშირი	7=ABL	პური	გიზიეშთა=ABS

ba-ra-an-du$_8$

ba-b-ta-n-du-Ø

MID-3SG.N-ABL-3SG.H.A-ცხობა-3SG.P

„მხოლოდ შვიდი ნახშირით მან გამოაცხო გიზიეშთა ცომი“. (Lugalbanda in the mountain cave (c.1.8.2.1), line c1821.A.298)

b.	*dam-gara$_3$*	*iri-ta*	*ba-ra-e$_3$*	*ganba*
	damgara=Ø	*iri=ta*	*ba-b-ta-e-Ø*	*ganba=Ø*
	ვაჭარი=ABS	ქალაქი=ABL	MID-3SG.N-ABL-სვლა-3SG.S	საბაზრო.ფასი

ba-ra-an-du$_8$

ba-ta-ni-du-Ø

MID-3SG.N-ABL-LOC-გაშლა-3SG.S

„ვაჭარმა დატოვა ქალაქი და საბაზრო ფასი განადგურდა“. (Proverbs: collection 1 (c.6.1.01), line c6101.B.1.73.24)

(5a) წინადადებაში მოცემულია როგორც სახელური ფრაზა აბლატიურ ბრუნვაში, ასევე ზმნური პრეფიქსი, რომელთა შორის შეთანხმება თუ კორეფერენცია პროტოტიპურად გამოიხატება. {ta-} გამოვლენილია /ra-/ ალომორფის სახით, რომლის წინაც უნდა აღვადგინოთ არაგონიერი სახელის გამომხატველი {b-} ინიციალური პრეფიქსი, რადგანაც მიემართება არაგონიერ სახელურ ფრაზას (ne-mur „გავარვარებული ნახშირი“). (5b) წინადადებაში iri „ქალაქი“ დგას აბლატიურ ბრუნვაში და ამის შესაბამისად ზმნაში წარმოდგენილია აბლატივის მაჩვე-

116ა. იაგერსმა /ra-/ ალომორფს განსაზღვრავს როგორც ფონოლოგიურად შეპირობებულს, მაგრამ ჩვენი კვლევისთვის შეპირობებულობის დადგენას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა (იაგერსმა 2010: 384, 454).

ნებლის /ra-/ ალომორფი. მოცემული აფიქსი გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით: ადგილიდან გამოსვლისა თუ დაშორების, დამანძილების გაგებით. du_8 „გაშლა“ ზმნაც დაირთავს აბლატიურ პრეფიქსს, მაგრამ წინადადებაში არ არის წარმოდგენილი სახელური ფრაზა აბლატიურ ბრუნვაში. ამგვარ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ზმნას ლექსიკურ შინაარს უცვლის გარკვეულწილად და აზუსტებს თუ უჩვენებს მიმართულებასა და გამოსვლას იმ მდგომარეობიდან, რომელიც გულისხმობს საბაზრო ფასის დაცემასა თუ განადგურებას. ამგვარი ლექსიკური ცვლილებები ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც შეიძლება დაიძებნოს.

აბლატივის გამომხატველი მორფემის თანახმარება არ არის შეზღუდული სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან (დატივი, კომიტატივი, ლოკატივი) გარდა ტერმინატივისა (გრეგი 1973: 15, 89; კანევა 1996: 154; ფაქსვოგი 2016: 82; იაგერსმა 2010: 395).

(6) აბლატივი + კომიტატივი

kug	*lugal-ban$_3$-da*	*e$_2$-gal-ta*	*im-ma-da-ra-ta-e$_3$*
kug	*lugalbanda=Ø*	*egal=ta*	*ima-n-da-ta-e-Ø*
მბრწყინავი	ლუგალბანდა	სასახლე=ABL	VENT.MID-3SG.H-COM-ABL-სვლა-3SG.S

„წმინდა ლუგალბანდა გამოვიდა სასახლიდან“.
(Lugalbanda and the Anzud bird (c.1.8.2.2), line c1822.322)

(6) მაგალითში ერთდროულად წარმოდგენილია ორი მორფემა {da-} და {ta-}; აქედან გამომდინარე, ორივე მორფემა ორ სხვადასხვა რანგში ერთიანდება. ა. იაგერსმა მიიჩნევს, რომ კომიტატივი ვლინდება /dara-/ ალომორფის სახით, თუ მას მოსდევს აბლატივის ან ტერმინატივის მორფემა. ეს წესი ჩანს ადრეულ ძველ ბაბილონურ პერიოდამდე (early Old Babylonian period; იაგერსმა 2018: პირადი კომუნიკაცია).

{ta-} მორფემა გამოხატავს არასივრცობრივ და არადროით მნიშვნელობებსაც (ინსტრუმენტი). „განადგურები-

სა“ და/თუ „დასრულების“ მნიშვნელობის მქონე ზმნებს უმატებს „სრულიად, მთლიანად, სავსებით“ ნიუანსს (გრეგი 1973: 36-37; თომსენი 194: 304; ფაქსვოგი 2016: 81).

(7) აბლატივი

a.	*ur-gir$_{15}$-re*	*nam*	*zu$_2$-lum-ma-ta*
	urgir=e	*nam*	*zulum=ak=ta*
	შინაური.ძაღლი=ERG	ბედი(?)	ფინიკი=GEN=ABL
	^{ĝiš}kiri$_6$	*u$_3$-ba-ni-ib$_2$-ed$_2$-de$_3$*	
	kiri=Ø	*u-ba-ni-b-e-e*	
	ხეხილის.ბაღი=ABS	ANT-MID-LOC-3SG.N.P-სვლა-3SG.H.A	
	lugal ^{ĝiš}kiri$_6$-ke$_4$	*ib$_2$-ta-an-sar-re*	
	lugal kiri=ak=e	*i-b-ta-n-sar-e*	
	მეფე ხეხილის.ბაღი=GEN=ERG	NEUT-3SG.N-ABL-3SG.H.P-გაქცევა-3SG.A	
	„როდესაც ძაღლი შედის ხეხილის ბაღში ფინიკის მოსაპოვებლად, ხეხილის ბაღის მეპატრონე გააქცევს/ განდევნის მას“. (Proverbs: collection 5 (c.6.1.05), line c6105.D.5.88.96)		

b.	*a*	*ub-ta-an-bal-bal*	*a*
	a=Ø	*u-b-ta-n-bal~bal-Ø*	*a=Ø*
	წყალი=abs	ANT-3SG.N-ABL-3SG.H.A-ბრუნება~RDP-3SG.P	წყალი=ABS
	tukum-bi	*ga-naĝ*	
	tukumbi	*ga-b-naĝ*	
	თუ	COH.1SG.A-3SG.N.H.P-დალევა	
	„თუ დამისხამ წყალს, დავლევ წყალს“. (Dumuzid's dream (c.1.4.3), line c143.207)		

sar ნიშნავს „სირბილს, გაქცევას“, ხოლო {ta-} პრეფიქსის დამატებით ვიღებთ „გააქცია, განდევნა“ მნიშვნელობას. bal ზმნა ნიშნავს „ბრუნებას, გადაბრუნებას, გადაკვეთას“, მაგრამ {ta-} პრეფიქსის დამატების შემდეგ ვიღებთ მნიშვნელობას „გადმოღვრას, ჩამოსხმას“. ორივე შემთხვევაში დეიქტიკურ მახასიათებელს აზუსტებს აბლატიური პრეფიქსი.

4.2.4 ტერმინატივი

ტერმინატივის ზმნური პრეფიქსის (-3 რანგი) ძირითად მნიშვნელობას წარმოადგენს „-კენ“, ანუ მოძრაობას/გადაადგილებას ვინმესა თუ რამის მიმართულებით (თომსენი 1984: 229; იაგერსმა 2010: 446; ფაქსვოგი 2016: 80; ზოიომი 2017: 191–198) და უკავშირდება (ეთანხმება (concord) თუ კორეფერენტულად მიემართება (coreferent) სახელური ფრაზით გამოხატულ აქტანტს) სახელურ ფრაზას, რომელიც არის ტერმინატიულ ბრუნვაში. ტერმინატივი გამოიხატება {ši-} მორფემით, რომელიც ტექსტში ვლინდება /še$_3$-/ და /ši-/ ალომორფებით (თომსენი 1984: 227; კანევა 1996: 146–147; იაგერსმა 2010: 459–460; ფაქსვოგი 2016: 80; ზოიომი 2017: 191).

(8) ტერმინატივი

a. *ĝe$_{26}$-e* *ga-mu-e-ši-ed$_3$-de$_3$*
ĝe *ga-mu-e-ši-ed-ed-en*
1SG COH.1SG.S-VENT-2SG-TERM-სვლა-IPFV-1SG.S
„შენთან ჩამოვალ“.
(Proverbs: collection 13 (c.6.1.13), line c6113.13.48.87)

b. *e$_2$-še$_3$* *^{giš}kun$_5$* *gal-gal* *ba-ši-in-ri-ri*
e=še *kun* *gal~gal=Ø* *ba-b-ši-n-ri~ri-Ø*
სახლი=TERM კიბე დიდი~RDP=ABS MID-3SG.N-TERM-3SG.H.A-მიმართვა~RDP-3SG.P
„მან კიბეები ტაძრისკენ მიმართა“. (The cursing of Agade (c.2.1.5), line c215.1.107)

c. *me-e*[117] *uru$_2$-ĝu$_{10}$-še$_3$* *ḫe$_2$-em-ši-dal-dal-en*
ĝe *iri=ĝu=še* *ḫa-mu-b-ši-dal~dal-en*
1SG ქალაქი=1SG.POSS=TERM ASRT-VENT-3SG.N-TERM-ფრენა~RDP-1SG.S
„გავფრინდი ჩემი ქალაქისკენ“.
(The lament for Urim (c.2.2.2), line c222.E.106)

(8) მაგალითში მოცემულ წინადადებებში ან ნაგულისხმებია, ან კიდევ ექსპლიციტურად გამოიხატება ის

117 ემესალდიალექტზე გამოხატავს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელს.

სახელური ფრაზა, რომელიც ტერმინატიულ ბრუნვაში დგას და რომელსაც ეთანხმება თუ კორეფერენტულად ეთანადება ზმნური {ši-} მორფემა. (8a) წინადადებაში ვისკენაც მიმართულია ზმნით გამოხატული მოქმედება, წარმოადგენს მეორე პირს, რომელიც გამოიხატება მხოლოდ ზმნაში ტერმინატიული მორფემის წინამავალი {e-} მორფემით. (8b)-სა (8c)-ში ტერმინატიულ ბრუნვაში დგას e_2 „სახლი, ტაძარი", ამიტომაც არაგონიერი კლასის აღმნიშვნელი {b-} მორფემა უნდა აღვადგინოთ ზმნური {ši-} პრეფიქსის წინ. სამივე წინადადება გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ტერმინატივში მდგარი სახელისაკენ. ყველა შემთხვევაში ტერმინატივში მდგარი პარტიციპანტი გამოხატავს მიზნის (goal) სემანტიკურ როლს.

ტერმინატივის მორფემის თანახმარება არ არის შეზღუდული სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან (დატივთან, კომიტატივსა და ტერმინატივთან) გარდა აბლატივისა (გრეგი 1973: 15; კანევა 1996: 154; ფაქსვოგი 2016: 82; იაგერსმა 2010: 395).

(9) ტერმინატივი + ლოკატივი

lugal-še$_3$ *ḫe$_2$-em-ši-ni-ĝal$_2$*

lugal=še *ḫa-mu-n-ši-ni-ĝal-Ø*

მეფე=TERM OPT-VENT-3SG.H-TERM-LOC-განთავსებული.ყოფნა-3SG.S

„დაე, ის სწყალობდეს მეფეს". (A hymn to Bau's beneficent protective goddess (Bau A) (c.4.02.1), line c4021.B.12)

მოცემული მაგალითიდან ჩანს, რომ ტერმინატივი იხმარება, მაგ., ლოკატივთან ერთად: ორივე აფიქსი კი აზუსტებს ზმნით გამოხატული მოქმედების შინაარს.

წმინდა მოძრაობის გამომხატველი ზმნების გარდა, {ši-} პრეფიქსი გამოხატავს ზოგად ორიენტაციას ან კიდევ „იმიტომ", „-თვის" თუ „ნაცვლად" მნიშვნელობით. ასევე იხმარება გრძნობისა და აღქმის გამომხატველ ზმნებთან (verbs of attention) (გრეგი 1973: 20-23, 26-27; თომსენი 1984: 215-216; იაგერსმა 2010: 459-464; ზოიომი 2017: 193-198).

(10)

a. მიმართულების დაზუსტება

lu$_2$	*la-ga*	*an-ši-ed*$_2$*-de*$_3$
lu	*laga=Ø*	*a-n-ši-e-ed-e*
პიროვნება	ქურდი=ABS	VP-3SG.H-TERM-სვლა-IPFV-3SG.S

„ქურდი გამოდიოდა გარეთ".
(Proverbs: collection 13 (c.6.1.13), line c6113.13.3.3)

b. მიზანი (-თვის)

^{d}utu-ḫe$_2$*-ĝal*$_2$	*nitaḫ*	*kalag-ga*	*unug^{ki}-ta*
utuḫeĝal	*nitaḫ*	*kalag-a=Ø*	*unug=ta*
უთუხენგალი	მამაკაცი	ძლიერი-NMLZ=ABS	ურუქი=ABL

mu-ši-e$_3$

mu-n-ši-e-Ø

VENT-3SG.H.-TERM-სვლა-3SG.S

„უთუხენგალი, ძლიერი კაცი, გამოვიდა ურუქიდან მასთან პირისპირ შესახვედრად".
(The victory of Utu-ḫeĝal (c.2.1.6), line c216.26)

c. ვინმეს წინ/წინაშე

^{d}inana	*a-a-ni*	*^{d}en-ki-ra*	*e*$_2$*-a*
inana=Ø	*a=ani*	*enki=ra*	*e=a*
ინანა	მამა=3SG.H.POSS	ენქი=DAT	სახლი=LOC

ba-ši-in-kur$_9$

ba-n-ši-ni-kur-Ø

MID-3SG.H-TERM-LOC-შესვლა-3SG.S

„ინანა შევიდა, რომ ენახა მამა ენქი სახლში".
(Enki and the world order (c.1.1.3), line c113.389-390)

d.

ĝe$_{26}$*-e*	*^{d}nin-ḫur-saĝ-ĝa*$_2$	*mu-e-ši-tum*$_2$*-mu-un*
ĝe=e	*ninḫursaĝa=Ø*	*mu-e-ši-n-de-en*
1SG=ERG	ნინხურსაგი=ABS	VENT-2SG-TERM-3SG.H.P-ტარება-1SG.A

„შენ მოგიყვან ნინხურსაგს".
(Enki and Ninḫursaĝa (c.1.1.1), line c111.224)

e. მიზეზი

mu-zu-še$_3$	*tur$_3$*	*ḫe$_2$-em-ši-du$_3$-du$_3$*
mu=zu=še	*tur=Ø*	*ḫa=mu-ši-du~du-ed-Ø*
სახელი=2SG.POSS=TERM	ბოსელი=ABS	WISH-VENT-აღმართვა~RDP-IPFV-3SG.S
a-maš	*ḫe$_2$-em-ši-ne-ne*	
amaš=Ø	*ḫa=mu-ši-niĝin~niĝin-ed-Ø*	
ფარეხი=ABS	WISH-VENT-TERM-გარშემოსვლა~RDP-IPFV-3SG.S	

„დაე, შენი ბოსლები აშენდეს და ფარეხებს ღობე შემოარტყან!". (Cyl B 22:17-18; L; 22)' (იაგერსმა 2010: 462)

ზემოჩამოთვლილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ {ši-} პრეფიქსს გარდა იმისა, რომ უკავშირდება ტერმინატიულ ბრუნვაში მდგარ პარტიციპანტს, ასევე ზმნას უცვლის თუ უმატებს შინაარსობრივ ნიუანსებს (მიზეზი, მიზანი, მიმართულების დაზუსტება (დეიქსისის განსაზღვრა) და ა. შ.

4.2.5 კომიტატივი

კომიტატივის ზმნური პრეფიქსის (-4 რანგი) ძირითად მნიშვნელობას წარმოადგენს „გვერდით, ახლოს, -თან" (იაგერსმა 2010: 446, 450; ფაქსვოგი 2016: 79) და გამოხატავს იმ პარტიციპანტს, რომელიც თან ახლავს A ან R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატულ აქტანტს. კომიტატივის მორფემა რამდენიმე ალომორფით გამოიხატება: /da-/ (დომინანტური), /di-/, /ti-/, /de$_3$-/, /du-/ და /ta-/[118] (გრეგი 1973: 40-53; თომსენი: 1984: 224; კანევა 1996: 146)

(11) კომიტატივი

a.	*erin$_2$*	*lugal-da*	*i$_3$-re$_7$-eš-a*
	erin=e	*lugal=da*	*i-b-ĝen-eš-a*

118 ეს ალომორფები შეიძლება იყოს შეპირობებული როგორც ფონოლოგიურად,ასევემორფოლოგიურად,მაგრამნაშრომისმიზნებიდან გამომდინარე, არ აქვს მნიშვნელობა მათ დისტრიბუციასა და გამოვლენის პრინციპებს, რაც ზემოჩამოთვლილ ნაშრომებში შესაბამის ადგილზე ისედაც განიხილება.

ხალხი=ERG	მეფე=COM		NEUT-3SG.N.P-სვლა/დინება.PL-3PL.A-NMLZ
er$_2$	*mu-da-ab-us*$_2$*-e*		
er=Ø	*mu-n-da-b-us-e*		

ცრემლები=ABS VENT-3SG-COM-3SG.N.P-თანხლება-3SG.H.A

„ჯარისკაცები, რომლებიც თან ახლავან მეფეს, ცრემლად იღვრებიან“. (The death of Ur-Namma (Ur-Namma A) (c.2.4.1.1), line c2411.1.64)

b.	*an*	*lugal-da*	*zag*	*mu-un-de*$_3$*-ša*$_4$
	an	*lugal=da*	*zag=Ø*	*mu-n-da-sa-Ø*
	ანი	მეფე=COM	მხარე=ABS	VENT-3SG.H-COM-ტოლია-2SG.S
	nam	*mu-un-di-ni-ib-tar-re*		
	nam=Ø	*mu-n-da-ni-b-tar-en*		

ბედი=ABS VENT-3SG-COM-LOC-3SG.N.P-გადაჭრა-2SG.A

„შენ მეუფე ანის თანასწორი ხარ და მასთან ერთად წყვეტ ბედს“. (An adab to Inana for Ur-Ninurta (Ur-Ninurta D) (c.2.5.6.4), line c2564.B.10)

(11a) წინადადებაში კომიტატივის მაჩვენებელი მოცემულია (როგორც lugal „მეფე“ პარტიციპანტთან თან ხლება) us$_2$ „თანხლება“ ზმნაში /di-/ ალომორფის სახით: {n-} პრეფიქსი გამოხატავს lugal-ის „მეფე, მეუფე“ პირსა და კლასს. წინადადების სტრუქტურიდან გამომდინარე, კომიტატივის ფუნქციით დატვირთული პარტიციპანტი არც A და არც P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს. მოცემულ წინადადებას არაკანონიკური სტრუქტურა აქვს: er$_2$ „ცრემლები“ გამოიხატება აბსოლუტიური ბრუნვით და P პრიმიტივის ფუნქციით უნდა იყოს დატვირთული, მაგრამ კანონიკური შემთხვევისგან განსხვავებით, მოსდევს i$_3$-re$_7$-eš-a „სვლა/დინება“ არაფინიტურ (ნომინალიზატორის სუფიქსით გაფორმებულ) ზმნას (რაც უჩვენებს, რომ მოცემული ზმნა არა მთავარი, არამედ დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთ ტიპს ქმნის). რადგანაც P წარმოდგენილია, ამიტომ მისი აღმნიშვნელი {b-} პრეფიქსული მორფემა უნდა აღვადგინოთ ზმნაში. ĝen ზმნა რიცხვსა და ასპექტში ანაცვლებს ძირეულ მორფემებს: re$_7$

გამოიხატება სრული ასპექტის მრავლობით რიცხვში (რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს A პრიმიტივით გამოხატული აქტანტის სიმრავლეს, ასევე გამოხატული {-eš} სუფიქსით). us_2 ზმნისთვის რომელი პარტიციპანტი ასრულებს P პრიმიტივის როლს, გაურკვეველია, მაგრამ ჩვენი ანალიზისთვის საკმარისია ის, რომ კომიტატივისთვის მოცემულია პროტოტიპური შემთხვევა: კომიტატიური ბრუნვით გაფორმებულ ზმნას ეთანხმება (თუ კორეფერენტულად აისახება) და {da-} პრეფიქსული მორფემა წინამავალი პირის ნიშნით წარმოდგენილია ზმნაში.

(11b)-ში sa „ტოლია" ზმნას კოპულა ზმნის სტრუქტურა აქვს და ერთდროულად წინადადების ორ წევრს ითანხმებს აბსოლუტიურ ბრუნვაში: მეორე პირის ნაცვალსახელს (რომელიც მხოლოდ პრაგმატიკულად მარკირებულ შემთხვევებში გამოიხატება) და zag „მხარე" აქტანტს. lugal „მეფე, მეუფე" ორივე ზმნას ეთანხმება (თუ რეფერენციულად აისახება) კომიტატივში: შესაბამისად, კომიტატივი ზმნაში გამოიხატება /de-/ და /di-/ ალომორფების სახით.

(11) მაგალითის ორივე წინადადება უჩვენებს, რომ A თუ S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატული პარტიციპანტი კომიტატივით გამოხატულ პარტიციპანტთან ერთად ასრულებს მოქმედებას.

კომიტატივის მნიშვნელობა მოიცავს სხვადასხვა ნიუანსურ განსხვავებას (რეციპროკულ საქმიანობას, ლოკაციას და ა. შ.) (გრეგი 1973: 55-61; იაგერსმა 2010: 451).

(12)

a. ლოკაცია

ama	*^{d}nin-gal*	*uru_2-ni*[119]	*lu_2-$erim_2$-gin$_7$*
ama	*ningal=Ø*	*iri=ani*	*luerim=gin*
დედა	ნინგალი=ABS	ქალაქი=3SG.H.POSS	მტერი=EQU
bar-ta	*ba-da-gub*		
bar=da	*ba-b-da-gub-Ø*		

119 ემესალდიალექტზე ნიშნავს „ქალაქს".

გარეთ=COM MID-3SG.N-COM-დგომა-3SG.H.S

„დედა ნინგალი მტერივით დგას თავისი ქალაქის გარეთ“. (The lament for Urim (c.2.2.2), line c222.M.254)

b. რეციპროკი

^{d}en-lil$_2$-le	*sag$_9$-sag$_9$-ga*
Enlil=e	*sag~sag-a=Ø*
ენლილი=ERG	კარგი.ყოფნა~RDP-NOM=ABS

ba-ra-mu-da-ab-dug$_4$[120]

bara-mu-n-da-b-dug-Ø

CAT.NEG-VENT-3SG.H-COM-3SG.N.A-თქმა-3SG.P

„ენლილი საერთოდ არ დამელაპარაკა, უმშვენიერესო“. (Enlil and Ninlil (c.1.2.1), line c121.77)

c.

uru$_2$-ĝu$_{10}$	*u$_8$*	*zid-gin$_7$*	*sila$_4$-zu*
iri=ĝu=Ø	*u*	*zid=gin*	*sila=zu=Ø*
ქალაქი=1SG.POSS=ABS	ნერბი	სწორი=EQU	ბატკანი=2.SG.POSS=ABS

ba-e-da-tar

ba-e-da-tar-Ø

MID-2SG-COM-ჭრა-3SG

„ჩემო ქალაქო, უბიწო ნერბივით შენი ბატკანი გამოგტაცეს“. (The lament for Urim (c.2.2.2), line c222.C.66)

(12a) წინადადება უკავშირდება ლოკაციას, რომლის სიახლოვესაც A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატული პარტიციპანტი დგას: უნდა ვივარაუდოთ, bar-ta „გარეთ“ მოცემულია კომიტატივში და დაერთვის {=da} კომიტატიური ბრუნვის ნიშანი და არა {=ta} – აბლატიური ბრუნვის ნიშანი (ან დაყრუებულია /d/ ან კიდევ გადამწერმა კომიტატივის ნაცვლად მიუწერა აბლატივი). (12b) წინადადებაში რეციპროკული შინაარსის ნეგატიურად არის გამოხატული, ანუ A პრიმიტივით გამოხატული

120 dug$_4$ „თქმა“ წარმოადგენს გარდამავალ პერფექტიულ ფორმას, ამიტომ A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი (^{d}en-lil$_2$-le „ენლილმა“) უნდა გამოიხატოს {n-} პრეფიქსული მორფემით, მაგრამ ამ მაგალითში მის ნაცვლად წარმოდგენილია არაგონიერი სახელის გამომხატველი {b-} მორფემა.

პარტიციპანტი, ვისაც ელაპარაკება (არ ელაპარაკება) გამოხატულია არა R პრიმიტივით (დატიური ბრუნვით), არამედ უბრალოდ კომიტატიური ბრუნვით. (12c)-ში პარტიციპანტი, რომელიც უნდა იყოს კომიტატივში, დგას მეორე პირში, ამიტომ სახელური ფრაზით არ არის გამოხატული, მაგრამ კომიტატივის პრეფიქსი თავისი მეორე პირის ნიშნით წარმოდგენილია ზმნაში.

კომიტატივის მაჩვენებლის თანახმარება არ არის შეზღუდული სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან (დატივთან, აბლატივთან, ტერმინატივსა და ლოკატივთან) (გრეგი 1973: 39).

(13)

a. კომიტატივი + ლოკატივი

su$_8$-ba[121]	*^{d}dumu-zid-de$_3$*	*edin-a-na*
sipad	*dumuzid=e*	*edin=ani=a*
მწყემსი	დუმუზი=ERG	ვაკე=3SG.H.POSS=LOC
du$_{14}$	*mu-un-di-ni-ib-mu$_2$-mu$_2$*	
du=Ø	*mu-n-da-ni-b-mu-mu-Ø*	
უთანხმოება=ABS	VENT-3SG.H-COM-LOC-3SG.P-ზრდა-RDP-3SG.H.A	

„მწყემსმა დუმუზიმ ვაკიდან უთანხმოება გამოიწვია მასთან“. (Dumuzid and Enkimdu (c.4.08.33), line c40833.73)

b. კომიტატივი + დატივი

nam-šita	*sag$_9$-ga*	*gu$_3$-de$_2$-a-a-da*
namšita	*sag=a*	*gudea=da*
ვედრება	კეთილი=LOC	გუდეა=COM
en	*^{d}nin-ĝir$_2$-su-ra*	*mu-na-da-šu$_4$-ge-eš$_2$*
en	*ninĝirsu=ra*	*mu-n-a-da-gub-eš*
ღვთაება	ნინგირსუ=DAT	VENT-3SG.H-R-COM-დგომა-3PL.H.S

„ღვთაება ნინგირსუსკენ ნაბიჯი გადადგეს კეთილად განწყობილი ვედრებით გუდეას სახელით“. (The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.1068-1069)

121 ემესალდიალექტზე ნიშნავს „მწყემსს“.

(13) მაგალითი უჩვენებს {da-} პრეფიქსის თანახმარებას {ni-} ლოკატიურ და {a-} დატიურ პრეფიქსებთან თანახმარებას. ორივე შემთხვევაში კომიტატივის პრეფიქსი და ასევე R-ისა და ლოკატივის პრეფიქსები მიემართებიან სიტუაციაში ჩართულ კონკრეტულ პარტიციპანტს თუ ადგილის გამომხატველ ფრაზას (შეთანხმება/კორეფერენცია).

გარდა ამ მნიშვნელობებისა, {da-} მორფემა შეიძლება გამოხატავდეს უნარს, შეძლებას, შესაძლებლობას (აბილიტატივს). ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს ემოციის გამომხატველ ზმნებთან (გრეგი 1973: 53-55; თომსენი 1984: 226; კანევა 1996: 154-155; იაგერსმა 2010: 452-453; ზოიომი 2017: 173).

(14)

a. აბილიტატივი

zi	*nam-til$_3$-la*	*ba-da-an-kar*
zi	*namtil=ak=Ø*	*ba-n-da-n-kar-Ø*
სუნთქვა	სიცოცხლე=GEN=ABS	MID-3SG.H-COM-3SG.H.A-გაქცევა-3SG.P

„მან წაიღო მისგან (წაართვა მას) სასიცოცხლო ენერგია". (Enmerkar and En-suḫgir-ana (c.1.8.2.4), line c1824.A.273)

b.

niĝ$_2$-gur$_{11}$	*uru$_2$*[122]	*ĝal$_2$-ĝal$_2$-la-ĝu$_{10}$*	*sug-ge*
niĝgur	*iri*	*ĝal~ĝal-a=ĝu*	*sug=e*
საკუთრება	ქალაქი	განთავსებული.ყოფნა-RDP-NOM=1SG.POSS	ჭაობი=ERG

ḫu-mu-da-ab-gu$_7$

ḫa=mu-da-b-gu-Ø

ASRT=VENT-COM-3SG.N.A-ჭამა-3SG.P

„ჭაობმა გადაყლაპა ქალაქში დაგროვებული ჩემი ქონება". (The lament for Urim (c.2.2.2), line c222.E.132)

c. *ka$_5$-a-a* *e$_2$-a-ni* *nu-mu-da-an-du$_3$*[123]

---

122 ემესალდიალექტზე ნიშნავს „ქალაქს".

123 როგორც e$_2$-a-ni „სახლი", ასევე nu-mu-da-an-du$_3$ „ვერ ააშენა" დაირთავენ, შესაბამისად, გონიერი სახელის აღმნიშვნელ კუთვნილებით კლიტიკასა და მესამე პირის პრეფიქსს; რადგანაც მიემართებიან ka$_5$-a-a „მელიამ" სახელურ ფრაზას (ანუ არაგონიერ სახელს), ამიტომ უნდა მივიჩნიოთ ან გადამწერის შეცდომად, ან კიდევ ტექსტის ხასიათიდან გამომდინარე (ანდაზა), გონიერი სახელის თვისებები აქვს მიწერილი.

kaa=e *e=ani=Ø* *nu=mu-n-da-n-du-Ø*

მელია=ERG სახლი=3.SG.H.POSS=ABS NEG=VENT-3SG-COM-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„მელიამ ვერ ააშენა თავისი საკუთარი სახლი". (Proverbs: collection 2 + 6 (c.6.1.02), line c6102.A.2.62.108)

d. *unken-na* *ḫe$_2$-ĝal$_2$* *mu-da-an-ĝal$_2$-le-eš*

unken=a *ḫeĝal=Ø* *mu-da-n-ĝal-eš*

კრება=LOC ბევრი=ABS VENT-COM-3SG.H.A-განთავსებული.ყოფნა-3PL.A

„კრებას სიმდიდრე მოუტანეს".
(The debate between Grain and Sheep (c.5.3.2), line c532.54)

(14) მაგალითში წარმოდგენილ წინადადებებში უნარის თუ შესაძლებლობის ნიუანსი არის ჩართული სიტუაციაში. ამ მაგალითებში კომიტატივის პრეფიქსი უკვე აღარ უთანხმდება სიტუაციაში წარმოდგენილ რომელიმე კონკრეტულ პარტიციპანტს, მხოლოდ ზმნას უცვლის შინაარსს. აქედან გამომდინარე, {da-} მორფემა დერივაციულობისკენ იჩენს ტენდენციას.

4.2.6 დატივი

დატივის ზმნური პრეფიქსის (-5 რანგი) ძირითად მნიშვნელობას წარმოადგენს გონიერი რეციპიენტისა თუ ბენეფაქტივის სემანტიკური როლით გამოხატული აქტანტის აღნიშვნა (გრეგი 1973: 82, 91; იაგერსმა 2010: 399; ფაქსვოგი 2016: 74; ზოიომი 2017: 167-168) და უკავშირდება (ეთანხმება (concord) თუ კორეფერენტულად მიემართება (coreference) სახელური ფრაზით გამოხატულ აქტანტს) – სახელურ ფრაზას, რომელიც არის დატიურ ბრუნვაში. დატივი გამოიხატება {a-} მორფემით (ხმოვანთა ჰარმონიით დადასტურებულია /a-/ → /e-/ ალომორფი), ხოლო წინამავალი ინიციალური პირის ნიშანი III პირში გამოიხატება {n-} მორფემით, II პირში – {r-} მორფემით, ხოლო I პირში – {m-} მორფემით, რომელიც უნდა იყოს ვენტივის

ერთ-ერთი ალომორფი[124] (თომსენი 1984: 220; ედცარდი 2003: 93; იაგერსმა 2010: 408-409), ამიტომ შესაძლებელია, პირველი პირი აღვნიშნოთ {Ø-} მორფემით:

(15)

a. დატივი

igi-zu	*ḫuš-am$_3$*	*saĝ-ki-zu*	*dugud-dam*
igi=zu	*ḫuš=Ø=am*	*saĝki=zu*	*dugud=Ø=am*
თვალი=2SG.POSS	მოწითალო=ABS=COP.3SG	შუბლი=2SG.POSS	მძიმე=ABS=COP.3SG.S
^{d}en-lil$_2$-le	*za-a-ra*	*mu-ra-an-šum$_2$*	
Enlil=e	*zae=ra*	*mu-r-a-n-šum-Ø*	
Enlil=ERG	2sg=DAT	VENT-2SG-R-3SG.H.A-šum-3SG.T	

„ენლილმა მოგცა მრისხანე სახე და ღრმააზროვანი შუბლი". (A balbale to Inana (Inana A) (c.4.07.1), line c4071.22-23)

b. *^{d}en-lil$_2$-le* *še* *in-dub* *kur-re*
enlil=e *še=Ø* *i-n-dub-Ø* *kur=e*
ენლილი=ERG ქერი=ABS NEUT-3SG.H.A-დახვავება-3SG.P მთა=DIR
ba-an-šum$_2$
b-a-n-šum-Ø
3SG.N-R-3SG.H.A-მიცემა-3SG.T
„ენლილმა ქერი დაახვავა, მისცა მთას".
(How grain came to Sumer (c.1.7.6), line c176.7)

c. *iri-ni* *eš$_3$* *urim$_2^{ki}$* *mu-še$_3$*
iri=ani=ra *eš* *urim=Ø* *mu=še*
ქალაქი=3SG.POSS=DIR ტაძარი ური=ABS სახელი=TERM
ba-an-sa$_4$
b-a-n-sa-Ø
3SG.N-R-3SG.H.A-დარქმევა-3SG.T
„მან თავის ქალაქს ტაძარი ური დაარქვა".
(A tigi to Suen (Nanna I) (c.4.13.09), line c41309.A.5)

(15) მაგალითში მოცემულია პროტოტიპური სამვალენ-

124 როგორც დ. ედცარდი მიუთითებს, პირველი პირი ყოველთვის ვენტიურია (ედცარდი 2003: 93).

ტიანი (resp. ორმაგად გარდამავალი) ზმნა „მიცემა“, რომელიც ასახავს სამ სემანტიკურ როლს – აგენსს, თემასა და რეციპიენტს, ხოლო გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით წარმოდგენილია A, T და R. (15a) წინადადებაში A მარკირებულია ერგატიული ბრუნვით (enlil=e „ენლილმა“) და {n-} ზმნური პრეფიქსით, T (რომელიც მიემართება წინა წინადადების še „ქერს“) – მესამე პირის {ø-} სუფიქსით, ხოლო R – დირექტიული ბრუნვით (რადგანაც გადმოცემულია არაგონიერი არსებითი სახელით – kur=e „მთას“) და ზმნური {b-} (მესამე მხოლობითი არაგონიერი პირი) და {a-} (R პრიმიტივის მაჩვენებელი) პრეფიქსებით. (15b) წინადადება კი ასახავს იმავე სამვალენტიან კონსტრუქციას მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ R პრიმიტივი გამოიხატება მეორე პირის ნაცვალსახელით დატიურ ბრუნვაში (რადგანაც აღნიშნავს გონიერ სახელს) და {r-} (მეორე პირის ნიშანი დატივში მდგარი სახელის აღსანიშნავად) და {a-} (R პრიმიტივის მაჩვენებელი) პრეფიქსებით. (15c)-ში მოცემულია ზმნა „დარქმევა“, რომელიც ასევე სამ გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს შეიწყობს: აქტანტები გამოხატული პროტოტიპური ბრუნვითი მაჩვენებლებით (T – აბსოლუტიური ბრუნვით, R – დირექტიული ბრუნვით) და ზმნაში ასახულია სამივე პრიმიტივი (A – {n-} პრეფიქსით, T – {ø-} სუფიქსით, R – {b-} (არაგონიერი მესამე პირი) და {a} პრეფიქსებით).

R-ის მაჩვენებელს ასევე დაირთავენ ისეთი ზმნები, რომლებიც ორვალენტიანია (აგენსისა და პაციენსის/თემის სემანტიკურ როლებს ასახავენ), მაგრამ ზმნით გადმოცემულ სიტუაციაში აუცილებელია რეციპიენტისა თუ ბენეფაქტივის შემოყვანა.

(16)

a. *gu$_2$* *$^{id}_2$surungal-la* *im-mi-in-ba*
gu *surungal=ak=a* *imi-n-ba-ø*
კისერი სურუნგალი=GEN=LOC VENT.LOC-3SG.H.A-განაწილება-3SG.P
„ის გაანაწილებს მათ [ერკემლებს] სურუნგალის არხის სანაპიროს გასწვრივ“. (Nanna-Suen's journey to Nibru (c.1.5.1), line c151.188)

b. *^{d}en-lil$_2$-e* *[...] dumu-ni* *^{d}suen-ra* *ninda*
enlil=e *dumu=ani* *suen=ra* *ninda=Ø*
ენლილი=ERG შვილი=3SG.POSS Suen=DAT პური=ABS
mu-na-ba-e
mu-n-a-b-ba-e
VENT-3SG.H-R-3SG.N.T-განაწილება-3SG.H.A

„ენლილმა [...] შესთავაზა/გაუნაწილა პური სუენს, თავის შვილს". (Nanna-Suen's journey to Nibru (c.1.5.1), line c151.317-318)

(16a) წინადადებაში წარმოდგენილი ზმნა ba „განაწილება" იკავშირებს აგენსისა და თემის სემანტიკურ როლებს (შესაბამისად, გადმოცემული {n-} პრეფიქსითა და {Ø-} სუფიქსით), მაგრამ გლოსირებისას გადმოცემულია A და P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით, რადგანაც კანონიკური ორვალენტიანი კონსტრუქციაა მოცემული, ხოლო (16b) წინადადებაში იმავე ba „განაწილება" ზმნასთან დაკავშირებული თემის სემანტიკური როლი ზმნური აფიქსების გლოსირებისას გამოხატულია T გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით, რადგანაც კონსტრუქცია კანონიკური სამვალენტიანია. (16a) და (16b) წინადადებათა შედარება უჩვენებს, რომ ორვალენტიანი კანონიკური კონსტრუქციიდან (A და P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით) სინტაქსური დერივაციით მიიღება კანონიკური სამვალენტიანი კონსტრუქცია (A, T და R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით); ეს დერივაცია ზმნაში აღინიშნება R-ის გამომხატველი პრეფიქსით და მისი წინამავალი დატივში მდგარი აქტანტის პირის ნიშნით.

დატივის მორფემის თანახმარება არ არის შეზღუდული სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან (კომიტატივთან, აბლატივთან, ტერმინატივსა და ლოკატივთან) (გრეგი 1973: 81).

(17)

a. დატივი + ტერმინატივი

engar-ra	*ĝe$_{26}$-e*	*ga*	*i$_3$-ti-ir-da-ĝu$_{10}$*
engar=ra	*ĝae*	*ga*	*itirda=ĝu=Ø*
ფერმერი=DAT	1SG	რძე	აჭრილი.რძე=1SG.POSS=ABS

ga-mu-na-ši-ib-šum$_2$

ga-mu-n-a-ši-b-šum-Ø

COH.1SG.A-VENT-3SG-R-TERM-3SG.N.T-მიცემა-3SG.P

„მე მივცემ ფერმერს ჩემს აჭრილ რძეს".
(Dumuzid and Enkimdu (c.4.08.33), line c40833.56)

b. დატივი + ლოკატივი

šag$_4$-zu-a	*ki-sikil*	*^{d}inana-ra*
šag=zu=a	*kisikil*	*inana=ra*
გული=1SG.POSS=LOC	ახალგაზრდა.ქალი	ინანა=DAT
me	*mu-na-ni-in-šum$_2$-mu-uš*	
me=Ø	*mu-n-a-ni-n-šum-eš*	
ყოფიერება=ABS	VENT-3SG-R-LOC-3H.A-მიცემა-3PL.A	

„შენს შუაგულში მათ უბოძეს ღვთაებრივი ძალები ახალგაზრდა ქალ ინანას". (A hymn to Inana for Išme-Dagan (Išme-Dagan K) (c.2.5.4.11), line c25411.44)

როგორც (17a), ისე (17b) წინადადებაში მოცემულია ერთზე მეტი სივრცობრივი პრეფიქსი: {a-} პირველ შემთხვევაში თანაიხმარება ტერმინატივის {ši-} მაჩვენებელთან (რომლის შესატყვისი სახელური ფრაზა არც არის წინადადებაში წარმოდგენილი; უნდა ვივარაუდოთ, რომ ზმნური შინაარსის მოდიფიკაციას ახდენს), ხოლო მეორე წინადადებაში – ლოკატივის {ni-} პრეფიქსთან (რომლის შესაფერისი სახელური ფრაზა წარმოდგენილია ლოკატიურ ბრუნვაში šag=zu=a „შენს შუაგულში").

რეციპიენტისა და ბენეფაქტივის გარდა {a-} პრეფიქსი გამოხატავს მიზანს (goal) მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან; პოზიციას ვიღაცასთან/რაღაცასთან მიმართებით ან კიდევ ადრესატის სემანტიკურ როლს მეტ-

ყველების გამომხატველ ზმნებთან (გრეგი 1973: 89-90).

(18)

a. მიზანი

^{d}en-lil$_2$-ra	*eš$_3$-e*	*nibru^{ki}-a*	*mu-na-da-an-ku$_4$-ku$_4$*
enlil=ra	*eš=e*	*nibru=a*	*mu-n-a-da-ni-kur-Ø*
ენლილი=DAT	ტაძარი=DIR	ნიბრუ=LOC	VENT-3SG-R-COM-LOC-შესვლა-3SG.S

„მათთან ერთად შეხვედი ნიბრუს ტაძარში ენლილის წინაშე".
(A praise poem of Šulgi (Šulgi O) (c.2.4.2.15), line c24215.A.78)

b.

dug	*a*	*nu-silig-ge*	*mu-na-an-gub*
dug=Ø	*a*	*neg=silig=e*	*mu-n-a-ni-gub-Ø*
ქოთანი=ABS	წყალი	NEG=შეწყვეტა=DIR	VENT-3SG-R-LOC-დგომა-3SG.S

„ჭურჭელი ედგა მარად მომდინარე წყალს".
(A hymn to Nanše (Nanše A) (c.4.14.1), line c4141.14)

c. ადრესატი

ur-gir$_{15}$	*lugal-a-ni-ir*	*an-na-ab-be$_2$*
urgir=e	*lugal=ani=ra*	*a-n-a-b-dug-Ø*
შინაური.ძაღლი=ERG	king=3SG.POSS=DAT	VP-3SG-R-3SG.N.A-თქმა-3SG.T

„ძაღლმა უთხრა თავის პატრონს".
(Proverbs: from Urim (c.6.2.3), line c623.42.1)

(18a) წინადადებაში მიზნის სემანტიკურ როლს გამოხატავს ^{d}en-lil$_2$-ra „ენლილს" გონიერი არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში, რომლისკენაც მიმართულია ზმნით გამოხატული მოქმედება: ენლილისკენ, თუ ენლილს მიემართება აგენსი, მაგრამ (18b)-ში დირექტივში მდგარი a nu-silig-ge „მარად მომდინარე წყალი"[125] უთითებს იმ ადგილს, სადაც განთავსებულია S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გადმოცემული dug „ქოთანი". (18c) წინადადება კი გამოხატავს დატივში მდგარ ადრესატის სემანტიკურ როლს, რომელიც წინა მაგალითების მსგავსად R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციას ასრულებს.

125 დგას დირექტივში, რადგანაც „წყალი" არაგონიერ სახელთა კლასში ექცევა.

გრძნობისა და აღქმის გამომხატველ ზმნებთან (verbs of emotion) გამოხატავს განმცდელ სემანტიკურ როლს, რომელზეც გავლენას ახდენს აგენსი (გრეგი 1973: 90; იაგერსმა 2010: 413; ზოიომი 2017: 171-172).

(19) გრძნობის გამოხატვა

a. *šeš-ĝu$_{10}$* *a-na-zu* *a-ra-gig*
šeš=ĝu=Ø *ana=zu=Ø* *a-r-a-gig-Ø*
ძმა=1SG.POSS=ABS რა=2SG.POSS=ABS VP-2SG-R-ავად.ყოფნა-3SG.S
„ჩემო ძმაო, რა გტკივა?“
(Enki and Ninḫursaĝa (c.1.1.1), line c111.254)

b. *^{d}nin-lil$_2$-le* *ki* *mu-ra-an-aĝ$_2$*
Ninlil=e *ki=Ø* *mu-r-a-n-aĝ-Ø*
ენლილი=ERG მიწა=ABS VENT-2SG-R-3SG.H.A-გაზომვა-3SG.T
„ნინლილს უყვარდი“.
(A praise poem of Šulgi (Šulgi D) (c.2.4.2.04), line c24204.46)

რადგანაც (19) მაგალითის ორივე წინადადებაში გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნებია მოცემული, ამიტომ ორივე მათგანში წარმოდგენილია ექსპერიენცერის სემანტიკური როლი. gig „ავად ყოფნა“ უნდა გამოხატავდეს ექსპერიენცერს დატივში, რადგანაც ზმნაში წარმოდგენილია R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის მაჩვენებელი მეორე პირში, ხოლო სტიმული, რომელიც კითხვითი ნაცვალსახელით გამოიხატება, წარმოდგენილია აბსოლუტიური ბრუნვით. (19b)-ში მოცემულია „უყვარს“ ზმნა, რომელიც იკავშირებს სამ პარტიციპანტს: A-ს, T-სა და R-ს. ki – aĝ$_2$ „უყვარს“ რთული ზმნაა. ki „მიწა“ ამ რთული ზმნის სახელადი ნაწილია, რომელიც დგას აბსოლუტიურ ბრუნვაში და შეესაბამება T გრამატიკულ სემანტიკურ პრიმიტივს. ექსპერიენცერის სემანტიკური როლი გამოიხატება A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით და დგას ერგატიულ ბრუნვაში (^{d}nin-lil$_2$-le „ნინლილმა“), ხოლო მეორე პირში მდგარი სტიმული გამოხატულია მხოლოდ ზმნური ინიციალური პირის ნიშნითა და

R-ის მაჩვენებლით; სახელური ფრაზით გამოხატვის შემთხვევაში იქნებოდა მიცემით ბრუნვაში.

თუ ზემომოყვანილ მაგალითებს განვაზოგადებთ და იმ სემანტიკურ როლებს (რეციპიენტი, ბენეფაქტივი, ადრესატი, მიზანი, ლოკაცია, ექსპერიენცერი) მოვუძებნით საერთო მახასიათებლებს, რომლებიც დატიური ბრუნვით და R გრამატიკულ-სემანტიკური მაჩვენებლით გამოიხატებიან ზმნაში და რომლისთვისაც თუ რომლისკენაც სრულდება მოქმედება, მაშინ აღმოჩნდება, რომ სემანტიკური როლის შერჩევას განსაზღვრავს თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა.

4.3 სივრცობრივი პრეფიქსები: სემანტიკური როლები, გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები და სინტაქსური ფუნქციები

4.3.1 ზოგადი

იმის დასადგენად, უკავშირდება თუ არა სივრცობრივი პრეფიქსები ცენტრალურ (core) აქტანტებს, აუცილებელია სხვადასხვა სინტაქსური ტესტის გამოყენება, რომელთა საშუალებითაც დგინდება სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება). ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ის სინტაქსური ტესტები (რელატივიზაცია, რეფლექსივიზაცია, კოორდინაციული შეზღუდვა, იმპერატიული კონსტრუქცია და სხვადასხვა აქტანტური დერივაცია), რომლებიც განვიხილეთ I თავში.

საბოლოოდ კი მორფოლოგიური მარკირების, სინტაქსური ქცევებისა და სემანტიკური ხასიათის მიხედვით შესაძლებელია მეტ-ნაკლებად დადგინდეს თითოეული პარტიციპანტის სინტაქსური ფუნქცია, რომელსაც გარდამავლობისა და ვალენტობის ანალიზი დაეფუძნება.

4.3.2 რელატივიზაცია

დამატებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში მოცემულ ერთ-ერთ პარტიციპანტს, რომელიც კონსტრუქციის მეთაური/მთავარი წევრია (head). თუ დამატებითი დამოკიდებული წინადადება (როგორც ფინიტური, ასევე არაფინიტური) მოსდევს ამ მეთაურ სიტყვას, წინადადებაში არ გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელი[126] და მთავარი წინადადების ეს წევრი დამოკიდებულ წინადადებაში გამოიხატება ინიციალური, ფინალური ან სუფიქსური პირის მაჩვენებლით. ეს მაჩვენებლები მეთაური სიტყვის კორეფერენტულია და მის ფუნქციას გამოხატავენ დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში. რადგანაც დამატებითი დამოკიდებული წინადადება სახელური ფრაზის ნაწილია, ამიტომ ის პოსტკლიტიკური (resp. ენკლიტიკური) მორფემები (კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მრავლობითი რიცხვი, ბრუნება და ა. შ.), რომლებიც მეთაურ სიტყვას მიემართებიან, სახელურ ფრაზას ბოლოში დაერთვიან. ამ მორფემათა წინ დამატებითი დამოკიდებული წინადადების ზმნას დაერთვის {-a} სუფიქსური მორფემა – ნომინალიზატორი (nominalizer), რომელიც სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებშიც გამოიყენება.[127] მეთაური სიტყვა დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება ასრულებდეს როგორც A-სა და S-ის, ასევე P-ის, T-ის, R-ისა და აგრეთვე უბრალო დამატებისა თუ გარემოებების ფუნქციებსაც (იაგერსმა 2010: 594-596; ფაქსვოგი 2016: 97-98; ზოიომი 2017: 96-98).

126 განსხვავებული მოსაზრებების შესახებ იხ. დ. ფაქსვოგის ნაშრომი (ფაქსვოგი 2016: 36).

127 განსხვავებული მოსაზრებების შესახებ იხ. მ. თომსენისა და დ. ფაქსვოგის ნაშრომები (თომსენი 1984: 241; ფაქსვოგი 2016: 97).

(20)

a. A-ს ფუნქციით

lu_2	e_2-*ninnu-ta im-ta-ab-*e_3-e_3-*a*
lu	*eninnu=ta i-mu-ta-b-e~e-e-a*

პიროვნება ენინუ=ABL NEUT-VENT-ABL-3SG.N.P-გასვლა~RDP-3SG.A.IPFV-NMLZ

„კაცი, რომელიც მოაშორებს მას ენინუდან“.
(St B 8:6-7; L; 22; იაგერსმა 2010: 193)

b. P-ს ფუნქციით

e_2	lu_2	*zid-da*	*mu-un-du*$_3$-*a*
e_2	*lu*	*zid-a=e*	*mu-n-du-Ø-a=Ø*

სახლი პიროვნება სწორი-NMLZ=ERG VENT-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P-NMLZ=ABS

lu_2-*lul-la*	*mu-un-gul*
lulul-a=e	*mu-n-gul-Ø*

მატყუარა-NMLZ=ERG VENT-3SG.H.A-განადგურება-3SG.P

„სამართლიანი კაცის აშენებულ სახლს ორგული ანგრევს“.
(Proverbs: collection 25 (c.6.1.25), line c6125.25.7.23-24)

(20a)-ში რელატივიზებული lu_2 დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში ასრულებს A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციას, რომელიც სუფიქსური {e-} მორფემით გამოიხატება იმპერფექტივში. (20b) წინადადებაში კი რელატივიზებული წევრი [e_{2HEAD} [lu_2 zid-da mu-un-du$_3$-a]$_{RP}$]$_{NP}$ „სამართლიანი კაცის აშენებული სახლი“ წარმოადგენს სახელურ ფრაზას, რომელსაც პაციენსის სემანტიკური როლი (და P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქცია) აკისრია mu-un-gul „განადგურება“ ზმნასთან დაკავშირებულ პარტიციპანტებს შორის, ამიტომ კლიტიკური აბსოლუტიური ბრუნვის ნიშანი ბოლოში უნდა დაერთოს. e_2 „სახლი“ რელატივიზდება lu_2 zid-da mu-un-du$_3$-a „კაცის აშენებული/კაცმა ააშენა“ დამატებითი დამოკიდებული წინადადებით, რომლის დამოკიდებულ ფუნქციას გამოხატავს du$_3$ „აღმართვა, შენება“ ზმნაზე დართული {a-} მორფემა. e_2 „სახლი“ არსებით სახელს მიმართებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვს P პრიმიტივის ფუნქცია.

(21)

a. აბლატივის ფუნქციით

gur$_4$-gur$_4$	*ku$_3$*	*luḫ-ḫa*
gur-gur	*kug*	*luḫ-a=ak*
ჭურჭელი-RDP	ვერცხლი	განწმენდა-NMLZ=GEN
i$_3$	*iti-da*	*^{d}nin-ĝir$_2$-su$_2$-ke$_4$*
i	*itid=ak=Ø*	*Ninĝirsuk=e*
ზეთი	თვე=GEN=ABS	ნინგირსუ=ERG

ab-ta-gu$_7$-a

a-b-ta-b-gu$_7$-e-a[128]

VP-3SG.N-ABL-3SG.N.P-ჭამა-3SG.A:IPFV-NMLZ

„განწმენდილი ვერცხლის ჭურჭელი, რომლიდანაც ნინგირსუ მოიხმარს ყოველთვიურ ცხიმს“. (Ent. 34 15; L; 25) (იაგერსმა 2010: 595).

b. კომიტატივის ფუნქციით

kiri$_6$	*^{d}ba-u$_2$*	*ur-^{d}nin-gir$_2$-su*
kiri$_6$	*bau=ak*	*urninĝirsuk*
ხეხილი	ბაუ=GEN	ურნინგირსუ
dumu	*e$_2$-ku$_4$*	*ab-da-tuš-a*
dumu	*eku=ak=Ø*	*a-b-da-tuš-Ø-a=a*
ვაჟი	ექუ=GEN=ABS	VP-3SG.N-COM-ჯდომა-3SG.S-NMLZ=LOC

„ბაუს ხეხილში, რომელშიც (რომელთანაც) ურნინგირსუ, ექუს შვილი, არის მორიგე, ენიგალმა, ზედამხედველმა, დაითვალა ისინი“. (DP 419 8:2-5; L; 24) (იაგერსმა 2010: 595-596).

(21a) წინადადებაში [[gur$_4$-gur$_4$ ku$_3$ luḫ-ḫa]$_{HEAD}$ [i$_3$ iti-da ^{d}nin-ĝir$_2$-su$_2$-ke$_4$ ab-ta-gu$_7$-a]$_{RP}$]$_{NP}$ „განწმენდილი ვერცხლის ჭურჭელი, რომლიდანაც ნინგირსუ მოიხმარს ყოველთვიურ ცხიმს“ სახელური ფრაზა წარმოადგენს რთული წინადადების ნაწილს, რომელიც, რა თქმა უნდა, რომელიმე სინტაქსური ფუნქციით იხმარება. მეთაური ფრაზა

128ა. იაგერსმა {b-} მესამე პირის არაგონიერი სახელის მარკერს არ აღადგენს, რადგან მიიჩნევს, რომ იმპერფექტივში P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის გამომხატველი მაჩვენებლები ფაკულტატიურია (იაგერსმა 2010: 364).

კი – „განწმენდილი ვერცხლის ჭურჭელი“, რომელიც მთავარი წინადადების სახელური ფრაზაა, რელატივიზდება და მიმართებით დამოკიდებულ წინადადებაში ასრულებს აბლატივით გაფორმებული წევრის ფუნქციას, რაც გამოიხატება ab-ta-gu$_7$-a „ჭამა“ ზმნაში /b-/ + /ta-/ მორფთა მიმდევრობით (მესამე არაგონიერი სახელის მარკერი + აბლატივის მაჩვენებელი). მსგავსად არის (21b)-ში, ოღონდ აქ სახელი გამოხატულია კომიტატივით. [kiri$_6$ ^{d}ba-u$_2$]$_{HEAD}$ [ur-^{d}nin-gir$_2$-su dumu e$_2$-ku$_4$ ab-da-tuš-a]$_{RP}$]$_{NP}$ „ბაუს ხეხილში, რომელშიც ურნინგირსუ, ექუს შვილი, არის მორიგე“ (ზედმ. „რომელთანაც ზის“). სახელური ფრაზა წარმოადგენს რთული წინადადების ნაწილს, რომელშიც ასრულებს ლოკატიური ფრაზის ფუნქციას. მეთაური ფრაზა კი – „ბაუს ხეხილი“, რომელიც მთავარი წინადადების სახელური ფრაზაა, რელატივიზდება და მიმართებით დამოკიდებულ წინადადებაში ასრულებს კომიტატივით გაფორმებული წევრის ფუნქციას, რაც გამოიხატება ab-da-tuš-a „ჯდომა“ ზმნაში /b-/ + /da-/ მორფთა მიმდევრობით (მესამე არაგონიერი სახელის მარკერი + კომიტატივის მაჩვენებელი).

აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ფუნქციის მქონე სახელური ფრაზის რელატივიზაცია არის შესაძლებელი და სხვა მკვლევართა მსგავსად ვერც ჩვენ მივაკვლიეთ რელატივიზაციის რაიმე შეზღუდვას. რადგანაც ნებისმიერი სინტაქსური ფუნქციის მქონე მეთაური სიტყვა რელატივიზდება და დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში ნებისმიერი ფუნქციით შეიძლება იყოს წარმოდგენილი; ამიტომ რელატივიზაცია ვერ განსაზღვრავს სინტაქსურ ფუნქციას.

4.3.3 რეფლექსივიზაცია

რეფლექსივიზაციის დროს A და S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივები კორეფერენტული უნდა იყოს

სიტუაციაში მონაწილე ერთ-ერთი სხვა წევრისა (გარდა R პრიმიტივისა, რომელიც ირიბი რეფლექსივით {ba-} ზმნური პრეფიქსით გამოიხატება. კორეფერენტულობას გამოხატავს რეფლექსიური ნაცვალსახელი, რომელიც ხშირად P/T პრიმიტივს გადმოსცემს, ხოლო A პრიმიტივი სახელური ფრაზით და/ან პირის მაჩვენებლით გამოიხატება ზმნაში (ედცარდი 2003: 58; იაგერსმა 2010: 234, 236; ზოიომი 2017: 65).

(22) *ni$_2$-zu* *nab$_3$-uš$_x$*
ni=zu=Ø *na-b-uš$_2$-en*
REFL=2SG.POSS=ABS NEG-3SG.N.P-კვლა-2SG.A.IPFV
„თავი არ მოიკლა!"
(Instr.Shur., Adab Segm 2.10; A; 24; იაგერსმა 2010: 235).

(22) წინადადებაში აბსოლუტიურ ბრუნვაში (P-ს ფუნქციით) დგას ni$_2$-zu „შენ თვითონ" რეფლექსიური ნაცვალსახელი. რეფლექსივიზაცია ერთ-ერთ უნივერსალურ ტესტად მიიჩნევა პირდაპირი დამატების დასადგენად, მაგრამ ბევრი ენისგან განსხვავებით, რეფლექსიური ნაცვალსახელი სხვა ფუნქციითაც და სხვა ფორმითაც გამოიხატება (იაგერსმა 2010: 235). რეფლექსიური ნაცვალსახელი ასევე დასტურდება სხვა ბრუნვებში:

(23)

a. *dag* *agrun-na-ĝu$_{10}$-uš* *ni$_2$-te-na*
dag *agrun=ak=ĝu=še* *nite=ani=a*
საცხოვრებელი ცელა[129]=GEN=1SG.POSS=TERM REFL=3SG.POSS=LOC
ḫu-mu-un-du
ḫa=mu-ni-du-Ø
ASRT=VENT-LOC-სვლა-3SG.S
„მარტო მოდი ჩემი ტაძრის უკანა ოთახში".
(Inana and Šu-kale-tuda (c.1.3.3), line c133.39)

129 ტაძრის ნაწილი.

b. *^{d}en-ki* *šag$_4$* *ni$_2$-te-na-ke$_4$* *ad*
enki *šag* *nite=ani=ak=e* *ad=abs*
ენქი გული REFL=3SG.H.POSS=GEN=ERG ხმა=ABS
i-ni-in-gi$_4$-gi$_4$
i-ni-n-gi-gi-Ø
NEUT-LOC-3SG.H.A-დაბრუნება-RDP-3SG.P
„ენქი საკუთარ თავს მოეთათბირა“.
(The Flood story (c.1.7.4), line c174.C.8)

(23a)-ში ni$_2$-te-na „ის თვითონ“ დგას ლოკატიურ ბრუნვაში, რომელიც გამოხატავს, რომ აგენსით (S პრიმიტივი) გამოხატული პარტიციპანტი მარტო/თვითონ უნდა მივიდეს დანიშნულების ადგილზე.

(23b)-ში რეფლექსიური ნაცვალსახელი დგას ერგატიულ ბრუნვაში, რომელიც ენქის შეესაბამება. ამგვარი მაგალითები, სავარაუდოდ, პრაგმატიკულად მარკირებული უნდა იყოს და აზრის გადმოცემის გასამძაფრებლად თუ ემფატიკისთვის უნდა გამოიყენებოდეს (იაგერსმა 2010: 236).

ირიბი რეფლექსივი (იხ. III თავში) გამოხატავს მხოლოდ A და R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების კორეფერენციას; შუმერულში რეციპიენტისა თუ ბენეფაქტივის აქტანტს გამოარჩევს სხვა აქტანტებისაგან; აქედან გამომდინარე, ირიბი რეფლექსივი შეგვიძლია მივიჩნიოთ ირიბი დამატების სინტაქსური ფუნქციის გამომხატველ ტესტად, ხოლო პირდაპირი რეფლექსივი ვერ გამოდგება პირდაპირი დამატების გამოსარკვევად, რადგანაც რეფლექსიური ნაცვალსახელი შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტიურ (P/T პრიმიტივის ფუნქციით), ასევე ერგატიულ (A პრიმიტივის ფუნქციით) და ლოკატიურ ბრუნვებში.

4.3.4 კოორდინაცია

კოორდინაცია მაშინ არის ღირებული სინტაქსური ფუნქციების დადგენისათვის, როდესაც მოცემულ ენაში დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები (იხ. შეზღუდვის ერთ-ერთი უკიდურესი შემთხვევა I თავის 6.2 ქვეთავში დირბალი ენის შესახებ).

შუმერულში ძირითადად გავრცელებულია უკავშირო შეერთება (juxtaposition), მაგრამ ასევე დასტურდება აქადურიდან ნასესხები u_3 „და, მაგრამ, აგრეთვე" კავშირი (კანევა 1996: 161-164; იაგერსმა 2010: 583-585; ფაქსვოგი 2016: 22). თანწყობილ რთულ წინადადებაში კორეფერენტულ აქტანტებს შეიძლება სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია ჰქონდეთ:

(24) კოორდინაცია

a. *^{d}suen-e* *er$_2$-na* *šu*
suen=e *er=ani=a* *šu=Ø*
სუენი=ERG ცრემლი=3SG.H.POSS=LOC ხელი=ABS
ba-an-ši-in-ti *nam-til$_3$*
ba-n-ši-n-ti-Ø *namtil=Ø*
MID-3SG.H-TERM-3SG.H.A-მიახლოება-3SG.P სიცოცხლე=ABS
mu-na-šum$_2$
mu-n-a-n-šum-Ø
VENT-3SG.H-R-3SG.H.A-მიცემა-3SG.P
„სუენმა მიიღო მისი ცრემლები და მისცა სიცოცხლე".
(Lugalbanda in the mountain cave (c.1.8.2.1), line c1821.A.226)

b. *munus-ra* *u$_3$-mu-na-te* *^{giš}tukul*
munus=ra *u-mu-n-a-te-Ø* *tukul=Ø*
ქალი=DAT ANT-VENT-3SG.H-R-მიახლოება-3SG.S იარაღი=ABS
i-ni-in-kud *^{giš}šukur* *an-na-ab-šum$_2$-mu*
i-ni-n-kud-Ø *šukur=Ø* *a-n-a-b-šum-e*
NEUT-LOC-3SG.H.A-ჭრა-3SG.P შუბი=ABS VP-3SG.H-R-3SG.N.P-მიცემა-3SG.A
„უახლოვდება რა ქალს, ტეხს იარაღს და აძლევს მას შუბს"
(A hymn to Inana (Inana C) (c.4.07.3), line c4073.86)

c. *e_2* *ku_3* *šu-na-ta-am$_3$*
e=Ø *kug* *šu=ani=ak=ta=am*
სახლი=ABS ვერცხლი ხელი=3SG.H.POSS=GEN=ABL=COP.3SG.S
in-sa$_{10}$-a *nig̃$_2$-ga*
i-n-sa-Ø-a=e *nig̃ar*
NEUT-3SG.H.A-გაცვლა-3SG.P-NMLZ=DIR საკუთრება
du-du *la-ba-ši-la$_2$-a*
dudu=ak=Ø *nu=ba-n-ši-la-Ø-a=e*
დუდუ=GEN=ABS NEG-MID-3SG.H.-TERM-აწონა-3SG.S-NMLZ=DIR
„რომ მან იყიდა სახლი თავისი ფულით, და რომ დუდუს საკუთრება არ მიუციათ ამის სანაცვლოდ“.
(იაგერსმა 2010: 583).

(24a)-ში ^{d}sue̯n-e „(ღვთაება) სუენი“ A გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს გამოხატავს ორივე ზმნასთან (šu – ti „აღება/მიღება“ და šum$_2$ „მიცემა“) და, რა თქმა უნდა, შეზღუდვის გარეშე არის შესაძლებელი ერთი და იმავე ფუნქციით დატვირთული კორეფერენტული სახელების კოორდინაცია; მაგრამ მოცემულ მაგალითში წარმოდგენილია ასევე მეორე პარტიციპანტი, რომელიც šu – ti „აღება/მიღება“ ზმნაში გამოხატულია ინიციალური პირის ნიშნით ტერმინატივის პრეფიქსთან ერთად, ხოლო მეორე šum$_2$ „მიცემა“ ზმნით გამოხატულ სიტუაციაში დატვირთულია R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციით.

(24b)-ში მოცემულია სამი ზმნა, რომელთაგან te „მიახლოება“ უკავშირდება S გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივს, ხოლო kud „ჭრა“ და šum$_2$ „მიცემა“ – A პრიმიტივს; ასევე მეორე პარტიციპანტი munus „ქალი“ ორ ზმნას (te „მიახლოება“ და šum$_2$ „მიცემა“) უკავშირდება R პრიმიტივის ფუნქციით (პირველ ზმნასთან – მიზნის (goal) სემანტიკური როლით, ხოლო მეორე ზმნასთან – რეციპიენტის სემანტიკური როლით.

როგორც ა. იაგერსმა მიუთითებს, რომ (24c)-ში წარმოდგენილია დამოკიდებული წინადადებები (subordinate clauses), რომელთაც აქვთ თანაბარი სინტაქსური სტატუ-

სები და ამიტომ თანწყობილად და უკავშიროდ არიან შეერთებულები (იაგერსმა 2010: 584). sa_{10} „გაცვლა“ ზმნასთან დაკავშირებული A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით გამოხატული პარტიციპანტი უკავშირდება ტერმინატივს და ამიტომ გამოიხატება ინიციალური პირის ნიშნით la_2 „აწონა“ ზმნაში (სიტყვა სიტყვით რომ ვთარგმნოთ, „მისთვის თუ მისკენ არ აიწონა საკუთრება“).

როგორც (24a), ასევე (24b) მაგალითი უჩვენებს, რომ არ არსებობს პარტიციპანტთა/აქტანტთა კოორდინაციული შეზღუდვა: შესაძლებელია როგორც S და A პრიმიტივების კოორდინაცია (ცენტრალური (core) აქტანტები), ასევე იმ პარტიციპანტებისა/აქტანტებისა, რომლებიც გამოიხატებიან სივრცობრივი პრეფიქსებით და მათთან დაკავშირებული ინიციალური პირის ნიშნებით. აქედან გამომდინარე, რადგანაც არ არსებობს პარტიციპანტების/აქტანტების კოორდინაციული შეზღუდვა შუმერულში, ამიტომ სინტაქსური ფუნქციების დასადგენად ამგვარი ტესტი არაღირებულია.

4.3.5 კაუზაცია

შუმერულში დასტურდება ორი ტიპის კაუზატივი (რომლებიც არ არიან მორფოლოგიურად მარკირებული და მხოლოდ პარტიციპანტებისა თუ აქტანტების რაოდენობით – სინტაქსურად განსხვავდებიან ამოსავალი კონსტრუქციებისგან): ერთი იწარმოება გარდაუვალი ზმნისაგან, ხოლო მეორე – გარდამავლისაგან (იაგერსმა 2010: 307; ზოიომი 2017: 223). ამოსავალი გარდაუვალი კონსტრუქციის S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი მიღებულ გარდამავალ კონსტრუქციაში იკავებს P (იგივე კაუზირებული) პრიმიტივის პოზიციას, ხოლო A პრიმიტივის ფუნქციას ასრულებს ახალი პარტიციპანტი – კაუზატორი. სინტაქსური ფუნქციების თვალსაზრისით, S → P ტესტია პირდაპირი დამატების დასადგენად.

(25)

a. ამოსავალი გარდაუვალი კონსტრუქცია

ĝiš	*maḫ-bi*	*aga$_3$*	*an-na*
ĝiš	*maḫ=bi=Ø*	*aga*	*an=a*
ხე	დიდებული=3SG.N.POSS=ABS	გვირგვინი	ზეცა=LOC
IM	*DI*	*u$_6$*	
?	*?*	*u*	
?	*?*	საოცრება	
di-de$_3$	*ba-gub*		
dug-ed-a	*ba-gub-Ø*		
თქმა-IPFV-NMLZ	MID-დგომა-3SG.S		

„მისი ბრწყინვალე ხეები, გვირგვინი ზეცაში, [.....] დგანან როგორც საოცარნი საცქერლად". (Inana and Ebiḫ (c.1.3.2), line c132.122)

b. წარმოქმნილი (კაუზატიური) გარდამავალი კონსტრუქცია

ga-an-tuš-e	*e$_2$*[130]	*ba-an-gub*
gantuš=e	*e=Ø*	*ba-n-gub-Ø*
მოიჯარე=ERG	სახლი=ABS	MID-3SG.H.A-დგომა-3SG.P

„მოიჯარემ სახლი დააფუძნა".
(Proverbs: collection 3 (c.6.1.03), line c6103.A.3.74.142)

(25a) წინადადებაში ĝiš „ხე" უკავშირდება gub „დგომა" ზმნას და ასრულებს S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის ფუნქციას. იგივე ზმნა კაუზატიურ კონსტრუქციაში მოცემულია (25b)-ში, რომელშიც უკვე კაუზატორი წარმოდგენილია A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივისა და ქვემდებარის ფუნქციით, ხოლო არაგონიერი სახელი e_2 „სახლი" წარმოდგენილია P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივისა და პირდაპირი დამატების ფუნქციით. P პრიმიტივი ამოსავალ კონსტრუქციაში S პრიმიტივით გამოიხატება, ანუ გვაქვს S = P ტიპის კაუზატივი.

130 უმჯობესი იქნებოდა ამოსავალი კონსტრუქციის მაგალითში ყოფილიყო e_2 „სახლი" S პრიმიტივისა და ქვემდებარის ფუნქციით, მაგრამ მსგავს მაგალითს ვერ მივაგენით.

როგორც მიუთითებენ, ამოსავალი გარდამავალი კონსტრუქციიდან წარმოქმნილი კაუზატივის დროს ახალი პარტიციპანტი – კაუზატორი იკავებს A პრიმიტივის ადგილს (ესეც ძლიერი ტესტია ქვემდებარის დასადგენად), მაგრამ ამოსავალი კონსტრუქციის A პრიმიტივი ქვეითდება უბრალო დამატებად თუ ზმნიზედური ფუნქციის მქონე წევრამდე (adverbial participant), ხოლო P ფუნქციით დატვირთული აქტანტი უცვლელი რჩება (იაგერსმა 2010: 307; ზოიომი 2017: 225). დაქვეითებული A პრიმიტივი ასრულებს ირიბი თუ უბრალო დამატების ფუნქციას, განისაზღვრება მხოლოდ მორფოლოგიური მარკირებით (ზმნაში გამოხატული მაჩვენებლებით): ასეთ შემთხვევაში ზემოგანხილული სინტაქსური ტესტებით შეუძლებელია ირიბი თუ უბრალო დამატების დადგენა.

(26)

a. ამოსავალი გარდამავალი კონსტრუქცია

u_4	*lugal-ĝu_{10}*	*e_2-a-na*	*kaš*
ud	*lugal=ĝu=e*	*e=ani=a*	*kaš=Ø*
დღე	მეფე=1SG.POSS=ERG	სახლი=3SG.H.POSS=LOC	ლუდი=ABS

in-naĝ-ĝa_2-a

i-n-naĝ-Ø-a=a

NEUT-3SGH.A-სმა-3SG.P-NMLZ=LOC

„როცა ჩემმა მეფემ დალია ლუდი თავის სახლში“.
(JCS 54 p. 8 rev. 4:6'; D; 21) (იაგერსმა 2010: 433).

b. წარმოქმნილი (კაუზატიური) გარდამავალი კონსტრუქცია

a-be$_2$	*lu$_2$*	*kur$_2$-ra*
a=bi=Ø	*lu*	*kur=a=ra*
წყალი=2SG.N.DEM=ABS	პიროვნება	გაფუჭება=NMLZ=DAT

u$_3$-mu-ni-naĝ

u-mu-n-i-n-naĝ-Ø

ANT-VENT-3SG.H-OBL-3SG.H.A-სმა-3SG.P

„მას შემდეგ, რაც დასნებოვნებულ პიროვნებას დაალევინა ეს წყალი“.
(VS 10:193 13; ?; 21) (იაგერსმა 2010: 433).

(26b) მაგალითიდან ჩანს, რომ აქტანტი lu_2 kur_2-ra დატიურ ბრუნვაში[131] დგას, მაგრამ ზმნაში შეესაბამება არა R პრიმიტივის გამომხატველი მაჩვენებელი {n-} + {a-}, არამედ განსხვავებული მაჩვენებელი: {ni-} მორფემა, რომელიც გამოხატულების პლანში ემთხვევა ლოკატივის მაჩვენებელს. როდესაც დატიურ სახელურ ფრაზას შეესაბამება ზმნური {ni-} მორფემა, მაშინ ამგვარ შეთანხმებასა თუ კორეფერენციას მიიჩნევენ უბრალო დამატებად, ამიტომ უმჯობესია წარმოვადგინოთ ორი {n-} + {i-} მორფემის მიმდევრობით (იაგერსმა 2010: 415-416, 421-423).

თუ მიღებულ კონსტრუქციაში გამოვყოფთ უბრალო დამატებას,[132] მაშინ არ უნდა გავიზიაროთ ა. იაგერსმას შეხედულება, რომ ორივე ტიპის კაუზატიური კონსტრუქცია ვალენტობას უმატებს (იაგერსმა 2010: 307). გარდაუვალიდან გარდამავალი კონსტრუქციის მიღების შემთხვევაში კაუზატორი და კაუზირებული იკავებენ, შესაბამისად, A (resp. ქვემდებარე) და P (resp. პირდაპირი დამატება) ფუნქციებს, მაგრამ ამოსავალი გარდამავალი კონსტრუქციიდან მიღებული კაუზატიური კონსტრუქციის შემთხვევაში უბრალო დამატება ვერ მოუმატებს ვალენტობას, რადგანაც, განმარტების თანახმად, ვალენტობა გამოითვლება მხოლოდ ცენტრალური (core) აქტანტების საშუალებით; ამიტომ ორვალენტიანი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი კვლავ ორვალენტიანად დარჩება. აქედან გამომდინარე, კაუზატივი სანდო ტესტია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების დასადგენად, ხოლო ირიბი და უბრალო დამატებისათვის გამოუსადეგარია, რადგან მხოლოდ კაუზატიური კონსტრუქციით ვერ დავადგენთ, კაუზირებულმა ირიბი დამატების ფუნქცია შეითავსა თუ უბრალო დამატებისა.

131 ამ ბრუნვათა განსხვავებული ფუნქციებისა და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული სახელწოდებების შესახებ იხ. გ. ზოიომის მოსაზრება (ზოიომი 2017: 201-221).

132 უბრალო დამატების შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვთ ა. იაგერსმასა და გ. ზოიომის. უფრო დაწვრილებით იხ. მათი ნაშრომები (იაგერსმა 2010: 415; ზოიომი 1999; ზოიომი 2014).

4.3.6 დატიური დაწინაურება

სხვადასხვა, ურთიერთშეუთავსებელი სივრცობრივი პრეფიქსის გამოხატვისას შესაძლებელია R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის (resp. დატიური) გამომხატველი პრეფიქსით გამოვლინდეს იგივე სემანტიკური როლი, რომელიც სხვა კონსტრუქციაში სხვა სივრცობრივი პრეფიქსით არის გამოხატული. ამგვარი ცვალებადობა შეიძლება დავუკავშიროთ კრეხერის კანონს (ზოიომი 2017: 230-232).

ამოსავალ კონსტრუქციაში პარტიციპანტი, რომელიც გამოიხატება უბრალო დამატების მაჩვენებლით, წარმოქმნილ კონსტრუქციაში მარკირებულია R-ის გამომხატველი ნიშნით.

(27)

a. ამოსავალი კონსტრუქცია უბრალო დამატებით

an-ne$_2$	*nam*	*dug$_3$*	*mu-ri-in-tar*
an=e	*nam*	*dug=Ø*	*mu-r-i-n-tar-Ø*
ანი=ERG	ბედი	კარგი=ABS	VENT-2SG-OBL-3SG.H.A-ჭრა-3SG.P

„ანმა კარგი ბედი განგისაზღვრა“. (A balbale to Ninazu (Ninazu A) (c.4.17.1), line c4171.26; ზოიომი 2017: 230)

b. R-ით გამოხატული წარმოქმნილი კონსტრუქცია

ubur$_2$	*kug-ĝu$_{10}$-a*	*nam*	*ma-ra-ni-tar*
ubur	*kug=ĝu=a*	*nam=Ø*	*mu-r-a-ni-Ø-tar-Ø*
მკერდი	მბრწყინავი=1SG.POSS=LOC	ბედი=ABS	VENT-2SG-R-LOC-1SG.A-ჭრა-3SG.P

„ჩემი წმინდა მკერდით გადაგიწყვიტე ბედი“. (A praise poem of Šulgi (Šulgi P) (c.2.4.2.16), line c24216.C.25; ზოიომი 2017: 231)

როგორც (27a), ისე (27b) წინადადებაში წარმოდგენილია nam „ბედი“ — tar „ჭრა“ = „ბედის განსაზღვრა“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ (27a)-ში mu-ri-in-tar ზმნა უჩვენებს {r-} + {i-} (მეორე პირის მაჩვენებელი + უბრალო დამატება), ხოლო (27b)-ში ma-ra-ni-tar ზმნა – {r-} + {a-} (მეორე პირის მაჩვენებელი + R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი). ორივე წინადადებაში სემანტიკური როლია რეციპიენ-

ტი/ბენეფაქტივი, მაგრამ (27a)-ში გამოიხატება უბრალო დამატების მაჩვენებლით, ხოლო (27b)-ში – R პრიმიტივის მაჩვენებლით.

კრეხერის კანონის თანახმად, თუ ერთზე მეტი სივრცობრივი პრეფიქსია წარმოდგენილი ზმნაში, მხოლოდ პირველ მათგანს დაუკავშირდება პირის ინიციალური ნიშანი და ავტომატურად პირველი სივრცობრივი პრეფიქსის შემდეგ წარმოდგენილი პრეფიქსები პირის ინიციალური ნიშნის გარეშე მიემართებიან მხოლოდ არაგონიერ მესამე პირის პარტიციპანტებს/აქტანტებს (კრეხერი 1985; იაგერსმა 2010: 381, 511; ზოიომი 2017: 231). აქედან გამომდინარე, კაუზირებული, რომელიც უბრალო დამატების ფუნქციით არის დატვირთული, შეიძლება დაწინაურდეს და R-ის მაჩვენებლით გამოიხატოს.

(28) დატიური დაწინაურება

a. **nam* *in-ni-in-kud*
**nam=Ø* *i-n-i-n-kud-Ø*
ბედი=ABS NEUT-3SG.H-OBL-3SG.H.A-ჭრა-3SG.P
„მან აიძულა ისინი, რომ დაეფიცა“. (ზოიომი 2017: 231-232)

b. R-ით გამოხატული წარმოქმნილი კონსტრუქცია
lu_2 *ummaki-ra* *e_2-an-na-tum_2-me* *sa-šuš-gal*
lu *umma=ak=ra* *eanatum=e* *sašušgal*
პიროვნება უმა=GEN=DAT ეანათუმი=ERG ბადე
^{d}en-lil$_x$(E_2)-la_2 *e-na-$šum_2$*
enlil=ak=Ø *i-n-a-n-šum-Ø*
ენლილი=GEN=ABS NEUT-3SG.H-R-3SG.H.A-მიცემა-3SG.P
nam *e-na-ta-kud*
nam=Ø *i-n-a-ta-n-kud-Ø*
ბედი=ABS NEUT-3SG.H-R-ABL-3SG.H.A-ჭრა-3SG.P
„ეანათუმმა მისცა ენლილის დიდი საბრძოლო ბადე უმელებს და მისი საშუალებით სამომავლო ფიცი დაადებინა“. (E-ana-tum 1 obv. 16:12–20 (RIME 1.9.3.1) (Lagash, 25th c. BCE) (P222399); ზოიომი 2017: 232)

(28a)-ში კაუზირებული, შუმერული კაუზატიური კონსტრუქციის თანახმად, უბრალო დამატებით არის წარმოდგენილი in-ni-in-kud ზმნაში: {n-} + {i-} (მესამე პირის მაჩვენებელი + უბრალო დამატება), მაგრამ აბლატიური მაჩვენებელი დამატების შემდეგ (28b)-ში e-na-ta-kud ზმნა კაუზირებულს გამოხატავს R-ის მაჩვენებლით: {n-} + {a-}; ამგვარი ცვალებადობა მიუთითებს სინტაქსური ფუნქციის დაწინაურებაზე: უბრალო დამატება → ირიბი დამატება,[133] რაც მხოლოდ ფორმალური მაჩვენებლების ცვლილებით გამოიხატება, რადგანაც ამოსავალი უბრალო დამატება ობლიგატორულია (და არა ფაკულტატიური), რაც განსხვავდება პროტოტიპური შემთხვევებისაგან, როდესაც უბრალო დამატება ყოველთვის ფაკულტატიურია.

ამგვარი მონაცვლეობა (მარკერის ცვლილება) და R პრიმიტივის ფუნქციამდე დაწინაურება, როგორც წესი, საკმარისია იმის სათქმელად, რომ მივიჩნიოთ სინტაქსურ დაწინაურებად, ამიტომ დატიური დაწინაურება ერთ-ერთ საიმედო სინტაქსურ ტესტად შეგვიძლია განვიხილოთ.

4.4 სივრცობრივი პრეფიქსები: ვალენტობა

ზემოგანხილული სინტაქსური ტესტების (რელატივიზაცია, კოორდინაცია, რეფლექსივიზაცია, კაუზაცია, დატიური დაწინაურება) ნაწილი არ იძლევა საშუალებას, რომ გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ცენტრალური (core) და პერიფერიული აქტანტები. შესაძლებელია ნებისმიერი აქტანტის რელატივიზაცია და კოორდინაცია, ამიტომ არაღირებულია მოცემული ტესტები სინტაქსური ფუნქციების დასადგენად შუმერულ ენაში.

ერთვალენტიანი ამოსავალი ზმნის (რომელსაც უკავ-

133 R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივისა და ირიბი დამატების იგივეობაზე იხ. ქვემოთ (ქვეთავი 4.4).

შირდება S გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი) კაუზაციისას S იკავებს P პრიმიტივის ადგილს, ანუ ეს ტესტი გამოდგება პირდაპირი დამატების დადგენის ერთ-ერთ საშუალებად, მაგრამ კაუზაციით ვერ დგინდება ირიბი დამატება, რადგანაც ორვალენტიანი ამოსავალი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატიური კონსტრუქცია (მოიცავს კაუზატორს, კაუზირებულსა და პირდაპირ დამატებას) ამოსავალ A პრიმიტივს (resp. წარმოქმნილი კონსტრუქციის კაუზირებული) ანიჭებს უბრალო დამატების (და არა ირიბი დამატების) ფუნქციას. ეს ჩანს იქიდან, რომ იგი უბრალო დამატების მარკერებით გამოიხატება.

რეფლექსივიზაციით, როგორც წესი, დგინდება პირდაპირი დამატება: თუ მოცემულ ენაში მხოლოდ P გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი (სემანტიკური როლებით – პაციენსი/თემა) გამოიხატება რეფლექსიური ნაცვალსახელით, მაშინ ეს ნაცვალსახელი გამოხატავს პირდაპირ დამატებას, ან თუ A პრიმიტივიც გამოიხატება რეფლექსიური ნაცვალსახელით, მაშინ ასრულებს ქვემდებარის ფუნქციასაც. შუმერულში ორივე შემთხვევაა წარმოდგენილი, ამიტომ შესაძლებელია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების დადგენა, რადგანაც რეფლექსიურ ნაცვალსახელს მხოლოდ ამ ორი სინტაქსური ფუნქციის გამოხატვა შეუძლია (ანუ ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას გამოყოფს სხვა (ცენტრალური თუ პერიფერიული) აქტანტებისაგან. პირდაპირი რეფლექსივისაგან განსხვავებით, ირიბი რეფლექსივი უკავშირდება R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივისა (სემანტიკურად – რეციპიენტი/ბენეფაქტივი) და A გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის კორეფერენციას, ამიტომ ეს ტესტი საშუალებას გვაძლევს, რომ დავადგინოთ ირიბი დამატება, რადგანაც თუ R პირდაპირი დამატება არ არის, სინტაქსურ ფუნქციათა უნივერსალური იერარქიის თანახმად, მომდევნო პოზიცია ირიბმა დამატებამ უნდა დაიკავოს.

დატიური დაწინაურება (მიუხედავად მისი შეზღუდული

ხმარებისა) უნდა გამოგვადგეს ირიბი დამატების დასადგენად: რადგანაც ერთი და იმავე სემანტიკური როლის გამოხატვა სხვადასხვა მარკერით მიუთითებს სინტაქსურ ფუნქციათა ან დაწინაურებას, ან სულაც დაქვეითებას. რადგანაც სხვა საშუალებებით ვადგენთ, რომ {n-} + {a-} (მესამე პირი/გონიერთა კლასი + R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი) პრეფიქსები ზმნაში გამოხატავს ირიბ დამატებას, ამიტომ „დატიური დაწინაურება" უნდა მივიჩნიოთ დაწინაურების (და, ამგვარად, ვალენტობის მომმატებელ) საშუალებად. სინტაქსურ ფუნქციათა უნივერსალური იერარქიის მიხედვით კი, გვექნება ამგვარი დაწინაურება: უბრალო დამატება → ირიბი დამატება (დაწინაურება ერთი საფეხურით).

ფაქტობრივად, სინტაქსური ტესტებიდან მხოლოდ ორი (ირიბი რეფლექსივიზაცია, დატიური დაწინაურება) გამოდგება ირიბი დამატების დასადგენად, ხოლო სხვა ტესტები (რელატივიზაცია, კოორდინაცია, კაუზაცია) ირიბი დამატების დასადგენად არაღირებულია.

თუ მარკირებასაც და სინტაქსურ ტესტებსაც ერთად გავითვალისწინებთ, მაშინ შეგვეძლება გავარკვიოთ, რატომ არის R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი შუმერულ ენაში ირიბი დამატების ფუნქციით: შუმერული ენა, წყობათა (alignment) თვალსაზრისით (იხ. თავი II), ინდირექტიულ-ერგატიული ტიპისაა, ანუ პროტოტიპურ სამვალენტიან ზმნასთან დაკავშირებული T გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი ისევე გამოიხატება (როგორც სახელურ ფრაზაში, ასევე ზმნაში), როგორც P პრიმიტივი პროტოტიპურ ორვალენტიან ზმნაში (აბსოლუტიური ბრუნვა, პირის ნიშანი ზმნაში). მათგან განსხვავებით, R პრიმიტივი გამოიხატება დატიური ბრუნვით სახელურ ფრაზაში და პირის ინიციალური პრეფიქსი + {a-} მორფემით ზმნაში. რადგანაც სხვა პრიმიტივი თუ უბრალო დამატება ზმნაში არ გამოიხატება ამავე მაჩვენებლებით,[134]

134 დატიური ბრუნვით შეიძლება უბრალო დამატების გამოხატვა, მაგრამ ზმნაში აუცილებლად ექნება განსხვავებული პრეფიქსები.

ამიტომ მორფოლოგიური მარკირება საუკეთესო საშუალებაა ირიბი დამატების გამიჯვნისა სხვა სინტაქსური ფუნქციებისაგან (პირის ნიშანიც აქტანტის ამოსაცნობად ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა რთული მორფოლოგიის მქონე ენებში); სემანტიკური და სინტაქსური საშუალებები კი დამატებით შესაძლებლობას იძლევიან ირიბი დამატების გამოსაყოფად: **1.** ირიბი დამატება რეციპიენტია პროტოტიპურ შემთხვევაში (resp. პროტოტიპურ სამვალენტიან ზმნაში); **2.** გამოიხატება დატივით სახელურ ფრაზაში და დატიური პრეფიქსებით – ზმნაში; **3.** განსხვავდება უბრალო დამატებისა და გარემოების გამოხატვისაგან; **4.** უბრალო დამატება შეიძლება სახელურ ფრაზაში დატივის მაჩვენებლით იყოს მარკირებული, მაგრამ ზმნაში აუცილებლად განსხვავებული მაჩვენებლით იქნება წარმოდგენილი; **5.** ირიბი რეფლექსივი მიუთითებს ქვემდებარისა და ირიბი დამატების კორეფერენციას; **6.** დატიური დაწინაურება (თუმცა გვხვდება მეტისმეტად შეზღუდულად) ირიბი დამატების დადგენის ერთ-ერთი საშუალებაა.

რადგანაც ტერმინატივის მთავარი ფუნქციაა დანიშნულების ადგილის თუ მიზნის სემანტიკური როლის გამოხატვა, რომელიც დატივის ერთ-ერთი მახასიათებელიც არის, შეიძლება დავსვათ საკითხი ტერმინატივის დატიური დაწინაურებისთვისაც. დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში უბრალო დამატება → ირიბი დამატება სინტაქსური გადასვლა ზემოაღწერილ დატიურ დაწინაურებას უფრო ძლიერ ტესტად აქცევს.

რადგანაც ირიბი დამატება მარკერებით და სინტაქსური ტესტებით გამოირჩევა სხვა სივრცობრივი პრეფიქსებისაგან, ამიტომ კომიტატივი, ტერმინატივი, აბლატივი და ლოკატივი არ უნდა მივიჩნიოთ ირიბ დამატებად. ლოკატივი უნდა მივიჩნიოთ ადგილის გარემოებად, რადგან ინიციალურ პირის ნიშანთან ერთად არ დასტურდება და, ამ თვალსაზრისით, განსხვავდება სხვა სივრცობრივი

პრეფიქსებისაგან (არ მოგვეპოვება ძლიერი სინტაქსური ტესტი, რომ გამოვარჩიოთ სხვა პრეფიქსებისაგან: მხოლოდ ვახასიათებთ უარყოფითად – ლოკატივი სინტაქსურად არ წინაურდება). დატიური დაწინაურება და ირიბი რეფლექსივი კი საშუალებას გვაძლევს, რომ უბრალო დამატებად მივიჩნიოთ.

4.5 სივრცობრივი პრეფიქსების ფლექსიურობა-დერივაციულობის საკითხი

ხუთი სივრცობრივი პრეფიქსი (დატივი, კომიტატივი, აბლატივი, ტერმინატივი, ლოკატივი) ოთხ სხვადასხვა რანგში არის განაწილებული; აქედან გამომდინარე, თეორიულად ზმნაში შეიძლება დასტურდებოდეს ოთხივე მათგანი (მხოლოდ აბლატივი და ტერმინატივია ურთიერთგამომრიცხავი ერთი ზმნური სიტყვაფორმის ფარგლებში). ამიტომ, გრამატიკული კატეგორიის თვალსაზრისით, ოთხ სხვადასხვა კატეგორიაში უნდა იყოს განაწილებული მოცემული ხუთივე პრეფიქსი, რადგანაც, გრამატიკული კატეგორიის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმიდან გამომდინარე, ერთ კატეგორიაში გაერთიანებული გრამემები აუცილებლად უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი ერთსა და იმავე ზმნურ სიტყვაფორმაში. ამ კრიტერიუმის მიხედვით, არ არსებობს სივრცობრივი პრეფიქსების ერთიანი გრამატიკული კატეგორია, რომელშიც გაერთიანებული იქნება ზემოჩამოთვლილი ხუთივე გრამატიკული მნიშვნელობა.

სხვა საკითხია, მოცემული პრეფიქსები გამოხატავენ გრამემასა თუ დერივატებას, ანუ მოცემული პრეფიქსები ხასიათდებიან ფლექსიურობით თუ დერივაციულობით. წმინდა სემანტიკური თვალსაზრისით, ფლექსიური კატეგორიები, როგორც წესი, მხოლოდ სინტაქსურ კავშირებს ამყარებენ წინადადების სხვა წევრებთან (resp.

აქტანტებთან) და შინაარსს არ უცვლიან ამოსავალ ლექსემას.

სემანტიკური როლების თვალსაზრისით, R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის გამომხატველი მორფემა (resp. დატივი) წარმოადგენს რეციპიენტს, ბენეფაქტივს, ადრესატს, მიზანს (goal), ლოკატივსა და ექსპერიენცერს. ამ თვალსაზრისით, {n-} + {a-} მიმდევრობას აკისრია მხოლოდ პარტიციპანტის გამოხატვა კონკრეტული ზმნური ლექსემით გამოხატული სიტუაციისათვის. სემანტიკურად სამვალენტიანი ზმნებისთვის ამგვარი პარტიციპანტის არსებობა ლექსემის სემანტიკით განისაზღვრება, ხოლო ორვალენტიანი გარდამავალი ზმნებისთვის კი დამატებით, ახალ პარტიციპანტს გამოხატავს (სინტაქსური თვალსაზრისით კი ახალი აქტანტისა თუ გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის შემოყვანა დერივაციას განეკუთვნება); მორფოლოგიური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, უნდა მივიჩნიოთ ფლექსიად, რადგანაც დატიური პრეფიქსი ახალი პარტიციპანტის შემოყვანის (თუ ახალი სემანტიკური როლის გამოხატვის) გარდა არ უმატებს თუ არ უცვლის ზმნას შინაარსს (პირის გამომხატველი მაჩვენებლები, საზოგადოდ, პროტოტიპურ ფლექსიურ კატეგორიაში ერთიანდებიან). ობლიგატორულობის კრიტერიუმის თანახმად კი, სამვალენტიან ზმნურ ფორმებში (ამოსავალი თუ წარმოქმნილი) R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის (resp. ირიბი დამატების)[135] გამოხატვა სწორედ ამ პრეფიქსს (და სახელურ ფრაზაში დატივისა და დირექტივის ბრუნვებს) ეკისრება. აქედან გამომდინარე, {n-} + {a-} მიმდევრობა უნდა განვიხილოთ პირის სხვა (ქვემდებარის/სუბიექტისა და პირდაპირი დამატების/ობიექტის გამომხატველ) ნიშნებთან ერთად. არაპროტოტიპურ შემთხვევას

135 შუმერულსა და ბევრ სხვა ენაში, R პრიმიტივი და ირიბი დამატება ერთი და იგივე აქტანტია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარი გაიგივება არ არის უნივერსალური ყველა ენისათვის.

ის ქმნის, რომ ირიბი დამატება გამოიხატება ორი მორფემით: პირის/კლასის მაჩვენებლითა და შესაბამისი პარტიციპანტის სინტაქსური ფუნქციის გამომხატველი მარკერით.

ირიბი დამატების (resp. დატივის) მაჩვენებლისაგან განსხვავებით სხვა პრეფიქსები, გარდა იმისა, რომ უკავშირდებიან რომელიმე აქტანტს (პერიფერიულს), ზმნას უცვლიან თუ უმატებენ სემანტიკურ ნიუანსსაც (მაგალითები იხილეთ ზემოთ შესაბამის ქვეთავებში): **1.** ლოკატივმა შეიძლება აქტანტის გარეშე დაუმატოს ლოკატიური შინაარსი; **2.** აბლატივმა – არასივრცობრივი და არადროითი მნიშვნელობები, ინსტრუმენტი, „სრულიად, მთლიანად, სავსებით“ ნიუანსი „განადგურებისა“ და „დასრულების“ ზმნებს; **3.** ტერმინატივმა შეიძლება დააზუსტოს მიმართულება ან ვინმეს/რამის წინაშე ყოფნა, უჩვენოს მიზანი ან მიზეზი; 4. კომიტატივმა კი შეიძლება გამოხატოს რეციპროკისა და ლოკაციის გარდა აბილიტატიური მნიშვნელობაც. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული ოთხი სივრცობრივი პრეფიქსი დერივაციას უნდა მივაკუთვნოთ. სინტაქსური კავშირის დამყარების თვალსაზრისით (შეთანხმება/კონკორდი) არათანმიმდევრულ სურათს გვიჩვენებენ,[136] რაც მიუთითებს ტენდენციას დერივაციულობისაკენ.

სივრცობრივი პრეფიქსები ოპოზიციურობის თვალსაზრისით ქმნიან პრივატულ (და არა ეკვიპოლენტურ) ოპოზიციას, რაც დერივაციისათვის არის დამახასიათებელი. ამოსავალ ზმნურ ლექსემას ემატება ახალი ნიუანსი (ან უბრალოდ პერიფერიული აქტანტი თუ გარემოება).

ზემოგანხილული ცხრილის სახით ამგვარად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

136 ტექსტებში სივრცობრივი პრეფიქსებისა და შესაბამისი სახელური ფრაზების რაოდენობრივი თვალსაზრისით განაწილების შესახებ იხ. გრეგის ნაშრომი (გრეგი 1973).

ცხრილი № 7 სივრცობრივი პრეფიქსების ფლექსიურობა-დერივაციულობა

	დატივი	კომიტატივი	აბლატივი	ტერმინატივი	ლოკატივი
1. სინტაქსური კავშირის დამყარება	+	+/-	+/-	+/-	+/-
2. თანახმარება ერთ სიტყვაფორმაში	+	+	+/-	+/-	+
3. სემანტიკური არამრავალფეროვნება	+	-	-	-	-
4. ობლიგატორულობა	+	+/-	+/-	+/-	+/-
5. ეკვიპოლენტური ოპოზიცია	+	-	+/-	+/-	-

„+“ ნიშნით აღინიშნება ტენდენცია ფლექსიურობისაკენ, ხოლო „-“ ნიშნით – დერივაციულობისაკენ. როდესაც უჯრაში მოცემულია ერთდროულად როგორც „+“, ასევე „-“, მაშინ კონტექსტის მიხედვით შეიძლება ან ერთი მახასიათებელი გამოვლინდეს, ან კიდევ – მეორე. მაგ., სინტაქსური კავშირის დამყარება ყველა სივრცობრივ პრეფიქსს შეუძლია, მაგრამ არა ყოველთვის: როდესაც ზმნას სემანტიკას უცვლის, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაბამისი აქტანტი არ მოიპოვება წინადადებაში (ამ მხრივ, მხოლოდ ირიბი დამატების (resp. დატივის) მაჩვენებელი გამოირჩევა – ყოველთვის აღნიშნავს შესაბამის სინტაქსურ ფუნქციას). აბლატივი და ტერმინატივი ურთიერთგამომრიცხავია ერთ ზმნურ სიტყვაფორმაში, მაგრამ თანაიხმარება სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან (ამიტომ აქვს მიწერილი როგორც „+“, ასევე „-“). სემანტიკური არამრავალფეროვნება გულისხმობს, რომ ირიბი დამატების მაჩვენებელი გამოხატავს მხოლოდ სხვადასხვა სემანტიკურ როლს, მაგრამ არ უცვლის ზმნას შინაარსს, განსხვავებით სხვა სივრცობრივი პრეფიქსებისაგან. ობლიგატორულობით კი ხასიათდება მხოლოდ ირიბი დამატების გამომხატველი პრეფიქსი: სხვა სივრცობრივი პრეფიქსები მაშინაც კი არ ვლინდება ყოველთვის,

როდესაც შესაბამისი ბრუნვით გამოხატული სახელური ფრაზა მოგვეპოვება წინადადებაში. აბლატივი და ტერმინატივი ერთმანეთთან ქმნიან ეკვიპოლენტურ ოპოზიციას, მაგრამ სხვა სივრცობრივ პრეფიქსებთან მიმართებით კი – პრივატულ ოპოზიციას, ამიტომ აღინიშნება როგორც „+“, ასევე „-“ ნიშნებით).

მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, სივრცობრივი პრეფიქსები არ განეკუთვნებიან პროტოტიპურ დერივატემებს, მაგრამ ფლექსიურობის ორ მთავარ კრიტერიუმს (ობლიგატორულობასა და ერთ სიტყვაფორმაში ურთიერთგამომრიცხაობას ვერ აკმაყოფილებენ) და ამიტომ ისინი უნდა გავაერთიანოთ დერივაციულ კატეგორიებში.

4.6 სივრცობრივი პრეფიქსების აპლიკატიურობის საკითხი

ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მიიჩნევს, რომ სივრცობრივი პრეფიქსები გამოხატავენ აპლიკატივს (სმითი 2010; ნეძელსკი 2017). აქედან გამომდინარე, შუმერულს მოეპოვება ექვსი აპლიკატიური გრამატიკული მნიშვნელობა: ბენეფაქტივი, კომიტატივი, მიზანი (goal; resp. ტერმინატივი), წყარო (source; resp. აბლატივი), ინსტრუმენტი, ლოკატივი (სმითი 2010: 83). ასევე მიუთითებენ, რომ სივრცობრივი პრეფიქსები ვალენტობის მატების საშუალებას წარმოადგენენ (ნეძელსკი 2017: 35, 39).

თუ სივრცობრივ პრეფიქსებს მივიჩნევთ აპლიკატივის გამომხატველ მორფემებად, მაშინ ორივე ავტორი ჩამოთვლის იმ მახასიათებლებს, რომლითაც განსხვავდებიან სხვა ენების აპლიკატივისაგან: აპლიკატიურ მნიშვნელობათა დიდი რაოდენობა, სახელური ფრაზა არ მარკირდება აბსოლუტიური ბრუნვით: გამოხატულია ირიბი ბრუნვებით, ერთსა და იმავე ზმნურ სიტყვაფორმაში ერთზე მეტი აპლიკატიური მაჩვენებელი შეიძლება გამოვ-

ლინდეს (მაგრამ მხოლოდ პირველი მათგანი მიიჩნევა ცენტრალურ (core) აქტანტად, ხოლო სხვა სივრცობრივი პრეფიქსები გამოხატავენ პერიფერიულ აქტანტებს), არ პასივიზდება სივრცობრივი პრეფიქსებით გამოხატული აქტანტები (სმითი 2010: 81-82; ნეძელსკი 2017: 46, 48).

აპლიკატივის მახასიათებლები უნივერსალური მახასიათებლები შეიძლება განვიხილოთ სემანტიკურად, სინტაქსურად და მორფოლოგიურად. სემანტიკური როლები, რომლებსაც აპლიკატივი გამოხატავს (იხ. თავი I), შეიძლება იყოს ბენეფაქტივი, ლოკატივი, ინსტრუმენტი, კომიტატივი და ა. შ. აქედან გამომდინარე, შუმერული სივრცობრივი პრეფიქსები აკმაყოფილებენ სემანტიკურ კრიტერიუმს.

სინტაქსური თვალსაზრისით, აპლიკატივი უნდა იყოს ვალენტობის მომმატებელი საშუალება. როგორც ეს დასტურდება პროტოტიპურ შემთხვევებში (ბანტუ და ავსტრონეზიური ენები, inter alia): ფაკულტატიური უბრალო დამატება აპლიკატივიზაციის შემდეგ იკავებს პირდაპირი ან პირველადი დამატების ფუნქციას; ხოლო სხვა შემთხვევებში შესაძლებელია პირდაპირი დამატების ნაცვლად დაიკავოს ირიბი ან მეორეული დამატების ადგილი; ორივე შემთხვევაში ამოსავალ წინადადებასთან შედარებით მივიღებთ ერთით მეტ ცენტრალურ (core) აქტანტს, ანუ ზმნის ვალენტობა გაიზრდება ერთით. შუმერულის შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ (ქვეთავები 4.2.6; 4.4), სივრცობრივ პრეფიქსთაგან ვალენტობის მომმატებელი საშუალებაა ირიბი დამატება (resp. R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი; სემანტიკურად – რეციპიენტი, ბენეფაქტივი, ადრესატი, მიზანი): დატიური ბრუნვით სახელურ ფრაზაში და {n-}/{r-}/{ϕ-}[137] + {a-} (პირის ნიშანი + R-ის გამომხატველი პრეფიქსი) აფიქსთა მიმდევრობით ზმნაში გამოიხატება ირიბი დამატება, რომელიც, განმარტების თანახმად, წარმოადგენს ცენტრალურ აქტანტს. ოღონდ,

137 {?-} ა. იაგერსმას მიხედვით.

ზემოგანხილული დატიურ დაწინაურების გარდა, არ არსებობს ფაკულტატიური უბრალო დამატება, რომელიც დაწინაურდება და დაიკავებს ირიბი დამატების ადგილს (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა; იხ. ქვეთავი 4.3.6). მისგან განსხვავებით, კომიტატივი, ტერმინატივი, აბლატივი და ლოკატივი ვერ უმატებენ ვალენტობას (როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ქვეთავ 4.4-ში), რადგანაც ისინი წარმოადგენენ უბრალო დამატებას, ანუ უნდა განვიხილოთ როგორც პერიფერიული აქტანტების სახეობები. არ დასტურდება ისეთი ფაკულტატიური თუ ობლიგატორული პერიფერიული აქტანტები, რომელთა დაწინაურებითაც მიიღება სივრცობრივი პრეფიქსებით (გარდა R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივისა) გამოხატული აქტანტები. აქედან გამომდინარე, თუ მოცემული მორფემები არ უკავშირდება ვალენტობის მატებას, მაშინ არ უნდა მივიჩნიოთ სივრცობრივი პრეფიქსები აპლიკატივის (თუნდაც არაპროტოტიპურის) გამომხატველად.

რა თქმა უნდა, მართებულია ე. სმითისა და პ. ნეძელსკის ზემოჩამოთვლილი შენიშვნები პროტოტიპური აპლიკატივისაგან სივრცობრივი პრეფიქსების განსხვავების შესახებ, მაგრამ ის კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც გამოვყოფთ აპლიკატივს, არ არის იერარქიულად დალაგებული. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ მძლავრ კრიტერიუმად მივიჩნიოთ სინტაქსური მახასიათებლები: აუცილებელია, რომ აპლიკატივმა აჩვენოს სინტაქსური დაწინაურება; ვალენტობის მატება, ამ თვალსაზრისით, ობლიგატორულია. თუ მორფოლოგიურადაც არის გამოხატული (აფიქსური ან სხვა მორფოლოგიური მარკერი) და ქმნის აპლიკატივის გრამატიკულ კატეგორიას, მაშინ ისინი უნდა იკავებდნენ ერთსა და იმავე რანგს. რა თქმა უნდა, თეორიულად შესაძლებელია, რომ ერთდროულად გამოვლინდნენ და, მაგალითად, ზმნამ ერთდროულად გამოხატოს ბენეფაქტივი და ინსტრუმენტი, მაგრამ ცენტრალური აქტანტი უნდა იყოს

ერთ-ერთი მათგანი, ხოლო მეორე – აუცილებლად პერიფერიული. თითქოს ასეც გამოიხატება შუმერულში, რადგანაც, კრეხერის კანონის თანახმად, მხოლოდ ძირისგან უკიდურესად დაშორებულ სივრცობრივ პრეფიქსს უკავშირდება პირის/კლასის ინიციალური ნიშანი და სხვა სივრცობრივი პრეფიქსები მის გარეშე გამოიხატებიან; მაგრამ თუ არცერთი სინტაქსური ტესტი არ უჭერს მას მხარს (იხ. ქვეთავი 4.4), რომ კომიტატივი, ტერმინატივი, აბლატივი და ლოკატივი არ არიან ცენტრალური (პირდაპირი ან ირიბი დამატება) აქტანტები, მაშინ მხოლოდ პირის/კლასის ნიშანი ვერ გადაწყვეტს სინტაქსური ფუნქციის პრობლემას: უბრალოდ დამატებაც შეიძლება შეუთანხმდეს ზმნას და გამოიხატოს პირის/კლასის მარკერითაც.

როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. ქვეთავი 4.5), სივრცობრივი პრეფიქსები უნდა მივიჩნიოთ დერივატემებად და არა – გრამემებად და, ამასთანავე, რადგანაც ისინი ერთდროულად ვლინდებიან ერთსა და იმავე ზმნურ სიტყვაფორმაში, ამიტომ მათ ერთ გრამატიკულ კატეგორიაში ვერ გავაერთიანებთ.

ზოგადად, აპლიკატიურობის დასაკმაყოფილებლად სემანტიკური როლები იმდენად მრავალფეროვანია, რომ არ უნდა მივიჩნიოთ ობლიგატორულ კრიტერიუმად ამგვარი კატეგორიის გამოსაყოფად. ერთადერთი ობლიგატორული კრიტერიუმი უნდა იყოს ვალენტობის კლება-მატება და ყოველი კონკრეტული ენისათვის უნდა დავადგინოთ ის სინტაქსური ტესტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ცენტრალური (core) და პერიფერიული აქტანტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ამის შემდეგ უნდა დადგინდეს აპლიკატივაზციის შედეგად მიღებული პირდაპირი/პირველადი დამატება თუ ირიბი/მეორეული დამატება და ასევე უნდა გამოვარკვიოთ ამოსავალი კონსტრუქცია შეიცავს თუ არა ფაკულტატიურ უბრალო დამატებას.

ამგვარად, შუმეროლოგიის განვითარების მოცემულ ეტაპზე შუმერულისთვის უნდა გამოვყოთ აპლიკატივის მხოლოდ ერთი ტიპი: ბენეფაქტიური აპლიკატივი, რომლისთვისაც, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (იხ. ქვეთავი 4.3.6 დატიური დაწინაურების შესახებ), არ არსებობს ამოსავალი კონსტრუქცია ფაკულტატიური უბრალო დამატებით, რომლისგანაც აქტანტური დერივაციით მივიღებდით აპლიკატიურ კონსტრუქციას. ამის გათვალისწინებით (და რომ მიღებულ კონსტრუქციაში ბენეფაქტივი გამოიხატება ირიბი დამატებით), შუმერულში წარმოდგენილია არაპროტოტიპური აპლიკატივი.

4.7 დასკვნა

IV თავში განვიხილეთ სივრცობრივი პრეფიქსების (ლოკატივი, აბლატივი, ტერმინატივი, კომიტატივი და დატივი) მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური (სემანტიკური როლები) მახასიათებლები როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე შუმეროლოგიური ლიტერატურის მიხედვით, რაზეც დავაფუძნეთ შემდეგი მსჯელობა მათი სინტაქსური ფუნქციების შესახებ სინტაქსური ტესტების მიხედვით (რელატივიზაცია, რეფლექსივიზაცია, კოორდინაცია, კაუზაცია). აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად გამოვარკვიეთ მათი კავშირი ვალენტობასთან (და აპლიკატივიზაციასთან) და მათი ფლექსიურობა-დერივაციულობის საკითხი; დასკვნები პუნქტებად შეგვიძლია ჩამოვწეროთ:

1. რელატივიზაცია არ გამოდგება სინტაქსური ფუნქციების დასადგენ ტესტად, რადგანაც შესაძლებელია წინადადების ყველა წევრის რელატივიზება;
2. რეფლექსივიზაცია სუსტი ტესტია: ძირითადად პაციენსს/თემას (resp. P, T) გამოხატავს, მაგრამ შესაძ-

ლებელია შეგვხვდეს აგენსის (resp. A) ფუნქციითაც; ირიბი რეფლექსივი გამოხატავს აგენსისა და რეციპიენტის/ბენეფაქტივის რეფერენციულ იდენტიფიკაციას (resp. კორეფერენტულობას);

3. კოორდინაცია არ გამოდგება სინტაქსური ფუნქციების დასადგენად, რადგან შესაძლებელია წინადადების ყველა წევრის კოორდინაცია;

4. აქტანტური დერივაციის (საშუალი გვარი/პასივი; ბენეფაქტიური კონსტრუქცია; კაუზატივი?) ტესტებით გამოყოფილი სინტაქსური ფუნქციები ემთხვევა ტრადიციულად გამოყოფილ პირდაპირ დამატებასა და ირიბ დამატებას; აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ შესაბამისობა გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებსა და სინტაქსურ ფუნქციებს შორის: P/T – პირდაპირი დამატება, R – ირიბი დამატება;

5. R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი და ის აქტანტები, რომლებიც მორფოლოგიურად მარკირდებიან იმავე მორფემით ({n-}/{r-}/{Ø-}[138] + {a-} – პირის ნიშანი + R-ის გამომხატველი პრეფიქსი), უნდა მივიჩნიოთ ირიბ დამატებად მორფოლოგიური მარკირების, სემანტიკური როლისა (რეციპიენტი, ბენეფაქტივი, ადრესატი და ექსპერიენცერი) და დატიური დაწინაურების საფუძველზე. ირიბი დამატება მორფოლოგიური თვალსაზრისით ფლექსიას წარმოადგენს;

6. სხვა სივრცობრივი პრეფიქსები (და მათთან დაკავშირებული ინიციალური პირის ნიშანი) უნდა მივიჩნიოთ უბრალო და არა ირიბ დამატებად, რადგან არ მარკირდებიან R-ის მსგავსად, ტენდენციას იჩენენ დერივაციულობისაკენ (მორფოლოგიური თვალსაზრისით), ზოგიერთი მათგანი დატიური დაწინაურე-

138 {ʔ-} ა. იაგერსმას მიხედვით.

ბით უჩვენებს, რომ სინტაქსურ ფუნქციათა იერარქიაში ირიბ დამატებაზე ქვემოთ დგანან;

7. ლოკატივის მაჩვენებელი უნდა მივიჩნიოთ გარემოების გამომხატველად, რადგან, მორფოლოგიური თვალსაზრისით, არასდროს არ უთავსდება ინიციალური პირის პრეფიქსს.

III თავში განხილულ სივრცობრივ პრეფიქსთა ანალიზს ერთი დიდი დაბრკოლება ახლავს თან: ნებისმიერი სინტაქსური კონსტრუქციის განხილვისას აუცილებელია მიმართების დადგენა ამოსავალ კონსტრუქციასა და სინტაქსური დერივაციით მიღებულ კონსტრუქციას შორის, ამიტომ ნათლად უნდა აღიწეროს ჯერ ამოსავალი კონსტრუქცია, შემდეგ – წარმოქმნილი კონსტრუქცია, ბოლოს კი უნდა ვუჩვენოთ განსხვავებები ამ ორ კონსტრუქციას შორის. ამისათვის აუცილებელია პროტოტიპური მაგალითების მოხმობა, რაც გულისხმობს, რომ ამოსავალ და წარმოქმნილ კონსტრუქციებს შორის უნდა იყოს მინიმალური მორფოლოგიური მარკირების, სინტაქსური მონაცვლეობებისა და სემანტიკური (როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური სემანტიკა) თვალსაზრისით, მაგრამ ხშირად შეუძლებელი ხდება ამგვარი ნიმუშების დაძებნა და ამიტომაც ხდება, რომ ზოგიერთი შუმეროლოგი ამგვარი მონაცვლეობების საჩვენებლად ან ხელოვნურად შექმნილ მაგალითებს იშველიებს ან უკეთეს შემთხვევაში არაპროტოტიპური ნიმუშებით კმაყოფილდება.

მკვდარი ენის ანალიზისას მკვლევარი ვერ გაექცევა ამგვარ ნაკლოვანებებს.

თავი V
ვალენტობათა ამოსავალი და სინტაქსური ალტერნაციით მიღებული მოდელები

5.1 ზოგადი

არსებობს სულ რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეხებიან შუმერული ენის გარდამავლობისა და ვალენტობის საკითხებს (დიაკონოვი 1979: 25; ჰუბერი 1996: 182, 184; იოსიკავა 1993ე: 207-214; ზოიომი 1999: 233; მიხალოვსკი 2004: 39; კარაჰასი 2008; კარაჰასი 2009; კარაჰასი 2010; იაგერსმა 2010: 293, 302-303, 308), მაგრამ არცერთი მათგანი არ გადათვლის ვალენტობისა და გარდამავლობის თეორიულად შესაძლებელ და დადასტურებულ კომბინაციებს (ა. იაგერსმას გარდა) და ან მხოლოდ გაკვრით ეხებიან ამ საკითხს, ან კიდევ იმდენად მოკლედ შენიშნავენ, რომ შეუძლებელია დავინახოთ ის სისტემა, რომელსაც აქტანტები ქმნიან (ამოსავალი და აქტანტური დერივაციით მიღებული კონსტრუქციები და მიმართებები ამ კონსტრუქციებს შორის) შუმერულ ენაში.

ამ თავის მიზანია, წარმოვაჩინოთ ურთიერთმიმართება როგორც სემანტიკურ, ასევე სინტაქსურ ვალენტობებს შორის: როგორ აისახება (mapping) კონკრეტულ ზმნასთან დაკავშირებული სემანტიკური როლები სინტაქსურ ფუნქციებში, როგორ უკავშირდება ორივე მათგანი გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებსა და ალტერნაციებისა თუ სინტაქსური დერივაციის დროს როგორ იცვლება მიმართებები მათ შორის, გამოვთვალოთ თეორიულად შესაძლებელი კომბინაციები და მივუთითოთ რეალურად

დადასტურებული და დაუდასტურებელი მოდელების შესახებ.

ზმნური ტიპების ნაწილი არ მოიპოვება შუმერულში: როგორც მიუთითებენ, არ დასტურდება ნასახელარი ზმნები და დასტურდება მხოლოდ ანაკუზატივები (ჰუბერი 1996: 177, 179, 182); მიუთითებენ, რომ არც ანტიპასივი დასტურდება (ჰუბერი 1996: 184; მიხალოვსკი 2004: 39).

ვალენტობა უნდა განვიხილოთ გარდამავლობასთან მიმართებით და ვუჩვენოთ დამოკიდებულება როგორც სემანტიკურ, ასევე სინტაქსურ გარდამავლობას შორის. როგორც მითითებულია I თავში, გარდამავლობას განვსაზღვრავთ, ერთი მხრივ, A + P კონსტრუქციით (გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით), აგენსის ნებითი (განზრახვითი) თუ უნებლიე ქმედებით და პაციენსზე ზემოქმედების ხარისხით (სემანტიკური როლების მიხედვით) და პირდაპირი დამატების არსებობით (სინტაქსური ფუნქციების მიხედვით).

მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ ერთვალენტიან, ორვალენტიან გარდამავალ, სამვალენტიან და ორვალენტიან გარდაუვალ მოდელებს, თეორიულად შესაძლებელ კომბინაციებს სემანტიკური როლების (აგენსი, პაციენსი, თემა, რეციპიენტი, ბენეფაქტივი, ადრესატი, მიზანი, სტიმული, ექსპერიენცერი), გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებისა (S, A, P, T, R) და სინტაქსურის ფუნქციების (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, უბრალო დამატება) მიხედვით.

ამგვარ კომბინაციებს წარმოვადგენთ სინტაქსური ფუნქციების იერარქიასთან მიმართებით:

ცხრილი № 8 სინტაქსურ ფუნქციათა იერარქია

ქვემდებარე → პირდაპირი დამატება → ირიბი დამატება → უბრალო დამატება → პოსესორი → გარემოება

მოცემულ ცხრილში სინტაქსური ფუნქციები დალაგებულია ზოგადტიპოლოგიური სინტაქსური პრივილეგირებულობის გათვალისწინებით (იკლებს მარცხნიდან

მარჯვნივ). ამ იერარქიის მიხედვით, გარემოებისა და უბრალო დამატების გასამიჯნავად ვიყენებთ სინტაქსური დაწინაურების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს: თუ წინადადების მოცემული წევრი დაწინაურდება და ირიბი ან პირდაპირი დამატების ფუნქციას შეასრულებს, მაშინ მას განვიხილავთ როგორც უბრალო დამატებას, წინააღმდეგ შემთხვევაში – როგორც გარემოებას.

მოცემულ თავში უნდა წარმოვაჩინოთ გრმატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების შემდეგი ტიპის კომბინაციები: A + P, A + T + R, S, S + R; და მათი მიმართება როგორც სემანტიკურ როლებთან (აგენსი + პაციენსი, აგენსი + თემა + რეციპიენტი/ბენეფაქტივი, თემა + რეციპიენტი/ბენეფაქტივი და ა. შ.), ასევე სინტაქსურ ფუნქციებთან (ქვემდებარე + პირდაპირი დამატება, ქვემდებარე + ირიბი დამატება, ქვემდებარე + პირდაპირი დამატება + ირიბი დამატება და ა. შ.). აქედან გამომდინარე, გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებს განვიხილავთ როგორც შუალედურ რგოლს სემანტიკასა და სინტაქსს შორის.

5.2 ქვემდებარის სინტაქსური ტესტები

წინა თავში განვიხილეთ სინტაქსურ ფუნქციათა დამდგენი ტესტები (behavioural properties), მაგრამ ძირითადად გამოვარკვიეთ პირდაპირი და ირიბი დამატება. გაირკვა, რომ კოორდინაცია და რელატივიზაცია შუმერულისთვის არაღირებული ტესტებია, რადგანაც წინადადების არცერთ წევრზე არ ვრცელდება შეზღუდვა. ღირებულ ტესტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ აქტანტური დერივაცია (პასივიზაცია, კაუზაცია), რეფლექსივიზაცია და იმპერატიული კონსტრუქცია. ამათგან უფრო მძლავრი მაჩვენებელია აქტანტური დერივაცია: პასივიზაციის შედეგად მიღებულ გარდაუვალ კონსტრუქციაში წარმოდგენილი ერთადერთი აქტანტი აუცილებლად ქვემ-

დებარე იქნება (P → S) – ანუ S პრიმიტივი გამოხატავს ერთვალენტიანი ზმნის ქვემდებარეს, ხოლო კაუზაციის შედეგად მიღებულ კონსტრუქციაში (S → P) წარმოდგენილია საპირისპირო პორცესი.[139] იმპერატიული კონსტრუქცია და რეფლექსივიზაცია შედარებით სუსტი ტესტებია, რადგანაც უფრო მეტად ორიენტირებულია სემანტიკურ როლებზე და ამასთანავე ყველა ტიპის კონსტრუქციას არც მოეპოვება (მაგ., გარდაუვალ ერთვალენტიანებს, სტატიკურ ზმნებსა და ა. შ.; იხ. ქვეთავი 4.3.3).

პასივიზაცია შუმერულში არ არის პროტოტიპური (ისეთი, როგორც მოგვეპოვება ლათინურსა და ინგლისურში), მაგრამ მაინც ასახავს P → S მონაცვლეობის ტიპს, როდესაც გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატება წინაურდება გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ფუნქციამდე, ხოლო გარდამავალი ზმნის ქვემდებარე საერთოდ არ არის აქტანტურ სტრუქტურაში წარმოდგენილი:

(1) პასივიზაცია

a. ამოსავალი ორვალენტიანი კონსტრუქცია

e$_2$	*du*$_3$*-du*$_3$*-a-ni*	*mu-un-gul-gul*
e^2	*du*$_3$*-du=ani=Ø*	*mu-n-gul-gul-Ø*
სახლი შენება~RDP=3SG.H.POSS=ABS		VENT-3SG.H.A-განადგურება-RDP-3SG.P

„მან გაანადგურა მისი კარგად ნაშენები სახლი“.
(The debate between Bird and Fish (c.5.3.5), line c535.107)

b. წარმოქმნილი ერთვალენტიანი კონსტრუქცია

me-na	*ba-gul-e*
mena	*ba-gul-e*
როდის	PASS-განადგურება-3SG.S

„რამდენი ხანია, რაც განადგურებულია?“
(The lament for Eridug (c.2.2.6), line c226.1.C.K.28)

კაუზაცია (როგორც 4.3.5 ქვეთავში ითქვა) ზმნაში არ არის მარკირებული და მხოლოდ აქტანტების მატებით შეიძლება გამოვარკვიოთ აქტანტთა სინტაქსური მონაც-

---

139 ამგვარ სინტაქსურ ალტერნაციებში მინიმუმამდეა დაყვანილი სხვაობა პასივსა და ანტიკაუზატივს შორის. შუმერულში P → S მონაცვლეობას უნდა ეწოდოს პასივიზაცია თუ ანტიკაუზაცია (resp. დეკაუზაცია), ანალიზზე არ აისახება: ამგვარი მონაცვლეობის შედეგი პაციენსი/თემა აუცილებლად გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე იქნება.

ვლეობა: S → P, ანუ ამოსავალი კონსტრუქციის გარდაუვალი ერთვალენტიანი ზმნის ქვემდებარე მიღებულ კონსტრუქციაში (გარდამავალი ორვალენტიანი ზმნა) გარდაიქმნება პირდაპირ დამატებად:

(2) კაუზაცია

a. ამოსავალი ერთვალენტიანი კონსტრუქცია

lu$_2$	*ĝa$_2$-nun-na*	*saĝ-zu-še$_3$*	*i$_3$-gub*
lu	*ĝanun=ak=Ø*	*saĝ=zu=še*	*i-gub-Ø*
კაცი	საწყობი=GEN=ABS	თავი=2SG.POSS=TERM	NEUT-დგომა-3SG.S

„საწყობის კაცი შენ წინაშე დგას“.
(The debate between Winter and Summer (c.5.3.3), line c533.201)

b. წარმოქმნილი ორვალენტიანი კონსტრუქცია

abzu	*eridug^{ki}-ga*	*^{d}en-ki-ka$_3$-še$_3$*	*kug*
abzu	*eridug=a*	*enkik=ak=še*	*kug*
აბზუ	ერიდუ=LOC	ენქი=GEN=TERM	მბრწყინავი
^{d}inana-ke$_4$	*ĝiri$_3$-ni*	*dili*	*mu-un-gub*
inana=ak=e	*ĝiri=ani=Ø*	*dili*	*mu-n-gub-Ø*
ინანა=GEN=ERG	ფეხი=3SG.H.POSS=ABS	მარტო	VENT-3SG.H.A-დგომა-3SG.P

„წმინდა ინანამ მარტომ მიმართა თავისი ნაბიჯები ექის აბუსკენ ერიდუში“. (Inana and Enki (c.1.3.1), line c131.B.7-8)

რეფლექსიური ნაცვალსახელით გამოხატული აქტანტი უნდა იყოს პირდაპირი დამატება, ხოლო აქტანტი, რომლის კორეფერენტულიც არის ეს ნაცვალსახელი, ქვემდებარე:

(3) რეფლექსიური კონსტრუქცია

niĝ$_2$-ur$_2$-4	*^{d}šakkan$_2$-ke$_4$*	*ni$_2$*
niĝurlimmu	*šakkan=ak=e*	*ni=Ø*
ოთხფეხა.არსება	შაქანი=GEN=ERG	3SG.REFL=ABS

nu-mu-ni-ib-te-en-te-en

nu=mu-ni-b-ten-ten-Ø

NEG=VENT-LOC-3SG.N.A-ჩაქრობა~RDP-3SG.P

„შაქანის ოთხფეხა არსებები ვერ მშვიდდებოდნენ“.
(The lament for Sumer and Urim (c.2.2.3), line c223.C.132)

იმპერატიული კონსტრუქციის ის წევრი, რომელიც ბრძანების ადრესატია, წარმოადგენს ქვემდებარეს:

(4) იმპერატიული კონსტრუქცია

ama$_5$-ĝu$_{10}$	*du$_3$-ma-ab*
emi=ĝu=Ø	*du-mu-Ø-a-b*
ქალის.საცხოვრებელი=1SG.POSS=ABS	აღმართვა-VENT-1SG-R-3SG.N.P

„ხელახლა ამიშენე ჩემი ქალთა საცხოვრებელი!“
(The lament for Nibru (c.2.2.4), line c224.M.188)

მოცემული ტესტებით ცალსახად ირკვევა ქვემდებარის სინტაქსური ფუნქცია. შედეგი შეესაბამება ტრადიციულ შუმეროლოგიაში დადგენილ სინტაქსურ ფუნქციებს: ერგატიული ბრუნვით გამოიხატება გარდამავალი ზმნის (როგორც ორ-, ასევე სამვალენტიანი) ქვემდებარე, ხოლო გარდაუვალ ზმნას ნომინატიური ბრუნვით უკავშირდება; ზმნაში კი ფინალური პირის ნიშნებით გამოიხატება პერფექტივში, ხოლო იმპერფექტივში – სუფიქსური პირის ნიშნებით.

5.3 კონსტრუქციათა ტიპები – ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციები

5.3.1 ერთვალენტიანი გარდაუვალი კონსტრუქცია

ერთვალენტიან გარდაუვალ ზმნას უკავშირდება ერთადერთი გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც აგენსი, ასევე თემა ან პაციენსი. როგორც 5.2 ქვეთავში ვაჩვენეთ, გარდაუვალ ზმნასთან დაკავშირებული აბსოლუტივში მდგარი სახელური ფრაზა დატვირთულია ქვემდებარის ფუნქციით.

ერთვალენტიანი კონსტრუქცია შეიძლება იყოს ორი ტიპის: ამოსავალი ერთვალენტიანი და ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის პასივიზაციით მიღებული.

(5)

a. ამოსავალი ერთვალენტიანი (დინამიკური)

^{d}nu-nam-nir	*i_3-ĝen*
nunamnir=Ø	*i-ĝen-Ø*
ნუნამნირი=ABS	NEUT-სვლა-3SG.S

„ნუნამნირი წავიდა“. (Enlil and Ninlil (c.1.2.1), line c121.64)

b. ამოსავალი ერთვალენტიანი (სტატიკური)

lugal-ĝu$_{10}$	*^{d}en-ki*	*i_3-gub-be$_2$-en*
lugal=ĝu	*enki=Ø*	*i-gub-en*
მეფე=1SG.POSS	ენქი=ABS	NEUT-დგომა-1SG.S

„ენქი, ჩემო ბატონო, შენს სამსახურში ვარ“.
(Inana and Enki (c.1.3.1), line c131.H.174)

(5a) წინადადებაში მოცემული მოძრაობის გამომხატველ ზმნას, რომლის ქვემდებარეც სემანტიკურად ხასიათდება როგორც აგენსის, ასევე თემის მახასიათებლებით (მოქმედებს როგორც აგენსი და გადაადგილდება როგორც თემა). ამისგან განსხვავებით, (5b)-ში წარმოდგენილია სტატიკური ზმნა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თემის მახასიათებლებით გამოირჩევა.

პროტოტიპური ერთვალენტიანი კონსტრუქცია სემანტიკური როლისა და მისი სინტაქსურ ფუნქციად და გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივად ასახვის სქემა შეგვიძლია ამგვარად წარმოვადგინოთ (ცხრილ 2-ში გამოხატულია სამივე დონის შესაბამისობა):

ცხრილი № 9 ერთვალენტიანი ამოსავალი კონსტრუქცია (სემანტიკურ-სინტაქსური ასახვა)

<აგენსი/თემა>
|
S
|
ქვემდებარე

მეორე ტიპის ერთვალენტიან კონსტრუქციაში (პასივიზაციით მიღებული) ქვემდებარის შესაბამისი სემანტიკური როლი არის პაციენსი ან თემა. ეს დამოკიდებულია ამოსავალი ორვალენტიანი კოსნტრუქციის პირდაპირი დამატების სემანტიკურ როლზე. გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით პასივიზაცია ამგვარად შეგვიძლია გამოვსახოთ: $(A + P)_{pass} \rightarrow S$.

(6) ალტერნაცია ორვალენტიანი → ერთვალენტიანი

a. ამოსავალი ორვალენტიანი კონსტრუქცია (სემანტიკური როლები – აგენსი, პაციენსი)

gud-dam-e	*[...]šar$_2$-ra*	*^{ĝiš}tukul-a-na*
gudam=e	*šar-a=Ø*	*tukul=ani=a*
გუდამი=ERG	ბევრი.ყოფნა-NMLZ=ABS	იარაღი=3SG.H.POSS=LOC
mu-ni-in-ug$_7$		
mu-ni-n-uš-Ø		
VENT-LOC-3SG.H.A-კვლა.PL-3SG.P		

„გუდამმა ბევრი დახოცა თავისი გურზით“. (Inana and Gudam (c.1.3.4), line c134.C.22-23)

b. დერივაციით მიღებული ერთვალენტიანი კონსტრუქცია (სემანტიკური როლი – პაციენსი)

unug^{ki}-ga	*lu$_2$*	*ba-uš$_2$*
unug=a	*lu=Ø*	*ba-uš-Ø*
ურუქი=LOC	კაცი=ABS	PASS-კვლა-3SG.S

„ურუქში ხალხი იხოცება“. (Gilgameš and Ḫuwawa (Version B) (c.1.8.1.5.1), line c18151.5)

c. ამოსავალი ორვალენტიანი კონსტრუქცია (სემანტიკური როლები – აგენსი, თემა)

dumu	*^{d}en-lil$_2$-la$_2$*	*me*
dumu	*Enlil=ak=Ø*	*me=Ø*
ვაჟი	ენლილი=GEN=ABS	რაობა=ABS
ki-gin$_7$	*mu-e-il$_2$*	
ki=gin	*mu-e-il-Ø*	
მიწა=EQU	VENT-2SG.A-აწევა-3SG.P	

„ენლილის შვილო, შენ აიღე მიწის მსგავსი ღვთაებრივი ენერგია“. (Ninurta's return to Nibru: a šir-gida to Ninurta (c.1.6.1), line c161.10)

d. დერივაციით მიღებული ერთვალენტიანი კონსტრუქცია (სემანტიკური როლი – თემა)

kur-re	*ba-il*$_2$
kur=e	*ba-il-Ø*
მთა=DIR	PASS-აწევა-3SG.S


„მთაზე ავიდა“. (A tigi to Inana (Inana E) (c.4.07.5), line c4075.A.16)

(6a)-ში ნაჩვენებია პროტოტიპური ორვალენტიანი ზმნა მასთან დაკავშირებული აქტანტებით, რომლის პასივიზაციით მიიღება მეორე ტიპის ერთვალენტიანი კონსტრუქცია. ამოსავალ ზმნაში ქვემდებარე (აგენსი) გამოხატულია ერგატიული ბრუნვით, ხოლო პირდაპირი დამატება (პაციენსი) – აბსოლუტიური ბრუნვით. (6b)-ში პასივიზაციის შედეგად მიღებულ კონსტრუქციაში არ არის წარმოდგენილი აგენსი უბრალო დამატების (resp. არაცენტრალური/პერიფერიული აქტანტის) სახით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შუმერული პასივი არაპროტოტიპურია (უახლოვდება დეკაუზატივს/ანტიკაუზატივს) და სემანტიკურადაც შესაძლებელია ვივარაუდოთ ერთვალენტიანობა.

მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციაა (6c)-ში იმ განსხვავებით, რომ პაციენსის ნაცვლად ქვემდებარე უკავშირდება თემის სემანტიკურ როლს.

ზემოწარმოდგენილ მაგალითებში სემანტიკურ-სინტაქსური ასახვა კონსტრუქციათა ალტერნაციის გათვალისწინებით ამგვარად წარმოგვიდგება ცხრილ 3-ში:

ცხრილი № 10 ალტერნაცია ორვალენტიანი → ერთვალენტიანი (პასივიზაცია)



მოცემულ სქემაში ნაჩვენებია შესაბამისობა (resp. ასახვა) სემანტიკურ როლებსა, ერთი მხრივ, და გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებსა და სინტაქსურ ფუნქციებს შორის, მეორე მხრივ; მათი სინტაქსური გარდაქმნა (resp. აქტანტური დერივაცია) უჩვენებს, რომ ხდება აგენსის ელიმინაცია სინტაქსურ და გრამატიკულ-სემანტიკურ დონეზე.

როგორც მიუთითებენ (იაგერსმა 2010: 302), შუმერულში არ დასტურდება სემანტიკურად ნულვალენტიანი ზმნები (resp. მეტეოროლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები). მათ ნაცვლად წარმოდგენილია სემანტიკური როლი, რომელსაც აქვს როგორც აგენსის, ისე პაციენსის მახასიათებლები (მეტეოროლოგიური მოვლენების გამომხატველ ზმნებში):

(7) ერთვალენტიანი მეტეოროლოგიური ზმნა

a. *im*[140] *ba-da-šeĝ$_3$*
im=Ø *ba-da-šeg-Ø*
წვიმა=ABS MID-COM-წვიმა-3SG.S
„როცა წვიმამ იწვიმა". (The šumunda grass (c.1.7.7), line c177.38)

b. *iri-ta* *gi-bar-bar-re* *im-gin$_7$* *im-šeĝ$_3$*
iri=ta *gibarbara=Ø* *im=gin* *i-mu-šeĝ-Ø*
ქალაქი=ABL ხელშუბი=ABS წვიმა=EQU NEUT-VENT-წვიმა-3SG.S
„ქალაქიდან წვიმასავით წვიმდა ხელშუბები".
(Lugalbanda and the Anzud bird (c.1.8.2.2), line c1822.256)

შუმერულში ასევე არ დასტურდება ანტიპასიური დერივაცია, ანუ არ დასტურდება დერივაცია აგენს$_{nerg}$ + პაციენ$_{bnabs}$ → აგენს$_{nabs}$ (ჰუბერი 1996: 184; მიხალოვსკი 2004: 39; იაგერსმა 2010: 303).

განხილული მაგალითებიდან ჩანს რომ ერთვალენტიანი კონსტრუქცია შეიძლება იყოს ამოსავალი ან აქტანტური დერივაციით (პასივიზაციით) მიღებული. ქვემდებარეს შეიძლება უკავშირდებოდეს ის სემანტიკური

140 ა. იაგერსმა თარგმნის როგორც „ქარი" (იაგერსმა 2010: 302).

როლი, რომელსაც აქვს თემის ან აგენსისა და თემის მახასიათებლები ერთდროულად ან პაციენსი. ორივე ტიპის ერთვალენტიანი კონსტრუქცია არის ერთვალენტიანი სემანტიკურადაც (არ დასტურდება კონსტრუქცია აგენსური დამატებით) და სინტაქსურადაც.

5.3.2 ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქცია

პროტოტიპური ორვალენტიანი კონსტრუქცია გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით გამოიხატება როგორც A + P, რაც მიუთითებს ამ კონსტრუქციის გარდამავლობაზე: აგენსის სემანტიკური როლი აკონტროლებს ზმნით გამოხატული მოქმედების სიტუაციას (ჩანს მისი განზრახვა და ნება), პაციენსზე კი ზემოქმედებენ. სინტაქსურად A შეესაბამება ქვემდებარეს, ხოლო P – პირდაპირ დამატებას. მორფოლოგიურად ქვემდებარე გამოიხატება ერგატიული ბრუნვით, ხოლო პირდაპირი დამატება – აბსოლუტიურით (სახელური ფრაზის მარკირების (flagging) მიხედვით, შუმერული ყოველთვის მორფოლოგიური ერგატიულობით ხასიათდება). ორივე მათგანი მარკირებულია ზმნაში (პირისა და კლასის ნიშნების (indexing) მიხედვით, ერგატიულობა ახასიათებს სრული ასპექტის ფორმებს; დაწვრილებით იხ. ქვეთავი 2.5):

(8) პროტოტიპური ორვალენტიანი კონსტრუქცია (აგენსი + პაციენსი)

a.	*lu*$_2$	*igi-na-ke*$_4$	*niĝ*$_2$
	lu	*igi=ani=ak=e*	*niĝ=Ø*
	პიროვნება	თვალი=3SG.H.POSS=GEN=ERG	ნივთი=ABS

mu-un-ra-ra

mu-n-ra-ra-Ø

VENT-3SG.H.A-რტყმა-3SG.P

„მის წინ მდგომმა მას სატყორცნი ნივთი ესროლა“.
(Dumuzid's dream (c.1.4.3), line c143.160)

პროტოტიპური ორვალენტიანი კონსტრუქცია (აგენსი + პაციენსი)


b. *dinana-ke$_4$* *ĝiri$_2$* *im-ma-da-an-gu$_4$-ud*
inanak=e *ĝiri=Ø* *ima-da-n-gud-Ø*
ინანა=ERG მორიელი=ABS VENT.MID-COM-3SG.H.A-ხტომა-3SG.P
kun-bi *im-ma-da-kud*
kun=bi=Ø *ima-da-n-kud-Ø*
კუდი=3SG.N.POSS=ABS VENT.MID-COM-3SG.H.A-ჭრა-3SG.P
„ინანამ მორიელს ფეხი დააბიჯა და კუდი მოაჭრა“.
(Inana and An (c.1.3.5), line c135.D.30)

(8) მაგალითში ნაჩვენებია მოქმედების გამომხატველი ზმნები, რომლებიც აგენსის ნებით და პაციენსზე გადატანილ (და განცდილ) მოქმედებას გამოხატავენ. ამათგან განსხვავებით, მოიპოვება ზმნები, რომლებიც არ წარმოადგენენ სემანტიკურად ორვალენტიან პროტოტიპურ ზმნებს, მაგრამ მორფოლოგიურად (მარკირება როგორც სახელურ ფრაზაში, ასევე ზმნაში) იმავენაირად გამოიხატება, როგორც ზემოგანხილული ზმნები, ამიტომ გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით უნდა ჩაიწეროს როგორც A + P, მაგრამ ამ შემთხვევაში P არა პაციენსს, არამედ თემის სემანტიკურ როლს გამოხატავს („იღებს“, „ატარებს“, „იპყრობს“ და ა. შ.):

(9) ორვალენტიანი კონსტრუქცია (აგენსი + თემა)
a. *geme$_2$* *kug-du$_8$-a-ni*
geme=e *kugdu=ani=Ø*
მონა.ქალი=ERG გამოსასყიდი.თანხა=3SG.H.POSS=ABS
mu-un-de$_6$
mu-n-de-Ø
VENT-3SG.H.A-ტარება-3SG.P
„მონა ქალმა თავისი გამოსასყიდი თანხა წამოიღო“.
(Proverbs: collection 3 (c.6.1.03), line c6103.A.3.38.85)
b. *ga-ša-an-an-na-ke$_4$* *uga^{mušen}* *ba-e-dab$_5$*
inana=e *uga=Ø* *ba-e-n-dab-Ø*
ინანა=ERG ყორანი=ABS MID-LOC-3SG.H.A-დაჭერა-3SG.P
„ინანამ იქ დაიჭირა ყორანი“. (The šumunda grass (c.1.7.7), line c177.32)

სემანტიკური როლების, სინტაქსური ფუნქციებისა და გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების ურთიერთმიმართება (resp. ასახვა) სქემატურად ასე შეიძლება ჩაიწეროს:

ცხრილი № 11 პროტოტიპური ორვალენტიანი კონსტრუქცია (სემანტიკურ-სინტაქსური ასახვა)



ამათ გარდა არსებობს აქტანტური დერივაციით (კაუზაციით) მიღებული ორვალენტიანი ზმნის ტიპიც; ამოსავალ ერთვალენტიანი ზმნით გამოხატულ სიტუაციაში შემოდის ახალი პარტიციპანტი – კაუზატორი, რომელიც მიღებულ ორვალენტიან კონსტრუქციაში გამოხატულია ქვემდებარით, ხოლო ამოსავალი ზმნის ქვემდებარე გამოიხატება პირდაპირი დამატებით. გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით მონაცვლეობა ასე გამოიხატება: S + კაუზატორი → A + P.

(10)

a. ამოსავალი ერთვალენტიანი კონსტრუქცია

saĝ-kug-ĝal$_2$	*e$_2$-gal-a-na*	*i$_3$-nu$_2$*
saĝkuĝal=Ø	*egal=ani=a*	*i-nu-Ø*
ამაყი=ERG	სასახლე=3SG.H.POSS=LOC	NEUT-დაწოლა-3SG.S

„ამაყი დაწვა თავის სასახლეში".
(The death of Ur-Namma (Ur-Namma A) (c.2.4.1.1), line c2411.1.42)

b. წარმოქმნილი ორვალენტიანი კონსტრუქცია

^{d}en-lil$_2$-le	*nam*	*lu$_2$*	*abul-la-ra*
Enlil=e	*nam*	*lu*	*abula=ra*[141]


141 დატივის ნაცვლად უნდა იყოს გენიტივი.

ენლილი=ERG	ბედი	პიროვნება	კარიბჭე=DAT
da-ga-na	*ba-nu$_2$*		
dagan=a	*ba-n-nu-Ø*		
ოთახი=LOC	3SG.H.A-დაწოლა-3SG.P		

„ენლილმა, როგორც კარიბჭის მცველმა, დააწვინა საძინებელ ოთახში“. (Enlil and Ninlil (c.1.2.1), line c121.87)

სემანტიკური როლების, გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებისა და სინტაქსური ფუნქციების შესაბამისობა (resp. ასახვა), რომელიც სინტაქსური ალტერნაციის ამოსავალ და მიღებულ კონსტრუქციებში დასტურდება, შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს სქემატურად:

ცხრილი № 12 ალტერნაცია ერთვალენტიანი → ორვალენტიანი (კაუზაცია)



ორვალენტიანი კონსტრუქცია გამოიხატება როგორც A + P (და ეს უკვე უჩვენებს, რომ მოცემული ზმნა გარდამავალია როგორც სემანტიკურად, ასევე სინტაქსურად); სემანტიკურად უკავშირდება აგენსისა და პაციენსის (ან თემა) სემანტიკურ როლებს (სემანტიკურადაც ორვალენტიანია), ხოლო სინტაქსურად – ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას. წარმოქმნილი ორვალენტიანი კონსტრუქცია, ფაქტობრივად, არ განსხვავდება პროტოტიპური შემთხვევისაგან, რადგანაც კაუზატორი ზუსტად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც აგენსი ამავე კონსტრუქციაში.

5.3.3 სამვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქცია

შუმერულში დასტურდება რამდენიმე ტიპის სამვალენტიანი კონსტრუქცია. პროტოტიპური სამვალენტიანი ზმნა (resp. ორმაგად გარდამავალი) ხასიათდება A + T + R გრამატიკულ-სემანტიკური სტრუქტურით, რომელთაც შეესაბამება აგენსის, თემისა და რეციპიენტის სემანტიკური როლები. სინტაქსურად A გამოიხატება როგორც ქვემდებარე (სახელური ფრაზის მარკირება (flagging) – ერგატიული ბრუნვა, ზმნური ფრაზის მარკირება (indexing) – ფინალური პრეფიქსები პერფექტიულ გარდამავალ ზმნაში), T – როგორც პირდაპირი დამატება (აბსოლუტიურ ბრუნვაში), ხოლო R – როგორც ირიბი დამატება (მიცემით ბრუნვაში). პროტოტიპური სამვალენტიანი ზმნები ხასიათდებიან ფიზიკური გადატანისა თუ გადაადგილების (physical transfer) შინაარსით. სამვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციის სტრუქტურა გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით ამგვარად ჩაიწერება: A + T + R.

(11) სამვალენტიანი კონსტრუქცია (აგენსი + თემა + რეციპიენტი)

a.	*šul-gi-ra*	*^{d}utu-u$_3$*	*nam-lugal*	*kalam-ma*
	šulgi=ra	*utu=e*	*namlugal*	*kalam=ak=Ø*
	შულგი=DAT	უთუ=ERG	მეფობა	ქვეყანა=GEN=ABS

mu-na-an-šum$_2$
mu-n-a-n-šum-Ø
VENT-3SG.H-R-3SG.H.A-მიცემა-3SG.P

„უთუმ შულგის ქვეყნის მეფობა უბოძა“.
(An adab (?) to Utu for Šulgi (Šulgi Q) (c.2.4.2.17), line c24217.A.11)

b.	*nita-e*	*me-šeš-šeš-e*	*nibru^{ki}-ta*	*še-a*
	nita=e	*mešeššeše=ra*	*nibru=ta*	*še=a*
	ნითა=ERG	მეშეშეშე=DAT	ნიფური=ABL	ქერი=LOC

mu-na-ni-sa$_{10}$
mu-n-a-ni-n-sam-Ø
VENT-3SG.H-R-LOC-3SG.H.A-ყიდვა-3SG.P

„მეშეშეშესთვის ნითამ გადაცვალა ეს [ვერცხლი] ნიფურის ქერში“. (იაგერსმა 2010: 394)

პროტოტიპთან ახლოს დგას მეტყველების გამომხატველი ზმნები, რომელთა R პრიმიტივის შესატყვისი სემანტიკური როლი არის ადრესატი და არა რეციპიენტი.

(12) სამვალენტიანი კონსტრუქცია (აგენსი + თემა + ადრესატი)

a.	^{d}*en-ki-ke$_4$*	*e$_2$-bi-še$_3$*	*e$_2$*	*nu-me-a*
	enkik=e	*e=bi=še*	*e=Ø*	*nu=me-a=Ø*
	ენქი=ERG	სახლი=3SG.N.DEM=TERM	სახლი=ABS	NEG=ყოფნა-NMLZ=ABS

ba-an-na-dug$_4$

ba-n-a-n-dug-Ø

MID-3SG.H-R-3SG.H.A-თქმა-3SG.P

„ენქი მას დაელაპარაკა ტაძრის შესახებ, ტაძარი, რომელიც არ არსებობდა“. (Amar-Suena and Enki's temple (Amar-Suena A) (c.2.4.3.1), line c2431.A.22)

b.	^{d}*nin-maḫ-e*	^{d}*en-ki-ra*	*gu$_3$*
	ninmaḫ=e	*enki=ra*	*gu=Ø*
	ნინმახი=ERG	ენქი=DAT	ხმა=ABS

mu-na-de$_2$-e

mu-n-a-b-de-e

VENT-3SG.H.-R-3SG.N.P-ღვრა-3SG.H.A.IPFV

„ნინმახმა უთხრა ენქის“.
(Enki and Ninmaḫ (c.1.1.2), line c112.53)

პროტოტიპური სამვალენტიანი კონსტრუქციის სემანტიკური როლები გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებსა და სინტაქსურ ფუნქციებში ამგვარად აისახება:

ცხრილი № 13 პროტოტიპური სამვალენტიანი კონსტრუქცია (სემანტიკურ-სინტაქსური ასახვა)

<აგენსი,	თემა,	რეციპიენტი>
A	T	R
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება

აქტანტური დერივაციით მიიღება ბენეფაქტიური კონსტრუქცია. ორვალენტიანი ზმნით გადმოცემულ სიტუაციას ემატება ბენეფაქტივის სემანტიკური როლი: ზმნა ხდება სამვალენტიანი როგორც სემანტიკურად (აგენსი, პაციენსი/თემა, ბენეფაქტივი), ასევე სინტაქსურად (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება). გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით ამგვარად ჩაიწერება: (A + P) + R → A + T + R.

(13)

a. ამოსავალი ორვალენტიანი კონსტრუქცია

ensi$_2$-ke$_4$	*e$_2$*	*mu-du$_3$*
*ensi*ᵏ*=e*	*e=Ø*	*mu-n-du-Ø*

ქალაქის.მმართველი=ERG სახლი=ABS VENT-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„ქალაქის მმართველმა სახლი ააშენა“. (The building of Ninĝirsu's temple (Gudea, cylinders A and B) (c.2.1.7), line c217.602)

b. ბენეფაქტიური კონსტრუქცია

^{d}nin-ĝir$_2$-su-ra	*ĝir$_2$-su^{ki}*	*mu-na-du$_3$*
ninĝirsuᵏ=ra	*ĝirsu=Ø*	*mu-n-a-n-du-Ø*

ნინგირსუ=DAT გირსუ=ABS VENT-3SG.H-R-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P

„მან ნინგირსუს აუშენა გირსუ“. (იაგერსმა 2010: 163)

ცხრილი № 14 ალტერნაცია ორვალენტიანი → სამვალენტიანი (ბენეფაქტივი)

<აგენსი,	პაციენსი>	→	<აგენსი,	პაციენსი,	ბენეფაქტივი>
A	P		A	T	R
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება		ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება

სემანტიკურად სამვალენტიან კონსტრუქციად განიხილება ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციისაგან მიღებული კაუზატივი. ამოსავალ A + P კონსტრუქციას

ემატება კაუზატორი, რომელიც იკავებს ქვემდებარის ფუნქციას, პაციენსი რჩება პირდაპირ დამატებად, ხოლო ამოსავალი კონსტრუქციის აგენსი (resp. ქვემდებარე) წარმოქმნილი კონსტრუქციაში იკავებს უბრალო დამატების ადგილს. აქედან გამომდინარე, სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობა არ ემთხვევა ერთმანეთს: სემანტიკურად სამვალენტიანი ზმნა (კაუზატორი, პაციენსი, კაუზირებული) სინტაქსურად გამოიხატება ორვალენტიანად (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, უბრალო დამატება). კაუზატიური კონსტრუქცია შეიძლება ამგვარად ჩაიწეროს: (A + P) + კაუზატორი → კაუზატორი + კაუზირებული + OBL.

(14)

a. ამოსავალი ორვალენტიანი ზმნა

an	*^{d}en-lil$_2$*	*^{d}en-ki*	*^{d}nin-ḫur-saĝ-ĝa$_2$-ke$_4$*
an	*Enlil*	*enki*	*ninḫursaĝak=e*
ანი	ენლილი	ენქი	ნიხურსაგი=ERG

dug$_3$-ga-bi	*mu-un-gu$_7$-uš*
dug-a=bi	*mu-n-gu-eš*
კარგი.ყოფნა=NMLZ=3SG.N.POSS	VENT-3SG.H.A-ჭამა-3PL.A

„ანმა, ენლილმა, ენქიმ და ნინხურსაგმა საჭმლის საუკეთესო ნაწილი შეჭამეს“.
(Lugalbanda in the mountain cave (c.1.8.2.1), line c1821.A.385)


b. წარმოქმნილი სამვალენტიანი (სემანტიკურად) ზმნა (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, უბრალო დამატება)

amar-e	*^{mu}suš$_2$*	*bi$_2$-in-gu$_7$*
amar=e	*su=ø*	*b-i-n-gu-ø*
ნაშიერი=DIR	ცხიმი=ABS	3SG.N-OBL-3SG.H.A-ჭამა-3SG.P

„ნაშიერს ცხიმიანი ხორცი აჭამა“.
(Lugalbanda and the Anzud bird (c.1.8.2.2), line c1822.55)

კაუზატიური ალტერნაცია სამივე დონის გათვალისწინებით სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება ჩაიწეროს:

ცხრილი № 15 კაუზატიური ალტერნაცია



სამვალენტიანად უნდა განვიხილოთ პოსესორის დაწინაურება. ამოსავალ ორვალენტიან კონსტრუქციაში წარმოდგენილია პოსესორი (რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის ცენტრალური აქტანტი), მაგრამ მისგან წარმოქმნილ კონსტრუქციაში პოსესორის სემანტიკური როლი სინტაქსურად წინაურდება (possessor raising) და მარკირდება დატივით და ასრულებს ირიბი დამატების ფუნქციას (ანუ მიღებული ზმნა სამვალენტიანია):

(15)

a. პოსესორიანი კონსტრუქცია (სინტაქსურად ორვალენტიანი)

^{d}nin-ḫur-saĝ-ra	*du$_{10}$*	*zid-da-na*
ninḫursaĝ=ra	*dug*	*zid-a=ani=a*
ნინხურსაგი=DAT	მუხლი	მარჯვენა-NMLZ=3SG.H.POSS=LOC

mu-ni-tuš

mu-n-i-n-tuš-Ø

VENT-3SG.H-OBL-3SG.H.A-ჯდომა-3SG.P

„მან (=ინანამ) იგი (=ეანათუმი) ნინხურსაგის მარჯვენა მუხლზე დასვა“. (ზოიომი 1999: 232)

b. პოსესორიანი კონსტრუქცია (სამვალენტიანი)

^{d}utu	*niĝ$_2$-si-sa$_2$*	*inim*	*gen$_6$-na*
utu=e	*niĝsisa*	*inim*	*gin-a=Ø*
უთუ=ERG	ქალაქი	სიტყვა	მტკიცე.ყოფნა-NMLZ=ABS
ka-ĝa$_2$	*ḫa-ma-ni-in-ĝar*		
kag=ĝu=a	*ḫa-mu-Ø-a-ni-n-ĝar-Ø*		

პირი=1SG.POSS=LOC ASS-VENT-1SG-R-LOC-3SG.H.A-დადება-3SG.P

„უთუმ სამართლიანობა და სანდო სიტყვები პირში ჩამიდო“. (A praise poem of Išme-Dagan (Išme-Dagan A + V) (c.2.5.4.01), line c25401.A.90; ზოიომი 2017: 229)

გ. ზოიომი (15a)-ისთვის ამგვარ კონსტრუქციულ ალტერნაციას ვარაუდობს (ზოიომი 1999: 233):

ცხრილი № 16 პოესესორკონსტურქციიანი ალტერნაცია (15a)-სთვის

*du_{10}	*zid-a*	*^{d}nin-ḫur-saĝ-ka-ka*	→
dug	*zid=a*	*ninḫursaĝ=ak=ak=a*	
მუხლი	მარჯვენა=NMLZ	ნინხურსაგი=GEN=GEN=LOC	
^{d}nin-ḫur-saĝ-ra	*du_{10}*	*zid-da-na*	
ninḫursaĝ=ra	*dug*	*zid-a=ani=a*	
ნინხურსაგი=DAT	მუხლი	მარჯვენა-NMLZ=3SG.H.POSS=LOC	

გენეტივში მდგარი ნინხურსაგი (resp. პოსესორი) სინტაქსური დაწინაურების შემდეგ გამოიხატება დატივით და ზმნაში მარკირდება {n-} + {i-} მორფთა მიმდევრობით (პირის/კლასის ნიშანი + უბრალო დამატების მარკერი). სინტაქსურ ფუნქციათა ზემოთ წარმოდგენილი იერარქიის თანახმად, გენიტივიანი პოსესორი ერთი საფეხურით წინაურდება და იკავებს უბრალო დამატების ფუნქციას.

(15b)-ში დაწინაურებული აქტანტი პირდაპირი დამატების მაჩვენებლით არის ზმნაში გამოხატული (<ma-> → {mu-} + {Ø-} + {a-}) (15a)-სგან განსხვავებით (<ni-> → {n-} + {i-}). გ. ზოიომის აზრით, დატივით გამოხატვა დამოკიდებულია პარტიციპანტზე ზმნური მოქმედების ზეგავლენით.

ცხრილი № 17 პოსესიური დაწინაურება

<აგენსი,	თემა,	პოსესორი,	ლოკატივი>	→
A	P	?	?	
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	განსაზღვრება	ადგილის გარემოება	

<აგენსი,	თემა,	პოსესორი/ რეციპიენტი	ლოკატივი>
A	P	R	?
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება	ადგილის გარემოება

გ. ზოიომი გამოყოფს ასევე 4-პარტიციპანტიან კონსტრუქციას. პარტიციპანტთა რაოდენობა არ ემთხვევა აქტანტების რაოდენობას და, აქედან გამომდინარე, ვერ დაემთხვევა ვალენტობას. გ. ზოიომის მოყვანილ მაგალითებში ნაჩვენებია აგენსი, პაციენსი, ლოკატივი და რთული ზმნის სახელადი ნაწილი. ლოკატივი უნდა მივაკუთვნოთ გარემოებას (resp. ადიუნქტს), რადგან არც აქტანტური დერივაციით წინაურდება (ქცევითი/სინტაქსური ტესტი) და არც პირის/კლასის ნიშანი უძღვის წინ, განსხვავებით სხვა სივრცობრივი პრეფიქსებისგან (რომლებიც ინიციალური პირის/კლასის ნიშანთან კომბინირებდნენ).

(16)

a. ოთხპარტიციპანტიანი სამვალენტიანი ზმნა

e_2	*ku_3-ga*	*i-ni-in-du_3*		
e=Ø	*kug=a*	*i-ni-n-du-Ø*		
სახლი=ABS	ლითონი=LOC	NEUT-LOC-3SG.H.A-აღმართვა-3SG.P		
$^{na}{}_4$za-gin_3-a	*i-ni-in-gun_3*		*gal-le-eš*	
zagin-a	*i-ni-n-gun-Ø*		*gal=eš*	
ლაზურიტი=LOC	NEUT-LOC-3SG.H.A-ღებვა-3SG.P		დიდი=ADV	
ku_3-sig_{17}-ga	*šu-tag*		*ba-ni-du_{11}*	
kusig=a	*šutag=Ø*		*b-a-ni-n-dug-Ø*	
ოქრო=LOC	გადასაფარებელი=ABS	3SG.N-R-LOC-3SG.H.A-კეთება-3SG.P		

„მან (=ენქი) ააშენა ტაძარი ძვირფასი ლითონით. ლაზურიტით შეაფერადა. უხვად ოქროთი დაფარა“. (ზოიომი 1999: 238)

4-პარტიციპანტიანი სიტუაცია, სამივე დონის გათვალისწინებით, სქემატურად შემდეგი სახით ჩაიწერება:

ცხრილი № 18 ოთხპარციპანტიანი ზმნა

<აგენსი,	თემა,	პაციენსი,	ლოკატივი>
A	P	R	?
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება	ადგილის გარემოება

რთული ზმნები, რომელთა სახელური ნაწილი აბსოლუტივით გამოიხატება, უნდა მივიჩნიოთ სემანტიკურადაც და სინტაქსურადაც სამვალენტიან ზმნებად, განსხვავებით იმ რთული ზმნებისაგან, რომელთან სახელური ნაწილი მარკირდება ტერმინატივით ან კომიტატივით. ტერმინატივიანი და კომიტატივიანი ზმნები უნდა მივიჩნიოთ სემანტიკურად სამ-, ხოლო სინტაქსურად – ორვალენტიანად, რადგან ტერმინატივსა და კომიტატივში მდგარი პარტიციპანტები სემანტიკურად ობლიგატორულია: განისაზღვრებიან ზმნის სემანტიკით, ხოლო სინტაქსურად უბრალო დამატებებია, რადგანაც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ (თავი IV), წარმოადგენენ პერიფერიულ აქტანტებს აქტანტური დერივაციის თვალსაზრისით.

(17)

a. რთული/ფრაზული ზმნა აბსოლუტივით

^{d}nin-lil$_2$-le	*ki*	*mu-ra-an-aĝ$_2$*
enlil=e	*ki=Ø*	*mu-r-a-n-aĝ-Ø*
ენლილი=ERG	ადგილი=ABS	VENT-2SG-R-3SG.H.A-ზომვა-3SG.P

„ნინლილს უყვარდი (=მწყემსი შულგი)“.
(A praise poem of Šulgi (Šulgi D) (c.2.4.2.04), line c24204.46)

b. რთული ზმნა კომიტატივით

^{ĝiš}tukul-e	*ki*	*aĝ$_2$-ra*	*gu$_2$-da*
tukul=e	*ki*	*aĝ=ra*[142]	*gu=da*
იარაღი=ERG	ადგილი	ზომვა=DAT	კისერი=COM

mu-ni-in-la$_2$
mu-n-i-n-la-Ø
VENT-3SG.H-OBL-3SG.H.A-ჩამოკიდება-3SG.P

„იარაღი შემოერტყა მას, ვინც უყვარდა“.
(Ninurta's exploits: a šir-sud (?) to Ninurta (c.1.6.2), line c162.120)

c. რთული ზმნა ადვერბიატივით

nam-lugal *niĝ$_2$* *kal-kal-la-am$_3$*

142 ნომინალიზატორის {-a} მორფემის გარეშეა.

namlugal=Ø	*nig*	*kal-kal-a=Ø=am*
მეფობა=ABS	ნივთი	იშვიათი-NMLZ=ABS=COP.3SG.S
^{d}li-pi$_2$-it-eš$_4$-tar$_2$	*dumu*	*^{d}en-lil$_2$-la$_2$-ra*
lipiteštar	*dumu*	*enlil=ak=ra*
ლიფითიშთარი	შვილი	ენლილი=GEN=DAT
an	*gal-e*	*saĝ-e-eš*
an	*gal=e*	*saĝ=eš*
ანი	დიდი=ERG	თავი=ADV

mu-ni-in-rig,

mu-n-i-n-rig-Ø

VENT-3SG.H-OBL-3SG.H.A-ბოძება-3SG.P

„ანმა უბოძა ლიფითიშთარს, ენლილის შვილს, მეფობა, რომელიც ძალიან ძვირფასია“. (An adab to An for Lipit-Eštar (Lipit-Eštar C) (c.2.5.5.3), line c2553.E.26-28)

d. რთული ზმნა ტერმინატივით

^{lu}$_2$sipad-de$_3$	*i$_3$*	*šu-še$_3$*
sipad=e	*i=Ø*	*šu=še*
მწყემსი=ERG	ცხიმი=ABS	ხელი=TERM

mu-un-la$_2$

mu-n-la-Ø

VENT-3SG.H.A-ჩამოკიდება-3SG.P

„მწყემსს კარაქი ხელით მოჰქონდა“. (A song of Inana and Dumuzid (Dumuzid-Inana C1) (c.4.08.29), line c40829.A.25)

ზმნები ირიბბრუნვიანი კონსტრუქციით სამივე დონის გათვალისწინებით ამგვარად შეიძლება ჩაიწეროს:

ცხრილი № 19 ირიბბრუნვიანი კონსტრუქცია



როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, სამვალენტიან ზმნებში გამოიყოფა ყველაზე მეტი ქვეტიპი სხვა ტიპებთან (ერთვალენტიანი, ორვალენტიანი) შედარებით: დასტურდება როგორც პროტოტიპური გარდამავალი (აგენსი, თემა, რეციპიენტი), მასთან სტრუქტურულად ახლოს მდგომი ადრესატიანი კონსტრუქცია (აგენსი, თემა, ადრესატი) და აქტანტური დერივაციით მიღებული ბენეფაქტივიანი კონსტრუქცია (აგენსი, თემა/პაციენსი, ბენეფაქტივი), ასევე პოსესორის დაწინაურებით მიღებული ბენეფაქტივი და რთული ზმნები (ტერმინატივიანი და კომიტატივიანი კონსტრუქციების შემთხვევაში სინტაქსურ და სემანტიკურ ვალენტობათა შეუსაბამობა). სხვა ენებისგან განსხვავებით, არ დასტურდება წმინდა ტიპის სტიმულიან-ექსპერიენცერიანი კონსტრუქციები (მათ ნაცვლად გამოიყენება სამვალენტიანი რთული ზმნები).

5.3.4 ორვალენტიანი გარდაუვალი კონსტრუქცია

ჩვენს ხელთ არსებულ მაგალითებში შუმერულს არ მოეპოვება ამოსავალი ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები. tuku „ქონა“ და zu „ცოდნა“ ზმნებიც კი გარდამავალია სინტაქსური თვალსაზრით: გამოხატავენ A და P პრიმიტივებს მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკურად აგენსისა და პაციენსის ნაცვლად წარმოდგენილია თემისა და პოსესორის, სტიმულისა და ექსპერიენცერის სემანტიკური როლები, ანუ მოცემული ზმნები სემანტიკურად გარდაუვალია, ხოლო სინტაქსურად – გარდამავალი.

(18) ორვალენტიანი გარდამავალი „ქონა“ ზმნა

kišib	*nu-ub-tuku*
kišib=Ø	*nu=b-tuku-Ø*
ბეჭედი=ABS	NEG=3SG.N.A-ქონა-3SG.P

„მას (=არაგონიერი) არ ჰქონდა ბეჭედდასმული საბუთი“. (იაგერსმა 2010: 330)

(18)-ში პოსესორს გამოხატავს {b-} გარდამავალი ქვემდებარის (resp. A) პრეფიქსული მორფემა, ხოლო თემას/პაციენსს (kišib „ბეჭედი“) – ზმნაში {-Ø} პირდაპირი დამატების (resp. P) სუფიქსური მორფემა და სახელურ ფრაზაში აბსოლუტიური ბრუნვა.

სინტაქსურად ორვალენტიანი გარდაუვალი კონსტრუქციები მიიღება აქტანტური დერივაციის გზით: ერთი მხრივ, ამოსავალი ერთვალენტიანი ზმნით გადმოცემულ სიტუაციაში შემოდის ახალი პარტიციპანტი, გამოხატული R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივით და ირიბი დამატებით, ხოლო, მეორე მხრივ, სამვალენტიანი ზმნის პასივიზაციით რჩება ორი ცენტრალური (core) აქტანტი – ქვემდებარე და ირიბი დამატება.

(19)

a. ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნა – აგენსი/თემა + მიზანი (გონიერი)

^{d}iškur-ra	*mu-na-an-ĝen*
iškur=ra	*mu-n-a-ĝen-Ø*
იშქური=DAT	VENT-3SG.H-R-სვლა-3SG.S

„იშქურთან წავიდა“. (The victory of Utu-ḫegal (c.2.1.6), line c216.42)


b. ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნა – აგენსი/თემა + მიზანი (არაგონიერი)

e_2-e	*im-ma-ĝen*
e=e	*ima-ĝen-Ø*
სახლი=DIR	VENT.3SG.N.R-სვლა-3SG.S

„ტაძარში მოვიდა“. (იაგერსმა 2010: 400, 412, 497)

ერთვალენტიანი კონსტრუქციიდან აქტანტური დერივაციით წარმოქმნილი გარდაუვალი ორვალენტიანი კონსტრუქცია სამივე დონის გათვალისწინებით სქემატურად ასე ჩაიწერება:

ცხრილი № 20 ერთვალენტიანი → ორვალენტიანი ალტერნაცია (გარდაუვალი)



მიზანი შეიძლება იყოს როგორც გონიერი, ასევე არაგონიერი. (19b)-ში მიზანი არაგონიერია და, აქედან გამომდინარე, გამოხატულია დირექტიული ბრუნვით, ხოლო (19a)-ში გონიერია და გამოხატულია დატიური ბრუნვით, მაგრამ ორივე შემთხვევაში ზმნაში R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის მაჩვენებლით გამოიხატება,[143] ამიტომ (მორფოლოგიური მარკირების თანახმად და IV თავში განხილული სინტაქსური ტესტების მიხედვით) მას განვიხილავთ ირიბ დამატებად.[144]

მიზნის გარდა, მეორე აქტანტი შეიძლება იყოს ბენეფაქტივი. ერთვალენტიანი ზმნით გამოხატულ სიტუაციას ემატება ახალი სემანტიკური როლი, რომელიც გამოიხატება დატიური ბრუნვითა და {n-} + {a-} მორფემათა მიმდევრობით. მოცემული კონსტრუქცია არის S + ბენეფაქტივი.

(20)

a. გარდაუვალი ერთვალენტიანი კონსტრუქცია
diĝir *gal-gal-e-ne* *kuš$_3$-kuš$_3$-ta*

---

143 ა. იაგერსმა <im-ma> გრაფემულ მიმდევრობას მიიჩნევს სამი მორფემის გამომხატველად: {i-} + {mu-} + {ba}. ერთი მხრივ, ჩვენ ვარჩიეთ, დაუშლელად წარმოგვედგინა აღნიშნულ მორფემათა მიდევრობა (ტრადიციული მიდგომა), ხოლო, მეორე მხრივ, გლოსირებას ვუთითებთ ვენტივს + მესამე გონიერი პირის ნიშანი + ირიბი დამატება, მაგრამ არ ვუთითებთ ნეიტრალურ {i-} პრეფიქსს.

144 რა თქმა უნდა, წინა თავში განხილული სინტაქსური ტესტების გათვალისწინებითაც.

diĝir	*gal~gal=ene=Ø*	*kuš~kuš=ta*
ღვთაება	დიდი~RDP=PL=ABS	სიგრძის.ერთეული=ABL

ba-an-sig,-ge-eš

ba-ni-sig-eš

MID-LOC-მწვანე.ყოფნა-3PL.S

„ყველა დიდი ღმერთი მისი სიდიადის წინაშე გაფერმკრთალდა".[145] (The lament for Unug (c.2.2.5), line c225.A.A.13)

b. გარდაუვალი ბენეფაქტიური კონსტრუქცია

an	*ub-da*	4
an	*ub=da*	4
ზეცა	კუთხე=COM	4
^{d}en-lil$_2$-ra	*^{ĝiš}kiri$_6$-gin$_7$*	*mu-na-si$_g$7*
enlil=ra	*kiri=gin*	*mu-n-a-sig-Ø*
ენლილი=DAT	ხეხილის.ბაღი=EQU	VENT-3SG.H-R-მწვანე.ყოფნა-3SG.S

„ქვეყნიერების ოთხივე კუთხე ენლილს ბაღივით გაუმწვანდა". (The Keš temple hymn (c.4.80.2), line c4802.A.6)[146]

c. ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნა – აგენსი/თემა + ბენეფაქტივი

an-ta	*ḫe$_2$-ĝal$_2$*	*ḫa-mu-ra-ta-ĝen*
an=ta	*ḫeĝal=Ø*	*ḫa=mu-r-a-ta-ĝen-Ø*
ზეცა=ABL	სიმრავლე=ABS	OPT=VENT-2SG-R-ABL-სვლა-3SG.S

„დაე, სიუხვე ჩამოგივიდეს ზეციდან!" (იაგერსმა 2010: 288, 503)

გარდაუვალი ბენეფაქტიური კონსტრუქცია მიიღება შემდეგი ალტერნაციით (სამივე დონის გათვალისწინებით):

ცხრილი № 21 ერთვალენტიანი → ორვალენტიანი ალტერნაცია (ბენეფაქტიური; გარდაუვალი)

<აგენსი/თემა>	→	<აგენსი/თემა,		ბენეფაქტივი>
A		A		R
ქვემდებარე		ქვემდებარე		ირიბი დამატება

145 პენსილვანიის შუმერული ლექსიკონი sig$_7$ (resp. sissi) სიტყვას თარგმნის როგორც „მწვანე-ყვითელი, მკრთალი (ყოფნა)".

146 იხ. აგრეთვე პ. დელნეროს ნაშრომი (დელნერო 2010: 543).

(20a) წინადადებაში მოცემულია სტატიკური ზმნა sig, „მწვანე ყოფნა“ თემის სემანტიკური როლით, გამოხატული აბსოლუტიური ბრუნვით სახელურ ფრაზაში და ნულოვანი სუფიქსით ზმნაში. (20b)-ში სიტუაციას ემატება ბენეფაქტივის სემანტიკური როლი (გამოხატული დატივით და ირიბი დამატების (resp. R-ის) პრეფიქსით ზმნაში), რომელიც მიუთითებს რომ ზმნით გამოხატული მოქმედება/მდგომარეობა განკუთვნილია, თუ სრულდება მეორე აქტანტისათვის – ᵈen-lil$_2$-ra „ენლილს“. (20c)-ში მოძრაობის გამომხატველი ზმნა მიზნის სემანტიკური როლის გარდა ეთავსება ბენეფაქტივის როლს (განსხვავებით ზემოწარმოდგენილი (20a) და (20b) წინადადებებში მიზნის სემანტიკური როლისა იმავე ზმნაში).

(20b) მაგალითის მსგავსად, დასტურდება სხვა სტატიკური ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნებიც.

(21) სტატიკური ორვალენტიანი

ba-an-na-ge-en$_6$

b-n-a-gen-Ø

MID-3SG.H-R-მტკიცე.ყოფნა-3G.S

„ისინი (=რვა ვირი) მიაკუთვნეს მათ
(ზედმ. მათთვის მტკიცე გახადეს)“. (იაგერსმა 2010: 402)

სტატიკურ ზმნებში კარგად ჩანს ვალენტობის მატება მაშინ, როდესაც მეორე აქტანტი გამოხატავს პაციენსსა თუ ექსპერიენცერს. gig „ავად ყოფნა“[147] არის ამოსავალი ერთვალენტიანი კონსტრუქცია (22a)-ში სტიმულის სემანტიკური როლით, ხოლო (22b)-ში ემატება ექსპერიენცერი, რომელიც გამოხატულია ირიბი დამატების (resp. R-ის) მაჩვენებლით.

147 ლიტერატურაში შეიძლება შეგვხდეს შეხედულება, რომ ერთადერთი სემანტიკური როლი, რომელიც „ავად ყოფნა“ ზმნას უკავშირდება არის პაციენსი და არა ექსპერიენცერი.

(22)

a. ამოსავალი ერთვალენტიანი სტატიკური

gu$_7$-u$_3$-de$_3$	*al-dug$_3$*	*gur-ru-da-bi*
gu-ed-a=Ø	*al-dug-Ø*	*gur-ed-a=bi=Ø*
ჭამა-IRR-NMLZ=ABS	NEUT-კარგი.ყოფნა-3SG.S	ტრიალი-IRR-NMLZ=3SG.N.DEM=ABS

al-gig

al-gig-Ø

NEUT-ავად.ყოფნა-3SG.S

„ჭამა კარგია. მასთან მიბრუნება ცუდია“.
(Proverbs: collection 27 (c.6.1.27), line c6127.B.27.b6.7)

b. წარმოქმნილი ორვალენტიანი სტატიკური; სტიმული + ექსპერიენცერი

šeš-ĝu$_{10}$	*a-na-zu*	*a-ra-gig*
šeš=ĝu=Ø	*ana=zu=Ø*	*a-r-a-gig-Ø*
ძმა=1SG.POSS=ABS	რა=2.SG.POSS=ABS	VP-2SG-R-ავად.ყოფნა-3SG.S

ka-ĝu$_{10}$	*ma-gig*
ka-ĝu=Ø	*mu-Ø-a-gig-Ø*
პირი=1SG.POSS=ABS	VENT-1SG-R-ავად.ყოფნა-3SG.S

„ჩემო ძმაო, რა ნაწილი გტკივა? პირი მტკივა“.
(Enki and Ninḫursaĝa (c.1.1.1), line c111.262; ზოიომი 2017: 171)

c. თემა + ბენეფაქტივი[148]

nam-lugal-zu	*uĝ$_3$-e*	*ba-sag$_9$*
namlugal=zu=Ø	*uĝ=e*	*b-a-sag-Ø*
მეფობა=2SG.POSS=ABS	ხალხი=DIR	3SG.N-R-კარგი.ყოფნა-3SG.S

„ხალხს უყვარს თქვენი უდიდებულესობა“. (ზედმ. „თქვენი უდიდებულესობა კარგია ხალხისთვის“). (A praise poem of Iddin-Dagan (Iddin-Dagan B) (c.2.5.3.2), line c2532.53; ზოიომი 2017: 171)

(22c)-ში გადმოცემულ სიტუაციაში მონაწილეობენ თემისა (nam-lugal-zu „თქვენი უდიდებულესობა“) და ბენე-

148 გ. ზოიომი სემანტიკურ როლებს არ იყენებს, მაგრამ ამგვარ ზმნებს უკავშირებს გრძნობის გამომხატველებს (ზოიომი 2017: 171). თუ ამგვარად განვიხილავთ, მაშინ nam-lugal-zu „მეფობა“ სტიმულია და uĝ$_3$-e „ხალხს“ ექსპერიენცერი.

ფაქტივის (uĝ$_3$-e „ხალხს“) სემანტიკური როლები, გამოხატული შესაბამისად ქვემდებარით (ნომინატიური ბრუნვა, ნულოვანი სუფიქსი ზმნაში) და ირიბი დამატებით (დირექტიული ბრუნვით და {b-} + {a-} – პირის/კლასის ნიშანი + R გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივის მაჩვენებელი).

(23) წინადადებაში an-na-daḫ-ḫa სიტყვა სიტყვით რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს „დაუმატეს“. ზმნაში გამოხატულია როგორც ქვემდებარის, ასევე ირიბი დამატების მაჩვენებლები. ზმნა მიღებულია პასივიზაციით. nam-nu-banda$_3$ e$_2$-šа$_3$-ga „შიდა ოთახის ზედამხედველობა“ (აბსოლუტიური ბრუნვა სახელურ ფრაზაში, {-Ø} სუფიქსი ზმნაში) გამოხატავს თემის სემანტიკურ როლს, ხოლო šu-ne$_2$-al-dugud gal-kinda$_2$ „უფროს დალაქ შუნეალდუგუდს“ აქტანტი – ბენეფაქტივს.

(23) პასივიზაციით წარმოქმნილი ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნა

šu-ne$_2$-al-dugud	*gal-kinda$_2$*	*nam-nu-banda$_3$*
šunealdugud	*galkinda=ra*[149]	*namnubanda*
შუნეალდუგუდი	უფროსი.დალაქი=DAT	ზედამხედველობა
e$_2$-šа$_3$-ga	*an-na-daḫ-ḫa*[150]	
ešag=ak=Ø	*a-n-a-daḫ-Ø-a*	

შიდა.ოთახი=GEN=ABS PASS-3SG.H-R-დამატება-3SG.S-NMLZ

„მთავარი დალაქი შუნეალდუგუდი, რომელიც ფლობს შიდა ოთახის ზედამხედველობას“. (იაგერსმა 2010: 538-539, 595)

ასევე სამვალენტიანი ზმნის ziĝ$_3$ „აწევა, აღმართვა“ პასივიზაციით მიიღება ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნა, რომლის მეორე აქტანტის სემანტიკური როლია ბენეფაქტივი, გამოხატული lu$_2$-^{d}utu-ra „ლუუთუს“ საკუთარი სახელით.

---

149 ა. იაგერსმა არ აღადგენს დატივის მაჩვენებელს, მაგრამ რადგანაც ზმნაში ირიბი დამატების (resp. R) მაჩვენებელია წარმოდგენილი, რომელიც მიემართება ირიბ დამატება šu-ne$_2$-al-dugud gal-kinda$_2$ „უფროს დალაქ შუნეალდუგუდს“, ამიტომ უნდა აღვადგინოთ {=ra} კლიტიკური მორფემა. რეალურად კი უნდა ყოფილიყო დატიური ბრუნვის /=r/ ალომორფი.

150 მოცემული ზმნა გამოხატავს მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებას და მაგალითში არ არის წარმოდგენილი მთავარი წინადადება.

(24) სამვალენტიანი ზმნის პასივიზაცია

lu$_2$-^{d}utu-ra	*ba-an-na-zi*
luutuk=ra	*ba-n-a-zig-Ø*
ლუუთუ=DAT	PASS-3SG.H-R-აწევა-3SG.S

„ლუუთუს აღუმართეს“. (იაგერსმა 2010:386)

სამვალენტიანი გარდამავალი ზმნის პასივიზაციით მიიღება ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნა. გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებით ამგვარად ჩაიწერება: $(A + T + R)_{pass} \rightarrow S + R$.

(25)

a. სამვალენტიანი ზმნა (აგენსი, თემა, რეციპიენტი)

gala-ra	*^{kuš}ub*	*li-li-is$_3$*
gala=ra	*ub*	*lilis=Ø*
მგალობელი.ქურუმი=DAT	დოლი	დოლი=ABS

mu-na-šum$_2$

mu-n-a-Ø-šum-Ø

VENT-3SG.H-R-1SG.A-მიცემა-3SG.P

„მგალობელ ქურუმებს დოლები უბი და ლილისი მივეცი“. (Inana and Ebiḫ (c.1.3.2), line c132.174)

b. სამვალენტიანი ზმნის პასივიზაცია (თემა + რეციპიენტი)

10	*ĝiš-ur$_3$*	*il$_2$*
10	*ĝišur=Ø*	*il*
ათი	ძელი=ABS	ილი
šitim-ra	*e$_2$*	*^{d}nin-urta-še$_3$*
šitim=ra	*e*	*Ninurta=ak=še*
მშენებელი=DAT	სახლი	ნინურთა=GEN=TERM

an-na-šum$_2$

a-n-a-šum-Ø[151]

PASS-3SG.H-R-მიცემა-3SG.S

„ათი ძელი მისცეს მშენებელ ილს ნინურთას ტაძრისათვის“. (იაგერსმა 2010: 305)

151 ა. იაგერსმა მიიჩნევს, რომ {a-} პრეფიქსი შუმერული ენის ჩრდილოურ დიალექტში დინამიკურ პასივს გამოხატავდა (იაგერსმა 2010: 496).

(25b)-ში რეციპიენტი – il_2 šitim-ra „მშენებელი ილი“ გამოიხატება დატიური ბრუნვით, ხოლო თემა – 10 ĝiš-ur_3 „10 ძელი“ – აბსოლუტიური ბრუნვით, ხოლო e_2 ^{d}nin-urta-$še_3$ „ნინურთას სახლისათვის“ ბრუნვის ნიშნიდან გამომდინარე უნდა აღვიქვათ არა ბენეფაქტივად, არამედ მიზნად (goal).

(26a) გამოხატავს სემანტიკურად სამვალენტიან კაუზატიურ კონსტრუქციას: კაუზატორი ქვემდებარეა, კაუზირებული – ud_5-de „თხა“ – უბრალო დამატება (დირექტიული ბრუნვით), ხოლო თემა/პაციენსი – niĝ$_2$-ar_3-ra „მსხვილი ბურღული“ – პირდაპირი დამატება (აბსოლუტიური ბრუნვით). კაუზატივის პასივიზაციით მიღებული კონსტრუქცია (26b)-ში ასახავს (26a)-ის პირდაპირი დამატების დაწინაურებას ქვემდებარედ, ხოლო უბრალო დამატება კვლავ უბრალო დამატებად რჩება: geme$_2$-uš-bar-e „მქსოველი ქალი“ კვლავ დირექტივში დგას. სინტაქსურად (26b) ასახავს ერთვალენტიან გარდაუვალ კონსტრუქციას.

ცხრილი № 22 სამვალენტიანი → ორვალენტიანი ალტერნაცია (გარდაუვალი)

<აგენსი,	თემა,	რეციპიენტი> →	<თემა,	რეციპიენტი>
A	T	R	T	R
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება	ქვემდებარე	ირიბი დამატება

(26)

a. კაუზატიური კონსტრუქცია

ud_5-de	*niĝ$_2$-ar_3-ra*	*bi_2-ib_2-gu_7-en*
ud=e	*niĝara=Ø*	*b-i-b-gu-en*
თხა=DIR	მსხვილი.ბურღული=ABS	3SG.N-OBL-3SG.N.P-ჭამა-1SG.A

„თხებს ვაჭმევ მსხვილ ბურღულს“. (კარაჰასი 2010: 565)

b. კაუზატივის პასივიზაცია

geme$_2$-uš-bar-e	*ba-ab-gu$_7$*
gemeušbar=e	*ba-b-i-gu-Ø*
მქსოველი.ქალი=DIR	PASS-3SG.N-OBL-ჭამა-3SG.S

„მქსოველ ქალებს ეს აჭამეს“. (იაგერსმა 2010: 432, 496)

თემის გარდა კაუზატივის პასივიზაციისას ქვემდებარის სემანტიკური როლი პაციენსიც შეიძლება იყოს:


(27) კაუზატივის პასივიზაცია; ქვემდებარე – პაციენსი

i-ti-mu-ra	*kišib*	*ba-an-ra*
itimu=ra	*kišib=Ø*	*ba-n-i-ra-Ø*
ითიმუ=DAT	ბეჭედი=ABS	PASS-3SG.H-OBL-რტყმა-3SG.S

„ითიმუს ბეჭედი დაასმევინეს“. (იაგერსმა 2010: 327, 433)

სქემატურად სამივე დონის გათვალისწინებით კაუზატივის პასივიზაცია ამგვარად ჩაიწერება:

ცხრილი № 23 კაუზატივის პასივიზაცია



ზემოგანხილული მაგალითებიდან შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის გარდაუვალი ორვალენტიანი კონსტრუქცია: ერთვალენტიანი ზმნით გამოხატულ სიტუაციაში ახალი წევრის ჩართვა (ვალენტობის მატება) და სამვალენტიანი ზმნის პასივიზაციით მიღებული ორვალენტიანი კონსტრუქცია. ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, ორვალენტიან გარდაუვალ ზმნას უკავშირდება ქვემდებარე და ირიბი დამატება (სინტაქსური მახასიათებელი), ხოლო გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივების მიხედვით, არ უნდა იყოს წარმოდგენილი A + P კონსტრუქცია (უარ-

ყოფითი განმარტება); შესაძლებლად მივიჩნევთ, ჩავწეროთ P + R პრიმიტივებით. სახელურ ფრაზაში ქვემდებარე გამოიხატება სახელობითი ბრუნვით, ხოლო ირიბი დამატება – დატიური ბრუნვით (მორფოლოგიური მახასიათებელი). სემანტიკურად ქვემდებარე გამოხატავს აგენსს/თემას, პაციენსს ან სტიმულს (საეჭვო/ორაზროვანი მაგალითები), ხოლო ირიბი დამატება – რეციპიენტს, ბენეფაქტივს, ადრესატს ან ექსპერიენცერს (საეჭვო/ორაზროვანი მაგალითები). ჩვენს ხელთ არსებულ მაგალითებში არ დასტურდება ამოსავალი ორვალენტიანი ზმნები.

5.3.5 სემანტიკურად ობლიგატორული უბრალო დამატებები

უბრალო დამატებით გადმოიცემა ინსტრუმენტის სემანტიკური როლი. არ მოგვეპოვება სინტაქსური დაწინაურების მაგალითები, მაგრამ ფუნქციურად აბლატივი სივრცობრივ პრეფიქსებს უკავშირდება, თანაც თუ აბლატივი ინსტრუმენტს გამოხატავს და არა წყაროს (source) სემანტიკურ როლს, ხშირად ზმნაში არც აისახება შესაბამისი პრეფიქსი. თუ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ინსტრუმენტის როლს შეიძლება ზმნა ობლიგატორულად მოითხოვდეს (განსაკუთრებით ზმნა „დაჭრა“), მაშინ სემანტიკურად განსაზღვრისას უნდა შევიტანოთ ვალენტობაში, მაგრამ რადგანაც უბრალო დამატებით გამოიხატება, მაშინ სინტაქსურად ერთით ნაკლები ვალენტობა ექნება.

(28) ინსტრუმენტი

lugal-e	*ĝir$_2$-ta*	*in-gaz*
lugal=e	*ĝir=ta*	*i-n-gaz-Ø*
მეფე=ERG	დანა=ABL	NEUT-3SG.H.A-კვლა-3SG.P


„მეფემ მოკლა დანით“. (იაგერსმა 2010: 195)

ეს ზმნა uš$_2$ „კვდომა, კვლა“ ზმნისგან განსხვავდება და შეგვიძლია ვარაუდი გამოვთქვათ, რომ როგორც

„ჭრა“ ზმნა შეიძლება ობლიგატორულად მოითხოვდეს ინსტრუმენტის სემანტიკურ როლს, ისე მოითხოვს ამავე როლს gaz „კვლა, (სიკვდილამდე) რტყმა“ ზმნა.

სქემატურად სემანტიკური როლების, გრამატიკულ-სემანტიკური პრიმიტივებისა და სინტაქსური ფუნქციების ურთიერთასახვა ასე შეგვიძლია ჩავწეროთ:

ცხრილი № 24 ინსტრუმენტის სემანტიკური როლის ასახვა



ეს ერთადერთი მაგალითი მოვიყვანეთ იმის საჩვენებლად,[152] რომ სემანტიკურად ობლიგატორული როლი სინტაქსურად შეიძლება პერიფერიული აქტანტი იყოს ამოსავალ კონსტრუქციაშიც. ამგვარ მაგალითად ასევე მოჰყავთ ფრაზა I put the pen in the box „კალამი ჩავდე ყუთში“ (მალჩუკოვი, ჰასპელმათი, კომრი 2010: 1-2). ავტორთათვის in the box „ყუთში“ ობლიგატორული პარტიციპანტია და ამიტომ სამვალენტიანი ზმნის ერთ-ერთ ტიპად მიიჩნევა put „ჩადება“ ზმნა. ამგვარ შემთხვევებს, რა თქმა უნდა, განვიხილავთ როგორც სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობების შეუსაბამობას: სინტაქსურად ერთით ნაკლები აქტანტი იქნება წარმოდგენილი.

152 მიუხედავად იმისა, რომ მთლად პროტოტიპური არ არის. უმჯობესი იქნებოდა „დაჭრა“ ზმნის მაგალითი მოგვეყვანა, მაგრამ ინსტრუმენტთან ერთად მაგალითი ვერ მოვიძიეთ.

5.4 დასკვნა

ბოლო, მეხუთე, თავში განვიხილეთ სინტაქსური ტესტების ქვემდებარის გამოსაყოფად და გარდამავლობისა და ვალენტობის კომბინაციებით რეალურად დადასტურებული კონსტრუქციები.

ქვემდებარის დასადგენად ღირებულია ოთხი სინტაქსური ტესტი: პასივიზაცია, კაუზაცია, რეფლექსივიზაცია და იმპერატიული კონსტრუქცია. ამგვარად დადგენილი სინტაქსური ფუნქციები შეესაბამება ტრადიციულ შუმეროლოგიაში მხოლოდ მორფოლოგიური მარკირებით გამოყოფილ სინტაქსურ ფუნქციებს: ქვემდებარე სახელურ ფრაზაში (flagging) გამოიხატება ერგატიული (გარდამავალი ზმნა) ან აბსოლუტიური ბრუნვით (გარდაუვალი ზმნა); ხოლო ზმნაში გამოიხატება (indexing) ფინალური პირის/კლასის პრეფიქსული ნიშნებით (პირის ნიშნები, რომლებიც ზმნურ ძირს უშუალოდ უძღვიან) ან სუფიქსური პირის/კლასის ნიშნებით (ზმნის იმპერფექტიულ ფორმებში).

ვალენტობისა და გარდამავლობის კომბინაციებით დასტურდება ოთხი ტიპი: გარდაუვალი ერთვალენტიანი, გარდაუვალი ორვალენტიანი, გარდამავალი ორვალენტიანი და გარდამავალი სამვალენტიანი ზმნები. გამოყოფილია სემანტიკური როლების ასახვა (mapping) ორ სხვადასხვა დონეზე – გრამატიკულ-სემანტიკურ პრიმიტივებისა (S, A, P, T, R) და სინტაქსურ ფუნქციების დონეებზე (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, უბრალო დამატება). ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს კონკრეტული სემანტიკური როლისა და სინტაქსური ფუნქციის შესაბამისი პრიმიტივი, ვიყენებთ „?“ სიმბოლოს (კითხვის ნიშანს), რადგანაც თავი ავარიდეთ ტიპოლოგიაში არარსებული და ad hoc-ად შექმნილი ნიშნების გამოყენებას.

გარდაუვალი ერთვალენტიანი ზმნის ორი ტიპი გამოიყოფა: ამოსავალი გარდაუვალი ერთვალენტიანი ზმნა

(ძირითადად, მოძრაობის გამომხატველი და სტატიკური ზმნები) და აქტანტური დერივაციით (ამ შემთხვევაში – ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის პასივიზაციით) მიღებული ზმნა (მოქმედების გამომხატველი ორვალენტიანი ზმნის პასივიზაციით მიღებული).

არ დასტურდება ამოსავალი გარდაუვალი ორვალენტიანი ზმნები (ძირითადად სტიმულსა და ექსპერიენცერთან დაკავშირებული ზმნები). ჩვენს ხელთ არსებული ყველა დადასტურებული ზმნა მიღებულია ან ერთვალენტიანი ზმნის აქტანტური დერივაციით (მაგ., ბენეფაქტიური კონსტრუქცია ან კიდევ სამვალენტიანი (ძირითადად – რეციპიენტიანი, ადრესატიანი ან ბენეფაქტივიანი) ზმნების პასივიზაციით. ფაქტობრივად, არ დასტურდება გრძნობისა და აღქმის გამომხატველი ზმნები, რომლებიც სტიმულსა და ექსპერიენცერს გამოხატავენ (ზემოთ განხილულია ზმნა „ავად ყოფნა“). სემანტიკურად გარდაუვალი „აქვს“ ზმნა გარდამავალი ორვალენტიანია სინტაქსურად.

გარდამავალი ორვალენტიანი ზმნები (ძირითადად – მოქმედების გამომხატველი ზმნები, ინგესტური – საკვების მიღებასთან დაკავშირებული ზმნები) არის როგორც ამოსავალი ტიპის (აგენსი – პაციენსი/თემა), ასევე აქტანტური დერივაციით (კაუზაციით) მიღებული.

პროტოტიპური გარდამავალი სამვალენტიანი ზმნები (ძირითადად – გადაცემის გამომხატველი) გამოხატავს აგენსს, თემასა და რეციპიენტს, რომელთანაც ახლოს დგას ადრესატიანი „ლაპარაკის“ გამომხატველი ზმნები. აქტანტური დერივაციით მიიღება ბენეფაქტიური კონსტრუქცია, რომელიც სინტაქსურად ზუსტად ისევე გამოიხატება როგორც პროტოტიპური სამვალენტიანი ზმნები.

შუმერულში არ დასტურდება ნულვალენტიანი მეტეოროლოგიური მოვლენების გამომხატველი ზმნები. ამგვარ ზმნას ყოველთვის მოეპოვება ერთი აქტანტი. ასევე არ დასტურდება ანტიპასივი.

ამგვარად, შეძლებისდაგვარად გამოვყავით ზმნის აქტანტური მოდელები და დავადგინეთ რეალურად არსებული კონსტრუქციები და ცარიელი ადგილები. განსაკუთრებით ყურადღება გავამახვილეთ ორვალენტიან გარდაუვალ ზმნებზე, რომელთაც სინტაქსური თვალსაზრისით იშვიათად იხილავენ შუმეროლოგიაში.[153]

153 ა. იაგერსმას ნაშრომიდან მოყვანილი ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები თვითონ ა. იაგერსმას მოჰყავს არა ვალენტობისა და გარდამავლობის საჩვენებლად, არამედ, როგორც წესი, მხოლოდ სხვადასხვა პრეფიქსული მორფემის კომბინაციათა და შეთავსებადობის საჩვენებლად.

6. დასკვნა და სამომავლო კვლევა

